კვირის პალიტრა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 35 (395) ◆ 2 – 8 სექტემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

გაკვეთილების ცხრილი

ჩვენი პატარა მკითხველისთვის გაზეთში საჩუქარია

საქართველოს ვილაცაში თუ რაღაცაში ცვლიანო – ავადმყოფების ფანტაზიის ნაყოფია

აშშ აღარ შეურიგდება რუსეთის აგრესიულ ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ. არა მხოლოდ სპეციალურ ნოტებსა და განცხადებებს ცვლიან ვაშინგტონი და მოსკოვი საქართველოსთან დაკავშირებით, არამედ კოლინ პაუელსა და იგორ ივანოვს შორის უშუალო სატელეფონო საუბრებით მიმდინარეობს მოლაპარაკება ყველა სადავო საკითხზე. ამ პროცესების საქმის კურსშია აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისი, რომლის მკვეთრი პოზიციაც ასახულია ვაშინგტონის განცხადებებში. ამიტომ, მოსკოველ პოლიტიკოსთა იმედი და მოლოდინიც, რომ აშშ, ან საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს დაუჭერს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში და მით უმეტეს, პანკისის ხეობაში ინტერვენციისთვის, არის მათი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი.

გვ.3 რევაზ ადამია, გაეროში საქართველოს წარმომადგენელი

რას წერენ ჩვენზე:

პანკისის ხეობაში ბერეზოვსკის აჩრდილი დაძრწის

ტერორისტები ქართველებს შემთხვევით არ დასჭირვებიათ.

ცნობილმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ გადაწყვიტა, მოსკოვში მომხდარი აფეთქებების აღმსრულებელთა დაჭერა ან მოტაცება, ე.ი. ბორის აბრამოვიჩმა არასასურველი მოწმეების მოშორება განიზრახა.

...მან პატარკაციშვილის საშუალებით დააფინანსა საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები ყარაჩაელების დასაჭერად. **როსიისკაია გაზეტა**

რუსეთის მოქალაქეების 56% თვლის, რომ რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს ბოდიში უნდა მოუხადოს.

გვ.14,27 ეხო მოსკვი

აფხაზებმა სამუშაოს ორი თანამებრძოლი მოკლეს?!

გვ.2

ინტერვიუ გურაბ სამუშიასთან

რა წერილი გაუგზავნა „თეთრი ლეგიონის“ მეთაურმა პუტინს?!

გვ.5

რომ ამბობს გაჩეჩილაძე ჩემზე, არსად მინახავსო და თორმეტი წელი ვიომეო, ჯერ ერთი, თორმეტი წელი ომი არ ყოფილა და ისე, არც მე მინახავს ის სადმე, განსხვავებით რუსლან გელაევისგან, რომელიც აფხაზეთში ჩვენ გვებრძოდა.

სამხედრო თემაზე:

გვ.8,9

ჩვენები პირველ ფსიქოლოგიურ „შეჯვას“ იგებენ

ამერიკული „დოვებით“ „მოსეირნე“ ქართველი „ანტიტერორისტები“ პანკისელებს თავდაპირველად ამერიკელები ეგონათ. განსაკუთრებულ ყურადღებას მათი შეიარაღება იწვევდა, რომლის მსგავსიც მრავალ ბრძოლა-გამოვლილ ჩეჩნებსაც არ ენახათ...

მკითხველის პრემია

გვ.35

თქვენ ირჩევთ, ჩვენ ვაჯილდოებთ

ვარსკვლავი

გვ.10,13 რა კატეგორიის დამნაშავეს აღარ შეხვედრივარ, მაგრამ ადრე ისტორიები ყველა რეკორდს ხსნიდა...

31 დეკემბერს, საღამოს, სინდიკატს მის მიერვე გადაგდებული ერთ-ერთი ფირმის დაქირავებული „ფულის დაბრუნების სპეციალისტები“, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, ავტორიტეტები ეწვივნენ, მადლენასა და მისი ხალხის „შესაშინებლად“, რომლებიც სინდიკატის წევრებმა საახალწლო სუფრასთან დახოცეს, თავები დააჭრეს, სისხლიანი ხელები დაიბანეს და ახალი წელი მიულოცეს ერთმანეთს.

„ჩემებურებმა მითხრეს, კახეთი ვინმე მადლენას აქვს აღებულიო და იმდენი რამ მიამბეს, თმა ყალყზე დამიდგა. რა კატეგორიის დამნაშავეს აღარ შევხვედრივარ, მაგრამ ნაამბობი ისტორიები ყველა კრიმინალურ რეკორდს ხსნიდა... დავადგინე, რომ ამ გაქნილ ქალს მთლიანად მოსყიდული ჰყავდა რუსეთის ძალოვნები. მოსკოვში ჰქონდა რამდენიმე ფეშენებელური ბინა, აგარაკი, ოფისი. მის ხელქვეითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის რეფერენტებისა და პასუხისმგებელი მუშაკების მოწმობები ეწყოთ ჯიბეებში... ბუნებრივია, მადლენა ჩემს გასაღებას შეეცდებოდა...“

15 წლის თორნიკე – ღვთის რჩეული, თუ...

მირონი გადმოსდის ჩემს დაწერილ მთავარანგელოზ მიქაელის ხატს.

პატრიარქმა თქვა, – რა მნიშვნელობა აქვს, რა შემადგენლობისაა, როცა აშკარად გადმოდის ზეთიო!

ყველა ეს სასწაული მხოლოდ ჩემთვის არ ხდება. ხალხს ღვთის შიში და რწმენა ჰქონდა დაკარგული. ჩემთან შეხვედრის შემდეგ კი ბევრი გახდა მორწმუნე, მეც ამიტომ ვჩქარობ, რაც შეიძლება მეტს მივაწვდინო ხმა...

გვ.31

ვიმეორებ, უფალთან ყოფნის ყველა მსურველი გადარჩება, ქართული მიწა გაბრწყინდება!..

მშვიდობიან შემოდგომას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

პანკისის პრობლემა ძალე აღარ იარსებებს(?!)

ახმეტის რაიონსა და პანკისის ხეობაში ჩასულმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ, რომელიც საავიაციო დაბომბვის შედეგად დაღუპულ ნოდარ ოთიაშვილის დაკრძალვას დაესწრო მატანში, შემდეგ კი სოფელ დუისს მიაშურა, განაცხადა, რომ ხეობაში ჯარები მაშინ შეიყვანეს, როცა საამისო ყველა წინა პირობა შეიქმნა; ადრე ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან სისხლის ღვრა გარდაუვალი იქნებოდაო! პრეზიდენტი დაჰპირდა ადგილობრივ ქართველ და ქისტ მოსახლეობას, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა რუსეთის ავიაციის მიერ ჩვენი ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვა აღარ განმეორდეს. ამასთან, ხეობა გაიწმინდება კრიმინალებისგან და პანკისის პრობლემაც აღარ იარსებებს!

სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს ძებნილი რეციდივისტები — ალექსანდრე ქანთაძე და ხვიჩა ჩოფანაშვილი, რომლებიც წლების მანძილზე აფარებდნენ თავს პანკისის ხეობას. ძალოვნებს ხელთ ხეობას შეფარებული ასზე მეტი კრიმინალის მონაცემები აქვთ და ეძებენ კიდეც მათ.

პუტინმა შევარდნაძეს კბილი გაპკრა

რუსეთის გენერალიტეტთან შეხვედრისას ქალაქ ჩიტაში პრეზიდენტმა პუტინმა კი მძაფრად გააკრიტიკა საქართველოს ხელისუფლება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთთან თანამშრომლობის სურვილის უქონლობის გამო, კბილი გაჰკრა შევარდნაძეს რუსლან გელაევის კულტურულ კაცად მოხსენიების გამო და განაცხადა, პანკისის ხეობაში ქართველები ურუსებოდ ვერაფერს გახდებიანო და ჩვენს პრეზიდენტს ქარაგმულად მოუწოდა თანამშრომლობისკენ! პუტინს კრინტიც არ დაუძრავს რუსეთის ავიაციის მიერ საქართველოს დაბომბვის ფაქტზე. მას თურმე იმდენად არ აღელვებს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე შექმნილი ვითარება, რამდენადაც ერთობლივი ქმედებისა და ურთიერთგაგების არარსებობა ორ ქვეყანას შორის. მისივე თქმით, ტერორისტების მხოლოდ „კუთხიდან კუთხეში“ დევნა-შევიწროებით პრობლემა სწრაფად ვერ მოგვარდება. პრობლემა კი მართლაც რომ დიდი აქვს პუტინს — ჩეჩნეთში საგრძნობლად გააქტიურდნენ ბოევიკები და დღე არ გავა, ამა თუ იმ რაიონში თავდასხმა არ განახორციელონ ფედერალური ჯარების წინააღმდეგ!

ვისთვის — ძლავრი დემარში, ვისთვის კი ისტერია

პრეზიდენტმა შევარდნაძემ უარყოფითად შეაფასა პარლამენტის დადგენილება, რომლის თანახმადაც დეპუტატებმა დსთ-დან საქართველოს გამოსვლა და რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გაყვანა მოითხოვეს. პრეზიდენტის თქმით, ასეთი რადიკალური ნაბიჯების გადადგმა ნაადრევია! პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კი აღნიშნულ დადგენილებას მძლავრი დემარში უწოდა და განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი გარკვეულ შედეგს გამოიღებს (ვრცლად იხ. გვ. 7)!

პარლამენტის სხდომის მეორე დღეს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბბინასთან საპროტესტო აქცია გამართეს „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ და სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა. მიტინგზე გამოსულებმა მოითხოვეს სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანა ქართული მიწა-წყლიდან. მათივე თქმით, რუსი სამხედროები საქართველოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა გრძნობდნენ, რომ ისინი აქ არავის სჭირდება და რომ მათ მიმართ ქართველი ხალხის დამოკიდებულება შეურიგებელი და მკვეთრად უარყოფითია!

ზოგიერთმა რუსმა პოლიტიკოსმა საქართველოს პარლამენტის დადგენილებას და საპროტესტო აქციებს ისტერია უწოდა(!).

დაჭრილებს სახელმწიფო უმკურნალებს

23 აგვისტოს განხორციელებული დაბომბვის შედეგად დაჭრილი შვიდი ადამიანი თავს უკვე კარგად გრძნობს და მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. სავარაუდოდ, მათ მიმდინარე კვირაში გაწერენ ახმეტისა და თბილისის საავადმყოფოებიდან. დაზარალებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

„ცივი ომი“ ისევ დაიწყო

მორიგი „ცივი ომი“ დაიწყო ბათუმსა და თბილისს შორის. ფრაქცია „აღორძინების“ ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ პრეზიდენტ შევარდნაძეს აჭარაში დესტაბილიზაციის დაწყების მცდელობა დასდო ბრალად. გოგიტიძე ირწმუნება, რომ ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზაში საქართველოს ერთ-ერთი ოპერატიული სამსახურის თანამშრომელი დააკავეს, რომელიც იარაღის გატანას ცდილობდა. დაკითხვისას მან თურმე აღიარა, რომ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა რუსეთის ბაზის კომპრომეტირებისთვის რამდენიმე დავალება მისცეს. კერძოდ, გარკვეული სამხედრო ტექნიკის აღრიცხვა, იარაღისა და შეიარაღების გამოტანა ბაზის გარეთ და შემდეგ ასლან აბაშიძის დადანაშაულება ბაზის მფარველობაში. მეტიც, გოგიტიძე ირწმუნება, რომ ენგურის ხიდზე მიმდინარე ლტოლვილთა აქციის ინიციატორი, სადაც ასლან აბაშიძის გადაყენებას მოითხოვენ აფხაზეთის საკითხებში მოლაპარაკებებში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის პოსტიდან, სწორედ შევარდნაძეაო... ამ ბრალდებებს ემოციურსა და არასერიოზულს უწოდებენ სახელმწიფო კანცელარიაში და მას საქართველო-რუსეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების კონტექსტში განიხილავენ! ლტოლვილები კი ასლან აბაშიძეს „რუსეთის კაცს“ უწოდებენ.

„საქგაზმა“ საქველმოქმედო აქციები დაიწყო

„იტერას“ შვილობილმა კომპანია „საქგაზმა“ საქველმოქმედო აქციები დაიწყო. მისი მესვეურები თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლს ეწვივნენ და 1500 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტები და სათამაშოები გადასცეს. ჩვილ ბავშვთა სახლში ამჟამად 120-მდე ბავშვია და „საქგაზი“ ჰპირდება სახლის ხელმძღვანელობას, რომ გათბობის სისტემას უფასოდ დაუპროექტებენ და გაზსაც შეღავათიან ფასად მიაწოდებენ.

სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თუ „საქგაზს“ წინასწარ არ გადაუხდიან დახარჯული ბუნებრივი აირის საფასურს, სექტემბერში შეიძლება კვლავ შეუწყდეს თბილისს გაზის მიწოდება(!).

რუსეთი დესანტს აძლიერებს

დაზვერვის დეპარტამენტის შეფმა ავთანდილ იოსელიანმა განაცხადა, რომ ქართულ დაზვერვას მოეპოვება დამამტკიცებელი ინფორმაცია, რომ 23 აგვისტოს მოზდოკისა და არმავირის სამხედრო აეროდრომებიდან შემოსულმა თვითმფრინავებმა დაბომბეს პანკისის ხეობა და რომ მალე მფრინავების გვარებსაც დაადგენენ. იოსელიანის თქმით, საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე რუსეთი დესანტის შემადგენლობას აძლიერებს!

თითო ხმა 2-3 ლარად

ქუთაისში ჩატარებული 2 ივნისის არჩევნების შედეგები შეიძლება მთლიანად გაუქმდეს, განაცხადა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა. როგორც გაირკვა, ქუთაისში ყველა საარჩევნო უბანზე არჩევნები ტოტალურად გაყალბებულა! შესაბამისად, ქუთაისის საკრებულოს კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ქუცნაშვილის თქმითვე, 2 ივნისს ქუთაისში საარჩევნო კომისიის წევრები თითო ხმის მომატებისთვის საკრებულოს კანდიდატებს და პარტიებს... ერთ ლარს, არჩევნების მეორე დღეს ოქმში ცვლილებების შესატანად კი ყოველ ხმაზე ორ-სამ ლარს ითხოვდნენ და ღებულობდნენ კიდეც. საინტერესოა, რომ არჩევნების შემდეგ საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების სახლების ეზოებში ახალთახალი ავტომობილები გამოჩნდა...

სეპტემბერს სრული მზადყოფნით ხვდებით?!

თბილისის მერიამ მიწისძვრისგან დაზიანებული სკოლების გამაგრებითი სამუშაოების დასრულების შესახებ გამოაცხადა. სულ დაზიანებული იყო 25 სკოლა. 2 სექტემბერს 23 სკოლა სრული მზადყოფნით შეხვდა. მხოლოდ №14-ე და №152-ე სკოლებში სწავლის პარალელურად კვლავ გაგრძელდება აღდგენითი სამუშაოები და სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

მთავრობის სხდომაზე კი ითქვა, რომ მალე საქართველო მსოფლიო ბანკისგან 5 მილიონ დოლარს მიიღებს მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ. დღემდე 5 ათასი ბინა კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია, ბინებით დაკმაყოფილებულია მხოლოდ 386 ოჯახი. რამდენიმე დღეში კი კიდევ 42 ოჯახი მიიღებს ბინას.

სალმონელოზს ეპარიან დაეპატა

ახლახან თიანეთის რაიონში სალმონელოზით დაავადებული ხორცით 60-მდე ადამიანი მოიწამლა, მათგან 20 რაიონულ საავადმყოფოში დღემდე მკურნალობს. ექიმები მსგავსი შემთხვევების გამეორებას არ გამორიცხავენ და მოსახლეობას სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ. შავიზღვისპირა რაიონებში კი ზაფხულის პერიოდში 500-მდე ადამიანი დაავადდა მალარიით. შესაბამისი სამსახურები ანადგურებენ მალარიის გადამტან კოღოებს და აშრობენ ჭაობებს, თუმცა სრულფასოვანი პროფილაქტიკური ღონისძიებებისთვის სახსრები არ ჰყოფნით!

სალდოფონთა ცვლას შედეგი არ მოჰყვება

ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის ვასილ პრიზემლინის მიერ ახალგორის რაიონში თვითნებურად განხორციელებული რეიდის გამო, ქართულმა მხარემ კატეგორიულად დასვა საკითხი მისი პასუხისმგებლობის შესახებ. თუმცა, სამწუხარო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რუს გენერალთა და სარდალთა ცვლას შედეგი არ მოაქვს არც აფხაზეთსა და არც ცხინვალში. ამ დღეებში ოსმა კრიმინალებმა კიდევ ერთი ქართველი პოლიციელი ბუგიანიშვილი გაძარცვეს და ავტომატის კონდახით სასტიკად სცემეს მცირეწლოვანი დისშვილის თვალწინ. მსგავსი ფაქტების გახშირებით შეშფოთებულმა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართულმა მოსახლეობამ სოფელ ქურთაში საპროტესტო აქცია გამართა და ხელისუფლებას ზურაბ დურგლიშვილის გათავისუფლება და უსაფრთხოების გარანტიები მოსთხოვა!

ორი პარტიზანი მოკლეს

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ გალის რაიონის სოფელ ხუმუშკურთან შეტაკება მოხდა აფხაზ ბოევიკებსა და სავარაუდოდ ქართულ პარტიზანულ დაჯგუფება „თეთრი ლეგიონის“ წევრებს შორის. გავრცელებული ინფორმაციით, ორმხრივი სროლისას ქართველების მხრიდან დაიღუპნენ ხ. შ. და ო. ქ.; დაიჭრა ორი კაცი, რომლებიც ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს (დაღუპულებისა და დაჭრილების გვარ-სახელების სრულად გამოქვეყნებას მიზანშეწონილად არ მივიჩნევთ — რედ.). აფხაზთა მხრიდან ორი კაცია დაჭრილი.

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა „თეთრი ლეგიონის“ ერთ-ერთ მებრძოლს, რომელმაც მომხდარის კომენტირებაზე უარი განაცხადა ზუსტი ინფორმაციის უქონლობის გამო. სამწუხაროდ, ამ ინციდენტის შემდეგ „თეთრი ლეგიონის“ მეთაურ ზურაბ სამუშიასთან დაკავშირება ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

კრიმინალური ქრონიკა

ტრაგედია დატრიალდა ქუთაისში. შუაღამისას ორმა ახალგაზრდამ დანის მუქარით ტაქსი წაართვა მძღოლს და გაიტაცა. ისინი დიდი სიჩქარით დაიძრნენ რიონჰესის მიმართულებით და ჰესის საგუბარში, 30 მეტრის სიმაღლიდან გადაიჩეხნენ და ჩაიძირნენ. ერთი დღის მანძილზე მიმდინარეობდა მათი ძებნა, საგუბრიდან წყალს იმის შიშით ვერ უშვებდნენ, რომ ამას შეიძლებოდა სხვა ტრაგიკული შემთხვევები მოჰყოლოდა. საბოლოოდ, წყალი მაინც გაუშვეს და მხოლოდ დამსხვრეული მანქანა ამოიღეს... გამტაცებელთა ბედი გაურკვეველია.

***

ღრმაღელის მეტროს სადგურთან მდებარე სასადილოში პოლიციამ ორ შეიარაღებულ ყაჩაღს მიაკვლია. პოლიციის მისვლისთანავე ერთი გაიქცა, მეორემ კი „ლიმონკა“ გახსნა და აფეთქებით იმუქრებოდა. პოლიციამ მოქმედების გონივრული გეგმა შეიმუშავა და ყოველგვარი სროლის გარეშე მოახერხა სამტრედიელი ყაჩაღის, მამუკა მელქაძის განიარაღება. „ლიმონკა“ კი მტკვარში გააუნებელყვეს. გაირკვა, რომ ყაჩაღებს იქვე მდებარე საცხოვრებელი ბინების გაძარცვა ჰქონდათ განზრახული, თუმცა ერთი დანაშაულის ჩადენა უკვე მოესწროთ, რასაც მოწმობდა დაკავებულისგან ამოღებული ძვირფასეულობა და ვალუტა!

***

საზარელი შემთხვევა მოხდა ამ დღეებში. წყნეთის ნაგავსაყრელზე ადგილობრივმა მცხოვრებმა ქალბატონმა მიტოვებული ახალშობილი ბიჭუნა აღმოაჩინა. ღორებს უკვე მოეჭამათ მისთვის ხელზე სამი თითი, როცა ქალბატონმა მიუსწრო და ჩვილი საავადმყოფოში მიიყვანა. ახლა ექიმები ყველაფერს აკეთებენ ახალშობილის გადასარჩენად, რომელსაც უკვე გაუკეთეს სამი თითის ამპუტაცია. დედა, რომელმაც შვილი ნაგავსაყრელისთვის გაიმეტა, აღმოჩნდა აფხაზეთიდან ლტოლვილი ლელა კურდღელია. როგორც გაირკვა, კურდღელიასთან შეთანხმებით მისმა მეგობარმა ნინო ბასარიამ 25 აგვისტოს ახალშობილი ცელოფანის პარკში გაახვია და ნაგავსაყრელზე გადააგდო. კურდღელიამ დანაშაული აღიარა.

***

პარასკევ საღამოს ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა დაცხრილეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალაშენებული შტაბბინა. ფედერაციის მესვეურნი ამ ვანდალურ აქტს არ უკავშირებენ ახლახან ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის არჩევნებს (გაიმარჯვა მერაბ ჟორდანიამ) და მომხდარზე კომენტარს ვერ აკეთებენ. მიმდინარეობს გამოძიება...

***

თბილისში, ჩუღურეთში არსებული უკრაინული საშუალო სკოლა დაარბიეს. დამნაშავეები სკოლაში ღამით შევიდნენ, გატეხეს ყველა საკლასო ოთახი, თუმცა არაფერი წაუღიათ. სკოლის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ქურდები კომპიუტერებს ეძებდნენ. ეს უკვე მეორედ დაარბიეს უკრაინული სკოლა. მაშინ სწორედ კომპიუტერები და ქსეროქსი მოიპარეს.

გელბახიანს გაათავისუფლებენ?

მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტისათვის მსჯავრდადებული პეტრე გელბახიანის ვადამდე გათავისუფლების საკითხი უნდა განეხილათ, მაგრამ სხდომა გადაიდო, რასაც გელბახიანის მხარდამჭერი ზვიადისტების აღშფოთება მოჰყვა. მათ განუცხადეს, პროკურორი საკითხს სწავლობსო. ამ არგუმენტმა არც ზვიადისტები დააკმაყოფილა და არც თავად გელბახიანი, რომელმაც სამართალდამცველებს უნიჭოები უწოდა! სხდომა 5 სექტემბერს გაიმართება და მიმდინარე კვირაშივე განიხილავენ მასთან ერთად მსჯავრდადებული ირაკლი დოკვაძის ვადამდე გათავისუფლების საკითხსაც.

ვის ჩაისვამენ ჯიბეში რუსები

ქონების მართვის მინისტრი შეხვდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც სტრატეგიული ობიექტების გასხვისებას ეწინააღმდეგებიან. მშვიდად დაწყებული საუბარი მალე მძაფრ კამათში გადაიზარდა და არასამთავრობოებმა პავლიაშვილი კორუფციაში, მიზანმიმართულ დივერსიასა და ქვეყნის მოღალატეობაში დაადანაშაულეს! მინისტრი ვაჟკაცურად იგერიებდა იერიშს, მაგრამ მის არგუმენტებს ზეგავლენა არ მოუხდენია დამსწრეებზე, რომლებიც კვლავ კატეგორიულად მოითხოვდნენ „იტერასთან“ მოლაპარაკების ჩაშლას და სტრატეგიული ობიექტების პრივატიზების შეჩერებას. არასამთავრობოები მასობრივი აქციებით დაემუქრნენ მინისტრს და მისი სახით ხელისუფლებას. „იტერას“ თემას ზედიზედ სამი პრესკონფერენცია მიუძღვნა ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც ასევე კატეგორიულად მოსთხოვა ხელისუფლებას მოლაპარაკების შეჩერება და განაცხადა, რომ ამერიკელები (ხელისუფლება ირწმუნება, „იტერა“ ტრანსნაციონალური კომპანიაა ამერიკული დირექტორატითო) წილში არ ჩაისვამენ ჯოხთაბერიძეებს, მირცხულავებს და პავლიაშვილებს — ამას დიდი სიამოვნებით მხოლოდ რუსები აკეთებდნენ და გააკეთებენ კიდეცო!

ენიშვნელოვანი მისია კიევში

კიევში მნიშვნელოვანი მისიით იმყოფებოდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, რომელმაც უკრაინული წყაროების თანახმად, პრეზიდენტ კუჩმასა და საგარეო საქმეთა მინისტრ ანატოლი ზლენკოსთან გამართა მოლაპარაკებები, რომელთა შინაარსი ოფიციალურად არ გახმაურებულა. კულუარული ინფორმაციით, ჯაფარიძესა და უკრაინის ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებისას მხარეები შეეხნენ საქართველოში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შექმნაში უკრაინის ჩართვის პერსპექტივას. ამასთან, უკრაინელ ექსპერტთა თქმით, თბილისი კიევისგან ელის პოლიტიკურ მხარდაჭერას, უარეს შემთხვევაში კი ე. წ. დადებით ნეიტრალიტეტს რუსეთ-საქართველოს კონფრონტაციაში. „დადებითი ნეიტრალიტეტი“ კი სხვა არაფერია, თუ არა საქართველოსთვის უკრაინის მხრივ ფარული მხარდაჭერის იმედი. ექსპერტები ეჭვობენ, რომ კუჩმა, რომელიც მოსკოვის პოლიტიკურ-ეკონომიკური წნეხის ქვეშ იმყოფება, ამ კონფლიქტში არც ერთ მხარეს არ დაუჭერს მხარს. იგი, ძირითადად, ზოგადი საჯარო განცხადებებითა და კომპრომისისკენ მოწოდებით შემოიფარგლება.

საღამ ჰუსეინს აღარაფერი ეშველება

კაიროში გამართულ კონფერენციაზე არაბული ქვეყნების ლიდერებმა აშშ-ის მიერ ერაყზე მოსალოდნელი თავდასხმის განზრახვა დაგმეს. ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა განაცხადა, სადამ ჰუსეინის რეჟიმის სამხედრო გზით დამხობას არაბული ქვეყნების მხრიდან აშშ-ის მიმართ სერიოზული აგრესია მოჰყვება და ეს კარგად უნდა გააცნობიერონ ვაშინგტონში! ფაქტობრივად, იგივე განაცხადა ირანის პრეზიდენტმა მოჰამედ ხათემიმ, რომლის თქმითაც, ერაყის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში ირანი მხარს დაუჭერს სადამ ჰუსეინს და მასთან ერთად იბრძოლებს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ გაილაშქრა გერმანიის კანცლერმა შრედერმაც, რომელმაც არ გამორიცხა, რომ თავდასხმა შეიძლება მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს, რასაც უამრავი უბედურება და მსოფლიო ეკონომიკის დაცემა და კრიზისი მოჰყვება! მაგრამ, როგორც ჩანს, ვაშინგტონში ამისი გაგონებაც არ სურთ. ბუშმა საჯაროდ კიდევ ერთხელ უწოდა „ბოროტების ღერძის ქვეყნები“ ირანს, ერაყსა და ჩრდილოეთ კორეას და განაცხადა, სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღით საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს, ამიტომ გარდაუვალია მისი დამხობაო!

კოლორადოს ტორნადო „ენვია“

აშშ-ის კოლორადოს შტატს დამანგრეველმა ტორნადომ გადაურა, რომელმაც მხოლოდ ქალაქ დენვერში 25 მშენებარე ობიექტი გაასწორა მიწასთან, სახლებს სახურავები აჰხადა, ასწლოვანი ხეები ძირფესვიანად დათხარა და ჰაერში ათობით მსუბუქი ავტომანქანაც „შეათამაშა“. მძიმედ დაშავდა 30-მდე კაცი. ზარალი ასეულმილიონობით დოლარს შეადგენს.

იაპონია-კორეა „დაპატიჟებაზე“ აპირებენ

ნამდვილ სენსაციად აღიქვა საერთაშორისო თანამეგობრობამ ინფორმაცია, რომ მალე ვაშინგტონის მიერ „ბოროტების ღერძად“ გამოცხადებული ქვეყნებიდან ერთ-ერთში, ჩრდილოეთ კორეაში პირველი ოფიციალური ვიზიტით ჩავა იაპონიის პრემიერ-მინისტრი. დღემდე არც ერთი იაპონელი ლიდერი არ სწვევია ჩრდილოეთ კორეას. ათწლეულების მანძილზე ეს ორი ქვეყანა, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში იყო ერთმანეთთან და დღემდე დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ არსებობს მათ შორის. იაპონელთა თქმით, ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ამ ურთიერთობათა მოგვარების პროცესს. ამასთან, იაპონურ მხარეს იმედი აქვს, რომ ჩრდილოეთ კორეის ბელადი კიმ ჩენ ირი ინფორმაციას მიაწვდის მათ და ზომებსაც მიიღებს ბოლო წლებში ჩრდილოკორეელი აგენტების მიერ თერთმეტი იაპონელის გატაცების შესახებ.

„ბაერო სწორი შეფასება მისცა რუსეთის ბარბაროსულ აქციას...“


რევაზ ადამია

ბაბათს პანკისიდან თბილისში დაბრუნებულ უცხოელ ჟურნალისტებთან პრეზიდენტმა შევარდნაძემ პრესკონფერენცია გამართა. რუსმა ჟურნალისტმა, რუსეთის ერთერთ სააგენტოზე დაყრდნობით, „სენსაციური“ ინფორმაცია გააცნო პრესკონფერენციის მონაწილეებს: თურმე რუსეთის არმიის გენშტაბს გადაუწყვეტია საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის დაჩქარება(!). თუ ეს მართალია, ახალქალაქისა და ბათუმის ბაზები შეიძლება გაიტანონ არა სამ წელიწადში, როგორც ამას ქართული მხარე მოითხოვს (რუსები 11 წელს ითხოვენ), არამედ გაცილებით ადრე, ექვს თვეში ან ერთ წელში. ამას რა სჯობსო, იტყვის ობივატელი, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რა შეიძლება მოჰყვეს მოკლე დროში ახალქალაქის ბაზის გატანას და ჯავახეთის სომხობის უმუშევრად დატოვებას, ნათელი გახდება რუსეთის გენშტაბის ჟერაგული მიზანი... თავისთავად, სიცრუეც რომ იყოს, ოსტატურად გაანგარიშებული დეზინფორმაცია კი არის რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამართულ საინფორმაციო ომში, იმაზე უკეთესი, ვიდრე ქართულ-ებრაული „სკორპიონით“ საქართველოს დაბომბვისა და მფრინავ რუსტელის „ისტორიაა“. სამწუხაროდ, რუსეთის ტელეკომპანიების ქართულგვარიანი „აქაური“ რუსი ჟურნალისტები თავიანთ სიუჟეტებში იმასაც ვერ (ან არ!) ახერხებენ, რომ „სკორპიონისა“ და მფრინავ რუსტელის შესახებ მონაჩმახები კატეგორიულად უარყონ და მას „მსჯელობის“ საგნად ხდიან. რას ვიზამთ, ესეც საინფორმაციო ომის შემადგენელი ნაწილია. თუმცა, საბედნიეროდ, ამ საკენკს რომ აღარავინ კენკავს მსოფლიოში, რუსი ობივატელის გარდა, ამას გაეროში საქართველოს წარმომადგენელი **რევაზ ადამიაც** *ადასტურებს, რომელსაც ტელეფონით ჩამოვართვი ექსკლუზიური ინტერვიუ:*

— თეთრი სახლის მკაცრი განცხადებების კვალდაკვალ, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმაც საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აშშ აღარ შეურიგდება რუსეთის აგრესიულ ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ. არა მხოლოდ სპეციალურ ნოტებსა და განცხადებებს ცვლიან ვაშინგტონი და მოსკოვი საქართველოსთან დაკავშირებით, არამედ კოლინ პაუელსა და იგორ ივანოვს შორის უშუალო სატელეფონო საუბრებით მიმდინარეობს მოლაპარაკება ყველა სადავო საკითხზე. ამ პროცესების საქმის კურსშია აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისი, რომლის მკვეთრი პოზიციაც ასახულია ვაშინგტონის განცხადებებში. ამიტომ, მოსკოველ პოლიტიკოსთა იმედი და მოლოდინიც, რომ აშშ, ან საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს დაუჭერს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში და მით უმეტეს, პანკისის ხეობაში ინტერვენციისათვის, არის მათი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი. აქედანაც ვადევნებთ თვალყურს რუსეთში მიმდინარე პროპაგანდისტულ ისტერიას, განცხადებებს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოსგან მიიღებენ მანდატს საქართველოში ვითომდა კონტრტერორისტული ოპერაციის განსახორციელებლად და მოგახსენებთ — გაეროს უშიშროების საბჭოს არც ერთი წევრი ქვეყანა რუსეთის ინტერვენციას საქართველოში მხარს არ დაუჭერს.

— **გაეროს უშიშროების საბჭომ თუ იმსჯელა, ან თუ იმსჯელებს რუსეთის ავიაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვების შესახებ.**

— არ განუხილავთ ეს საკითხი, რადგან უშიშროების საბჭოს მუშაობის საკუთარი განრიგი აქვს. მაგრამ გვქონდა კონსულტაციები ჩვენს ამერიკელ მეგობრებთან. მათ გვითხრეს, რომ ჯერჯერობით ამ საკითხის განხილვა აუცილებელი არ არის, რადგან ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება კონტრკრიმინალური ოპერაცია პანკისის ხეობაში, რისი წარმატებით განხორციელება-დასრულების დიდი იმედი აქვთ ვაშინგტონში. ასე რომ, საგანგაშო არაფერია. აქ ყველამ კარგად იცის, რა ხდება სინამდვილეში. ბატონი კოფი ანანი არ იმყოფება ნიუ-იორკში, მაგრამ შეეხვდი მის მოადგილეებს, ბევრი წამყვანი ქვეყნის ელჩს. ისინი ენდობიან ეუთოს დამკვირვებელთა მისიის ინფორმაციასა და დასკვნას იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორია სწორედ რუსეთიდან შემოსულმა თვითმფრინავებმა დაბომბეს. ამიტომ რუსულ მასმედიაში ამტყდარი წივილ-კივილი გამიზნულია მხოლოდ და მხოლოდ რუსულ საზოგადოებაზე ხელისუფლების ზემოქმედებისთვის საჭირო აჟიოტაჟისა და ფონის შესაქმნელად. ამერიკული და საერთაშორისო პრესა, სააგენტოები ფართოდ გამოეხმაურნენ გაეროს შტაბბინაში ჩემ მიერ გამართულ პრესკონფერენციას, საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს და სწორი შეფასებები მისცეს რუსეთის ამ ბარბაროსულ აქციას.

— **რაც უფრო ახლოვდება აშშ-ის მიერ სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყება, დასავლეთის პრესასა და საქართველოშიც არაერთხელ გაცხადდა რუსეთის განზრახვა — ერაყის სანაცვლოდ, აშშ-მა მისცეს უფლება, საქართველოში ჯარის შეყვანისა.**

— რაიმე ოფიციალური პოზიციის გამოთქმა ამ საკითხზე ნამდვილად არ შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, არანაირი „ვაჭრობა“ აქ არ არსებობს. აშშ-მა მკაფიოდ გამოხატა პოზიცია საქართველოს დაბომბვასთან დაკავშირებით და ყველანაირი სპეკულაცია, რომ საქართველოს „ვიღაცაში თუ რაღაცაში“ ცვლიან, ისევ ავადმყოფი ადამიანების ფანტაზიის ნაყოფია. არც შეერთებული შტატებია ის ქვეყანა, რომ ერაყის წინააღმდეგ აქციაში რაიმეს, ან ვინმეს გაყიდვა სჭირდებოდეს!

— **ენგურის ხიდზე განახლდა ლტოლვილთა აქცია. აფხაზეთში მიმდინარეობს ბოევიკთა რაზმების კონცენტრაცია. იმუქრება ჩრდილო კავკასიაც და მოსკოვიდანაც არ არის გამორიცხული კონფლიქტს ქაჯლაცია. როგორ აფხაზები აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების, იმავე ბოდენის დოკუმენტის განხილვა-მიღების პერსპექტივას?**

— აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში მთავარ დოკუმენტად გაეროში აღიარებულია სწორედ ბოდენის დოკუმენტი. ჯერჯერობით მიმდინარეობს მასირებული ზეწოლა აფხაზებზე, რათა ეს დოკუმენტი მიიღონ. მაგრამ, როგორც სჩვევიათ ხოლმე ჩვენს რუს კოლეგებს, ქვეყნის დასანახავად ჩადიან ხოლმე სოხუმში და ვითომ ახორციელებენ ზეწოლას, მეორე მხრივ კი, აძლევენ რუსეთის პასპორტებს და უხსნიან საზღვრებს, რაც აისახება კიდეც სეპარატისტთა პოზიციაზე. მაგრამ თუ ამ დოკუმენტზე უარს იტყვიან, აფხაზები, ფაქტობრივად, საკუთარ თავს ჩააყენებენ სრულ იზოლაციაში, ვინაიდან რუსული მხარე ბოდენის დოკუმენტს გაეროში ოფიციალურად მხარს უჭერს, ანუ უკვე სხვა სურათი იქმნება: აქ დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმართვისათვის და როდის მივიღებთ შედეგს, ამის თქმა ამჟამად ძნელია. მე-7 თავის ამოქმედების პერსპექტივაც, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ იქამდე მისვლას სჭირდება შესაბამისი პოლიტიკური პროცედურები, მით უმეტეს, რომ გაეროს დამოკიდებულება საქართველოსადმი უაღრესად პოზიტიურია და აქ ყველა კარგად ხედავს, თუ რა მოტივაცია და რა მიზნები ამოქმედებს რუსეთს მიმდინარე ანტიქართული პროპაგანდითა და გეგმებით.

— **ვაშინგტონის განცხადებაში პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია უკვე კატეგორიულად მოუწოდებს მოსკოვს, მოლაპარაკებით მშვიდობიანად გადაჭრას ჩეჩნეთის კონფლიქტი.**

— გაეროს მუშაობის განრიგში ჩეჩნეთის პრობლემატიკის ხსენება ჯერ არ შემხვედრია. რამდენადაც ვიცი, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ჩეჩნეთის საკითხის განხილვა არ არის დაგეგმილი. შემიძლია არაოფიციალურად ვთქვა, რომ ჩეჩნეთის საკითხს გაეროში განიხილავენ, როგორც რუსეთის შიდაპოლიტიკურ პრობლემას, რასაც ჩვენი პოზიცია სრულებით თანხვდება.

— **გმადლობთ.**

ზაალ კასრელიშვილი

„მხოლოდ ქართველის დახმარებით შეუძლიათ რუსებს ჩრდილოკავკასიელებთან მოლაპარაკება“

ფაქტია, რომ ჩეჩნეთში მიმდინარე გაუთავებელი კონფლიქტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და კვლავაც მოახდენს არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების, არამედ საერთოდ კავკასიის მომავალზე. დასავლეთი და რუსეთიც უფრო და უფრო დაბეჯითებით მოუწოდებს პუტინს, პოლიტიკური გზით მოაგვაროს ჩეჩნეთის პრობლემა. ასპარეზზე გამოჩნდა რუსლან ხაზბულატოვიც, რომელიც დაღესტნელ პოეტ რასულ გამზათოვთან ერთად ახირებს შუამავლობას მოსკოვსა და მასხადოვს შორის. ახლახან ჩეჩნეთის პრობლემატიკისადმი ლიხტენშტეინში გამართულ კონფერენციაზე მიიღეს დოკუმენტი, რომელშიც ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი პრინციპებია დაფიქსირებული დაწყებული ჩეჩნეთისთვის უფართოესი ავტონომიის სტატუსის მინიჭებით, რუსეთისადმი ლოიალური მთავრობის შექმნით და დამთავრებული იმით, რომ მოსკოვმაც და მასხადოვმაც ოფიციალურად უნდა განაცხადონ — ამ ომში გამარჯვებული მხარე არ არსებობს! გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასხადოვთან დაპირისპირებული მოვლადი უდუგოვი და ზელიმხან იანდარბაევი კვლავ შეუერთდნენ მასხადოვს, რაც იმის მომასწავებელია, რომ საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში უფრო გააქტიურდება, რამაც საქართველოს შესაძლოა სავალალო, ან პირიქით, სასიკეთო შედეგები მოუტანოს. ამ თემაზე კომენტარი ვთხოვეთ საერო კავკასიური კონფედერაციის თავმჯდომარეს **ზაალ კასრელიშვილს**:

— ჩეჩნეთის ომი ისეთ ფაზაში შევიდა, რომ ის უკვე გახლავთ კავკასიის ომი. უბრალოდ, წინა ხაზზე დღესდღეობით ჩეჩნები არიან! რაც შეეხება მასხადოვის, უდუგოვისა და იანდარბაევის გაერთიანებას, ვიტყვი, რომ ჩეჩნები ერთმანეთთან ოპოზიციაში მხოლოდ ხელისუფლებისთვის ბრძოლის დროს დგანან, რუსების წინააღმდეგ კი ყოველთვის ერთად იყვნენ და არიან, ქართველებისგან განსხვავებით! დღეს მთელი ჩეჩენი ერის ერთი-ორი პროცენტი თუ დგას რუსეთის სამსახურში აჰმედ კადიროვის თაყვაცობით. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ლიხტენშტეინში გამართული კონფერენციის მსგავსი შეხვედრები სისტემატურად იმართება ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს მართავენ ევროპელ და არა მხოლოდ ევროპელ, პოლიტიკოსებთან ჩეჩნეთის პოლიტიკური სტატუსის, ადამიანის უფლებების დაცვის, ჩეჩნეთის ენერგორესურსების დამოუკიდებლად განკარგვის თაობაზე და ა.შ. თავდათავი ჩეჩნეთში დატრიალებული უბედურებისა, გახლდათ ნავთობი. ელცინი რუსეთის მიერ ჩეჩნეთის ნავთობის 75%-ის განკარგვის უფლებას ითხოვდა და 25%-ს უტოვებდა დუდაევს, ანუ ჩეჩნეთს. დუდაევი კი სთავაზობდა, თანაბრად, შუაზე გაეყოთ ნავთობი. მაგრამ, როცა ელცინისა და რუსული პოლიტიკის მამების სიხარბე ვეღარ მოთოკეს ჩეჩნებმა, საერთოდ უარი უთხრეს და ომიც დაიწყო! უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ თუ ნავთობის 50% დარჩებოდა ჩეჩნეთის საკუთრებაში, მისი ექსპორტი აუცილებლად მოხდებოდა საქართველოს გავლით. ამანაც შეაშფოთა მოსკოვი. მით უმეტეს, რომ საქართველოზეც კარგავდა გავლენას, შესაბამისად, მთელ სამხრეთ კავკასიაზეც და მეტზეც...

რაც შეეხება ხაზბულატოვისა და რასულ გამზათოვის შუამავლობას მოსკოვსა და მასხადოვს შორის, ორივე სისხლხორცეულადაა დაკავშირებული რუსეთთან და ამ ეტაპზე მათი შუამავლობა მისაღებია მოსკოვისთვის. პუტინი ისეთ ჩიხშია, ძალიანაც რომ უნდოდეს, ბევრს ვერაფერს დაუთმობს მასხადოვს, რადგან დამარცხებულის როლში აღმოჩნდება და გენერალიტეტი არ შეარჩენს ამას. ამიტომ ხაზბულატოვ-გამზათოვის ჩართვა ამ საქმეში მოლაპარაკების პირველ ეტაპზე მოხდება, რითაც ერთგვარად გალღვება ურთიერთობა მოსკოვსა და მასხადოვს შორის, შემდეგ კი გამოჩნდება ჩეჩენთა რადიკალური მოთხოვნები. მათი გახმაურება ამ ეტაპზე რუსეთის ხელისუფლებას ხელს არ აძლევს.

— **არის შანსი, რომ ჩეჩნები უფართოესი ავტონომიის სტატუსს დათანხმდნენ?**

— მეეჭვება, რომ დათანხმდნენ. ისინი ჩეჩნეთის რესპუბლიკის განსაკუთრებულ სტატუსს მოითხოვენ აუცილებლად და ეს საკითხიც ჩეჩნეთის ენერგორესურსების გაყოფა-განკარგვის შესახებ შესაძლო შეთანხმების კონტექსტში გაირკვევა. ვფიქრობ, თუ მოსკოვი ახლა მაინც არ მოეგება გონს და ომს არ დაამთავრებს, არა მარტო ჩეჩნეთს დაკარგავს, არამედ მთელ ჩრდილო კავკასიასაც. დღეს ყველა მხოლოდ ჩეჩნეთზე ლაპარაკობს და არაფერს ამბობენ, რომ დაღესტანში, ინგუშეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში სამჯერ მეტი ჯარი ჰყავს შეყვანილი რუსეთს, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს. მთელ ჩრდილო კავკასიაში სამხედრო რეჟიმია და რუსეთის სპეცსამსახურებისა და სპეცრაზმების დიდი ძალისხმევით ხდება ვითარების კონტროლი, იმდენად დიდია დაძაბულობა. მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ თუ ადრე, რუსები იოლად ახერხებდნენ თავიანთ სამსახურში ჩაეყენებინათ ჩრდილოკავკასიელები, რომლებიც გმობდნენ ჩეჩენთა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ, დღეს თითქმის ვეღარ პოულობენ ასეთ ხალხს, რასაც ადრე წარმატებით უწევდა აფიშირებას რუსეთის მასმედია. მეტიც, ჩეჩნეთის მრავალწლიანმა ომმა კავკასიაში თითქმის ყველა ადამიანში გააღვიძა კავკასიელი, ხოლო საქართველოს ხელისუფლების ლოიალურმა დამოკიდებულებამ ჩეჩენი ლტოლვილებისა და ჩეჩნეთის პრობლემატიკის მიმართ, იმედი მისცა ჩრდილოკავკასიელებს. მათ უკვე სჯერათ, ხვალ ყაბარდოელს ან ლეკს რომ გაუჭირდეს, არის გზა, რომელსაც დაადგებიან და არის ხალხი, რომელიც მათ შეიფარებს, თუ სამართლიანი საქმისთვის იბრძოლებენ და არა — რელიგიური მოტივებით. ჩრდილო კავკასია ის აღარ არის, რაც თუნდაც რამდენიმე წლის წინ იყო. ამიტომ, თუ რუსეთი არ დათანხმდა ჩეჩნეთთან მშვიდობიან მოლაპარაკებას, ბრძოლა გაგრძელდება და მასში უკვე მთელი ჩრდილო კავკასია ჩაებმება. ჩემი ინფორმაციით, ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევის მიმართულებით სერიოზულად იბრძვიან დაღესტნელი და ყაბარდოელი სამართალდამცავები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ მოსახლეობაში და მათთვის ხელისუფლებისკენ, პარლამენტისკენ გზა ხსნილია, სადაც, მისულის შემთხვევაში, ისინი გაცილებით რადიკალურ ნაბიჯებზე წავლენ.

— **მაგრამ ამ პროცესების კვალდაკვალ, ახლახან კვლავ შეიკრიბა მოსკოვის კონფედერაცია, სადაც ტრადიციულად გაისმა მუქარა საქართველოს მისამართით და „მზადყოფნაც“ აფხაზეთში საომრად წასასვლელად.**

— როდესაც საერო კავკასიური კონფედერაცია შეიქმნა და ჩრდილო კავკასიაში გაიხსნა მისი ბიუროები, ეს საკმაოდ მტკივნეულად აღიქვეს რუსეთის სამსახურში მდგარმა „კონფედერანტებმა“, რადგან საერო ცნობიერების მქონე თითქმის ყველა ჩრდილოკავკასიელმა სურვილი გამოთქვა საერთო კავკასიურ კონფედერაციაში გაწევრებისა. აქვე ვიტყვი, რომ ეს ორგანიზაცია გახლავთ მთელი კავკასიის მასშტაბით არასამთავრობო ორგანიზაციების ნებაყოფლობითი გაერთიანება. კავკასიაში არსებული 190-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული ჩვენთან ოფიციალურად. ამას წინათ მაიკოპსა და ნალჩიკში რამდენიმე ათეული სალახანა მოაგროვეს „კონფედერანტებმა“ და სცადეს, გაეთამაშებინათ აფხაზეთში საომრად წასვლის მოხალისე მსურველთა გაწვევის იმიტაცია. მეორე დღესვე სრული ინფორმაცია მოგვაწოდეს ჩვენი საერო კავკასიური კონფედერაციის იქაურმა წევრებმა, თან დაგვამშვიდეს, რომ სალახანებისა და ბოგანო-ლოთების გარდა, სერიოზულად ამ ე.წ. გაწვევას არავინ აღიქვამს, მაგრამ ბევრია ე.წ. რუსი კონტრაქტნიკი, რომლებსაც სურვილი აქვთ ანაზღაურების საფასურად ჩაეწერონ მოხალისეებად და სწორედ მათ დაარქმევენ ჩრდილოკავკასიელებსო. ამ თემაზე გავმართეთ პრესკონფერენცია და „კონფედერანტთა“ გეგმები ვამხილეთ. ეს ე.წ. კონტრაქტნიკები კი, ყოფილი სამხედროები არიან, რომლებიც ლოთობითა და მუქთახორობით არიან ცნობილნი და აფხაზეთში ომითა და სისხლით აპირებენ ფულის შოვნას. სასიხარულოა, რომ სულ უფრო მეტი ჩრდილოკავკასიელი მოღვაწე იჩენს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს და აპირებს თბილისში ჩამოსვლას, სადაც გავმართავთ კავკასიელ ხალხთა ყრილობას. მასში მონაწილეობა უნდათ თურქეთსა და კიდევ მსოფლიოს 26 ქვეყანაში არსებულ ჩრდილოკავკასიელი ხალხების სათვისტომოებს. ასეთი თანამშრომლობა ადრე თუ გვიან, ერთ მუშტად შეკრავს ყველა კავკასიელს.

— **ანუ შეიძლება ითქვას, რომ საერო კავკასიური ორგანიზაცია დღეს მაინც მყიფე გაერთიანებაა... კავკასიელ ხალხთაგან ვინ არ არის ამ ორგანიზაციის წევრი?**

— ომი რომ არ იყოს, ეს იქნებოდა მუდმივმოქმედი ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებული კავკასიელები რელიგიურ დოგმებზე მაღლა დგანან, მორგებულნი არიან საერთაშორისო სამართალს — შეიძლება ევროკავშირის ერთგვარი კავკასიური მოდელიც კი მივიღოთ. ჯერჯერობით, მხოლოდ სომხები და ოსები არ არიან ჩვენი ორგანიზაციის წევრები. მაგრამ ის ფაქტი, რომ ოსი აღარ თვლის თავს რუსად და ოსურად ლაპარაკობს, მრავლისმთქმელია. უკვე გვაქვს პროექტი „მშვიდობისა და სტაბილურობისათვის კავკასიაში“, რომელიც მოიწონეს კავკასიელებმა. პროექტი გავგზავნეთ ევროსაბჭოსა და გაეროში, უშუალოდ კოფი ანანის სახელზე. სხვათა შორის, იქაც მოიწონეს, რადგან დღემდე ევროპელმა და ამერიკელმა პოლიტიკოსებმა ვერც ერთი ქარგა ვერ მოარგეს კავკასიას მშვიდობისა და თანხმობის განსამტკიცებლად. არადა დიდი ყურადღება გვმართებს ბევრი მიმართულებით. ამას წინათ, დაღესტნის ერთერთმა ყველაზე მრავალრიცხოვანმა თემმა გამოთქვა სურვილი, დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება საქართველოსთან კონფედერაციულ საწყისებზე გაერთიანების შესახებ, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ამისა, რადგან ჩვენ დაგებრალდება დაღესტანში ომის დაწყების პროვოცირება. შესაბამისად, ვერც ჩვენს იქაურ აქტივისტებს და ვერც ამ დაღესტნური თემის წრფელ მისწრაფებას ვერ ვიხსნით უბედურებისგან, რასაც რუსეთი დაატეხს მათ. ეს გახლავთ ბუნებრივი პროცესი საქართველოსთან ჩრდილოკავკასიელთა ინტეგრაციის თვალსაზრისით. მხოლოდ ფორმაა მოსაძებნი, რადგან კავკასიელთა კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური გაერთიანება გარდაუვალია. დღეს რომ ასე გაუცხოებული ვართ კავკასიელები, ეს არის სხვადასხვა დროს სხვადასხვა დამპყრობლის პოლიტიკის შედეგი. ვინაიდან კავკასიის უკანასკნელი დამპყრობელი ნელ-ნელა კარგავს ძალას, გავლენას და სულ უფრო ექცევა საერთაშორისო სამართლის ნორმებში, კავკასიელთა გაერთიანების ბუნებრივ პროცესს წინ ვერ აღუდგება. ვფიქრობ, უახლოეს ათ წელიწადში ეს პროცესი მივა გარკვეულ კონდიციამდე. ამიტომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია კორუფციის ამოძირკვა, სახელმწიფოებრიობის განმტკიცება. ეკონომიკურად ძლიერი და თავდაცვისუნარიანობის მქონე საქართველო თავისთავად უკვე იქნება იმის საფუძველი, რომ მის გარშემო შემოიკრიბოს მთელი კავკასია და ჩვენი მეშვეობით დაუკავშირდნენ ცივილიზებულ სამყაროს. დღეს კი ჩვენი ორგანიზაციების წევრებს იმდენად უჭირთ ჩვენთან დაკავშირებაც კი, რომ ლამის საველე ფოსტითა და დანაბარებებით მოგვდის ინფორმაცია, ისე მძლავრობს იქ რუსეთის აგენტურული ქსელი...

თუ რუს პოლიტიკოსებს ჭკუა აქვთ, უნდა მიხვდნენ, რომ მხოლოდ ქართველის შუამავლობით შეეძლებათ მოლაპარაკება ჩრდილოკავკასიელებთან, იმავე ჩეჩნებთან და ისევ ქართველის მეოხებით შეეძლებათ რაღაც დაათმობინონ. მხოლოდ ქართველს ხელეწიფება, სთხოვოს და მოელაპარაკოს ჩრდილოკავკასიელებს, რათა კანონიერების ფარგლებში მოექცეს მათი უსისტემო ლტოლვა თავისუფლებისკენ.

ზურაბ მჭედლიშვილი

„პირველ სექტემბერს ისევ გმბიასთან გავიპარები სოფელში და დავიმალები“

„სვანს ჰკითხეს — თუ იცი პირველი მაისი როდის უწევსო? მანაც იფიქრა, იფიქრა და თქვა — ჩემი აზრით, 3 მაისსო“. რა შუაშია ანეკდოტი და ხუმრობა და საერთოდ, რას ვერჩით სვანს? წელსაც ხომ პირველი სექტემბერი ორში „უწევს“, რაც სრულებით არ ცვლის სასწავლო წლის დაწყების წინ გაჩაღებულ, ტრადიციულ ფაციფუცს, თანაც ყველა დაჟინებით გაიძახის — საპირველსექტემბროდ ვემზადებითო. ვიფიქრე სიყმაწვილეს, სკოლის მერხს, პირველ სექტემბერს გაიხსენებენ-მეთქი და რამდენიმე პოპულარულ ქართველს დავუკავშირდი, თუმცა, იმედი

კი გამიცრუვდა, ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაიხსენა წარსული და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ისინი სულაც არ მოდიან ბავშვობიდან. ისევ ტელეფონის ყურმილი ავიღე და ძველ ნაცნობებს დავუკავშირდი. მაშ, ასე თბილისელები სკოლის ღამაზ ხანას იხსენებენ:

ზვიადი (48 წლის) — რა დამავიწყებს პირველ სექტემბერს, პირველად ღრიალით და მუშტისტოლა ცრემლების ფრქვევით დავრჩი კლასში. მეორე წელს და შემდეგ, ბოლო კლასამდე, პირველი სექტემბრის დადგომა ჩემთვის ნამდვილი ზეიმი იყო. ყოველ წელს ახალ გოგოზე ვიყავი შეყვარებული. ყოველი ზაფხულის გასვლით მოგვრილ სევდას იმით ვიქარვებდი, რომ პირველ სექტემბერს ლალუკებს, თამუნებს, ხათუნებს და ეკუნებს ვნახავდი. ახლა ჩემი შვილიშვილი, პატარა ზვიადი გააგრძელებს ჩემს ტრადიციას. პირველად მე წავიყვან სკოლაში. ვაფრთხილებ, არ იტირო ბაბუ, თავი არ მომჭრა, თორემ გოგოები ზედაც არ შემოგხედავენ-მეთქი. ისიც თავს მიქნევს. ვნახოთ, რა იქნება, სიყმაწვილეს თავიდან

ვიკა (31 წლის) — ჩვენი დროის პირველი სექტემბერი განსაკუთრებულად კარგი იყო. ღამაზ-ღამაზ კაბებში და წინსაფრებში, ქათქათა პერანგებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები სასიამოვნო სანახავი ვიყავით, ბავშვობა გვეტყობოდა. ახლა კი ჩემი გოგო პირველად მიმყავს სკოლაში და უკვე გავიყიდე მისი ტანსაცმლის ყიდვა-შერჩევითა თუ სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების ვიწყებ.

ალექსი (10 წლის) — აუ, არ გამახსენოთ რა. რა გაიღვიძებს დილით ადრე, რა აიტანს ბებიაჩემის „სამზარეულო ტერორისტობას“, ძალით უნდა ვჭამო თაფლიანი და კარაქიანი პური, ძალით უნდა დავლიო ჩაი, ძალით უნდა გავიმეორო გაკვეთილები და ძალით უნდა წავიდე სკოლაში. ტყუილად გაიძახიან — ბავშვების უფლებებს ვიცავთო. არ მინდა სწავლა, თავი დამანებეთ, პირველ სექტემბერს სახლიდან გავიპარები, ისევ მეორე ბებიასთან წავალ სოფელში და დამმალავს (როდემდე ალექსი? თუ ვაჟკაცი ხარ, მალვა კი არა, სწავლა დაიწყე და შენს თავსაც გამოადგები და ქვეყანასაც. — ე.ლ.).

ირინე (16 წლის) — ძალიან ცოტანი დავრჩით კლასში, სკოლის დამთავრებამდე ალბათ კიდევ შევმცირდებით. ამ პირველ სექტემბერს 5 ახალგაბედნიერებული კლასელი გვყავს, გათხოვდნენ გოგონები. ზოგი მოიტაცეს, ზოგიც ჩუმად გაჰყვა შეყვარებულს. მე არსად არ მეჩქარება. მინდა სკოლა კიდევ დიდხანს გრძელდებოდეს, მაგრამ მომავალი წლის მაისში მე-11 კლასელებს ბავშვობის ხანა გვიმთავრდება. შარშანდელი პირველი სექტემბერი იყო „მაგარი“. ბიჭებმა ბოროტად იხუმრეს — სკამებზე წებო წაუსვეს და ყველანი მეტისმეტად კურიოზულ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

ყველა პირველკლასელს ვულოცავთ სწავლის დაწყებას. ვუსურვებთ ნაკლებ სიზარმაცეს და დიდ სიბეჯითეს. უკვე „სტაჟიან“ მოსწავლეებს და სტუდენტებს კი შეგახსენებთ — „სწავლა სიკვდიმდე შენია...“, „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს...“ (აფორიზმების დამთავრება თქვენთვის მოგვინდვია, შეამოწმეთ, გახსოვთ?..).

ეკა ლომიძე

ვერ შეიძლება საცხოვრებელი ბინა ჰგავდეს ფილარმონიას...

ბევრს მიაჩნია, რომ არა და არ შეიძლება ჩვენი ქალაქისთვის სახის შეცვლა, მის არქიტექტურაში ახალი სტილის შემოტანა და დანერგვა. ბევრი პირიქით — ამ სიახლის მომხრეა... ამ ბოლო წლებში უამრავი ახალი სახლი აშენდა. ზოგი მათგანი ნამდვილად არ ჯდება ჩვენი ქალაქის კომპოზიციაში, ზოგზე კი — ვერაფერს იტყვი.... არქიტექტორები გვახსენებენ, რომ კლასიკური, მოდერნისტული თუ პოსტმოდერნისტული შენობები, რომლებიც ასე ორგანულია დღეს ჩვენი ქალაქისთვის, ოდესღაც სიახლეს წარმოადგენდა და თავის დროზე მათ ასაშენებლად უამრავი ძველი ნაგებობა დაინგრა.

მიწისძვრით სანახევროდ დანგრეულ თბილისში დღეს განაშენიანების საკითხი გაცილებით მწვავე და აქტუალურია. ძველს და ფასეულს, რა თქმა უნდა, რესტავრაცია და მოვლა სჭირდება, მაგრამ არ შეიძლება სიახლეს გადავუღობოთ გზა — თვლიან სპეციალისტები. ახლახან ვერაზე (ერისთავ-ხოშტარიას ქ. № 18) ერთი ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ძველი ახალს შეერწყას. „კვირის პალიტრა“ გაესაუბრა ამ სახლის პროექტის ავტორებს, არქიტექტურულ სტუდია „გეო“-ის დირექტორს ბატონ გიორგი ჭკუასელს და ამავე სტუდიის პროექტის მთავარ არქიტექტორს ბატონ ლაშა ლოსაბერიძეს.

გიორგი ჭკუასელი: — ჩვენი სახლი აშენდა ძველ უბანში, ვერაზე, რომელსაც ჩამოყალიბებული განაშენიანება და სახე აქვს. ქალაქის დღევანდელი მოთხოვნილებებით შეუძლებელია 1-2-სართულიანი განაშენიანება შევინარჩუნოთ. ეს იმის გამო ხდება, რომ ჩემი აზრით, არასწორი სისტემა ჩამოყალიბდა — მოხდა პრივატიზაცია და ხალხს საკუთარი სახლების შენახვის თანხა არ გააჩნია. ამიტომ მოდის ვიღაც კომერსანტი, ანგრევს ძველ შენობას და აშენებს ახალს... ჩვენ გვინდა, რომ ეს პროცესი მოხდეს ფაქიზად — ქალაქმა ძველი სახე არ დაკარგოს, მაგრამ ისიც აღიბეჭდოს, რომ XX საუკუნეში შევედით.

— ახალაშენებული სახლების უმეტესობა ძირითადად ამოვარდნილია ქალაქის კომპოზიციიდან_

ლაშა ლოსაბერიძე: — ყოველთვის უნდა გამოვიდეთ უბნის სპეციფიკიდან. ვერაზე ძალიან ბევრია მოდერნისტული და კლასიციზმის სტილის შენობები. შეიძლება ამ სტილში გადაწყდეს ახალი სახლების მშენებლობა. ვერაზე და მთაწმინდის დიდ ნაწილზე ხელოსნები ცხოვრობდნენ და მათი სახლები დიდ არქიტექტურულ თუ ისტორიულ ფასეულობას არ წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ შეიძლება საცხოვრებელი ბინა ჰგავდეს ფილარმონიას...

— როგორ უნდა განვითარდეს ქალაქი?

— ამაზე წლობით უნდა ვიფიქროთ და ვიმუშაოთ. საბჭოთა კავშირის დროს გარკვეული იდეოლოგიით მოქმედებდნენ. მანამდე რუსეთის იმპერია გეგმავდა სტილს. მაგალითად, სოლოლაკი რუსეთის იმპერიის მოდელია თავისი გეგმარებით. ახლა ეს კონცეფცია ჩამოსაყალიბებელია. არ შეიძლება დღეს ფიროსმანის დროინდელი შენობები ავაგოთ და დავბრუნდეთ ერთი საუკუნით უკან. მერიამ და საერთოდ, სახელმწიფომ, შენობების პრივატიზაციით მოიშორეს ვალდებულებები და ახლა მოსახლეობას ეუბნებიან — თქვენ ხართ მესაკუთრეები და თვითონვე მიხედეთ თქვენს საკუთრებასო...

— ძველ შეცდომებს რა ეშველება, იმ უსახური სახლების აშენებით რომ დავუშვებით?

ლაშა ლოსაბერიძე: — ფაქტია, რომ ბევრი ნაგებობა ვიზუალურად გამოუსადეგარია, მაგრამ იმის გამო, რომ სახსრები არ გაგვაჩნია, ფუნქციურად გამოუსადეგარიც რომ გახდება, მხოლოდ მაშინ დაინგრევა და აშენდება ახალი. ჩვენში ეპოქალური მხოლოდ ეკლესიებია, ასევე ძველი თბილისი და საბჭოთა ეპოქის რამდენიმე ნაგებობა.

— შენობების სიმყარეც არქიტექტორებს გეხებათ?

ლაშა ლოსაბერიძე: — რა თქმა უნდა. კონსტრუქტორები საჩხერის მიწისძვრის შემდეგ უკვე ოფიციალურად 8-ბალიან სისტემაზე გადავიდნენ.

გიორგი ჭკუასელი: — ძველი სახლები ყორექვაზეა ნაგები. მაშინ არ იყო არც რკინა-ბეტონი, არც სარტყელი ჰქონდათ შენობებს. ახლა ისეთი სამშენებლო კონსტრუქციებია, შეუძლებელია 8 ბალზე რაიმე სერიოზული ბზარი გაჩნდეს... რატომ შენდებოდა მაშინ დაბალი სახლები? იმიტომ, რომ არქიტექტურა ყოველთვის უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნილებებს, რაც კონკრეტულ პერიოდში აქვს საზოგადოებას, ანუ XX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, თბილისი პატარა ქალაქი იყო, მცირერიცხოვანი მოსახლეობით. დღეს კი ქალაქი გაიზარდა, შეუძლებელია მილიონნახევრიან ქალაქში ერთი ან ორსართულიანი განაშენიანება დარჩეს.

გიორგი ჭკუასელი: — რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა დამკვეთსა და არქიტექტორს შორის ურთიერთობაზე. აქ ძალიან სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით. იქმნება პროექტი, რომელიც გააზრებულია კომპოზიციური და დაგეგმარების თვალთახედვით, დავამთავრებთ მუშაობას, შევათანხმებთ დეტალებს, შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ დამკვეთი თავის ჭკუაზე აკეთებს ყველაფერს. ეს იწვევს სწორედ იმ სიმახინჯეს, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით.

— არ შეიძლება არქიტექტორებმა მართონ ეს პროცესი?

გიორგი ჭკუასელი: — ქალაქს სჭირდება გენერალური გეგმა, რომელიც არ გაგვაჩნია. იმდენად, რამდენადაც მთლიანი გენერალური გეგმის დაპროექტება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, არის მცდელობები, რომ მოხდეს ქალაქის უბნებად დაყოფა. ეს კარგი გზაა. სანამ ეს საკითხი მოგვარდება, ასეთ ქაოსურ მდგომარეობაში ვიქნებით.

ლაშა ლოსაბერიძე: — ცალკე პრობლემაა ის, რომ ახალი მშენებლობები მოსახლეობის ბიზნესის წყაროდ გადაიქცა — ითხოვენ იმაზე მეტს, რაც ეკუთვნით. სახლს თვითონ მოსახლეებიც ამახინჯებენ — ზოგმა აივანი შემინა, ზოგმა ზემოდან დააშენა. ხალხმა უნდა შეიგნოს — რა შეიძლება და რა არ შეიძლება.

გიორგი ჭკუასელი: — მელიქ აზარიანცის სახლი სადაც აშენდა, იქ სხვა ნაგებობები დაინგრა, რომელიც შესაძლებელია მაშინდელი ქალაქის კოლორიტში ჯდებოდა. რიყეზე მთელი სამრეწველო უბანი იყო. ერმაკოვის ფოტოებზეცაა ეს აღბეჭდილი. მაგრამ არ შეიძლება დღეს მხოლოდ ერმაკოვის ფოტოებით ვიცხოვროთ. დრო შეიცვალა. საოცარი თაობა მოდის, უზარმაზარი ინფორმაციით აღსავსე, მოთხოვნები იზრდება. სწორედ მათკენ უნდა ვიყუროთ. ყოველი ახალი ნაგებობა ყოველთვის თვალისმომჭრელი იქნება, მაგრამ მერე თანდათან შემოვა ჩვენს ყოფაში — ძველსა და რბილში გაგვიჯდება. მთავარია, გულით ვაშენოთ და ყოველ პროექტში საკუთარი ქალაქის სიყვარული გამოვხატოთ. პირველ რიგში, არაპროფესიონალიზმია დამღუპველი. ჩვენი აზრით, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. უკაცრავად, მაგრამ, ვერაფრით ვერ ჩავერევით პროზის, პოეზიის, მედიცინის თუ ფოლკლორის საკითხებში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ საქმეში არაპროფესიონალები ვართ. დამერწმუნეთ, თუ ვინმე დღეს ზრუნავს იმისთვის, რომ თბილისმა თავისი განუმეორებელი სახე შეინარჩუნოს, პირველ რიგში, არქიტექტორები ვართ.

ეკა მახარაშვილი

დილით მოდიხარ შენთვის „სპაკოინად“, მერე ხდება „კაშა“...

25 წელიწადია პოღოს აბოიანი დეზერტირების ბაზრის მთავარი შესასვლელის კიბესთან კუთხეში ზის და დანებს ღესავს. ერთი დაზგა და ერთი პატარა სკამი — სულ ესაა მისი ავლადიდება. ჭუჭყიანი, მილეთის ჭრელი ხალხით სავსე კიბიდან დროდადრო ვიღაცა ჩამოივლის და პოღოსას დანას გაუძრობს. ის გამოართმევს, დანის პირს ცერა თითით გასინჯავს, დაატრიალებს „ტაჩილას“ და დანას ნაპერწკლებს აყრევინებს. ერთ დღეს მეც მივუტანე საკმაოდ დაბლაგვებული სამზარეულოს დანა. გამომართვა, შეათვალიერა, თავი გადაიქნია და ღესვას შეუდგა. როცა დაამთავრა, ცერა თითით გასინჯა, შემიხვია და, ხელი არ გაიჭრაო — გამაფრთხილა. დანა კი ჩავდე, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ. მუხლებზე ხელებდაწყობილ პოღოსას ხან რა ვკითხე, ხან რა. რატომღაც ჩემი შეკითხვები არ გაჰკვირვებია. პირიქით, — რაზეც გინდა ვილაპარაკოთო, მითხრა და ჩვენც ვილაპარაკეთ...

— პოღოს, ამ კიბეზე ხალხი 25 წლის წინათაც ასეთი სახით ადიოდა?

— ხალხი? რას ამბობთ — სამსახური ხო ჰქონდათ? ხელფასი ხო ჰქონდათ?.. ჰოდა, ეგეთი სახეები რათ ექნებოდათ, თქვენ ვერ ხედამთ, რა ხდება?

— ჭკვიანო, მაგრამ თქვენი თვალებითაც მინდა დავინახო.

— ჩემი თვალით როგორ უნდა დაინახო, ქალბატონო, სანამ აქ არ იმუშავებ, ეგრე არ იწვალებ, როგორც ეს ხალხი წვალობს, მაგას ვერასოდეს ცხოვრებაში ვერ დაინახამთ, თქვენ მაგას როგორ გაიგებთ — ეგ გამორიცხულია! კაკ გავარიტსია, საკუთარ ტყავზე გამოცდა ჩაატარე და მერე მიხვდები, აქ რა ხდება. აი, ეგრე!..

— ნუ მიბრაზდებით. ეგ საქმე ვინ გასწავლათ?

— ბაბუაჩემი მლესავი იყო, მამაჩემიცა.

— ქუჩაშიც დადიოდნენ სამუშაოდ?

— მაშ, როგორ? ზურგზე ჰქონდათ წამოკიდებული ტაჩილა, იმ ფულით გავიზარდე.

— რამდენი დანა გეყნებათ გალესილი?

— რა ვიცი, შენ შემოგეგლე, დათვლილი არ მაქვს...

— პორის ფულს თუ შოულობთ?

— ვშოულობ, რა! არც მშიერი ვარ, არც ტიტველი, ამისთანა საქმეებისთვის მყოფნის.

— რამდენს იღებთ დანის გალესვაში?

— 50 თეთრსა. მილიონიც ამიღია, ოღონდ — კუპონი.

— „კლიენტს“ თუ იმახსოვრებთ?

— მა! აი, თქვენ რო 5 წლის შემდეგ მოხვიდეთ, გიცნობთ. უკვე ვიცი, რომ ოდესმე იყავით. სიმართლე რო ვთქვა, დაჟე ვიცი, რა მოიტანეს გასალესად.

— მთელი დღე ასეთ სიცხეში გაძლება არ გიჭირთ?

— მაგას რა კითხვა უნდა?! ზამთარი მაწყობს. როცა სიცივეა, შეიძლება, 200 გრამი არაყი დალიო და კარგად იქნები. ახლა, ამ სიცხეში თუ დალევ, ტრუპი ხარ... აი, ცოტა ფული რომ მქონდეს...

— რას იზამთ, თბილისიდან წახვალთ?

— არა, კაცო! მე ავლაბრელი კაცი ვარ, უბანში გამოვალ, ხალხს დავინახამ... მარა ავლაბარს ძალიან ბევრი კაი ხალხი დააკლდა, საზღვარგარეთ წავიდნენ.

— ახალგაზრდები რატომ არ მუშაობენ თქვენი პროფესიით?

— როგორ, კაცო?! 20 წლის ბიჭს რად უნდა აქ მუშაობა?! არასოდეს 20 წლის არა ყოფილხართ? გაუშვი, დრო ატაროს! მოვა დრო, ჩემსავით იწვალებს და მაშინაც ეყოფა.

— დილით როდის დგებით?

— შვიდის ნახევარზე.

— როგორია მაშინ თბილისი?

— კარგია. მაგ დროს ყველაზე კარგია. მოდიხარ სპაკოინად, რა... კაციშვილი არ არის. მერე უკვე ხდება ასეთი „კაშა“ — ერთი მიდის, მეორე მოდის, არეულია ყველაფერი.

— თქვენს ნებაზე რომ იყოს, ამ ბაზარს როგორ მოაწყობდით?

— ეჰ, ჩემს ნებაზე რა უნდა იყოს, შენ შემოგეცლე... რატომ მაძლევ მაგისთანა შეკითხვებს? ჩემს ნებაზე როგორ უნდა იყოს, გენაცვალე?

— დავუშვათ, იყოს!

— არა, ვარიანტი არ არსებობს! არც მინდა! ერთი კაცის ნებაზე?.. ამისთანა ხელებით მე რას გავაკეთებ, ეგ როგორ იქნება?!

— კლიენტი თუ დაგრჩენიათ უკმაყოფილო?

— კი, ყოფილა, ქალბატონო; აქ ყველანაირი ადამიანი დადის, აბა, თავში ვის რა აქვს, როგორ გაიგებ? ისეთი შემთხვევაც ყოფილა, კლიენტმა ჩემი ხელი აიღო, აკოცა და წავიდა. — მა რა, ხელობაა ასეთი!

— ცხოვრების გამოსწორების იმედი თუ გაქვთ?

— რისი იმედი?! ეჰ, მე მარტო ჩემი თავის იმედი მაქვს. შენ გაქვს იმედი?

— მიკვირს, მთელი დღე ასეთ ყაყანში როგორ ძლებთ.

— ვძლებ კი არა, რო არ ვმუშაობ, „ლომკაში“ ვარ, მოვალ, კრუგს დავარტყამ აქაურობას და მივდივარ სახლში.

— ამდენი ხნის მანძილზე, ამ ხალხს რაიმეთი არ გაუკვირვებიხართ?

— არავის. ძალიან ბევრი რამ მაქვს ნანახი. რაც ცხოვრებაში ხდება, ყველაფერი სპექტაკლია. არა, სპექტაკლი ცოტაა — იქ მსახიობი თამაშობს, აქ ნატურაა, რა! ყველა თავის თამაშს თამაშობს და ყველაფერი ჩვეულებრივია. რამ უნდა გამაკვირვოს?

— არც ჩემმა შეკითხვებმა?

— არა, რათა? ეგეც ხელობაა, როგორც ესა. მაგ შენი საქმისა არ ვიცი, ეს ჩემი საქმე კი ბაბუაჩემის დროსაც სჭირდებოდათ, მამაჩემის დროსაც და მე რომ აღარ ვიქნები, მერეც დაჭირდებათ...

ეთერ ერაძე

ზურაბ სამუშია: „კვირის პალიტრაში“ თეთრი ლეგიონის მიმართ საკმაოდ მძიმე ბრალდებებია გამოთქმული. მას შემდეგ, რაც ჩვენი შენაერთი შეიქმნა, ეს პირველი შემთხვევაა, ჩვენი სახელი რომ სიბინძურეს დაუკავშირეს. მარტო ჩემზე რომ იყოს საუბარი, როგორმე ავიტანდი, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველა ლეგიონერი გაისვარა. თქვენს გაზეთს, სხვა გაზეთების მსგავსად, მარტო რედაქტორი და მისი მოადგილეები რომ კითხულობდნენ, მაშინ პასუხის გაცემასაც არ ვიკადრებდი, მაგრამ როცა ასეულათასობით მკითხველმა წაიკითხა ის, რაც ბატონმა ანდრო გაჩეჩილაძემ ჩვენთვის არ დაინანა, ვფიქრობ, რომ ჩემი პოზიციის დაფიქსირება აუცილებელია. შევეცდები ავხსნა, რას წარმოადგენს „თეთრი ლეგიონი“ და სად ვიყავით მაშინ, როდესაც ბატონი ანდრო ჩეჩნებს კოდორში მიუძღოდა.

— ანდრო გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ის თქვენ არ გიცნობთ და არც თქვენი პარტიზანები შეხვედრია საადმე. თუ ეს აზრი სწორი არ არის, მაშინ თქვენი კონტრარგუმენტებიც გექნებათ...

— 1996 წლის 10 ნოემბრიდან ანუ იმ დღიდან, რაც „თეთრი ლეგიონი“ ჩამოყალიბდა, მგონი ბავშვმაც კი იცის რაღაც მის შესახებ და რომ არაფერი იცის ბატონმა ანდრომ, ეს მის არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს, მით უმეტეს, რომ მას თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურში უმუშავია. შეიძლება ბატონ ანდროს ძალიან გაუკვირდეს, მაგრამ მათ ჯგუფში, რომელიც ჩეჩნებთან ერთად გადავიდა კოდორში, ჩემი რამდენიმე პარტიზანიც იმყოფებოდა სწორედ იმის გასარკვევად, თუ რა სახით განვითარდებოდა მოვლენები. ხატზე დავიფიცებ, რომ ეს ასე იყო. ახლა მან გაარკვიოს, რომლები იყვნენ ისინი.

— რაში დაგჭირდათ თქვენი პარტიზანების კონსპირაცია?

— როგორც კი სამეგრელოს რეგიონში ჩეჩნების რაზმი გამოჩნდა, მე დამიკავშირდა დათო შენგელია. ისე, არ მინდოდა ამაზე საუბარი, მაგრამ იძულებული ვარ გითხრათ. წავედით მასთან ოჯახში. მან შემომთავაზა — გავერთიანებულიყავი მათთან და საბრძოლო მოქმედებების დროს მეთაურობაც მეკისრა. მე ვუპასუხე: დათო, თუ გინდა გავერთიანდეთ, ყოველგვარი ჩეჩნების გარეშე-მეთქი. იცით, მე არ მინდოდა

რა წერილი გააუგზავნა „თეთრი ლეგიონის“ მეთაურმა პუტინს?!

ზუსტად ორი კვირის წინ გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ პირველი პარტიზანული შენაერთის შტაბის ყოფილ უფროსთან ანდრო გაჩეჩილაძესთან, სადაც საუბარი იყო შარშან კოდორში განვითარებულ მოვლენებზე და პარტიზანებს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. ანდრო გაჩეჩილაძემ პირდაპირ და დაუფარავად განაცხადა, რომ ის არ იცნობს და არსად შეხვედრია პარტიზანულ რაზმს „თეთრ ლეგიონს“, ასევე მის მეთაურს, ზურაბ სამუშიას და ეჭვობს, რომ მის უკან უშიშროება დგას. ამ განცხადებამ სამუშიას აღშფოთება გამოიწვია და მან საკუთარი აზრის დაფიქსირება გვთხოვა.

იმ ხალხის გვერდით დგომა, ვინც ცოტა ხნის წინ ჩვენ გვებრძოდა და ჩვენს თანამებრძოლებს კლავდა. ჩავთვალე, რომ ვიღაც ძალიან დიდ პროვოკაციას გეგმავდა და არ მინდოდა მასში გავრეულიყავი. დათოს არაფერი უპასუხია, მე კი წამოვედი, მაგრამ როგორც გითხარით, მათ მოქმედებას თვალყურს ვადევნებდი.

— თუკი ყველა პარტიზანი ერთ მხარეს დადგა, როგორც აღნიშნეთ, დათო შენგელიამაც კი მოგაკითხათ, რატომლა გეგონათ, რომ ეს იყო პროვოკაცია, რაიმე ინფორმაციას ფლობდით?

— ანდრო გაჩეჩილაძეს რომ ჰგონია, ჩეჩნების კოდორში გადმოსვლის გეგმა მან, გელაევმა და ვიღაც X-მა დაგეგმეს, მასე არ არის. ინტერნეტში ვლადიმირ პუტინისთვის გაგზავნილი ჩემი ღია წერილი შეგიძლიათ მოიძიოთ „www.afxazeti.com“ ინტერნეტსაიტზე, რომელშიც ვაფრთხილებ, რომ იგეგმება ჩეჩნეთიდან აფხაზეთში ბოევიკების გადმოსვლა და ვთხოვ, არ დაუშვას ეს. წინასწარმეტყველებას არ ვიბრალებ, უბრალოდ, ეს მარტივი გათვლაა: ერთი მხრივ, ჩეჩნები ცდილობენ კავკასიის მასშტაბით ფრონტის გაშლას, მეორე მხრივ, რუსები ცდილობენ ჩვენზე ზეწოლის საბაბის შექმნას. უკონტროლო ტერიტორიები ამის შესანიშნავ საშუალებას იძლევა. სულაც არ მჭონია იმის იმედი, რომ პუტინი ჩემს „თხოვნას“ გაითვალისწინებდა. ამით უბრალოდ რუსეთს ვანიშნებდი, რომ მათი გეგმები არცთუ ისე ძნელი გასაშიფრი იყო, ამასთანავე არძინბას ვადანაშაულებდი ტერორისტების მფარველობაში. ეს სიმართლეა. აფხაზეთში ყოველთვის იყო ჩრდილოკავკასიელ ბოევიკთა ბაზა. ამიტომ იყო, რომ არ მინდოდა ჩეჩნების კოდორში გამოჩენა. თვითონაც ხედავთ, დღეს როგორ მარჯვედ იყენებს რუსეთი „ჭკვიანი და განათლებული“ გელაევის თემას.

— რისი თქმა გსურთ, რომ ჩეჩნების კოდორში გამოჩენა პირიქით, რუსეთის ინტერესებში შედიოდა?

— როგორც რუსების, ისე — ჩეჩნების. მწარე ღიმილს იწვევს ანდრო გაჩეჩილაძის მტკიცება, რომ ამ ოპერაციის შესახებ სამი კაცის გარდა არავინ იცოდა. ეს ხომ ზღაპარია.

— ანუ გავრცელებული ვერსია, რომ შსს და უშიშროებაც იყვნენ ჩართული ამ ოპერაციაში, მართალია?

— ეჭვი შეიძლება იყოს, მაგრამ ამის დამტკიცება ძალიან ძნელია. როცა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში — ხუთასზე მეტი კილომეტრის მანძილზე რამდენიმე ასეული შეიარაღებული უცხო ქვეყნის მოქალაქე გადადის და ამას ვერავინ ხედავს, მაშინ ამ უწყებების შენახვას აზრი არ აქვს და არც სახელმწიფო შეიძლება ერქვას ასეთ ქვეყანას. თვითონ რომ დარწმუნებულია, მის უკან არავინ დგას და ამასთანავე თქვენს ინტერვიუში აღნიშნავს, წინადადება გელაევის მხრიდან მოდიოდაო, თუ უფიქრია გელაევის უკან ვინ დგას?! იცის კი, გელაევი ვინ არის საერთოდ? იქნებ სწორედ ის არის რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი? მისი აქ ყოფნა ხომ შესანიშნავი საბაბია რუსეთისთვის?! რომ ამბობს გაჩეჩილაძე ჩემზე, არსად მინახავსო და თორმეტი წელი ვიომეო, ჯერ ერთი, თორმეტი წელი ომი არ ყოფილა და ისე, არც მე მინახავს ის სადმე, განსხვავებით რუსლან გელაევისგან, რომელიც აფხაზეთში ჩვენ გვებრძოდა. მე მაქვს ვიდეოკასეტები, სადაც კარგად ჩანს აღლუმზე მდგარი რუსლან გელაევი და გაგრის აღების შემდეგ მოზეიმე ჩეჩნები — დროშით ხელში მოცეკვავე შამილ ბასაევი და მათ მიერ ომის მანძილზე ჩადენილი სხვა „საგმირო“ საქმენი. მესმის, რომ ის განაწყენებულია ჩემზე, კოდორის ოპერაციაში რომ არ ავყევი, მაგრამ გელაევის, გაჩეჩილაძის და ვიღაც X-ის მიერ წამოწყებულ ავანტიურაში ჩართვით კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დავაყენებდი „თეთრ ლეგიონს“.

> **რომ ამბობს გაჩეჩილაძე ჩემზე, არსად მინახავსო და თორმეტი წელი ვიომეო, ჯერ ერთი, თორმეტი წელი ომი არ ყოფილა და ისე, არც მე მინახავს ის სადმე, განსხვავებით რუსლან გელაევისგან, რომელიც აფხაზეთში ჩვენ გვებრძოდა.**

— ზემოთ აღნიშნეთ, რომ გაჩეჩილაძემ არაფერი იცოდა იმ მეომრების მონაწილეობის შესახებ, რომლებიც თვალყურის სადევნებლად შეგზავნეთ მათ ჯგუფში. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თქვენს უკან მართლაც უშიშროება დგას?

— თავდაცვის სამინისტრო რომ ვთქვათ, კიდევ რაღაც საფუძველი ექნებოდა, რადგან ამ სტრუქტურასთან ომის წლებშიც და შემდეგაც შეხება მქონდა. 1994 წლის 10 სექტემბრამდე ოფიციალურად ვმეთაურობდი კოდორში მყოფ თავდაცვის ძალებს. ჩვენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მოგვიხდა სეპარატისტების შეჩერება და გარკვეული ტერიტორიების დაბრუნებაც. რაც შეეხება უშიშროებას, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ნაცნობი და მეგობარი ყველა ძალოვან უწყებაში მყავს, ისევე როგორც ყველა ჩვენგანს, საერთო არაფერი მაქვს. აფხაზეთში ჩემ გვერდით ომობდა ყველა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი და თუ ვინმე შენი ქვეყნის და არა მტრის უშიშროებას ან ვინმეს კერძო ინტერესებს ემსახურება, მათთან თანამშრომლობაც, ვფიქრობ არ უნდა იყოს სირცხვილი და დანაშაული.

— არც ფულის გათეთრება და უკანონო ბიზნესი?

— ფულის გათეთრების რა გითხრათ. ალბათ, ეს იმის ბრალია, ენას რომ ძვალი არ აქვს. მე არც ბანკი მაქვს და არც კაზინო. არც რაიმე დახმარება მიმიღია ვინმესგან, რომ თქვას, მილიონები დავახარჯე და ვიცი ჯიბეში ჩაიდოო.

— თქვენი საუბრიდან საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ პარტიზანებს შორის დაპირისპირება მართლაც რეალურია...

— ალბათ, არ იქნება სწორი, თუ მასე ვიტყვით. დაპირისპირება შეიძლება არსებობდეს და არსებობს კიდეც დანაშაულებრივ ჯგუფებს შორის. რაც შეეხება პარტიზანებს... ვინც თვალს ადევნებს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, მას აუცილებლად ემახსოვრება, რომ პირველად შეიქმნა „თეთრი ლეგიონი“, შემდეგ „ტყის ძმები“ და სხვა... როცა პრესაში გაჩნდა მინიშნებები დაპირისპირებაზე, ყოველთვის მოიაზრებდნენ სამუშიას და შენგელიას. მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენ შორის დაპირისპირება არასდროს ყოფილა, არც საერთო გვქონია რამე. იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ უფრო შორს საქმე არასდროს წასულა.

მარინა მამისაშვილი
უჩა გოგბერაშვილი

„პანკისელი არაბის“ დაკავების შემდეგ პიტერ შოუს და მამა ბასილის გათავისუფლება იგმობა?!

გასულ კვირას უშიშროების სამინისტროს მიერ პანკისის ხეობაში ღამით ჩატარებული ოპერაციის შედეგად მხოლოდ ერთი არაბი პიროვნების დაკავება მოხერხდა. დღევანდელი მონაცემებით, ის სავარაუდოდ, მუსლიმანური რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციის წევრია. საგულისხმოა, რომ დაკავებისას მას ყურანთან ერთად პანკისის რუკა აღმოაჩნდა. უშიშროების სამინისტროში უკვე აღიძრა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირის მუხლით. დაკავებული, პასპორტის მიხედვით საფრანგეთის მოქალაქეა. ანტიტერორისტული კოალიციის ქვეყნებიდან უმოკლეს ხანში არაბი პიროვნების შესახებ უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ელოდებიან.

თავის მხრივ, რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ოფიციალურად ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ქართული მხრიდან არაბი პიროვნების დაკავების გახმაურება გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებში შედის და ეს ყველაფერი პანკისის ხეობაში ამერიკული დესანტის გადმოსხმას ემსახურება. თუმცა ამას არ ადასტურებს უშიშროების სამინისტრო. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნიკა ლალიაშვილი რუსეთის მიერ გაკეთებულ განცხადებას აბსურდულს უწოდებს.

პანკისში ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყებიდან კვირის თავზე შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი საუბარს იწყებს ხეობაში მყოფ ვაჰაბიტებზეც, რომლებიც ტერორისტულ ორგანიზაციებთან არიან დაკავშირებულნი. „გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ პანკისის ხეობაში იმყოფებიან გატაცებული პიტერ შოუ და მამა ბასილი, აგრეთვე გვაქვს ინფორმაცია მათი ადგილსამყოფელის შესახებ და ვვარაუდობთ, რომ მალე მოვახერხებთ მათ გამოხსნას“, — აცხადებს შს მინისტრი. შესაბამისად, მოკლე ხანში იგეგმება სერიოზული ოპერაცია, რომელიც მძევლების გათავისუფლებასა და კრიმინალების აყვანას ითვალისწინებს.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, პანკისში გაცილებით რთული და საშიში ვითარებაა. საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსული მხარე საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ძალების გამაგრებას იწყებს. ამავე წყაროს ცნობით, რუსეთი დესანტის გადასხმის გარდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე საფრენი აპარატების კონცენტრაციასაც მოახდენს(!). ჯერჯერობით უცნობია, ყოველივე ამით, რა სახის პროვოკაციას აპირებს რუსეთი.

„კვირის პალიტრა“ გასაიდუმლოებულად დაკავებული „პანკისელი არაბის“ ირგვლივ უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **ნიკა ლალიაშვილს** ესაუბრა.

— ბატონო ნიკა, რა ვითარებაში მოხდა არაბი პიროვნების დაკავება პანკისის ხეობაში?

— ეს არის ოპერატიული ოპერაცია და ამის დაკონკრეტების უფლება არ მაქვს.

— მოხდა თუ არა მისი ვინაობის იდენტიფიკაცია?

— ჯერჯერობით, ასეთი მონაცემები გვაქვს. მისი გვარი და სახელია ქალედ ოლ დალი...

— ვინ არის ეს პიროვნება და რა საქმიანობას ეწეოდა?

— ის არის საფრანგეთის მოქალაქე, თუმცა ამის შესახებ საფრანგეთის საკონსულო სრულ ინფორმაციას რამდენიმე დღეში მოგვაწვდის. ამ ეტაპზე ვიცით, რომ ის 1999 წლიდან გამოჩნდა საქართველოში, შემოვიდა ლეგალური გზით, საფრანგეთის მოქალაქის პასპორტით, ჩარტყმული ჰქონდა ვიზა; შემდეგ გადავიდა ჩეჩნეთში, სადაც მონაწილეობდა შეიარაღებულ საბრძოლო მოქმედებებში და ამასთანავე, იყო ერთ-ერთი ოდიოზური საველე მეთაურის უახლოესი გარემოცვის წევრი, გვარს ვერ გეტყვით, სამწუხაროდ.

— მართალია, რომ ის „ალ-ქაიდასთან“ არის დაკავშირებული?

— „ალ-ქაიდასთან“ ჯერჯერობით მისი პირდაპირი კავშირი არ ჩანს, უბრალოდ, შემიძლია გითხრათ, რომ აღძრულია მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ითვალისწინებს პიროვნების კავშირს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციებთან. ჩვენი მონაცემებით, იგი გახლდათ ერთ-ერთი უცხო ქვეყნის ტრანსნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციის წევრი და არ არის გამორიცხული, რომ მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ამა თუ იმ ტერაქტის ორგანიზებაში.

— რომელ ტერაქტებზეა საუბარი?

— ძიების ინტერესიდან გამომდინარე, ვერ დაგიკონკრეტებთ.

— რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ არაბი პიროვნების დაკავების გახმაურება ქართულ მხარეს პანკისის ხეობაში ამერიკული დესანტის გადმოსხმისთვის სჭირდებაო...

— ეს არის აბსურდი და არ შეეფერება სინამდვილეს. ჯერჯერობით არაფერი მსგავსი არ იგეგმება. რთული არ არის იმის მიხვედრა, რომ რუსეთში სამხედრო პოლიტიკური წრეების გარკვეულ წარმომადგენლებს საკმაოდ აღიზიანებთ პანკისის ხეობაში სტაბილიზაციისკენ მიმართული მიმდინარე პროცესები, და ვფიქრობ, რომ ასეთი ტიპის განცხადებებიც ამიტომ კეთდება.

— ასევე ვრცელდება ინფორმაციაც, რომ უახლოეს დღეებში შესაძლოა რუსეთმა 13 ჩეჩნის მსგავსად ამ არაბი პიროვნების ექსტრადიციაც მოითხოვოს.

— არა მგონია. ჯერჯერობით, მსგავსი საკითხი მათი მხრიდან ოფიციალურად არ დასმულა.

მარინა მამისაშვილი

„ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წევრი გასამართლდება“



ტყუილად ვაშენებთ?!

სააზოგადოებაში არ ცხრება ვნებათაღელვა საქართველოს გაზის გამანაწილებელი სისტემის და „თბილგაზის“ რუსეთის კომპანია „იტერასათვის“ გადაცემის თაობაზე. გასულ კვირას გამართულ ტელედებატებში მიწვეულნი იყვნენ, ერთი მხრივ, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე და ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე; მეორე მხრივ კი სათბობენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა და ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი.

ტელედებატებში ბატონი რომან გოცირიძე მინისტრებს წამდაუწუმ უხსენებდა რაღაც დოკუმენტს და სახელმწიფო ჩინოვნიკებს სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფას სდებდა ბრალად. ეს დოკუმენტი კი გახლავთ ე. წ. „წინასწარგანზრახულობათა ოქმი“, რომელიც საქართველოს მთავრობასა და „იტერას“ შორის დაიდო. ხსენებული ოქმი „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტმა მოიპოვა, რომლის დეტალებსაც მოკლედ გაგაცნობილებთ.

რუსული კომპანია „იტერასათვის“ საქართველოს გაზის გამანაწილებელი მთელი სისტემის, მათ შორის, „თბილგაზის“ გადაცემის საკითხი ბოლო დროს ჩვენი პოლიტიკოსებისათვის მსჯელობის უმთავრეს საგნად იქცა. ვარაუდობდნენ, რომ „თბილგაზს“ და „აზოტს“ „იტერა“ ვალების სანაცვლოდ წაიღებდა. რეალობა კი უფრო გამაოგნებელი აღმოჩნდა, — „იტერამ“ „თბილგაზი“ ისე მიისაკუთრა, ვალებიც არ აპატია. თბილისში, ხელშეკრულების დადებამდე, ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩამოვიდა კომპანია „იტერას“ გაზის დეპარტამენტის უფროსი მიხეილ პოტაპენკო. სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც განიხილებოდა „იტერასათვის“ „თბილგაზის“ გადაცემის საკითხი, ყველაფერი „იტერას“ სასარგებლოდ გადაწყდა. საზოგადოებისათვის საიდუმლოებით მოცული დარჩა ის ფაქტი, თუ რა პირობებზე შეთანხმდნენ მხარეები.

რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოს გაზგამანაწილებელი სისტემის მხოლოდ ხელში ჩაგდებით არ დაკმაყოფილდნენ (თუმცა რუსული კომპანიის საქართველოში დაფუძნება სპეცსამსახურების სტრატეგიული გეგმის სათადარიგო ვარიანტი იყო). გაზმომპოვებელი კომპანია „იტერას“ მეშვეობით ქართულ ბაზარზე ბუნებრივი აირის მიწოდების სისტემის დაუფლებით, რუსეთს სერიოზული პრეტენზიები გაუჩნდება — დასავლურ კომპანიებთან აზერბაიჯანული გაზის ევროპის ბაზარზე ტრანსპორტირებისას გახდეს მოლაპარაკების სუბიექტი. მხედველობაში გვაქვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და გაზსადენის ბაქო-თბილისი-არზრუმის პროექტები.

წალკის რაიონში მიმდინარე ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ყოველივეს კიდევ უფრო მეტად მოჰფინა ნათელი. „რუსეთის სპეცსამსახურების აგენტებმა რაიონის სომეხი და ბერძენი მოსახლეობა წააქეზეს და ისინი პროექტების მშენებლობას ეწინააღმდეგებიან“, — გვითხრა საქართველოს სპეცსამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა და წალკის რაიონის მოსახლეობის მიერ დანერილი ეს წერილი გადმოგვცა (იბეჭდება მცირედი შემოკლებით):

"Народу Республики Грузия
Народам Нашей Планети
Президенту Республики Грузия
Парламенту Республики Грузия

Жители Цалкского района Республики Грузия, обращаются к Вам с умолением и требованием приостановить чудовищный проект нефтепровода „Баку-Тбилиси-Джейхан" и газопровода южный Кавказ, которые разделяют всю Грузию и Кавказский регион пополам. Разрушают экологию, социальную среду и саму жизнь всех жителей Республики и Кавказа.

За всю историю существования Грузинского государства, не было такой угрозы уничтожения генофонда народа, как этот проект. Средства массовой информации и специально созданные службы днем и ночью пропагандируют о величайшей красоте и процветании Грузинского народа после пуска нефтепровода. Обещаются многомиллионные прибыли от этого проекта. Ежегодные поступления в бюджет страны 50 млн долларов не будет хватать даже на одну повязку жителям Грузии, которые получат тысячи телесные и душевные болезни от воздействия нефтепровода и газопровода на экологию и на социальную среду...

Чернобыльская катастрофа окажется игрушкой по сравнению с той катастрофой, которую таит в себе нефтепровод и газопровод на протяжении 1760 км. Параллельно проходящие два трубопровода диаметром более одного метра и с высоким давлением, создадут в разнородных грунтах Кавказа вибрации разной частоты и амплитуды, которые в определенных сочетаниях и постоянного действия создадут мутационные процессы в почве и в растительном мире прилегающих территориях нефтепровода и газопровода. Люди будут питаться растениями, в которых больше энергии смерти, чем энергии жизни. Еще в детском возрасте начнет оживать воля к смерти. Человек рождается с двумя главными инстинктами, волей к жизни и волей к смерти... А глобальная катастрофа замаскирована в проекте еще глубже. Ничего не говорится о последствиях, если нефтепровод и газопровод дадут утечку и заполнят пустоты горных хребтов. Всем известно, что Кавказ сейсмически активная зона. При незначительных колебаниях почвы произойдет детонация и взрыв огромной мощности в накопленных пластах нефтью и газом. Такой взрыв может стать детонатором глобального всеразрушающего землетрясения по всему кавказскому региону, землетрясению, страшнее Спитакского. Опомнитесь господа Президенты... Вы создаете библейский ад на этой прекрасной райской земле". — წერილი გაცილებით ადრე ჩაგვივარდა ხელთ, ვიდრე სომხები მსოფლიოს მოსდებდნენ, — აგრძელებს ჩვენთან საუბარს საქართველოს სპეცსამსახურის თანამშრომელი, — რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები წალკის სომეხ მოსახლეობას შეგნებულად აბუნტებენ, თორემ ბავშვმაც კი იცის, არც გაზსადენი და არც ნავთობსადენი სახიფათო რომ არ არის, — ავარიის შემთხვევაში, დამცავი მოწყობილობები ავტომატურად ამოქმედდება და ნავთობის მიწოდებას შეწყვეტს. ასე რომ არ იყოს, გურიაში, სადაც უკვე რამდენიმე წელია ნავთობსადენის ტერმინალი მოქმედებს, ხალხი დაავადებული იქნებოდა.

დაახლოებით ორი კვირის წინ ქართველ ჩინოვნიკთა ხელშეწყობით კომპანია „იტერა“ მთელი ქართული გაზგამანაწილებელი სისტემის მფლობელი გახდა. იგი საქართველოში არა მარტო ბუნებრივი აირის ერთადერთი მომწოდებელი იქნება, არამედ გაზის გამანაწილებლის ექსკლუზიურ ფუნქციასაც შეასრულებს. ამჟამად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობითი დელეგაცია მოსკოვში იმყოფება, სადაც ხელი უნდა მოაწერონ „იტერასთან“ ხელშეკრულებას. პარლამენტში რომან გოცირიძეს ვეწვიეთ და ჩვენ მიერ მოპოვებული დოკუმენტები გავაცანით.

რომან გოცირიძე: — მიკვირს, როგორ ჩაიგდეთ ხელთ წინასწარგანზრახულობათა ოქმი, რომლის მოპოვებას რამდენიმე დღე ამაოდ ცდილობდი. იგი არც თემურ ბასილიას აქვს. ამ ოქმით დასტურდება, თუ რა უუნარო ხელისუფლება გვყავს. სახელმწიფომ „იტერასათვის“ „თბილგაზის“, „აზოტისა“ და გაზგამანაწილებელი ქსელის გადაცემით გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა. დადგება დრო და ამ ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წევრი გასამართლდება. საქართველომ დათმო სტრატეგიული ინტერესები. ხელისუფლება იმდენადაა დაუძლურებული, რომ „იტერასგან“ მიყენებულმა დარტყმამ ნოკაუტში ჩააგდო. ჯერ კიდევ სამი წლის წინ მთავრობას შეეძლო „თბილგაზიც“ და „აზოტიც“ მისთვის ისე გადაეცა, რომ ამით მოგება მიეღო. მაშინ ვალი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე დღეს არის.

— მაინც რა მოხდა, რამ აიძულა ხელისუფლება ეს ნაბიჯი გადაედგა?

— სამი წლის წინ „იტერა“ ვერ მოგვერია, ახლა კი მან საქართველოს მთავრობა, ფაქტობრივად, დააჩოქა. მთავრობის ეს გადაწყვეტილება დროებითი სარგებლის მიღების სურვილითაა ნაკარნახევი და მიზნად ისახავს ძალაუფლების შენარჩუნებას და არა ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას („თბილგაზის“ გაჩუქებით ხელისუფლებამ წლევანდელ ზამთარს ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილი ხალხის მოსალოდნელი ბუნტი აიცილა თავიდან). ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.



ПРОТОКОЛ № 1
Общего собрания Партнеров Общества с ограниченной ответственностью
«___» _____ 2002г.
г. Тбилиси
Присутствовали:
Учредители ДО соответствии с Распоряжением Президента Грузии №1174 от 06.08.02.г.
от имени Государства Грузия, Министерство управления государственным имуществом Грузии, в лице Министра Павлиашвили С.П., действующим в соответствии с Положением о Министерстве, утвержденным Распоряжением Президента Грузии №_____ от «____»_____г.с одной стороны и Компания "ITERA International Energy L.L.C.", в лице Директора газового департамента Потапенко М.В., действующего на основании доверенности, выданной Президентом Компании Макаровым И.В. «___»августа 2002 года №_____, именуемые в дальнейшем «Партнеры».
Приглашенные:
Государственный Министр Грузии Джорбенадзе А.Х.,
Заместители Государственного Министра Грузии М.Николеишвили и А.Зоидзе,
Министр топлива и энергетики Грузии Мирцхулава Д.Ц.,
Министр финансов Грузии Гогишвили М.,
Заместитель Министра экономики, промышленности и торговли Грузии В.Канашидзе,
Заместитель Министра защиты окружающей среды и природных ресурсов З.Тавартхиладзе,
Председатель Национальной комиссии по регулированию энергетики Грузии Э.Эристави,
Председатель Государственного департамента по управлению земельными ресурсами Грузии Л.Шенгелия,
Начальник Государственной антимонопольной службы А.Тавадзе,
Заместитель председателя Контрольной палаты Грузии З.Эзугбая,
Заместитель Министра юстиции Грузии З.Зурабашвили,
Министерство безопасности Грузии З.Чхаидзе,
Вице-мэр г.Тбилиси Д.Гванишвили,
Заместитель Министра финансов Грузии Л.Нацвлишвили,
Заместитель Министра управления государственным имуществом Грузии З.Сосселия,
Директор департамента приватизации государственного имущества Г.Толуа,
Начальник Управления экспертизы договоров и государственных долгов Министерства юстиции Грузии З.Гараканидзе,
Генеральный директор АО «Тбилгаз» В.Цаава,
Независимый эксперт – Доктор технических наук, профессор В.Амбокадзе,
Председатель Потапенко М.В.
Т.Гочиташвили,

წინასწარგანზრახულობათა ოქმის თავფურცელი

არადა, როგორც ვიცი, ჩვენ ვფლობდით საკმაოდ მძლავრ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბერკეტს საქართველოს გაზგამანაწილებელი სისტემის სახით.

— მართალია. რუსეთი საქართველოს გავლით გაზს აწვდის სომხეთს. დროთა განმავლობაში გაზის მოცულობა თანდათანობით გაიზრდება, ხოლო თუ სომხეთის ატომური ელექტროსადგური დახურეს, მაშინ — მით უმეტეს. რუსეთი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიიდან უკავშირდება საკუთარ სამხედრო ბაზებს სომხეთში. ამიტომ „იტერას“ საქართველოში მომძლავრება ჩვენს საგარეო პოზიციებსაც დაასუსტებს, როგორც რუსეთთან, ისე სომხეთთან მიმართებაში. სადაც, არცთუ ისე ცოტანი არიან ექსტრემისტულად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფები, რომელთა „გახურებულ თავებს“, აქამდე, გარე სამყაროსთან საქართველოს გარეშე კავშირის შესაძლებლობა „აგრილებდა“. წალკის მოსახლეობის უსტარიც ამის დასტურია. საქართველოს მთელი გაზგამანაწილებელი სისტემის და მათ შორის, „თბილგაზის“ „იტერასათვის“ დათმობა შინაპოლიტიკურ პროცესებში რუსეთისა და პრორუსული ძალების მომძლავრებასაც ნიშნავს. დღეიდან, როგორც მოსახლეობა, ასევე ქვეყნის ყველა სამრეწველო საწარმო, „იტერას“ კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული, რადგან წინასწარგანზრახულობათა ოქმში აბსოლუტურად არაფერია ნათქვამი ბუნებრივი აირის უწყვეტად მოწოდების შესახებ. მეტიც, ამ ოქმში შავით თეთრზე წერია, რომ ბუნებრივი აირი მიეწოდება მხოლოდ გადამხდელს. არ არის განსაზღვრული, ვინ არის ეს გადამხდელი, — ოჯახი, კორპუსი, უბანი თუ, საზოგადოდ, თბილისი. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, გადახდისუუნაროა. ოქმში მითითებულია: „Обеспечить безперебойной поставкой газа платежеспособных потребителей Грузии“. ასეთი ბუნდოვანება „იტერას“ მანიპულირების საშუალებას აძლევს. ოქმში არაფერი წერია „თბილგაზის“ ვალების შესახებაც. ერთი სიტყვით, „იტერა“ არ აპირებს თავისი კაპიტალის დაბანდებას და ქსელის რეაბილიტაციას საქართველოს მხარეს ავალდებულებს.

— საქართველოში „იტერას“ შემოსვლამ აღაშფოთა სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტის დამფინანსებელი საერთაშორისო კომპანიები.

— არც არის გასაკვირი. „იტერას“ შემოსვლით მნიშვნელოვნად შემცირდება სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის ეფექტიანობა საქართველოსთვის. 2005 წელს, როდესაც ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენი საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის, საქართველოს ექნება საკუთარი გაზი და არ ეყოლება მისი მყიდველი. ის გულუბრყვილო იმედები, რომლითაც მთავრობის წევრები თავს იმშვიდებენ, თითქოს ხელშეკრულებაში ჩაწერენ მუხლს, რომლის მიხედვითაც დაავალებენ „იტერას“ ალტერნატიული გზით ბუნებრივი აირის შესყიდვას, არარეალურია. წინასწარგანზრახულობათა ოქმში ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი და ხელშეკრულებაში ამ მუხლს როგორ შეიტანენ? სავსებით შესაძლებელია „იტერამ“, როცა ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენი ამუშავდება, ერთი წლის მანძილზე ბუნებრივი აირი, ვთქვათ, 5 დოლარით უფრო იაფად მოგვაწოდოს, ვიდრე საერთაშორისო გაზსადენმა. რა თქმა უნდა, იაფ გაზს დავხარბდებით და „იტერასაც“ ვერ მოვთხოვთ ხუთი დოლარით ძვირი გაზი იყიდოს. წინასწარგანზრახულობათა ოქმში პირდაპირაა აღნიშნული: „Экономически выгодно закупка газа“. ასეთ ვითარებაში საქართველო დაკარგავს კონტრაქტს და დასავლეთის კონსორციუმსაც საკმაოდ შეავიწროებს რუსეთი საქართველოს გაზის ბაზარზე და შემდეგ ბუნებრივ აირზე ფასსაც მნიშვნელოვნად გაზრდის. წინასწარგანზრახულობათა ოქმში წერია: „Осуществление оптимизации тарифов и эффективная продажа газа...“, რაც გაზზე ფასის შენიღბულად მომატებას ნიშნავს. ოქმში ასევე წერია, რომ „იტერას“ გადაეცემა „თბილგაზის“ აქციათა 51%, ანუ საკონტროლო პაკეტი, ხოლო 49% საქართველოს მხარეს რჩება. უცნაურია, რომ რუსული მხარე ერთობლივ ქართულ-რუსულ საწარმოში ექვს იმ პატარა გაზგამანაწილებელ სისტემასაც მოიაზრებს, რომელიც ამ სამი-ოთხი წლის წინ სიმბოლურ ფასად იყიდა საქართველოს ხელისუფლებისგან. მათი ღირებულება გაცილებით ჩამორჩება თუნდაც მხოლოდ „თბილგაზისას“. მაშ, რატომ ვთმობთ საკონტროლო პაკეტს? რაც შეეხება ინვესტიციების განხორციელებას, როგორც ვთქვი, „იტერა“ ამას არ აპირებს. ოქმიდან ჩანს, რომ ინვესტიციებისათვის საჭირო რესურსები საქართველომ უნდა გამოძებნოს და ერთობლივი საწარმოს სუბსიდირებაც ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს(?!). გასაკვირია იმ ვალების საკითხიც, „თბილგაზს“ „იტერასი“ რომ მართებს. რუსეთის მხარე ამ ვალების ჩამოწერასაც არ აპირებს — მხოლოდ გადაგვივადებს. ახლა გასაგებია, თუ რატომ მალავდნენ ამ ოქმს.

— თქვენ ადასტურებთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაზის უმნიშვნელოვანესი სისტემა რუსეთის კონტროლს დაუქვემდებარა?

— დიახ, ფაქტობრივად, ეს ენერგომატარებლების საქართველოს სატრანზიტო დერეფნის კონტროლსაც ნიშნავს. როგორც ჩანს, რუსეთმა პოლიტიკა შეცვალა კასპიის ზღვის აუზში ენერგომატარებლის მოპოვებისა და მათი ტრანზიტის საკითხების მიმართ.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

„იტერას“ საქართველოში მომძლავრება სვენის საგარეო პოზიციებსაც დაასუსტებს, როგორც რუსეთთან, ისე სომხეთთან მიმართებაში. სადაც, არცთუ ისე ცოტანი არიან ექსტრემისტულად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფები, რომელთა „გახურებულ თავებს“, აქამდე, გარე სამყაროსთან საქართველოს გარეშე კავშირის შესაძლებლობა „აგრილებდა“.

– რუსეთი დარწმუნდა, რომ ბაქო-თბილისი-არზრუმისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენები აუცილებლად ამოქმედდება. მას არ ჰყოფნის ძალა ამ პროექტების ჩასაშლელად. ამიტომ გადაწყვიტა უშუალოდ საქართველოზე კონტროლის დაწესება და მისი სატელიტად გადაქცევა, რითაც ფაქტობრივად გააკონტროლებს ენერგეტიკულ კორიდორსაც...

შეცდომა დავუშვით, რომ არ ვაღიარეთ პანკისში ტერორისტების არსებობა

(გამიკვირდა, პუტინმა თანაგრძნობის ერთი სიტყვაც რომ ვერ მოძებნა)...

თავს დატეხილმა ათასმა განსაცდელმა ქართველებს ერთად დგომა მაინც ვერ გვასწავლა. უფრო მეტიც, ბოლო დროს ახალმა უკეთურობამ დაგვრია ხელი — მტრებზე მეტად საკუთარი თავის მორევა გვიჭირს, გულიდან ბოღმა ვერ ამოგვიღია და გონებიდან ამბიციები... ამიტომაც „სარმის გამოდების“ მეთოდი ისევ პოლიტიკური რანგის მთავარ ფანდად რჩება.

რუსებმა თავზე ჭურვები დაგვაყარეს, ხალხი დაგვიხოცეს, დაგვისახიჩრეს... ვიფიქრეთ, ამ გასაჭირში მაინც დადგება ერთად ერიო, მაგრამ მტრისათვის მუშტის მოქნევის ნაცვლად, პარლამენტის სხდომაზე ამაზრზენი პოლიტიკური შოუს მომსწრენი გავხდით. კიდევ კარგი, საბოლოოდ მაინც არ მოგვეჭრა თავი და მტერ-მოყვარის თვალში არ გავმსხვარავდით — როგორც იქნა, თავმოყვარეობაშელახულმა პოლიტიკოსებმა ქართული მიწა-წყლის დარბევა დაგმეს, შესაბამისად, დსთ-დან გამოსვლა და რუსეთის ბაზების გაყვანა მოითხოვეს. თუმცა, რომ არა 3 სინდისგაღვიძებული „მოქალაქე“ დეპუტატი, ვერც ამ დადგენილებას მივიღებდით.

ქართველი პოლიტიკოსების სამართლიანი გულისწყრომა რუსებს თვალში არ მოუვიდათ. ჩვენი საყვედურები პოლიტიკურ ისტერიად მონათლეს, ვაი-ვაგლახით და დიდი ბრძოლით მიღებული დადგენილება კი — ნაჩქარევად. თუმც გარეთ რაღას ვეძებთ. კულუარებში ითქვა ისეთი საძაგლობები, გულმუცელს რომ ამოუტრიალებდა კაცს: ზოგმა ფრაქციამ „მავანთა“ მითითებით დადგენილების ჩაგდებაზე შეგნებულად იმუშავა, კანცელარია პარლამენტს ამჯერად სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა; „საპარლამენტო ისტერია“ მთავრობამ კანონმდებლების იმიჯის შესალახავად დაუკვეთა, თავად კი, ამ დროს, „ცხელ წერტილს“ მიაშურა — აქაოდა, ნახეთ როგორ ვზრუნავთ ხალხის ბედზეო...

გასული კვირის პოლიტიკურ პერიპეტიებზე პარლამენტის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე** გვესაუბრება:

— შესაძლოა, ხალხი ფიქრობდეს პარლამენტის სხდომის მოწვევა დაგვიანდაო (ინციდენტი პარასკევს მოხდა, სხდომა კი ორშაბათს ჩატარდა), მაგრამ მინდოდა ყველა საპარლამენტო ფრაქციის კონსოლიდაცია, რათა შეჯერებული პოზიციით გამოვსულიყავით ჩვენი მოსახლეობის და რუსეთის წინაშეც. კარგად იცით ჩვენი „ერთიანობის“ ამბავი, მაგრამ მინდოდა, უცხოებისთვის მაინც გვეჩვენებინა, რომ გაჭირვების ჟამს ქართველებს ერთად დგომა გვჩვევია. მიუხედავად იმისა, რომ კვირა საღამოს დადგენილება და განცხადების ტექსტი შეთანხმებული იყო პარლამენტარებთან, ორშაბათს, დილით მოულოდნელი რამ მოხდა...

არ მსიამოვნებს ჩემს კოლეგებზე აუგის თქმა, მაგრამ პრესასაც და საზოგადოებასაც დარჩა შთაბეჭდილება, რომ პარლამენტში იმ დღეს ყველაფერი წინასწარგამიზნულად კეთდებოდა და ემსახურებოდა ერთ მიზანს — სხდომა ჩაშლილიყო. არ დავიწყებდი ამაზე ლაპარაკს, მაგრამ უკვე ყველა ყველაფერს ხედავს. თავისთავად ის ფაქტიც, რომ ეს დადგენილება 81 ხმით მივიღეთ, საკმაოდ მრავლისმეტყველია. უნდა რცხვენოდეთ იმ დეპუტატებს და ფრაქციებს, რომლებიც კონსულტაციებში მონაწილეობდნენ, კორექტივები შეგვატანინეს ტექსტში, დაგვპირდნენ, რომ მხარს დაგვიჭერდნენ და მერე ხმა აღარ მისცეს დადგენილებას.

— გაცხადებულად რა მიზეზი დაასახელეს — რატომ არ ვაძლევთ ხმას დადგენილებასო?

— არაფერი უთქვამთ... ერთდერთი ძალა, რომელმაც თავიდანვე განაცხადა, რომ დადგენილების იმ ვარიანტს მხარს არ დაუჭერდა, აღორძინება იყო (რაკი ჯემალ გოგიტიძის მოთხოვნა — მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი არ გავიზიარეთ). ისინი პატიოსნად მოიქცნენ, უფრო იმ ადამიანების საქციელი მაბრაზებს, რომელნიც სიტყვიერად მხარს გვიჭერდნენ და მერე კენჭისყრაში აღარ მიიღეს მონაწილეობა.

— რუსეთის პრეზიდენტი უარყოფს საქართველოს ტერიტორიის ხელყოფის ფაქტს. მის განცხადებაში შევარდნაძისადმი საყვედურმაც შეუფარავად გაიელვერა.

— მეგონა, პრეზიდენტ პუტინს სხვანაირი რეაქცია ექნებოდა. ძალიან გამიკვირდა, რომ მან თანაგრძნობის ერთი სიტყვაც ვერ მონახა დაღუპულის ოჯახისათვის. ის ხომ მაინც უნდა ეთქვა, რომ შევისწავლი პრობლემას და მომხდარი ერთობლივმა კომისიამ გამოიძიოსო. ეუთოს დამკვირვებლებმა დაფიქსირეს, რომ თვითმფრინავი რუსეთის მხრიდან შემოფრინდა. თუ პუტინი უარყოფს, რომ საქართველოს ტერიტორია რუსებმა დაბომბეს, მაშინ იმის აღიარება მოუწევს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის თვითმფრინავები დაფრინავენ და ისინი შემოფრინდნენ საქართველოში რუსეთიდან, რაც არ მგონია, ახლო იყოს რეალობასთან.

ნამდვილად მინდა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდეს, მაგრამ როგორ უნდა ველაპარაკოთ ამ სახელმწიფოს, როდესაც ის დარჩა იმად, რაც იყო 1992-93 წლებში. მაშინ იმპერია ახალი დანგრეული იყო და გასაგები იყო გრაჩოვის განცხადებები რუსების ძველი იმპერიული აზროვნებიდან გამომდინარე. თუ ამ 10 წლის მანძილზე რუსეთში არაფერი შეცვლილა და დემოკრატიული ფასეულობები, ევროპისკენ სწრაფვა, მათთვის მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, მაშინ ძალიან გაგვიჭირდება ამ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობა.

მთავარი ის არის, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მაშინ გამოვიდა, როცა პანკისში რეალურად დაიწყო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. იმედი მაქვს, ეს ნაბიჯი ეფექტური იქნება, არ დარჩება მხოლოდ საქონლის ქურდებთან, ან თუნდაც ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან ბრძოლად და მართლაც ანტიკრიმინალური, ანტიტერორისტული ოპერაცია ჩატარდება. ამდენი ხნის მანძილზე რუსები გვიკიჟინებდნენ, — რატომ რა შედიხართ პანკისში, რატომ არ იწყებთ ტერორისტებთან ბრძოლასო. აი, ბატონო, დავიწყეთ ოპერაცია და რანაირი გამოხმაურება მივიღეთ.

— აზრთა სხვადასხვაობაა იმაზე, თუ როგორ და ვინ გამოიძიებს დაბომბვის ფაქტს.

— მხოლოდ ქართულ-რუსული კომისიის მუშაობაზე გაცილებით ეფექტური იქნება მრავალმხრივი კომისია (საქართველო, ამერიკა, რუსეთი, ეუთო, გაერო...). ჯერ კიდევ პირველი დაბომბვის შემდეგ ვითხოვდით ამგვარი კომისიის შექმნას. რუსეთი თითქოს დაგვეთანხმა, რაღაც განკარგულებები გამოსცეს, მაგრამ რეალურად არაფერი გაკეთებულა. თავისთავად ცხადია, რუსეთს ხელს არ აძლევს ამ ფაქტის გამოძიება.

— გამოითქვა მოსაზრება, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიის პერმანენტული დაბომბვით ცდილობს მისი ხელისუფლების იმიჯის შელახვას და ქვეყნის სათავეში მისთვის სასურველი პიროვნების მოყვანას.

— არ არის გამორიცხული, რაკი რუსეთის აგრესიას სათანადოდ ვერ პასუხობს საქართველო, ეს მისი ხელისუფლების იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს და არც ის არის დამალული, რომ რუსეთი ყველანაირად შეეცდება მისთვის მისაღები ადამიანი მოვიდეს საქართველოს ხელისუფლებაში. რუსები ბაზების გაყვანას იმიტომ აჯანჯღლებენ, რომ მათთვის ხელსაყრელ დროს ელიან, როდესაც ხელისუფლებაში მოვლენ ძალები, რომელნიც რადიკალურად არ მოითხოვენ რუსეთის ბაზების გაყვანას.

— რუსეთის მხრიდან ცინიზმის გამოვლენა იყო ჩვენს ტერიტორიაზე დახოცილი ტერორისტთა გვამების გადაცემის მოთხოვნაც საქართველოსათვის.

— გვამები კი არა, ცოცხლები ვერ ამოიცნეს... ლამის რუსეთის ნახევარი პროკურატურა ჩამოვიდა საქართველოში და ერთი ქალაღდი არ ჩამოიტანეს იმ ხალხის წასაყვანად. ესეც შეგნებულად გააკეთეს. იცოდნენ, რომ დოკუმენტებისა და იდენტიფიკაციის გარეშე საქართველოს ხელისუფლება ვერ გადასცემდა ადამიანებს, თუნდაც ისინი ტერორისტებად ყოფილიყვნენ მიჩნეულები. რუსებს ერთი ფარატინა ქაღალდი რომ მაინც ჩამოეტანათ, გვექნებოდა საფუძველი, გვეთქვა, — ეს ხალხი რუსეთის მოქალაქეები არიან და უნდა გადავცეთ ხელისუფლებას გარკვეული დანაშაულის ჩადენის გამოო (მოგვიანებით, რუსეთმა 700 გვ. მასალა გამოგზავნა ჩეჩენ „ტერორისტებზე“, რომელთა შესწავლა რამდენიმე დღეში დასრულდება. — ი.რ.)

შეცდომა დავუშვით, როცა არ ვაღიარეთ, რომ პანკისის ტერიტორიაზე ტერორისტები იყვნენ. ხომ ნათელი იყო, რომ ჭირი თავს არ დამალავდა. უნდა აგვეტეხა ხმაური, რომ რუსეთმა ჩვენს ტერიტორიაზე ლტოლვილებთან ერთად ბოევიკები და ტერორისტები შემოყარა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო გამიზნული პროვოკაცია.

— პარლამენტის ბოლო რიგგარეშე სხდომის შემდეგ გაჩნდა ვერსია, რომ სულ მალე კანცელარიასა და პარლამენტს შორის ძლიერი დაპირისპირება მოხდება.

— პარლამენტს და მეც ხშირად გვაქვს კრიტიკული დამოკიდებულება აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ და ვთვლი, რომ ამგვარ დამოკიდებულებას რეალური მიზეზები და ფაქტები განაპირობებს და არა პოლიტიკური ანგარიშსწორება. საზოგადოდ, ვერიდები ჩემი დამოკიდებულების აფიშირებას, მაგრამ ხომ ფაქტია, — აღმასრულებელი ხელისუფლება რომ თავის სიმაღლეზე ყოფილიყო, რუსეთი ვერ გაგვიბედავდა ამდენს და არც პანკისში იქნებოდა ასე რთულად საქმე. პრობლემა არის და ის ყველამ ერთად უნდა გადაჭრას. თუ ვინმეს უნდა სახელისუფლებო შტოების დაპირისპირება, მე ვეცდები იმედი გავუცრუო. ეს ქვეყანა ვერ გაუძლებს ახალ დაპირისპირებას. შესაძლოა რადიკალიზმი ჩემთვის პოლიტიკური ქულების მომტანი იყოს, მაგრამ ამას არ დავუშვებ.

ბოლოს კი ვიტყოდი, თუ პარლამენტმაც და აღმასრულებელმა ხელისუფლებამაც რადიკალური ცვლილებები არ გაატარა, ქვეყანაში რთული პოლიტიკური ვითარება იქნება. ჩვენ შეთანხმებული მოქმედება გვმართებს, რაც თავისთავად არ გულისხმობს ყველაფერზე თავის დაქნევას. ამ შეთანხმებული მოქმედებით უნდა მივაღწიოთ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას, რომელიც ქვეყანაში არსებულ პრობლემებს დაგვაძლევინებს.

რისთვისაა საჭირო „მეჩაიე დეპუტატების“ ყოფნა პარლამენტში

ამბობენ, კრიტიკულ მომენტში პიროვნების, და შესაბამისად, ერის თვისებების გამოვლენა ხდებაო...

ვესაუბრებით ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, პოლიტოლოგ ***ლევან ბერძენიშვილს:***

— საზოგადოდ, არსებობს ორი მოტივი, რის გამოც არის ადამიანი პოლიტიკაში. პირველი, არგოს თავის ქვეყანას (ეს კეთილშობილური მოტივი გახლავთ და ყველა პარლამენტარი გეტყვით, რომ ამისთვის არის პარლამენტში) და მეორე — არგოს საკუთარ თავს, ოჯახს ან შეასრულოს დავალებები, რომლებიც მას „რატომღაც“ აკისრია. ბევრი იმიტომ არის პარლამენტში, რომ ასე დაავალეს იმ კაბინეტებში, სადაც მათ დავალებებს აძლევენ ხოლმე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა. საბჭოთა კავშირმა უშიშროების კომიტეტის საშუალებით შექმნა, მისი აზრით, სამუდამო მე-5 კოლონა — აგენტურული ქსელი. ეს არ არის მხოლოდ კგბ-ს აგენტურა, მასში შედის „გრუ“-ს აგენტურა, მილიციის აგენტები და სხვა... უმრავლესობა პოლიტიკაში დანერგეს. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს პარტიული სიები, აღმოაჩენდა, რომ იგი არ შეესაბამება იმ იდეოლოგიას, რომელსაც ესა თუ ის პარტია ატარებს და არც ლოგიკას — ისეთი ხალხი აღმოჩნდება ხოლმე პარტიულ სიაში. როდესაც კრიტიკული მომენტი დგება, მაშინ ვხვდებით რისთვისაა საჭირო „მეჩაიე დეპუტატების“ ყოფნა პარლამენტში. ასეთები საბჭოთა დროსაც იყვნენ და ახლაც არიან პარლამენტში. „მეჩაიეების“ სახელს მაშინ ვიგებთ, როცა უფრო სულს მიაბარებენ ან რაიმე შეემთხვევათ... პირდაპირ უნდა ვთქვა — ის ფრაქციები, რომლებიც ახლა მხარს უჭერენ ბატონ შევარდნაძეს (ყველა არა, მაგრამ — უმეტესობა) და ამაზრზენად იქცეოდნენ პარლამენტის სხდომაზე, — იცავდნენ „გაუგებარ“ ინტერესებს, რომლებიც იგივე რუსეთის ინტერესები გახლავთ; შევარდნაძის მხარდამჭერებს შორის არიან ე.წ. „მონები“, რომლებიც გულწრფელად აკეთებენ იმას, რასაც შევარდნაძე უბრძანებს. ზოგიერთს თქმაც არ სჭირდება, ისე ცდილობს გამოიცნოს, რა სურს შევარდნაძეს. განსაკუთრებით საშიშები არიან გარემოებათა მონები, რომლებიც ვალდებულნი არიან ასე მოიქცნენ, — ისინი სხვადასხვა დროს გადაიბირა უშიშროების სამსახურმა და ახლა ამოქმედდნენ. თურმე პარლამენტი სავსე ყოფილა ასეთი ხალხით, ამიტომ არ იღებენ ლუსტრაციის კანონს, ამიტომაც არ აპანღურებენ ამ ხალხს პოლიტიკიდან.

— მაგრამ შევარდნაძის მხარდამჭერთა პოზიციები დაემთხვა „აღორძინების“ მოთხოვნებს.

— „აღორძინება“ არის მე-5 კოლონის კოლონა. მთელი პარტია მხოლოდ რუსეთის ინტერესებს ემსახურება, რომელსაც თან ერთვის ასლან აბაშიძის ინტერესები. ამიტომ მცდელობა შევარდნაძე-აბაშიძის კლანების ვითომ ერთმანეთთან დაპირისპირების წარმოჩენისა, ისევ და ისევ სპეცსამსახურების მშვიდ კაბინეტებში დამუშავებული გეგმის ნაწილია.

გასულ კვირას მე-5 კოლონამ ნიღაბი ჩამოიხსნა და უკვე ვიცით, ვინ ვინ არის საქართველოში.

— კრიტიკულ მომენტში, ასე თუ ისე, პარლამენტის ხელმძღვანელობას მაინც აღმოაჩნდა ჩამოყალიბებული პოზიცია.

— არც პარლამენტის ხელმძღვანელობის პოზიცია იწვევს აღფრთოვანებას. აზრი, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს არ გაითვალისწინოს პარლამენტის რეკომენდაცია და პარლამენტის თავმჯდომარის დიპლომატიური ლაპარაკი, მე როგორც მოქალაქეს, იმის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ სჯობს, იგი უკეთ გაეცნოს საქართველოს კონსტიტუციას, პრეზიდენტს მისი ხელის დაფარება არ სჭირდება.

პარლამენტის თავმჯდომარემ, როგორც ქალმა, სცადა შევარდნაძისთვის ხელი გადაესვა ჭაღარა თავზე. კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ საგარეო პოლიტიკას (და საზოგადოდ, პოლიტიკას) განსაზღვრავს პარლამენტი და ასრულებს პრეზიდენტი. ნინო ბურჯანაძე ადრეც გადაეფარა ამბრაზურასავით შევარდნაძეს ვაკის პარკში, როცა ხალხი საყვედურობდა და ამას ნამდვილად ვერ ჩავუთვლი დიდ გამარჯვებად. პარლამენტის თავმჯდომარე უფრო მტკიცე უნდა იყოს. ხომ მიიღო პარლამენტმა გადაწყვეტილება, ქალბატონი ნინო „კაცურად“ ხელმძღვანელობდა სხდომას და კარგადაც იქცეოდა. ამის შემდეგ აღარ არის საჭირო რევერანსები შევარდნაძის წინაშე. შევარდნაძემ უკვე გამოაჩინა თავისი სახე — 1970 წლიდან 2002 წლის ჩათვლით.

გასული კვირა იყო მძაფრი დაპირისპირების, შერცხვენის, ლაფის დასხმისა და იმავდროულად დემოკრატიული და პატრიოტული ძალების გამარჯვების გამოხატულება. ვიმედოვნებ, რომ საქართველო ძალიან მალე, — წელსვე მოიცილებს ამ სამარცხვინო პრეზიდენტს.

— გასულ კვირას „სოციალისტებმა“ და „მრეწველებმა“ გარკვეული რევერანსი გაუკეთეს რუსეთს.

— „მრეწველებმა“ ძალიან ცუდად გამოავლინეს თავი და იმედი მაქვს, მალე გაერკვევიან. რუსეთის ბაზარზე დასამკვიდრებლად, საქართველოს ინტერესების გაყიდვა არ ივარგებს. ვახტანგ რჩეულიშვილს მაინც არ ეშლება ჭირისუფლობა და უბრალოდ, არ იყო ლამაზი რუსეთის ქება მაშინ, როცა გუშინ კაცი მოგვიკლეს.

აქედან გამომდინარე, ერთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ — მელუდეები, მეღვინეები, ნამდვილი და ტყუილი აკადემიკოსები, პოეტები არ უნდა იყვნენ პარლამენტში. პარლამენტში პოლიტიკოსები უნდა იყვნენ ისეთები, როგორიცაა სარიშვილი, გიორგაძე, ჟვანია, სააკაშვილი, ივლიანე ხაინდრავა, ჩემი ძმა... როგორც ციხე ქურდებისაა, ისე პარლამენტი პოლიტიკოსებისაა და პრეზიდენტადაც პოლიტიკოსი უნდა ავირჩიოთ და არა — ექიმი.

რა მნიშვნელობა აქვს პარლამენტში ვინ პრორუსია და ვინ პროდასავლელი, ვინ მემარჯვენე და ვინ მემარცხენე. როგორც კი კრიტიკული ვითარება შეიქმნა, რომელმა აკადემიკოსმა და კინორეჟისორმა ივარგა?! ივარგა სულ სხვა ხალხმა, მათ, რომელთა ზურგს უკან პოლიტიკის გარდა არაფერი დგას.

— ბატონო ლევან, ბოლო დროს, პრესაში ხშირად იბეჭდება ნათელმხილველთა პროგნოზები, რომლებიც საქართველოს მომავალ პრეზიდენტად პაატა შევარდნაძეს „ხედავენ“.

— ზაფხულის ბოლო დღეს, გამიგია, ნათელმხილველური ნიჭი იღვიძებს ადამიანში და მოდი, მეც ვიქნები ნათელმხილველი და გეტყვით, — ედუარდ შევარდნაძე იქნება უკანასკნელი შევარდნაძე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტი იქნება (ამას ნათელმხილველურად ვამბობ და არა იურიდიულად). ვვარაუდობ, რომ 21-ე საუკუნეში ამ გვარმა ამოწურა თავისი საპრეზიდენტო ამბიციები. პაატა შევარდნაძე კი არა, გენიოსი რომ დაიბადოს ვინმე, გვარად შევარდნაძე, იმასაც აღარ აირჩევენ პრეზიდენტად. ჩვენი მომავალი პრეზიდენტი ახალგაზრდა იქნება. ის ერთერთი იქნება იმ ახალი თაობის პოლიტიკოსთაგან, რომლებიც უკვე არიან ასპარეზზე. ვიტყვი იმასაც, რომ ჩვენი მომავალი პრეზიდენტი ამჟამად საქართველოში იმყოფება.

— საქართველოს მთავრობაზე რას იტყვით?

— ყოველად უვიცი მთავრობა გვყავს. ნორმალურ უნივერსიტეტში რომ გაიყვანო გამოცდაზე, ვერც ერთი წესიერ ნიშანს ვერ მიიღებს.

გვერდი მოამზადა იზო რუკაძე

პანკისში რუსულ დესანტს ქართველებმა წუთით დაასწრეს

დუისთან მდგარი შინაგანი ჯარების T-72 ტიპის ტანკების ლულები მრისხანედ „იყურებიან

გასული ერთი კვირის ანალიზი უფრო და უფრო განგვიმტკიცებს აზრს — 25 აგვისტოს რომ არ დაწყებულიყო პანკისის ხეობაში შინაგანი ჯარების დანაყოფების გადანაცვლება, ხოლო იქვე, ფიჩხოვანთან, თავდაცვის სამინისტროს წვრთნები, პანკისში მოსკოვს შეიძლება მნიშვნელოვანი ტაქტიკური დესანტი გადმოესხა.

23 აგვისტოს განხორციელებული საჰაერო თავდასხმაც შეიძლება ამ რუსული საიდუმლო გეგმის ერთგვარი შემადგენელი ნაწილი იყოს.

26 აგვისტოს „კვირის პალიტრას“ მიეცა შესაძლებლობა, დაეთვალიერებინა პანკისის ხეობის თითქმის ყველა სოფელი, რომელთაგან ბევრში მანამდე შესვლა ჭირდა. საგულისხმოა, რომ შინაგანი ჯარების დამატებითი პოსტები გაიხსნა ს. ომალოსთან, რომელიც მანამდე კრიმინალების მექად იყო ცნობილი. ისიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამ პოსტებზე შინაგანი ჯარების ტყიბულის სპეცდანიშნულების ბრიგადის მებრძოლები განლაგდნენ. სწორედ ის ხალხი, ვისაც რეალური საბრძოლო გამოცდილება გააჩნია. ასევე დაცულია ამ ხეობისთვის მნიშვნელოვანი ობიექტები დაბა დუისთან და ხიდი მდინარე ბაწარაზე (რომელიც ერთხელ უკვე ააფეთქეს).

მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოფიციალურმა თბილისმა უკვე მოიგო ერთი უსისხლო ბრძოლა — მან ერთი ტყვიის გასროლის გარეშე გაიყვანა პანკისის ხეობიდან წლობით დაბანაკებული შეიარაღებული ჩეჩნებისა და არაბების არც ისე მცირერაზმი. როგორც გავარკვიეთ, ეს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობისა და კახეთის რეგიონში ამ სამინისტროს წარმომადგენლების უდიდესი დამსახურებაა, რადგან ასეთი მოლაპარაკებებისა და შეთანხმების გარეშე ხეობაში შსს-ს შინაგანი ჯარები უსისხლოდ ძნელად თუ შედგამდნენ ფეხს.

ჯერი ანტიკრიმინალურ ოპერაციაზეა, ხეობას თავს აფარებს ათობით დამნაშავე და შეიძლება ჩეჩენთა პატარა ჯგუფიც (თუმცა, როგორც ამბობენ, ეს ჯგუფი საკმაოდ ლოიალურადაა განწყობილი ქართველი სამართალდამცავების მიმართ და უფრო თავისი ოჯახების უსაფრთხოებაზე ფიქრობს). ასევე, პანკისის ერთ-ორ სოფელში ჯერ კიდევ უნდა ჰყავდეთ მძევლები.

ამჟამად მიმდინარეობს იმ სიების დაზუსტება, რომელთა მიხედვითაც გაიჩხრიკება ხეობის სოფლების კონკრეტული სახლები, პირველ რიგში ძებნილების დასაკავებლად და მძევლების გასათავისუფლებლად. რაც შეეხება უკანონო იარაღს, მათ შორის მძიმე ცეცხლსასროლი იარაღის ამოღებას, ეს უფრო რთული საქმეა, რადგან პანკისის ხეობის ყოველი მამაკაცი კბილებამდეა შეიარაღებული. ამიტომ ქართველ სამართალდამცავებს დასჭირდებათ უდიდესი ტაქტის გამოჩენა და კანონის ზუსტი დაცვა, რათა ხეობაში რაიმე შეიარაღებული პროვოკაცია არ მოხდეს (სწორედ ის, რასაც მოუთმენლად ელოდებიან კრემლში).

ომალო-დუმასტური-დუისი-ჯოყოლო-ბირკიანი-ხადორჰესი

უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიას ჯოყოლოელმა ბავშვებმა წმ. გიორგის სახ. ეკლესიასთან „ალყა“ შემოარტყეს

ომალოელები (ქვემოთ) გაგებით შეხვდნენ სოფელში ქართველი ჯარისკაცების დაბანაკებას

ერთის დაბომბილს მეორე გვიშველებს...

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამამ ტემპი „აიღო“

ასე შთამბეჭდავად გამოიყურებიან როგორც ჯარისკაცები, ისე მათი 2000-დოლარიანი სამხედრო აღჭურვილობა.

29 აგვისტოს ქართულ-ამერიკული ერთობლივი „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მესამე ფაზა დაიწყო.

თუ გავითვალისწინებთ ქართულ სამხედრო ძალებში არსებულ არც ისე სახარბიელო მდგომარეობას, ეს ერთადერთი ნათელი სხივია, რადგან იმედი გვეძლევა, რომ ეყრება საფუძველი სულ ახალი, თანამედროვე ფორმაციის სამხედრო დანაყოფების შექმნას.

ერთი თვით ადრე გამოცხადებულ კონკურსს გამოეხმაურა „კომანდოს“ ბატალიონში ჩარიცხვის მსურველი 600-ზე მეტი ახალგაზრდა. ბუნებრივი გამორიცხვის მეთოდით (სუსტი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება, უდისციპლინობა და სხვ), დარჩა 400 კაცი.

„კომანდოს“ ბატალიონს 50-მდე ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი სამი თვის განმავლობაში ჩაუტარებს წვრთნებს სხვადასხვა საბრძოლო დისციპლინის მიხედვით. სულ ბატალიონში 558-მდე კაცი იქნება. იგი შედგება 4 ასეულისგან — ერთი სადესანტო, ორი მსუბუქი ქვეითი და ერთიც საშტაბო. ისინი მომზადებას კრწანისის სასწავლო ცენტრში გაივლიან, რომელიც პრეზიდენტმა შევარდნაძემ 29 აგვისტოს, სწავლების მესამე ფაზის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე, 11 სექტემბრის ტრაგედიის მსხვერპლთა სახელობის კრწანისის სასწავლო ცენტრად მონათლა.

სასწავლო ცენტრში, კარვებში დაბანაკებულ კურსანტებს ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ. კარვებს ხის იატაკი აქვს და თეთრეულიც ახალია. მენიუში შედის მაღალკალორიული საკვები: ხორცი, თევზი, კარაქი, ბურღულეული, კისელი, ჩაი, ხილი. ეს არც არის გასაკვირი — ამ ბიჭებს ყოველდღე დიდი ჯაფა დაადგებათ, რადგან ევროპაში აშშ-ის სპეცდანიშნულების ჯარების სარდლობის მე-10 სადესანტო ჯგუფის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქტორები წვრთნებისას არც თავს დაიზოგავენ და არც ქართველ კურსანტებს დაზოგავენ.

საგულისხმოა, რომ ყველა კურსანტს გავლილი აქვს სავალდებულო სამხედრო სამსახური და მათთვის უცხო არ არის ყაზარმული ცხოვრება. მათთან უკვე დაიდო კონტრაქტები და, რაც მთავარია, პირველი თვის ხელფასიც მიიღეს — ჯარისკაცებმა 380 ლარამდე, სერჟანტებმა 10-15 ლარით მეტი. შემდგომში მათ დაურიგდებათ პლასტიკური საკრედიტო ბარათები და შეეძლებათ, უშუალოდ ბანკომატებიდან მოხსნან საჭირო თანხა ან სულაც შეინახონ თავიანთ ანგარიშზე. მალე ყველა „კომანდოელს“ ექნება მობილური ტელეფონიც, რაც გააადვილებს ახლობლებთან კავშირს სამთვიანი კარანტინის დროს.

სხვათა შორის, 29 აგვისტოს, საზეიმო გახსნაზე, ახლობლები და ნათესავები არ მოკლებიათ ქართველ „მომავლის ჯარისკაცებს“. ცოტა უცნაურად ჩანდა, როდესაც 30 წლის ჯარისკაცი თავისზე 5 წლით უმცროს სერჟანტს ყველა სამხედრო წესის დაცვით სთხოვდა უფლებას, შეხვედროდა შორიახლო მდგომ ცოლ-შვილს.

30 აგვისტოს „კომანდოს“ ბატალიონს ამერიკიდან ჩამოტანილი სამხედრო აღჭურვილობა გადასცეს. ამ აღჭურვილობაზე „კვირის პალიტრა“ დაწვრილებით ჯერ კიდევ ორი კვირის წინ წერდა, მაგრამ ერთია ინფორმაცია და სულ სხვა, როდესაც საკუთარი თვალით ნახავ მას. თითოეული ჯარისკაცისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის კომპლექტის ღირებულება 2000 დოლარს აღწევს. მარტო კევლარისგან დამზადებული ჩაფხუტი 200 დოლარადაა შეფასებული, ხოლო ზამთრის დაბალყელიანი ჩექმები — 120 დოლარად. თითოეული კონტრაქტით აყვანილი ჯარისკაცი ვალდებულია, მასზე განპიროვნებულ აღჭურვილობას თვალისჩინივით გაუფრთხილდეს და ძნელი დასაჯერებელია, რომ ისინი ხვალ ნავთლუღის ბაზრობაზე მოხვდეს — ჩვეულებრივი ჯარისკაცისგან განსხვავებით, კონტრაქტდადებულს ბევრი რამ აქვს დასაკარგი.

და ერთიც: „კვირის პალიტრას“ დასაბუთებული კრიტიკა არასოდეს დაუკლია დღევანდელი თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძისთვის, მაგრამ თუკი „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა ღირსეულად დამთავრდება, მაშინ იგი ისტორიაში შევა არა მარტო როგორც „რაგატკეპის“ ავტორი, არამედ უახლესი ფორმაციის ქართული არმიის პირველი დანაყოფების შემქმნელიც.



ქართული „კომანდოსი“

ფულის შოვნის ახალი გზა — რუსული ბომბების ნარჩენები 30 ლარად ჯართში ჩააბარეს...

ბოლო დაბომბვების შემდეგ ახმეტაში ათასგვარი ჭორი ვრცელდება. აქაურები უკვე დარწმუნდნენ, რომ ჩვენს ხელისუფლებას არ შეუძლია რადიოლოკატორებით მტრის აღმოჩენა, რომ მოსახლეობას წინასწარ შეატყობინოს მოსალოდნელი საჰაერო თავდასხმის შესახებ და ამიტომ თავის გადარჩენის გზას თავად ეძიებს. თურმე განსაკუთრებული ყურადღებით უთვალთვალებენ ახმეტის ცენტრში მდგარ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის ბიძის სახლს. თუკი იგი მოულოდნელად სადმე წავა, ალბათ დაბომბვაა მოსალოდნელიო, — მიამიტურად ფიქრობს ზოგიერთი და გასაქცევად ემზადება. ბოლო დაბომბვის დროს რუსი მინისტრის ქართველი ბიძა მართლაც არ ყოფილა შინ — ბათუმში მიუწვევიათ საკმაოდ მაღალ დონეზე. ამ ორ ფაქტს — მისი გამგზავრებისა და დაბომბვის თარიღს შორის კავშირი ძნელი დასაჯერებელია, თუმცა ზოგიერთს მაინც ასე სწამს. უფრო საინტერესო კი ის არის, რომ გამინისტრებული ივანოვის საამებლად ხელისუფლებას მისი დედისეული სახლის რემონტი დაუწყია, მაგრამ შუა გზაზევე შეუჩერებია — ალბათ გასაგები მიზეზების გამო. იმ კაკლის ხეს კი, რომელზეც პატარა იგორ ივანოვს თავისი სახელი საგულდაგულოდ ამოუკვეთია, ისე აუყრია ტანი, რომ წარწერის გარჩევა მიწიდან შეუძლებელია. ამას ალბათ ის პილოტები თუ მოახერხებენ, რომლებიც ასე ხშირად „სტუმრობენ“ ამ მხარეს.

სტუმრობაზე გამახსენდა: ერთხელ ერთი ახმეტელი მოსკოვში ყოფილა რაღაც საქმეზე და უფიქრია, ბარემ აქა ვარ და ბავშვობის მეგობარსაც მოვინახულებო. დაურეკია იგორ ივანოვის მისაღებში. თავისი სახელის ხსენება ძლივს მოუსწრია, რომ მთელი უშიშროების ფედერალური სამსახური ფეხზე დამდგარა და მის დასაჭერად გამოქცეულა. თურმე სწორედ იმ დღეებში შამილ ბასაევი ტერაქტებით ემუქრებოდა მოსკოვს. ივანოვის ახმეტელმა მეგობარმა ტელეფონის ყურმილში კავკასიური აქცენტით როგორც კი თავისი სახელი — შამილი ახსენა, იგი ყველას მოსკოვში მოულოდნელად და ეშმაკეული გზებით გამოჩენილი შამილ ბასაევი ეგონა.

და კიდევ: ასე მოხშირებულმა რუსულმა დაბომბვებმა თურმე ახმეტაში ახალ ბიზნესს ჩაუყარა საფუძველი — ბოლო დაბომბვის ადგილიდან აკრეფილი აფეთქებული ბომბების ნარჩენები 30 ლარად ჩაუბარებიათ ჯართის მიმღებ პუნქტში.

საკითხავია — განა ჯართის პუნქტშია უცხო ქვეყნის მიერ განხორციელებული თავდასხმის ნივთმტკიცებების ადგილი?!

გიორგი რუს-ტელი – შოთა რუს-თაველისა და მათიას რუს-ტის რუს-ული სინთეზი?!

რუსეთის გენერალიტეტსა და მასმედიაში მათ ქართველ კოლეგებზე უკეთ... უმუშავიათ

23 აგვისტოს ქართული ტერიტორიების დაბომბვას (ღღონდ არა პანკისის ხეობისა, როგორც ამას ხშირად შეცდომით ვიმეორებთ) რუსული მასმედიის ზოგიერთმა საშუალებამ, თავისივე გენერლებსა და სპეცსამსახურებზე დაყრდნობით, „საინტერესო“ ვერსია მოუძებნა, რომლის ორიგინალის გაცნობა გაზეთის მე-14 გვერდზე შეგიძლიათ.

სტატიის ავტორი კი მხოლოდ კონკრეტული ფაქტებით იმსჯელებს.

— საქართველოს სამხედრო-საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალებში სამხედრო მფრინავი გიორგი რუსტელი არ არსებობს, რომ არაფერი ვთქვათ თავად გვარის უაზრო ტრანსკრიპციაზე. იგი აღბათ რუსული სპეცსამსახურების რომელიმე ნაკლებად განვითარებულმა მუშაკმა შოთა რუსთაველის მიბაძვით მოიგონა, ან სულაც ის მათიას რუსტი გაახსენდა, რომელმაც 1986 წელს კრემლის წინ თავისი „ცესნა“ დასვა და ნაქებ საბჭოთა ПВО-ს დიდი სირცხვილი აჭამა.

— იმ შვიდ Су-25-სა და Су-25УБ ტიპის ქართულ მოიერიშეებზე, რომლებიც ქართული სამხედრო ავიაციის შეიარაღებაშია, ფრენის უფლება, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ ექვს პილოტს აქვს; მათგან არც ერთს არა აქვს ლეიტენანტის ჩინი და მით უმეტეს, არავის ჰქვია გიორგი (თუ რომელიმეს ჩვენი პრეზიდენტივით ორი სახელი აქვს, არ ვიცი, თუმცა დიდი ხანია მათ ვიცნობ და ამაში არავინ „გამომტყდარა“).

— საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში არ არის Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი №15 და მით უმეტეს, არავის გადაუკეთებია იგი №32-ად, ისევე როგორც არ დაუხატავთ მის კუდზე ვარსკვლავები და რუსეთის სამფეროვანი დროშა (ლე ბურჟეს გამოფენაზე ერთმა ცნობილმა რუსმა სამხედრო ჟურნალისტმა „სკორპიონის“ კუდზე დახატული ქართული შვიდქიმიანი ვარსკვლავი რატომღაც დავითის ვარსკვლავად აღიქვა).



— „ვიღაც ვაჟა თორდია“, რომელიც თურმე ხელმძღვანელობდა ქართული მიწის ჩვენივე მოიერიშით დაბომბვას და ამ საქმის რუსეთისთვის დაბრალებას, სინამდვილეში სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის საბჭოთა Су-25-ების დროული და სწრაფი ათვისების საქმეში, რომელიც ჯერ კიდევ 1978 წელს დაიწყო და რისთვისაც იმავე კრემლიდან საბჭოთა პერიოდში არაერთი მადლობა დაუმსახურებია.

— იმის მტკიცება, რომ თითქოსდა შარშან დეკემბერში ელდებოსთან ნაპოვნი რეაქტიული ძრავების (Су-25 მოერიშეებისა და Ми-8 შვეულმფრენებისთვის) დაყენების შემდეგ გააქტიურდა ქართული სამხედრო ავიაციაო, სიბრიყვეა. ჯერ ერთი, ელდებოსთან ამოღებული იქნა Су-24 ბომბდამშენების ძრავები, რომელსაც ვერფერში გამოვიყენებდით, ამასთან, ისინი დარსა და ავდარში არანაკლებ 9 წელი ეწყო და კაპიტალური რემონტის გარეშე გამოუსადეგარი გახლდათ.

— 23 აგვისტოსთვის „თბილავიამშენის“ ტერიტორიაზე არც ერთი თურქმენული Су-25 აღარ იდგა. ბოლო ორი გარემონტებული მოიერიშე კარგა ხნით ადრე გადაფრინდა სამშობლოში.

— და მივიდეთ მთავარ ბრალდებამდე — თითქოსდა საქართველოს შვიდი მოიერიშიდან ერთ-ერთი ისრაელის ფირმამ გაუმჯობესა და შეუძლია საბრძოლო დავალების ღამითაც შესრულება. ებრაული ფირმა „ელბიტის“ დახმარებით მართლაც გაუმჯობესდა ერთი მოიერიშე, Су-25КМ „სკორპიონის“ პროგრამით, მაგრამ იგი არ შედის სამხედრო-საჰაერო ძალების შვიდი მოიერიშის რიცხვში. „სკორპიონი“ „თბილავიამშენის“ საკუთრებაა და მას ჯერჯერობით არ შეუძლია ღამით ბრძოლა, რადგან საჭირო აპარატურა მთლიანად არ დამონტაჟებულა და, მით უმეტეს, არც საგამოცდო ფრენები გაუვლია. ამასთან, სტატიის ავტორისთვის კარგად ნაცნობი „ელბიტის“ შეფ-პილოტი იეჰუდა, მეორე, სამი საფრენი აპარატის შემადგენლობით კი, 8 კმ-ზე ცოტა მაღლა. იმის გამო, რომ Су-25 მოერიშე თვითმფრინავების ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 7 კმ-მდეა (მათ არაჰერმეტული კაბინა აქვთ), მაშინ სავარაუდოა, რომ 5-კმ-იან სიმაღლეზე სწორედ Су-25-ები მოფრინავდნენ, ხოლო უფრო მაღლა — შეიძლება მათი საჰაერო „გუშაგები“ — Су-27 ან МиГ-29 ტიპის საფრონტო გამანადგურებლები, რომლებსაც თანამოძმეები ჰაერში უნდა დაეცვათ (ან შეიძლება 8 კმ-ზე მფრენი სამი თვითმფრინავი სულაც Су-24М ტიპის საფრონტო ბომბდამშენები იყვნენ. სხვათა შორის, 1992 წელს კოპიტნარიდან გაფრენილმა ამ ტიპის ბომბდამშენების პოლკმა სტავროპოლთან, მოროზოვკის სამხედრო აეროდრომზე დაიდო „ბინა“. მისი პილოტები კარგად იცნობენ საქართველოს საჰაერო სივრცესა და რელიეფს და არ არის გამორიცხული, რომ ხანდახან „გვესტუმრებიან“ კიდეც)..

სიცრუეა, თითქოს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს არ გააჩნდეთ ღამით მოქმედების უნარის მქონე მოიერიშე Су-25-ები. დღეისათვის მთლიანად რუსეთის შეიარაღებაში 250-მდე ამ ტიპის მოიერიშეა და მათ შორის ექვსი — მოდერნიზებული Су-25Т, რომლებიც, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენვე გადავეცით მოსკოვს 9 წლის წინ. Су-25Т-ებს უყენიათ ღამის ხედვის მოწყობილობა Меркурий, რომელიც მთვარის შუქზე ტანკს 3 კმ-ში „ხედავს“, ხოლო უფრო მსხვილ სამიზნეს, მაგალითად, სარკინიგზო ხიდს — 6-8 კმ-ში. ეს სრულიად საკმარისია, რათა პილოტმა არა მარტო შეასრულოს უსაფრთხო ფრენა მთაგორიანი რელიეფის თავზე, არამედ ზუსტად გამოიყენოს როგორც მართვადი, ისე უმართავი სარაკეტო იარაღი და ბომბები სახმელეთო სამიზნის მიმართ.

რუსი კოლეგებისგან განსხვავებით, ჩვენ ვეცადეთ, კონკრეტულად და ზუსტი ტექნიკური მახასიათებლების მოშველიებით წარმოგვეჩინა უტყუარი სურათი, თუ სინამდვილეში მართლაც ვინ ბომბავს ქართულ მიწას.

მაგრამ სტატიის ავტორი ეჭვობს, რომ ყოველივე ამის უკან გრანდიოზული შემოტევები იმალება, ამჯერად უფრო კომერციული ხასიათისა.

თავად რუსი სპეციალისტების მტკიცებით, უკვე დადგა დრო, იმ ოთხასამდე Су-25-ის დაუყოვნებლივ მოდერნიზებისა, რომლებიც მსოფლიოს ათამდე ქვეყნის შეიარაღებაშია. დღესდღეობით, ყველაზე პერსპექტიულად ქართულ-ებრაული პროექტი Су-25КМ „სკორპიონი“ მოჩანს, რომელიც მეორე წელია, დაფრინავს და უკვე მოასწრო ორ უდიდეს საერთაშორისო ავიაკოსმოსურ გამოფენაზე ლე ბურჟესა და ფარნბოროში თავის გამოჩენა. ანალოგიური რუსული პროექტი — Су-25СМ კი დღემდე „ბუქსაობს“ და ჯერ ჰაერში არ აფრენილა. არადა მოსკოვს არაფრით არ უნდა, რომ ასობით Су-25-ის მოდერნიზაციის საერთაშორისო ბაზარი ქართულ-ებრაულმა პროექტმა დაიპყროს, რაც უდიდეს ფინანსურ მოგებასთან არის დაკავშირებული.

ამიტომაც რუსული მხარე, სავარაუდოა, ცდილობს, ყოველმხრივ გაუტეხოს სახელი „სკორპიონს“, თუნდაც არაჯენტლმენურ ორთაბრძოლაში.

იყო დრო, როდესაც Су-25 მოიერიშეს შოთა რუსთაველის „ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვის“ სცენა ეხატა, დღეს მის სამშობლოს ასეთივე Су-25-ები ბომბავენ, რომლებსაც ცხვირზე საყელურიანი მგლისა (რაც, ეტყობა, მგლების მოთაყვანე ჩეჩნების მორჯულებას უნდა ნიშნავდეს) და ზვიგენის გამოსახულებები ამშვენებს. ქართულ მოიერიშეებზე კი არწივი იწონებს თავს.

„ანტიტერორისტები“ პანკისის ხეობაში პირველ ფსიქოლოგიურ „შეტევას“ იგებენ

25 აგვისტოდან, მას შემდეგ, რაც პანკისის ხეობაში შინაგანი ჯარების დამატებითი საგუშაგოები განლაგდა, იქ თითქმის ყოველდღე დადიან შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები და მათი თანმხლებნი.

მინისტრ კობა ნარჩემაშვილს გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები დაჰყვებიან, ხოლო უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიას — ანტიტერორისტული ცენტრის სპეცრაზმელები.

ბუნებრივია, მინისტრებს სჭირდებათ მცველები და განსაკუთრებით ისეთ რთულ რაიონში, სადაც წლობით არ ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია. მაგრამ აქ მთავარი სხვა რამ არის. უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტულმა დანაყოფმა, წმინდა დაცვითი ამოცანის გარდა, უფრო მნიშვნელოვანი საქმე შეასრულა და ისიც ტყვიის გასროლის გარეშე — ამერიკული „დოჯების“ ღია საბარგულებზე მოკალათებული „ანტიტერორისტები“ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ პანკისის სოფლების შარაგზებზე გამოფენილ მოსახლეობაზე.

შეიძლება ბევრ მათგანს ჩეჩნეთის ომში ერთი-ორი რუსული ტანკიც ჰყავს აფეთქებული და ხეობაში გამოჩენილი ქართული ტანკით თუ ჯავშანტრანსპორტიორით ვერ გააკვირვებ,

მაგრამ ამერიკულ კომუფლირებულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, კევლარის შავი ჯავშანმუზარადებითა და სპეციალური სათვალეებით აღჭურვილი „ანტიტერორისტები“ მათ გაკვირვებას და შეიძლება ერთგვარ შიშსა თუ მოწიწებასაც აღძრავდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ქართველ „ანტიტერორისტთა“ შეიარაღება იწვევდა, რომლის მაგვარიც მრავალ ბრძოლაგამოვლილ ჩეჩნებსაც არ ენახათ.

ქართველი „ანტიტერორისტები“ აღჭურვილნი იყვნენ გერმანული წარმოების ახალი ავტომატური შაშხანებით, რომელიც ბუნდესვერის შეიარაღებაშიც კი ახალი მიღებულია. ეს გახლავთ Heckler und Koch-ის G36-ები.

ამგვარივე ავტომატები, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის გარდა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმმაც მიიღო შეიარაღებაში.

საინტერესოა, რომ ეს იარაღი შეიქმნა კომპრომისული გადაწყვეტილების შემდეგ: ბუნდესვერს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში სურდა შეეცვალა თავის შეიარაღებაში არსებული G3 ტიპის მოძველებული ავტომატური შაშხანები. ამის გამო გერმანელმა კონსტრუქტორებმა შექმნეს იმ დროისათვის პროგრესული ავტომატი G11, რომელიც უჰილზო ტყვიებს ისროდა (დაწნეხილი დენთი უშუალოდ ტყვიაზე იყო მიწებებული) G11-ს შეიძლებოდა გადატრიალება მოეხდინა მთელ საიარაღო საქმეში, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი ორი გერმანიის გაერთიანებამ შეცვალა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიიდან დარჩა მილიონობით „კალაშნიკოვი“. ამიტომ ბუნდესვერს აღარ შეეძლო ძვირად ღირებული G11-ით გადაიარაღება, თუმცა არც „კალაშნიკოვის“ დატოვებას აპირებდა. ამიტომაც გადაწყდა იაფი, მსუბუქი და უნივერსალური ცეცხლსასროლი კომპლექსის შექმნა.

არჩევანი გერმანულ HK-სა და ავსტრიულ AUG-ს შორის უნდა მომხდარიყო. საბოლოოდ HK-მა გაიმარჯვა.

ჩვენი დღისი: G36 **ავტომატური შაშხანის სროლის მექანიზმი მოქმედებს დენთის აირების ნაწილობრივი გადინების პრინციპით. ავტომატის ლულა ცივად არის გამოჭედილი და ქრომირებულია, ხოლო ავტომატის ბევრი დეტალი მსუბუქ პოლიმერული ნაწილებისგანაა დამზადებული. სიახლედ უნდა ჩაითვალოს გამჭვირვალე მჭიდეები, რომლებშიც კარგად მოჩანს 5,56 მმ კალიბრის ვაზნები და მებრძოლმა იცის, რამდენი გასროლა დარჩა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტომატის დასამიზნებელი საშუალება, რომელიც** Red pot-ს — **„წითელ წერტილსა“ და 3,5-ჯერ გამადიდებელ სამიზნეს ერთ მოწყობილობაში აერთიანებს. იარაღი კარგად არის ბალანსირებული. სწრაფსროლა წუთში 750 გასროლას აღწევს. თანამედროვე** G36 **ძველებურ** G3-**ზე 1 კგ-ით მსუბუქია, იაფიც და, რაც მთავარია, უნივერსალურიც — მის ბაზაზე შეიქმნა ხელის ტყვიამფრქვევი** MG36 **და მოკლელულიანი** G36K, **აგრეთვე** G36C Compact-**ი.**

ქართველი „ანტიტერორისტები“ პანკისელებს თავდაპირველად ამერიკელები ეგონათ

ქართველი სპეცრაზმელების შეიარაღებაში თუნდაც მცირე რაოდენობით ახალი, თანამედროვე იარაღის გამოჩენას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არა მარტო საბრძოლო, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც.

ზოგიერთი პანკისელისთვის, რომელიც საკმაოდ ეჭვიანად უყურებდა ქართველი ძალოვნების დაბრუნებას ხეობაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ და რა სახით აპირებდა პანკისში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას: დახეულ ფორმასა და დაგლეჯილ ჩექმებში გამოწყობილი, დაჟანგული „კალაშნიკოვით“ აღჭურვილი, შიშით თვალებგაფართოებული ჯარისკაცები თუ პანკისის ორღობეებში თავდაჯერებული, მშვენივრად აღჭურვილ-შეიარაღებული პროფესიონალების გამოჩენა, რომელთათვის მარტო ერთი თვალის შევლება აფრთხილებს მნახველს — ე მანდ, არაფერი შეგეშალოსო!

ამას სამხედრო ენაზე ჰქვია ძალის დემონსტრირება, იმ ძალისა, ურომლისოდ საქართველო თავის მიწა-წყალზე მომრავლებულ „თეთრ ლაქებს“ ბუნებრივ ფერს ვერ დაუბრუნებს.

რუბრიკა მოამზადა
ირაკლი ალადაშვილმა

სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. ერთი მხრივ, სახეზეა ტერორისტების სახელმწიფოთაშორისი ბანდის საავკაცო საქმეები. მეორე მხრივ კი ამ ბანდის გაუვნებელყოფაზე მომუშავე მაძებრის მიმართ უშუალოდ მისი ხელმძღვანელობისგან დაგეგმილი ტერორი. ქვეყნის წახდენის, მატერიალური და სულიერი ღირებულებების ტოტალური გაუფასურების პირობებში ერთბაშად ამოტივტივდნენ მანამდე ჩრდილში მდგომი ადამიანები, რომელთა მისწრაფებები მეტნაკლებად შეესაბამებოდა იმ ქაოსსა და განუკითხაობას, ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოს რომ დააგდგა თავს. დღევანდელი პუბლიკაციის „გმირის“ აღმშენებლობაც კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ იოლად ერწყმის ერთმანეთს კრიმინალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სამყარო იქ, სადაც ფაქტობრივად არ არსებობს სახელმწიფო, სადაც ცნება – ხელისუფლება შავი სამყაროს ტრადიციებითაა ნასაზრდოები და ავტორიტეტს მიღმა მხოლოდ და მხოლოდ ქურდი და გამომძალველი მოიაზრება.

ისტორია, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის ახალი არ არის. სხვადასხვა დროს, ამ გახმაურებული საქმის ძიებისდა კვალად, არაერთხელ გამოვაქვეყნეთ როგორც ორიგინალური, ასევე რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში დასტამბული პუბლიკაციები. წინამდებარე პუბლიკაციაში კი ძველ ფაქტებთან ერთად ბევრ ახალსაც გაეცნობით. წერილი მომზადებულია საგამოძიებო მასალებზე დაყრდნობით.

„ფესვები“

ომის დროს ჰიტლერული გერმანიისგან დაპყრობილი სამშობლოდან გადმოხვეწილი ერთი ლამაზი, მარტოხელა პოლონელი ქალბატონი მის ასობით თანამემამულესთან ერთად ლტოლვილის სტატუსით ჩამოვიდა საქართველოში. ქალს განათლება არ ჰქონდა და თბილისში, სამხედრო ჰოსპიტლის სანიტრად გაამწესეს. ლამაზ ქალს ბუზივით ეხვეოდნენ დაჭრილები. ისიც არ გახლდათ უკარება. ბევრ მათგანთან გაიზიარა სარეცელი და როცა მოგვიანებით თვალხატულა გოგონა შეეძინა, მამის ძებნა არც უფიქრია, რადგან თვითონაც არ იცოდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო იგი. მაგრამ გავიდა დრო, გოგონა გაიზარდა და მამა მოიკითხა. დედას ენა ვერ მოუბრუნდა იმის სათქმელად, არ ვიცი ვისი შვილი ხარო და ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, ადგა და საქართველოს იმდროინდელ რესპუბლიკის პროკურორს, პავლე ბერძენიშვილის დაადო ხელი. საბაბად ის მოიშველია, რომ ომიანობის წლებში ბატონი პავლეც ერთხანს იმ ჰოსპიტალში მკურნალობდა, სადაც პოლონელი ლამაზმანი მუშაობდა და ეს უკანასკნელი თეორიულად მაინც შეიძლებოდა ყოფილიყო მადლენას მამა. როგორც ჩანს, ქალმა თავისივე თანამემამულე რამდენიმე საეჭვო მოწმე იშოვა (საეჭვო თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ საქმეზე მოწმეებს არ ისწრებენ) და რესპუბლიკის პროკურორს მიადგა. ბატონმა პავლემ კი, ეტყობა, სკანდალის შიშით გოგონას მამობა „აღიარა“. ასე მიიღო მადლენამ პავლე ბერძენიშვილის ქალიშვილის სტატუსი და უნდა ითქვას, რომ ერთხანს ამართლებდა კიდეც სახელოვანი „მამის“ შვილობას. საგარეჯოში ახლაც იხსენებენ გრძელწანწავებიან, თვალებბრიალა გოგონას, რომელიც ქცევითაც და ნიჭიერებითაც აშკარად სჯობდა თანატოლებს. მერე და მერე კი თავისი ნიჭი იოლი გამდიდრებისთვის გამოიყენა — ძირითად საქმიანობად თაღლითობა გაიხადა. აბიტურიენტებს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მოწყობას ჰპირდებოდა და ზოგჯერ ახერხებდა კიდეც, თუმცა უმეტესად მისი კლიენტურა პირში ჩალაგამოვლებული რჩებოდა, მადლენა კი ქალაქიდან ქალაქში ინაცვლებდა და ამის გამო გაცურებულთაგან ძნელად თუ ვინმე მოიხელთებდა... დიდხანს გაგრძელდა ასე. ამასობაში სამჯერ გაასამართლეს. იქნებ არც ეფიქრა ამ „ვიწრო პროფესიის“ შეცვლა, მაგრამ სხვა დრო დადგა და როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე გახსნეს უნივერსიტეტები და აკადემიები (მაგალითად ჭიათურაში, პატარა საცხოვრებელ ვაგონს ამშვენებს აბრა წარწერით „აკადემია“, რომელიც ახლაც ფუნქციონირებს), მადლენამ კვალიფიკაციის შეცვლა გადაწყვიტა და მოსკოვში ინდივიდუალური საწარმო „წმინდა გიორგი“ დააარსა. ჩანაფიქრი, რა თქმა უნდა, უწმინდური ჰქონდა, დიდი წმინდანის სახელი კი შირმად სჭირდებოდა და მალე ნაცადი გზით გააგრძელა მოღვაწეობა. მისი საშუამავლო ფირმა კლიენტურას ნებისმიერი საქონლის ნებისმიერი რაოდენობით მიწოდებას ჰპირდებოდა, ოღონდ ერთი პირობით — წინასწარი ანგარიშსწორებით... ამის შემდეგ კი ურთიერთობები წყდებოდა. კლიენტთა ერთი ნაწილი იძულებული იყო, ბედს შერიგებოდა, მეორენი კი იარაღს ატრიალებდნენ. საჭირო იყო ზედმეტად აქტიურთაგან თავის დაცვა და მადლენაც პროფესიონალი მკვლელების სინდიკატს აყალიბებს. ამ დროისათვის მას ბერძენიშვილის გარდა, რამდენიმე გვარი აქვს: გუშჩინა, მათიაშვილი, რიგაჩოვა და სხვ. მის მარჯვენა ხელს და შემდგომში ქმარს, მდიდარი კრიმინალური წარსულის მქონე მკვლელს ალექსანდრე გუშჩინს გვერდს უმშვენებდნენ ასევე პროფესიონალი მკვლელები — მოკინი, ვერეიკისი, ქასრაშვილი, გოგოლაძე, მილიციის ყოფილი ოფიცერი ვესელოვი და სხვები. მათთვის კაცის კვლა იოლი საქმე იყო და ეს პროცესი ზედმიწევნით, ასე ვთქვათ, ტექნიკურად უმაღლეს დონეზე ჰქონდათ დამუშავებული — გვამები რომ არავის ამოეცნო, ჯერ ნაჯახით ასახიჩრებდნენ, შემდეგ კი ისე, „ყოველი შემთხვევისთვის“, თავებსაც აჭრიდნენ და ცალკე მარხავდნენ. ამ ჯგუფს თავის წვრილფეხა ამფსონებიანად, ჯერჯერობით, ოცდაორი კაცის მკვლელობა ედება ბრალად. თუმცა არსებობს იმის უტყუარი მტკიცებულებები, რომ ეს ციფრი ბევრად უფრო დიდია. თუმცა ამაზე ქვემოთ.

კონკურენტები

„გადამგდები“ ფირმა უყურადღებოდ არ დარჩენია ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფების ლიდერს, მამილო პომსს, რომელიც მოსკოვის ამ უბანში მთლიანად აკონტროლებდა შავ ბიზნესს და მალე მადლენას ფულის შესაწირად მამილოს ორი წარმომადგენელი ეწვია — ერთ-ერთი პომსის სიძე იყო. იმავე დღეს, 1992 წლის 23 აგვისტოს, „მასპინძლებმა“ ორივენი ბორკილებით გადააბეს ერთმანეთს, წაიყვანეს ქალაქგარეთ, ტყეში, ერთ-ერთი თანამშრომლის აგარაკზე და დახოცეს.

რამდენიმე დღის შემდეგ პომსმა დაიჭირა მადლენას „ბოევიკი“ შჩერბაკოვი, აწამა (თითები გადაუმტვრია) და ათქმევინა, რაც მოხდა, მერე ნაწამები კი არ მოკლა, საავადმყოფოში მიაბრძანა. მადლენამ და ალექსეი გუშჩინმა, როგორც კი ეს ამბავი შეიტყვეს, გვიან ღამით საავადმყოფოში მიაკითხეს ნაწამებ შჩერბაკოვს — სწრაფად აიბარგე, პომსი ამაღამ მოკვლას გიპირებსო და ისიც გაკვალულ მარშრუტს გაუყენეს — ტყეში ჯერ თოკით მოახრჩვეს, მერე კი ნაჯახით დაასხიპეს ბორკილიანი ხელები.

გარდა კლიენტების გადაგდებისა, მადლენას კრიმინალური კარტელის შემოსავლის წყარო ძვირად ღირებული მანქანების ქურდობა-გასაღებაც გახლდათ. ამ საქმეში მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროსა და ავტოინსპექციის თანამშრომლებიც ჰყავდათ ჩართული. მოხდა ისე, რომ ერთხელ მაინც გაჩხრიკეს მადლენას ბინა, საიდანაც კალაშნიკოვის სისტემის ორი ავტომატი, ნაგანი, ხუთი ხელყუმბარა და ვაზნები ამოიღეს და თითქოს სასამართლოც უნდა შემდგარიყო, მაგრამ... მადლენამ განაცხადა, ყველაფერი ეს ჩემმა სტუმრებმა, ქართველმა პოლიციელებმა დატოვესო. ცოტა ხანში ეს განცხადება დაადასტურა თბილისიდან მოსკოვში საგანგებოდ ამ საქმისთვის ჩასულმა პოლიციის პოლკოვნიკმა ვასიკო იმერლიშვილმა, — მან სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობაც წარადგინა იმის შესახებ, რომ ქართველი სამართალდამცველები თავიანთ რუს კოლეგებს კუთვნილი იარაღის დაბრუნებას სთხოვდნენ. იარაღი დააბრუნეს, მადლენა და მისიანები გაათავისუფლეს, მოსკოვის სამოქალაქო პროკურატურამ კი დიდი ფული, ხოლო რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ახალთახალი „ჟიგული“ მიიღო საჩუქრად. იმერლიშვილს უფრო გულუხვად დასაჩუქრებას, ახალთახალ „ვოლგას“ შეჰპირდნენ, მაგრამ...

ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენებები აშკარად ურთიერთგამომრიცხავია. ერთი მხარე ამტკიცებს, რომ ვასიკო იმერლიშვილი გადააგდეს. იმერლიშვილის სიკვდილს გადარჩენილი ნათესავები კი ამტკიცებენ, ვასიკო თვითონ აპირებდა „ვოლგის“ ყიდვას და დახმარება მადლენას სთხოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ფული შეუჭამაო. ქალი კი ირწმუნება, ორი „ვოლგა“ გავატანე საქართველოში გასაყიდად და არც ერთის ფული არ ჩამოუტანიაო. ასეა იყო თუ ისე, სწორედ იმ ხანებში გაიტაცეს გურჯაანში მცხოვრები მადლენას ერთადერთი ქალიშვილი ნონა და გამოსასყიდად ოცდაათი მილიონი მანეთი მოითხოვეს. ამის შესახებ მადლენას ვასიკო იმერლიშვილის ძმამ, გიამ აცნობა.

მადლენა მუქარასა და წივილ-კივილს არ მოჰყოლია, ბოლმა გულში ჩაიმარხა და გია მოსკოვში დაიბარა, შეპირებული „ვოლგის“ მისართმევად. გახარებული გია იმერლიშვილი თავის ნათესავთან ერთად ეწვია მადლენას, რომელმაც ახალგაზრდები თავის აგარაკზე დააბინავა. იქ კი მისმა „ბიჭებმა“ ორივენი დახოცეს, თავები დააჭრეს და ცალ-ცალკე დამარხეს.

„მიწის ყივილი“

ამის შემდეგ ბანდა მადლენასთან ერთად საქართველოში გადმოსახლდა, — მიუხედავად იმისა, რომ ყველა მოქრთამული ჰყავდათ, მოსკოვში აღარ დაედგომებოდათ. ამ მკვლელობების გარდა, მათ ანგარიშზე იყო რამდენიმე გახმაურებული მკვლელობაც, ოჩამჩირელი ძმების, მაქაცარიების გაქრობა და მრავალი სხვა სისხლიანი დანაშაული. ამასთან, საქართველოში ამ დროს კრიმინალები ბატონობდნენ და უკეთეს დროებით თავშესაფარს ვერც ინატრებდნენ. ასეთი ხალხი მაშინ აქ სჭირდებოდათ და მადლენა მაშველთა კორპუსის კახეთის რეგიონის მეთაურად დაინიშა. 1993 წელი იწყებოდა. აფხაზეთისა და ოსეთის ომებიდან ტერიტორიულად შორს მდგომ ამ მშვიდობიან მხარეში იმ დღიდან სისხლის ღვრა დაიწყო — პოდპოლკოვნიკი ვასიკო იმერლიშვილი პირველი მსხვერპლი იყო. ერთ დილით მას შინ მიადგა აღელვებული გუშჩინი და შეატყობინა, შენი ძმა გია მადლენასაგან ნაჩუქარი ახალთახალი „ვოლგით“ ორჯონიკიძეში გაუჩერებია იქაურ მილიციას და დახმარება სჭირდებაო. ვასიკო გუშჩინს მანქანაში ჩაუჯდა და მას შემდეგ იგი აღარავის უნახავს. მეორე დღეს დიდიან-პატარიანად ამოწყვიტეს იმერლიშვილების რვასულიანი ოჯახი. ისინი მეზობლების შეუმჩნევლად აიყვანეს მთაში და

მადლენა

ის კატეგორიის დამნაშავეს ალარ შეხვედრივარ, მაგრამ მადლენა ისტორიებში ყველა რეკორდს ხსნიდა...

ბებია თოკით მიახრჩვეს. ამის შემდეგ, ყველა მათგანმა საქართველოს უშიშროების სამსახურის ოფიცრის მოწმობა იმ გვარზე მიიღო, რომლებიც თვითონ აირჩიეს. ბანდიტების არსენალი ახალი იარაღით შეივსო. ავტომანქანებისა და პისტოლეტების გარდა, შეიარაღდნენ მსროლელი დანებით და უხმაურო პისტოლეტებითაც (დივერსანტების სპეციარაღი), რომელიც ბანდიტებს საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსული საზღვაო ფეხოსანთა ნაწილის ოფიცერმა მიჰყიდა — იმავე წლის დეკემბერში კახეთში ნაგრიალები ბანდა მოსკოვში დაბრუნდა.

ლვოველთა საძმო

იასენოვოში, მადლენას ოფისის მახლობლად, დაფუძნდა ლვოველი კრიმინალების ბაზა, რომლებიც ერთადერთი საქმიანობით — მანქანების გატაცებითა და მათი რეალიზაციით იყო დაკავებული. დრო რომ უქმად სიარულში არ დაეხარჯათ, კიევიდან მოსკოვში რომ ჩამოიყვანდნენ გატაცებულ მანქანას, მოსკოვიდან კიევში ახლა უკვე რუსეთის დედაქალაქში გატაცებული მანქანით ბრუნდებოდნენ. ერთ დღესაც გუშჩინის საყვარელი „ბმვ-750“ გააყოლეს ხელს ლვოველებმა, რამაც ძალიან გააღიზიანა ეს უკანასკნელი. მით უმეტეს, რომ მანქანაში ორმოცდაათი ათასი დოლარიც იდო, რომლის აღება იმ საღამოს დავიწყებოდა ალექსეის. გუშჩინი კრიმინალურ სამყაროში შინაური კაცი იყო, მიდგა-მოდგა და მანქანის გამტაცებლებიც აღმოაჩინა. საქმის გარჩევის შემდეგ ლვოველებმა მანქანის ქურდობა კი აღიარეს, მაგრამ დოლარებისა არაფერი ვიცითო, განაცხადეს და სანაცვლოდ გუშჩინს ავტომანქანა „აუდი-100“ შესთავაზეს. ალექსეის საქმის ასე შემობრუნება არაფრად ეჭაშნიკა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეთანხმებოდა მათ. ლვოველებმა მანქანის დოკუმენტები წინდახედულად, მახლობელი ავტოპროფილაქტიკის მეპატრონის შვილს, გრიგორიევს გაატანეს, რომლის მამა ყველა ღონეს ხმარობდა, ქურდებთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა და ეს უკანასკნელიც ზოგჯერ მისი სახელოსნოთი სარგებლობდნენ კიდეც.

შეხვედრის ადგილზე გრიგორიევის ვაჟი თავის ნაცნობთან ერთად მივიდა. გუშჩინმა და ვერეიკისმა საბუთები გადაათვალიერეს, მერე უმცროს გრიგორიევს რაღაც ჩაარტყეს თავში, მის ძმაკაცს ხელბორკილით მიაბეს და ცემა დაუწყეს. გუშჩინს იმის გაგება უნდოდა, სად მალავდნენ ლვოველები მანქანებს, მაგრამ ბიჭებმა ამდენი ნამდვილად არ იცოდნენ. მათ მხოლოდ ლვოველების საცხოვრებელი ბინის ჩვენება შეეძლოთ. მიაკითხეს მითითებულ ბინას და კარზე გრიგორიევს დაარეკვინეს. კარი გაიღო თუ არა, გუშჩინი, ვერეიკისი, ვესელოვი და მოკინი ბინაში შეცვივდნენ და რამდენიმე წამში ექვსი კაცი სისხლში ცურავდა. მეშვიდე ორმაგად შემინული ფანჯრიდან გადახტა და გადარჩა. გაქცევით უშველა თავს გრიგორიევმაც, რომელიც შემდეგ ჯერ იტალიაში გადაიხვეწა, შემდეგ შვედეთში და დღემდე არავინ იცის, სად ემალება მკვლელებს.

31 დეკემბერს, საღამოს, სინდიკატს მის მიერვე გადაგდებული ერთ-ერთი ფირმის დაქირავებული „ფულის დაბრუნების სპეციალისტები“, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, ავტორიტეტები ეწვივნენ, მადლენასა და მისი ხალხის „შესაშინებლად“, რომლებიც სინდიკატის წევრებმა საახალწლო სუფრასთან დახოცეს, თავები დააჭრეს, სისხლიანი ხელები დაიბანეს და ახალი წელი მიულოცეს ერთმანეთს.

კოკა უნდა გატეხილიყო, მაგრამ...

ბათუ საღინაძე იმხანად სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო (აფხაზეთიდან დევნილი ცნობილი მაძებარი). იმ ხანებში კახეთში შვილი მოუკლეს ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ კაცს, არსენ კობაიძეს. შევარდნაძეს უთქვამს, ეს საქმე საღინაძეს დაავალეთ და დამხმარეებადაც გამოცდილი ხალხი მიეცითო.

— იმ დღეს პირველად ჩავედი კახეთში. აქაურ აგენტურას არ ვიცნობდი და ამიტომ საქმე ნულიდან უნდა დამეწყო. ინტიბარი არ გავიტეხე და პოლიციის განყოფილებებში აფხაზეთიდან ლტოლვილი კრიმინალების ძებნას შევუდექი. მართლაც, მეზობელ რაიონებში სხვადასხვა დანაშაულზე დაკავებული ჰყოლიათ რამდენიმე ლტოლვილი, ჩემი ძველი „ნაცნობები“ გამოდგნენ. გაიკითხ-გამოიკითხეს და მითხრეს, ეგ საქმე რუსთაველების ნახელავიაო. რამდენიმე დღის შემდეგ მკვლელების ვინაობაც ვიცოდი. მაგრამ კიდევ ცოტა მჭირდებოდა სამხილების მოსაპოვებლად. ამასობაში ჩემებურებმა მითხრეს, კახეთი ვინმე მადლენას აქვს აღებულიო და იმდენი რამ მიამბეს, თმა ყალყზე დამიდგა. რა კატეგორიის დამნაშავეს აღარ შევხვედრივარ, მაგრამ ნაამბობი ისტორიები ყველა კრიმინალურ რეკორდს ხსნიდა.

იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი კვირაია იყო. კობაიძის საქმის მოსმენაზე მასთან გამომიძახეს და მეც მოვახსენე — მკვლელების ვინაობა უკვე დადგენილია და რამდენიმე დღეში მათ დაკავებასაც მოვახერხებ-მეთქი. კარგია, — მითხრა კვირაიამ, — ეს მკვლელობა კი არა, ტერაქტია და ამ საქმის გახსნით პრეზიდენტს ძალიან ვასიამოვნებთო. ამას კი არა, სხვა ტერაქტებსაც მალე გავხსნით, ოღონდ ცოტა ხანს მაცალეთ, ჯერ ის მხედრიონელი ქალი გავქაჩო-მეთქი. ამის თქმა იყო და კვირაიას ფერი ეცვალა — კარგი, კარგიო — მითხრა და მეორე დღესვე სამეგრელოში გამიშვა მორიგი მკვლელობის გახსნის მიზნით. მაგრამ მადლენას ბანდაზე ფიქრი არ მასვენებდა და თბილისში დაბრუნებულმა მათ მიერ დახოცილი მაქაცარიების დედის განცხადება ჩავიგდე ხელთ. კვირაიას ორჭოფობა იმთავითვე საეჭვოდ მეჩვენა და მის მოადგილესთან, დემურ მიქაძესთან შევიტანე ის განცხადება. მისგანვე მივიღე დავალება მადლენას დანაშაულებრივი სინდიკატის წინააღმდეგ მოქმედებისა. სხვათა შორის, მიქაძე იყო ის ერთადერთი კაცი, რომელიც ამ საქმეში თანამიგრძნობდა. დანარჩენების ქმედება მარტო ხელის შეშლით რომ ამოწურულიყო, მადლობელი ვიქნებოდი, თუმცა ამაზე ქვემოთ.

მოკვლევის პროცესში დავადგინე, რომ ამ გაქნილ ქალს მთლიანად მოსყიდული ჰყავდა რუსეთის ძალოვნები. მოსკოვში ჰქონდა რამდენიმე ფეშენებელური ბინა, აგარაკი, ოფისი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. მის ხელქვეითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის რეფერენტებისა და პასუხისმგებელი მუშაკების მოწმობები ეწყოთ ჯიბეებში. ჰქონდათ იარაღის ტარების უფლებაც და სხვ... ასეთ საქმეს შემთხვევით ხალხს ვერ ვანდობდი და ჩემი ვაჟის მეგობარს, მანამდე ოჩამჩირის პოლიციის უფროსს გია გოგოლაშვილსა და სამძებრო საქმის ფანატიკოსს, ისკრა მოროხიას გავუფორმე მოსკოვის მივლინებები. მათივე ხელით მოსკოვს დიდი საორიენტაციო წერილი ვაახლე მადლენას ბანდის საქმეების შესახებ. ჩემი ბიჭები მოსკოველი სამართალდამცველების ჯგუფში გაერთიანდნენ და მეც ახალ ინფორმაციებს დაველოდე. მალე შემატყობინეს, რომ მადლენასთან აფხაზეთის მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელი, რამდენჯერმე ნასამართლევი დათო შონია ჩასულა და უთქვამს, საღინაძემ ორმოცდაათი ათასი დოლარი აიღო შენს მოკვლაში და ამ საქმის შესასრულებლად გოგოლაშვილი მოავლინაო მოსკოვს. ასეთი რამ გულშიც არ გამივლია — ეს შეთხზული, მიზანდასახული პროვოკაცია იყო. ბუნებრივია, მადლენა ჩემს გასაღებას შეეცდებოდა. საიდან უნდა სცოდნოდა შონიას, რომ ამ საქმეზე ვმუშაობდი. მოგვიანებით, 1995 წლის ნოემბერში, როცა დათო შონია დააკავა თბილისის პოლიციამ, ნარკოტიკებით გაბრუებულმა კამერაში განაცხადა — თუ დღეს პატიმრობის სანქციას დამადებენ, რამდენიმე დღეში გია ჭანტურია და ირინა სარიშვილი დაიბრიდებიანო.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

რა ხდება საქართველოში, აქ ჭურში ვზივართ და არაფერი გვესმის...

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას სახტად დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, რომ თითქმის შეუძლებელი იყო ქართულ ენაზე ტელე, რადიო ან საგაზეთო ინფორმაციის მიღება. როგორც იქაურმა ქართველობამ მითხრა, საქართველოს ხელისუფლება და შესაბამისად ორგანიზაციები საპრეზიდენტო არჩევნების დროს მოსახლეობას დაჰპირებიან — ზამთარი რომ გაივლის, გაზაფხულზე ქართულ რადიოსაც მოისმენთ და ტელეარხებსაც უყურებთო. სამწუხაროდ, დიდი ხანია, მსგავსი დაპირებებისა აღარ მჯერა, მაგრამ თავი მაინც დავიმედე მესხებთან ერთად, თუმცა, ამაოდ. აგერ, ახლახან თეთრიწყაროდან ჩამოსულმა ახლობლებმა შემომჩივლეს — რა უბედურებაა, შენს მიწა-წყალზე, აგერ ყურის ძირში შენს რადიოს რომ ვერ მოუსმენ, სხვა საინფორმაციო საშუალებების არარსებობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რა სახელმწიფოებრიობაზეა საუბარიო... გულმა რჩხი მიყო. მაშინვე ერთ-ერთ წალკელ ქართველს დავუკავშირდი. მკითხა, — რა ხდება ქვეყანაზე, ჭურში ვზივართ და არაფერი გვესმისო. რას ამბობ, არ შეასრულა ხელისუფლებამ დანაპირები-მეთქი? რა დანაპირები, გზა ვერ გაუკეთებიათ და რადიო-ტელევიზიას ვინ გვაღიარსებსო. მოკლედ, იქ, სადაც ქართული რადიომაუწყებლობა ვერ ვრცელდება და მხოლოდ უცხოური, აღმოსავლური ქვეყნების რადიოტალღები „დანავარდობს“, მოსახლეობა თურმე ქართულ ენაზე ძირითადად ანტიქართულ და ანტიმართლმადიდებლურ გადაცემებს ისმენს. ამ ინფორმაციით ნირწამხდარი საქართველოს მთავარი რადიოს გენერალურ დირექტორს **ვახტანგ ნანიტაშვილს** *დავუკავშირდი.*

— ბატონო ვახტანგ, გსმენიათ რამე საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში უცხოური რადიოარხებით გადაცემული ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური გადაცემების შესახებ?

— სამწუხაროდ, მსმენია... მუსლიმანური ქვეყნები — ირანი და სხვები, აქტიურად მიმართავენ ქართულენოვან გადაცემებს, რომელშიც საკუთარ ინტერესებს დებენ. საგანგაშოა, როცა უცხო ქვეყანა თავისი სამაუწყებლო საშუალებებით აქტიურად მუშაობს ეროვნულ ცნობიერებაზე. ინფორმაციულ ომში გასამარჯვებლად აუცილებელია შენი სეგმენტი გქონდეს, გისმენდეს და შენი სჯეროდეს მსმენელს.

— რა კეთდება მერე ამ სეგმენტის არსებობისთვის?

— სხვადასხვა დაპირებაზე ვერაფერს გეტყვით. ერთი ვიცი, ამბროლაურის რაიონში იოლად გადაიჭრა პრობლემა. იქაურმა დეპუტატმა ნიკო ლეკიშვილმა იყიდა რადიოგადამცემი და ხალხი უსმენს ჩვენს რადიოს. ზემო იმერეთიდან და სამცხე-ჯავახეთიდანაც მოგვივიდა წერილები, ერთგან მთელი სოფელი აწერს ხელს, ყანაში რომ მივდიოდით, იქაც რადიო მიგვქონდა და ქვეყანაში რა ხდებოდა, ყველაფერს ოპერატიულად ვიგებდით. ახლა კი ომი რომ დაიწყოს, იმასაც ვერ გავიგებთო. საქართველოს მთავარ რადიოს უამრავი გაჭირვებული ადამიანი უსმენს და როცა მათ ინფორმაციის ამ საშუალებასაც უსპობ, სასოწარკვეთილებაში ვარდება. უნდა შემუშავდეს პროექტი და საზღვრისპირა რეგიონებში მაინც უნდა ისმოდეს ჩვენი რადიოს ხმა.

— რომელიც თურმე ისმის აფხაზეთში...

— ხუმრობით ვამბობ ხოლმე, რომ აფხაზეთში, ერთადერთს, საქართველოს რადიოს არ დაუკარგავს იურისდიქცია. ზუგდიდში არსებული გადამცემით (თუ ელენერგიის პრობლემა არ არის) ინფორმაცია სოჭამდე ვრცელდება, სამაჩაბლოში კიდევ უკეთ არის საქმე, გორის რადიოგადამცემი ასევე ელექტროენერგიის მუდმივი მიწოდების შემთხვევაში მთლიანად ფარავს ცხინვალის რაიონის ზონას. ძალიან გვიჭირს კახეთში. პანკისში დაუდგამთ ახლა გადამცემი, მაგრამ არ ვიცი, რა მდგომარეობაა. ყოველდღე ვიღებ ცნობებს საქართველოს რადიომაუწყებლობის შესახებ — სად რა დარღვევაა, მაგრამ ამას ჰქვია, წერე და იკითხე, პრობლემა ისევ პრობლემად რჩება.

— მსმენელი, ძირითადად, რა სახის გადაცემებს ითხოვს?

— გამოკითხულთაგან 72%-ს ინფორმაცია აინტერესებს. ეს განუვითარებელი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. ღმერთმა მშვიდობა ქნას ჩვენი რადიოტალღები აქტიურად გავრცელდეს და, დროის შესაბამისად, მომენტალურად გარდავიქმნებით და მსმენელის მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ.

სასიამოვნოა, თუ რამე კარგის მოსმენის და ნახვის საშუალება გვექნება და უფრო სასიამოვნო იქნება, თუ ყველა ქართველს მიეცემა ამის საშუალება. ბატონ ვახტანგთან საუბრის ბოლოს დავპირე აღმასრულებელი ხელისუფლებიდანაც მომესმინა დაპირებები, მაგრამ გადავიფიქრე, ვინ იცის, იქნებ უკვე მართლა აპირებენ იმის შესრულებას, რასაც დღემდე დაგვპირდნენ. ცოტაც კიდევ ვაცალოთ „საქმემან, საქმემან გამოაჩინოს“.

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი და კოლეჯი

- ✓ მათთვის, ვისაც გსურთ დაეუფლოთ მომავლის პროფესიას!
- ✓ საბოლოოდ გადაჭრათ ნებისმიერ ქვეყანაში თქვენი დასაქმების პრობლემა!
- ✓ და საერთად, იყოთ ყველგან სასურველი და საჭირო პიროვნება!

გადადგით გონივრული ნაბიჯი – ეზიარეთ XXI საუკუნის ყველაზე პოპულარულ პროფესიებს:

1. პროგრამირება; 2. ბიზნეს-ინფორმაციის მართვის სისტემები; 3. უცხო ენები.

ინსტიტუტთან არსებული კურსები:

- *პროგრამირების შემსწავლელი* 10 თვიანი ინტენსიური სწავლებით; წამყვანი პროგრამისტები შეგასწავლიან – Visual Basic, Delphi; C; C++; SQL; Java; JavaScript; Web-დიზაინი;
- *ინგლისური ენის შემსწავლელი* ინტენსიური კურსი. ოქსფორდის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით (6 თვე).
- მიიღებიან მსმენელები *საოფისე, დამკაბადონებლის, დიზაინერის და აწყობა-მოდერნიზაციის სპეციალობებზე.*

საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7. ცეკავშირის შენობა, V სართული, №544. ტელეფონი: 999911, (756073) E-mail: kiber@www.com

სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია

ბილიარდის მაგიდები

რესულა ჰირაძული, ბელი, სნუკერი

აქსესუარები

Zeus ზეუსი

1000 მეტი დასახელება ბილიარდის

☎ 95-88-46; 95-57-75

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2

ამეძავი, ბოზი, თავი უხერხულად ხომ არ იგრძენით სათაურში გამოყენებული უხამსი სიტყვის გამო? ისე, თავის სამშობლოში ეს სიტყვა სულაც არ არის უხამსი და სპარსულ ენაზე იგი ძალიან ლამაზის, მიმზიდველის აღმნიშვნელია. უსჯულო დამპყრობლები თურმე სწორედ ამ სიტყვით ამკობდნენ ქართველ მზეთუნახავებს. მტრის მიმართ ზიზღმა და სხვა ფაქტორებმა კი თავისი გაიტანა და უკვე სულხან-საბას ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ ქართულში დამკვიდრებული ეს სიტყვა უხამსია და იგი მეძავს, მრუშს ნიშნავს.

თუ სტატიით დაინტერესდით და ბოლომდე ჩაიკითხეთ, მსგავსი სიტყვების გამო, გთხოვთ, არ დამძრახოთ, რადგან ყველაფერს თავისი სახელი უნდა ეწოდოს. ამ წერილის დაწერა კი მაიძულა ერთ-ერთი ქართული რადიოს მიერ შუაღამის ეთერში გასულმა სკანდალურმა გადაცემამ, რომლის თემაც „მეძავი მამაკაცი, ანუ ბიჭი გამოძახებით“ იყო. რამდენიმე უკმაყოფილო მსმენელი დაჟინებით უმტკიცებდა (მამაკაცები) გადაცემის წამყვანს, რომ მსგავსი სამსახური საქართველოში ვერასოდეს იარსებებს. ალბათ მდუღარე წყლის გადასხმის ეფექტს მოახდენდა მათი სატელეფონო ზარების შემდეგ რადიოეთერში თავად „მეძავი“ მამაკაცებისგან გაკეთებული განცხადებები, რომლითაც მათ პირდაპირ ეთერში ხმამაღლა, დაუფარავად აცნობეს მანდილოსნებს თავიანთი ტელეფონის ნომრები...

ჟურნალისტურმა და გნებავთ ქალურმა ცნობისმოყვარეობამ მოსვენება არ მომცა და როცა ისინი, ალბათ, მოუთმენლად ელოდნენ კლიენტს, ყურმილი ავიღე და დავურეკე. თქვენ წარმოიდგინეთ, შეხვედრაზეც დავიყოლიე და გულახდილადაც ვისაუბრეთ. ეს ბიჭები თურმე ინდივიდუალურად, სპონტანურად ეწევიან ამ „მძიმე“ სამსახურს და, „საუბედუროდ“, არა ჰყავთ საქმის კოორდინატორი — „მამაშა“, „პაპაშა“ თუ ჯანდაბა, რა ვიცი, რა დავარქვა.

„ეკონომიურად ძალიან მიჭირს და მე და ჩემს ცოლ-შვილს სხვა გზა არა გვაქვს“ — საშუალო სიმაღლის, სიმპათიური, შავგვრემანი, ცოტა გემოვნებით და ინტელექტით უნდა



„ჩვენშიც ბლომად არიან მეძავი ბიჭები“

მოიკოჭლებდეს. ამ საქმეში ახალბედა სულ რამდენჯერმე ყოფილა გამოძახებაზე. ჩემდა გასაკვირად, იმდენად გულუბრყვილო აღმოჩნდა, რომ ვერც კი მიხვდა, რატომ ვაძლევდი „არაკლიენტურ“ კითხვებს. თავის დუხჭირ ცხოვრებაზე რომ მომითხრო, ვკითხე, სხვა საქმე რომ აკეთო არ გირჩევნია-მეთქი? შეგიძლია დამეხმაროო? ისე გულუბრყვილოდ მკითხა, სურვილი გამიჩნდა, სერგი გვარჯალაძეს დავკავშირებოდი თხოვნით — არიქა, ამ ბიჭს სამსახური ვუშოვოთ და გადავარჩინოთ-მეთქი. ხუმრობა იქით იყოს და აი, რა მიამბო კახამ: (სახელების შეცვლას აზრი არა აქვს, ამიტომაც რაც ჰქვიათ, ისე მოვიხსენიებ) — 25 წლის ვარ, მეუღლე და ორი შვილი მყავს. გაჭირვების გამო რაიონიდან ჩამოვედი, აქაც ვერ მოვეწყე. ერთ დღეს ახალშეძენილმა მეგობარმა თავისი საიდუმლო გამომიხილა — ვმეძაობო. ჯერ სასაცილოდ არ მეყო, მეგონა, ხუმრობდა. მერე კი მითხრა, დღეს თავს კარგად ვერ ვგრძნობ და შეიძლება „ჩავარდე“, ასე კი მუდმივ კლიენტს დავკარგავ. მოდი, შენ წადი ჩემ მაგივრად, საქმეს მოვაკვარახჭინებ და მიღებული თანხიდან 10% გადამიხადეო (ცოცხალი თავით არ გამიმხილა მომსახურების ფასი — ე.ლ.). დიდი ხნის ფიქრის მერე დავთანხმდი, „არა უშავდა ქალი“ იყო. მუსუსი არასოდეს ვყოფილვარ. ვინც მიყვარდა, ცოლადაც ის მოვიყვანე და მისი ღალატი იმ წუთამდე გულშიც არ გამივლია. თუმცა, დღეს უკვე მე და ჩემი ცოლი ერთ აზრზე ვართ, რომ ეს სულაც არ არის ღალატი. გვიჭირს და მე ჩემს სხეულს ისევე ვიყენებ, როგორც ზოგიერთი ქალი. ცოლის თანხმობამ უფრო გამათამამა. სულაც არ ეჭვიანობს. ან კი რაზე უნდა ეჭვიანოს, მისთვის და ბავშვებისთვის ვაკეთებ ყველაფერს“. რახან ინტერვიუზე მოგაცდინე, ალბათ, რაღაც მეც უნდა გადაგიხადოთ-მეთქი. რას ამბობთო — ჯენტლმენურად იუარა და სიამოვნებით დავემშვიდობე.

„15 წელია ამ საქმეს მივდევ, ყველაფერი ერთმა ჩემმა დაქალმა გამიჩალიჩა. ხუმრობით მის ერთ ახლობელ, ასაკოვან მანდილოსანს უთქვამს ჩემზე — ნეტავ რამდენად იყიდებაო. ლენამაც მითხრა, თუ გაიყიდები, გიყიდიანო. გავქირავდები-მეთქი, ვუპასუხე და გავქირავდი, იქიდან დაიწყო და უკვე 15 წელი გავიდა. ქალები ერთმანეთს აძლევენ ჩემი ტელეფონის ნომერს. ყველაფერი კონსპირაციულად ხდება. ჩემი კლიენტები ქართველი შეძლებული მამაკაცების ცოლები, ქვრივები ან სულაც ვითომ „შინაბერები“ არიან. ყოფილა შემთხვევა, ძალიან ლამაზ ქალთან უფასოდ მივსულვარ“.

— გრძნობა თუ გაქვთ საერთოდ?

— გრძნობაც მაქვს, ცოლიც მყავს, შვილიც და შვილიშვილებიც. და საერთოდ ძალიან ერთგული კაცი ვარ. ჩემი პროფესიაც მაგრად მომწონს. რა მენაღვლება, არაფერზე ზრუნვა არ მიწევს, ყველანაირ კომფორტზე დამკვეთი ზრუნავს. მე კი გასამრჯელოს მიხდიან და ქალის დაფეხმძიმების შიშიც არ მიხეთქავს გულს (იცინის)...

რატომღაც წარმოვიდგინე, ამ მეტისმეტად სიმპათიური და რაფინირებული 42 წლის „მეძავი“ მამაკაცის ცოლი თავადაც როგორ სარგებლობს მსგავსი სამსახურით, ანუ როგორ დადიან ცოლები „ბოზებში“ და მერე მათი ქმრები როგორ წეწავენ ქუჩაში „მეძავ ბიჭუნებს“ „წივილ-კივილით“ — უჰ, შე ასეთო და ისეთო, ოჯახს როგორ მინგრევო (ვხუმრობ, თუმცა, სატირლად კი გვაქვს მგონი საქმე)...

— თუ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებს და გნებავთ სამედიცინო დასკვნებს ვირწმუნებთ, თქვენს მდგომარეობაში კაზანოვას შესაძლებლობებია საჭირო. ყველა მოთხოვნას უსრულებთ ქალებს?

— თქვენ რა გგონიათ, ორიგინალური მოთხოვნები აქვთ? სრულებითაც არა, ისინი ჩვეულებრივი ქართულად აღზრდილი ქალები არიან, რომლებიც ჩუმად იკმაყოფილებენ მათსავით მოკრძალებულ ბუნებრივ მოთხოვნილებებს.

— თქვენივე პროფესიის კაცებს თუ იცნობთ და რა დამოკიდებულება გაქვთ მათთან?

— ისინი ჩემი მეგობრები არიან. არანაირი კონკურენციის გრძნობა არა გვაქვს, პირიქით, ერთმანეთს ხშირად ვცვლით ხოლმე. ჩვენში ბლომად არიან ბოზი ბიჭები და ვიღაც-ვიღაცებს რომ ჰგონიათ, ეს სამსახური ვერ იარსებებს საქართველოშიო, ძალიან ცდებიან. „ბიჭი გამოძახებით“ დიდი ხანია არსებობს და ამ გზას სიამოვნებით დაადგება ბევრი თანამდებობის პირიც კი. რამდენიმე მათგანი ჩემი მეგობარია და ვიცი, სკანდალის რომ არ ეშინოდეთ, ამ პროფესიით იმსახურებდნენ შეთავსებით, თანაც უფასოდ. ოღონდ, ეგენი ქალების შერჩევას დაიწყებენ, ვიცი...

მოკლედ, აქ ვწყვეტ დიალოგს „მეძავ ბიჭებთან“ და ყოველგვარი კომენტარისა და დასკვნის ნაცვლად, სტატიას ცხონებული ბებიაჩემის სიტყვებით დავამთავრებ: „ქალი რო გაბოზდა ბებია, მაშინ დეიქცა ქვეყანა და მეორედ მოსვლა დეიწყო, მარა, კაცმაც რო დეიწყო ბოზობა, მაშინ ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცა, არაა ეს კაი საქმე და ის დალოცვილი ღმერთი ერთ მშვენიერ დღეს აღარ მოითმენს...“ ბებია დაკვირვებული ქალი იყო, ეტყობა, მამაკაცების გამეძავების ტენდენცია დიდი ხნის წინ დაიწყო, თორემ ტყუილად არ იტყოდა ამას. ღმერთის მოთმინებასაც რომ აქვს საზღვარი, ესეც ყველამ კარგად ვიცით ბიბლიიდან, მაგრამ რად გინდა, რაც უფრო გადის დრო, მით უფრო ნაკლებად წინდახედულნი ვხდებით.

გვერდი მოამზადა
ეკა ლომიძემ

მგზავრული მგზავრული, ანუ „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში-2“

რაჭა ჩემი მამულეთია, ჩემი დაუსრულებელი მონატრება და მარადიული სიყვარული, ჩემი რაჭველები კი ზოგჯერ არამიწიერი არსებებიც მგონია თავიანთი სიკეთით, სითბოთი და გულუბრყვილობით, რომლითაც ღრმა მოხუცებულობაშიც კი ბავშვებს ჰგვანან — სუფთა გულით, სულით და გრძნობებით.

ქუთაისიდან ჩემს სოფლამდე ასი კილომეტრია. ეს გზა „პაზის“ ტიპის ავტობუსისთვის, რომელსაც საცაა საუკუნე შეუსრულდება, თანაც იმ გზებზე, რომელსაც საუკუნეზე მეტია სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებია, დაახლოებით სამ-ნახევარი-ოთხი საათის სავალია. ავტობუსს გზას ტომრების სიმძიმეც უგრძელებს — სალონის უკანა ნაწილში მთაა წამომართული, ზოგი ფქვილს იმარაგებს, ზოგიც შაქარს — გასაწყალებლად განწირული ღვინისთვის...

— ეგაა, შალიკუნა, შვილებს რო იფიცებ, ნატურალურ ხვანჭკარას ვამზადებო?! — შენიშვნას იძლევა მეწისქვილესავით ფქვილში ამოგანგლული დევივით კაცი.

— ნატური ხვანჭკარა, ბოშო, ჭურს ხეთქავს და კაცს ქვე რას უზამს?! — გლახისთვის რავა გევიმეტება ჩვენს მთავრობას და მათ ძვირფას სტუმრებს...

— რესტორნისთვის გინდა ეგ ღვინო?

— აბა, პატიოსან კაცს რავა ვაკადრებ შაქრიან ღვინოს?!

— ვინ თქვა მერე, რესტორანში მარტო უნამუსოები დადიანო?

— შენ როდის იყავი ბოლოს რესტორანში? — კითხვას უბრუნებს შალიკუნა „გლახათ შეჩენილ“ ნაცნობს.

— მე სულ არ ვარ ნამყოფი, დაპაიჯებით ქვე არავინ დამპაიჯა და ჩემი ჯიბის პატრონს რესტორანში კი არა, სახლშიც არ მიშობს ჩემი ქალუკა...

— შენი ბიძაშვილი დოუჭერიათ, რაჟიკო! — ახლა უკანა მხრიდან მესმის კაცის თანაგრძნობით სავსე ხმა, — მართლა ცოლი მოკლა?

— მოკლა, ხო, ბრიგა სანადირო თოფი და გააგორა...

— უჰ, რას ამბობ, კაცო, რავა მოუვიდა...

— ჩვენ ის უფრო გვიკვირს, აპა, ამდენ ხანს რომ არ მოკლა. ნამეტანი გლახა გამოდგა, ენა იყო ცარიელი, იმერეთში კაი სხვა რაა, ქვე ქალუკა რომ გამომდგარიყო, აქედან ჩამოათრია!..

— ე, ბიჯო, ქუთაისში ვართ ჯერ, დაგავიწყდა?! — არ გეიგონ იმერლებმა, თვარა!.. — ჩაერთო მესამე.

— მეორე ქალუკას თუ გაგვატანენ, არ ვიცი, და ისე მე მაგენის არ მეშინია, ჭიანები არიან, სირისტიანები! ვბრიგამ ტყვიას და გავაგორებ ას კაცს ერთად...

— თუ ძმა ხარ, ნუ გვემუქრები და მიხედე მაგ ტომრებს, დაგვახრჩო ფქვილის მტვერმა! — დაიღრინა აშკარად ქალაქელმა „პეწენიკამ“...

— ლობიანიც გახრჩობს, ქვე შენი ჭირიმე, ცხელი ლობიანი, თონიდან ამოგდებული ხელდახელ?! — აიფოფრა დათვის „ბიძაშვილი“ და ისევ ნაცნობმა სცადა მისი ყურადღების მოდუნება.

— ნანობს ალბათ გივინიკა ცოლის მოკვლას, რა დროს მისი ციხეში წასვლა იყო?!

— ნანობს, მარა რას, თუ იცი?! — რატო უფრო ადრე არ მოვკალი, ახლა კაი ხნის გამოსული ვიქნებოდიო...

ავტობუსში, თუმცა თავშეკავებულად, მაგრამ მაინც გაეცინათ. ამასობაში, სალონში მძღოლმა შემოიხედა და ახლა მას წამოესივნენ: „ნუ ამოგვხუთე, რეზიკუნა, ამ აქოთებულ ავტობუსში, წაი აწი, ცოლი გელოდება რაჭაში და გიდარდებს...“

— ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ გაივსება ავტობუსი, ჰაერის ადგილიც არ უნდა დარჩეს სადმე!

— დაიღრინა რეზიკუნამ და უკმაყოფილოდ გაიხედა გვერდზე: — ბედი რომ მქონოდა, თბილისი-ბათუმის ხაზს დამიტოვებდა მამაჩემიო!..

... მალე სალონში მართლა ჰაერის ადგილიც არ დარჩა და ბატონმა რეზომ იკადრა თავისი ადგილის დაჭერა. დავიძარით და ჭომის დანგრეულ გზას ხვნეშა-ქოთქოთით გაუყვა ავტობუსი. ათ წუთში სამჯერ გააჩერა და მგზავრები შემოიმატა მძღოლმა. მეოთხედ რომ დააპირა გაჩერება, შეწუხებულმა მგზავრმა იყვირა ბოლოში — ორი კაცი და ოთხი ტომარა გადავარდა, აზრი არა აქვს წინიდან წიხლის მოჭერასო!..

— გადაგყრით მე თქვენ რონში!.. — „დაგვიყვავა“ მძღოლმა და მაინც შემოიმატა ახალგაზრდა ქალი.

— მუხლზე დეისვი, რეზო, მუხლზე! — ურჩია ვიღაცამ.

— თუ ჩაგიგდე ხელში, გაგხეთქავ ნარტყამი! — დაიმუქრა რეზო და როცა დარწმუნდა, სალონში ერთმანეთზე მიკრული ხალხს მართლა სული სძვრებოდა უჰაერობით, შვებით ამოისუნთქა...

ხტუნვა-ხტუნვით მოჯაყჯაყე ავტობუსმა ლამის სკამებიდან გადმოგყარა და რეპლიკამაც არ დააყოვნა: „რავა ცხენზე შემჯდარი მაყრებივით მიგვაჭენებს ეს ოჯახქორი!“

... ფქვილის მტვერმაც იმატა და ცემინებასაც უმატა „ავტობუსმა“: — იცოცხლე, გენაცვალე, შევარდნაძესავით გამოეკერე ცას და დედამიწას!.. ხეირი!.. სამსახური!.. პენსია!.. ხვავი და ბარაქა!.. პარლამენტში მენახე!.. ნავთს და ბენზინს ამოეხეთქოს შენს ეზოში!..

— ისმოდა აქეთ-იქიდან.

ბოლო „დალოცვა“ კატეგორიულად გააპროტესტა ზანგივით შავმა და თმახუჭუჭა რაჭველმა: „აჰ, მაგი არ მითხრა, ნავთი და ბენზინი უნდა ჩემს დამწვარ ოჯახს?! ერთი ღერი სპიჩკა მაქვს სახლში და ისიც თავისით იფეთქებს, იმისთანა ბედი მაქვს მე!..“

— რამდენი გოგო გყავს ახლა, შენ, ზურიკუნა?

— რვა!..

— აუ-უჰ, რავა მართლა ნავთმისხმულივით დაღუპულხარ და ამოვარდნილხარ, შე კაცო... ყველა შენ გგავს?

— ისღა მაკლია, მეზობლებს ჰგავდნენ! — თავად დასცინა ზურიკუნამ თავის უბედურებას.

— 8 შენისთანას ვინ გაასაღებს, აბა?! — გაკვირვებული სახით იკითხა შეწუხებულმა ჩია კაცმა.

— შენი მანანიკა მეიტაცეს, მარტორქას რომ უგავდა ცხვირი და ჩემებს რა ჭირი ეტაკებათ ვითომ?!

— ა, უყურე ახლა ამ მამაძაღლს!.. ბიჭო, შე გაფუჭებულო, ჩემი მანანიკა არ იყო, მაგ შენს ცოლს რომ უფასოდ დააყრევინა ი გოგუნეები?!

— არ იყო კაი ექიმი და მიტო დეიბადა რვა გოგო, მაგის უცოდინარობამ დამღუპა! — არ შეეპუა ზურიკუნა და ავტობუსში ახალი ძალით იფეთქა სიცილმა.

ას წელს მიღწეულმა მოხუცმა ვერ მოითმინა და მის წინ მდგომ გოგონას, რომელსაც ზურგი მოეშიშვლებინა და მუცელსაც ვერ უფარავდა მოკლე ტოპი, ხათრიანად მიმართა: „ჩემი ბაბუა, კაი გოგო, ისე რავა გაგვიანდებოდა, ბოშო, ჩაცმა დაგვიწყებია, მეიფარე რამე, თვარა დამიელამდა ე ბუღასავით ბაღანა!“ — თხუთმეტიოდე წლის ბიჭს თვალზე ააფარა ხელი.

— თქვენი საქმე არაა! — შეუღრინა გოგომ.

— ჩემი საქმე რომ აღარაა, მეც ქვე ვიცი, შვილიშვილი მეცოდება, ამოხტა ბიჭი შარვლიდან!..

... გაწითლებულმა გოგომ ადგილი მოინაცვლა.

— არ შეგვჭამეს ამ ბებრებმა! — ჩაისისინა ღურჯად თვალშეღებილმა ახალგაზრდა ქალმა.

— მიწამ შეჭამა თქვენი დამაწყევარი, ბაბუ, რა გაწყენინე?! — გაეპასუხა მოხუცი.

— ეს გოგო ჩემი შვილია და შეურაცხყოფას ნუ გვაყენებთ! — ხელი მოხვია ქალმა თავის „შიშველ სიამაყეს“...

— მე რა შეურაცხყოფის მოყენების თავი მაქვს, მარა სხვებმა ეს შიშველი ბაღანა წარმომიდგენია, რაფრა აკოტრიალა გუნებაში... ნუ ხვევ და უჭერ ხელს მასთე მაგრა ამ სიცხეში, მაგის წამრთმევი რაჭაში არაა, დამიჯერე! — არ შეარჩინა კაპას ქალს ალფესა ბაბუამ და იქვე გააგრძელა: — გიანიკას რომ ცოლი გეექცა თურქეთში და გაბოზდა, გეიგებდით ალბათ!..

— არ გადამრიო, რომელ გიანიკას?

— ვალიკუნას უფროს ბიჭს, ინჟინერი რომ იყო თბილისში...

— რას შობა მერე, ის უბედური?

— გოუყარა თავი ბაწარში, მარა, დამპალი გამოდგა, კაი რაა ჩვენი მთავრობის ნაკეთები!.. ჰოდა, ბრიგა თავი ქვას და მას მერე... იცინის!.. ზოგმა თქვა, მეიგონა სიგიჟეო... შეიძლება, ასეცაა, თვარა, თავმოყვარე ბიჭი იყო და ვერ იცოცხლებდა ისთე თავს...

— ჟენიუკას ნათელუკაც თურქეთშია, ხო?

— მაგას ამერიკამდე ჩოუღწევია უკვე და ქვეც გათხოვილა ვიღაც მდიდარ ებრაელზე...

— მიაგნო, ხო, მაგას აქაც ონელი ებრაელი ჰყავდა საყვარლად, ნამეტნავი უყვარდა!

... პირველი მგზავრი ალპანაში ჩავიდა... ამის შემდეგ სულ უფრო და უფრო ხშირად დაიწყო გაჩერება მძღოლმა და ტომრებისგან შემსუბუქებულმა ავტობუსმა სიჩქარეს ისე უმატა, ალფესას შიში გაუჩნდა: „რავა იმერელივით აცქმუტდი, რეზიკუნა, დოუკელი სიჩქარეს, არ აფრინდეს ეს შენი „დრანდულეტი“, ფრენას ვერ გოუძლებს ჩემი გული!..“

— ორ საათზე უკან უნდა წამოვსულიყავი ამბროლაურიდან, ახლა რომელია თუ იცი?!

— ექვსი! — ვუპასუხე მე.

— მერე?! — ისეთი სახით გადმოგვხედა მძღოლმა, ნამდვილად მგზავრებს დაგვაბრალა დაგვიანება.

— რო დაასვი ფეხი ქუთეისის სადგურში, სანამ თავისით არ დაგორდა ავტობუსი, რა გეგონა, აპა?.. — შეუღრინა შალიკუნამ.

— ხვალ წადი ქუთეისში, რეზიკუნა, ამაღამ დეისვენე! — ვიღაცას შეეცოდა მძღოლი.

— მე რომ ამაღამ ფეხი ფეხზე შემოვიდო და ფატმიკას ჩევეხუტო, ჩემს რეისში როლანდიკა ჩაჯდება და შენ არჩენ მერე ჩემს პირდაბჩენილ მუტრუკებს თბილისში?!

... ლაპარაკში გართული ღამის გავცდი ჩემს სოფელს და გვიან ვთხოვე გაჩერება, სიჩქარეაღებულმა ავტობუსმა რომ დაამუხრუჭა — ალფესა ბაბუას ის შიშველი ბავშვი კალთაში ჩაუჯდა ინერციით..

უკვე ჩამოსულს მომესმა ალფესას „პროტესტი“: — მომაშორეთ ეს ღლაპი, გულის წნევა 200-ს უხახუნებს, 17 წლის კი აღარ ვარო!..

ავტობუსს თვალი გავაყოლე და როცა გვერდზე გადაქანებულმის კორპუსს დავაკვირდი, ღმერთს მადლობა შევწირე, რომ მშვიდობით ჩამოვედი. ამ დროს კი მეზობლების სიხარულნარევმა ყიჟინამ მომახედა უკან: „ვაიმე, ბოშო, ეს ვინ ჩამოსულა, ადექით, ქალებო, შევეგებოთ!“ უნებურად მოვიხედე, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, ჩემ უკან ქვეყნის პრეზიდენტი თუ არა, მისი რომელიმე მინისტრი მაინც იდგა საჩუქრებით ხელდამშვენებული...

რაჭველები კი, ჩემი სიკეთით და სიყვარულით სავსე რაჭველები, მიღიმოდნენ და ისე მეფერებოდნენ, არც პრეზიდენტში და არც ქვეყნის მილიონებში არ გამცვლიდნენ თავიანთ სისხლსა და ხორცს.

ინგა ჯაყელი

რას გვეტყვი, მამაო?

— ვარ გასათხოვარი. მინდა შევქმნა ოჯახი. ვფიქრობ, რომ ბედი მაქვს ჩაკეტილი, ან ჯადო მაქვს გაკეთებული. გთხოვთ, მიპასუხოთ, ბედის გახსნის მიზნით როგორ მოვიქცე?

— დასაშვებია, რომ თქვენ მიმართ იყოს ბოროტ ძალთა მოქმედება — ეკლესია არც ამ ძალების არსებობას უარყოფს და არც მათ უარყოფით ენერგეტიკულ ზემოქმედებას. მაგრამ თქვენ ბედი არანაირი ერთჯერადი ქმედებით არ გაგეხსნებათ, თუ არ დაიწყებთ ეკლესიურ-ქრისტიანულ ცხოვრებას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადმოგვიდეთ სულიწმიდის მადლი და კურთხევა უფლისა.

— მე და ჩემი მეულლე ვართ ჯვარდაწერილები. მაგრამ რამდენიმე წელია, უთანხმოების გამო, ერთად აღარ ვცხოვრობთ. მას ცალკე ოჯახი აქვს. მაქვს თუ არა მეც გათხოვების უფლება და საერთოდაც, არსებობს თუ არა წესი ჯვარდაწერილების გაყრისა?

— დიახ, არსებობს ასეთი უფლება. თქვენ უნდა მიბრძანდეთ საპატრიარქოში, მიმართოთ ქორეპისკოპოს იობს და ოფიციალურად მოხდება თქვენთვის გვირგვინის ახსნა.

— შემიყვარდა მამაკაცი, რომელიც სამოქალაქო ქორწინებაშია და არ არის თავის ცოლთან ჯვარდაწერილი. ჩემი თვალთახედვით, ის უკანონო ცხოვრებას ეწევა და ჩემი გრძნობებიც გამართლებულია. რას მეტყვი, მამაო?

— გეტყვით, რომ პირიქით, გაუმართლებელია. ღმერთი შეგაძლებინებთ და დაგანახვებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი სცოდავენ ჯვარდაუწერელი ცოლქმრობის გამო, თქვენი ცოდვიანი ვნებაც არაზნეობრივია ქრისტიანული მცნებების მიხედვით.

— გთხოვთ, მიპასუხოთ, არის თუ არა წმინდანი, სახელად „კახა“ და მე, რომელსაც სახელად მქვია კახა, შემიძლია თუ არა ვილოცო მასზე?

— დიახ, არის ასეთი წმინდანი, რომლის ხსენება — ყოველთა წმიდათა — საქართველოში წამებულთა ღირსთა მამათა და დედათა გვერდით, აღესრულება 11(24) დეკემბერს.

— გახლავართ პროფესიით ფსიქოლოგი, აღმსარებლობით — მართლმადიდებელი. გთხოვთ მიპასუხოთ, რატომ თვლის ეკლესია ზოგჯერ ფსიქოლოგისა და ფსიქოთერაპევტის პროფესიას მიუღებლად, თუკი ჩვენ ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის განვამზადებთ და ფსიქიკურად ვაჯანსაღებთ ადამიანებს?

— თქვენი პროფესიის მიმართ, რომელიც იკვლევს ადამიანის ბუნების, ქცევისა და ხასიათის თავისებურებებს და კორექციას უწევს მათ ნაკლულოვან გამოვლინებებს, ეკლესიას არაფერი ექნება საწინააღმდეგო; ოღონდ ნუ შეეცდებით, შეენაცვლოთ თვით იესო ქრისტეს — სულისა და სხეულის უზენაეს მკურნალს. მართლმადიდებლური რწმენა და ქრისტიანული ეთიკა შეუთავსებელ მეცნიერულ ცოდნას, რათა არ გახდეთ ობიექტი შემდეგი მართებული შენიშვნისა: „ექიმო, განკურნე თავი შენი!“

— „აღსარებათა წიგნში“ ამოვიკითხე ტერმინი — „წულთმხრწნელობა“. გთხოვთ განმიმარტოთ, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

— ძველქართულად ეს სიტყვა აღნიშნავს უასაკო ყრმათა გახრწნას, რასაც თანამედროვე, ფსიქიატრიულ ლექსიკონში შეესატყვისება „პედოფილია“ და განიმარტება, როგორც „სექსუალური ლტოლვა ბავშვების მიმართ“. სხვათა შორის, ჩვენი გაზეთი ადრინდელ გამოშვებებში ატყობინებდა თავის მკითხველს საქვეყნოდ გახმაურებულ იმ ამაზრზენ დანაშაულებათა შესახებ, რომელსაც სჩადიოდნენ ამ უკუღმართი მიდრეკილების მქონე კათოლიკე მღვდლები ამერიკის შეერთებულ შტატებში.

— თითქმის ყოველლამე სიზმარში ვხედავ ეკლესიას, ხატებს, სანთლებს, ტაძრებს. ხომ ვერ მეტყვით, რას უნდა ნიშნავდეს ეს ხილვები?

— ეკლესიის წმინდა მამები გვირჩევენ, სიფრთხილით მოვეკიდოთ სიზმრებს. მით უფრო, თქვენი სიზმრების შინაარსს შეუძლია ხიბლში ჩაგაგდონ და საკუთარ თავზე აღმატებული წარმოდგენა შეგიქმნან. ამიტომაც, სიზმარში ხილვას, გიჯობთ ცხადში მიეახლოთ ეკლესიას, ტაძარს, სანთელი აუნთოთ ხატებს — იცხოვროთ ეკლესიურად, აღსარების თქმით, სინანულით, ზიარებით...

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

ჩვენ გვწერენ

როგორ მოვიქცეთ?

დაახლოებით 20-25 წლის წინ საკუთარი მანქანით აეროპორტისკენ მივდიოდი. გზად მარტყოფელი კაცი დამემგზავრა. რომ იტყვიან, „ჭიკჭიკის დონეზე“ იყო ნასვამი. ჩაჯდომისთანავე თავისი გულისტკივილი გამიმხილა: — ამის რჯული არ იყოს, — დაიწყო ოდნავ ჩახლეჩილი ხმით, — ჩემს მეზობელსა და ძმაკაცს ამ ხუთიოდე თვის წინ საქმეში ჩასადებად სამი ათასი მანეთი დასჭირდა. იცოდა, რომ მქონდა და სამი თვით სესხად მთხოვა. ხელს როგორ შევუშლიდი და უყოყმანოდ მივეცი. მართლაც, საქმე აიწყო თუ არა, ვალი დამიბრუნა. ამას წინათ, მე დამჭირდა ათასი მანეთი... მეზობელთან პატარა ქეიფისას, დრო ვიხელთე და მის გასაგონად დავიჩივლე: — ერთი კვირით ათასი მანეთი მჭირდება და ხომ არავის გაქვთ, რომ მასესხოთ-მეთქი. ბიჭებმა დაიფიცეს, არა გვაქვსო (ვიცოდი, რომ მათ მართლაც არ ჰქონდათ). ჩემმა ძმაკაცმა კი ვითომც არ გაუგონია, ყურებშუა გაუშვა ჩემი ჩივილი. ამ დილით, სისხამზე მივადექი, ჯიქურ ვუთხარი, ფული მჭირდება და გამომიტანე-მეთქი... უსიტყვოდ გამომიტანა, მაგრამ ამისთანა ხელის გამართვის დედაც ვატირე. ქართველს უთქვამს: დაჩივლება თხოვნას უდრის, თხოვნა კიდევ წართმევასო! და მართლაც, მე მას ფული მართალია, დროებით, მაგრამ მაინც ხომ წავართვი?!

ჩემი თანამგზავრის სიტყვებიის გამო იმ დღეს დაბოღმილი დავბრუნდი. მის მიერ წარმოთქმული ხალხური გამონათქვამი: დაჩივლება თხოვნას უდრის, თხოვნა კიდევ წართმევასო, უკვე შუახანს მიღწეულმა კაცმა მაშინ პირველად მოვისმინე და რატომღაც გულს მომეფონა, რადგან ცხოვრებაში ბევრი სიკეთე უთხოვნელად გამიკეთებია, რითაც დიდ სიამოვნებას ვიღებდი ხოლმე.

გავიდა ხანი და ამ საყოველთაო გაჭირვებისას მეც ძალზე გამიჭირდა. მივედი ერთ ჩემს ძალიან ახლობელთან, რომელიც წარსულში ჩემგან პატივისცემით იყო სავსე და ვუსაყვედურე: — რომ არ შეგეძლოს, არ გეტყოდი, შეგიძლია და რატომ არ მეხმარები, აუცილებლად უნდა გთხოვო-მეთქი?! მან, თითქმის ირონიულად მიპასუხა: — არ იცი, ძია, რომ უნდა მთხოვო? ხომ გაგიგია — ბავშვი თუ არ შემოგტირებს, ხელში ნუ აიყვანო?! უთქმელად რომ დაგეხმარო, ვაითუ, გეწყინოსო, — ჩამაკმენდინა ხმა.

დიდი ხნის წინათ იმ მარტყოფელი კაცის მიერ მოყოლილი წინაპრების კაცური ნათქვამი გამახსენდა ისევ. ისე, ჩვენი ქრისტიანული მოძღვრებაც „თუ არ შემოგეტიროს“ მომხრეა(?!). თქვენი გაზეთის საშუალებით მსურს გავიგო (ალბათ სხვებსაც აინტერესებთ), როგორ სჯობია, როგორ მოვიქცეთ. უთხოვნელად დავეხმაროთ გაჭირვებულს თუ დაველოდოთ შემოტირებას?!

პატივისცემით, ნოდარ ფიჩხნარაშვილი

ბატონო ნოდარ, რედაქცია პასუხს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ჩა კატეგორიის დამნაშავეს აღარ შეხვედრიხარ, მაგრამ მაღლენას ისტორიები ყველა ჩეკორდს ხსნიდა...

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

— საიდან უნდა სცოდნოდა დათო შონიას მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ?

— იგი იმ ჯგუფის წევრი იყო, რომელიც ამ ტერაქტებს გეგმავდა. იქვე, უფრო ადრე მიუღიათ მადლენას თავიდან მოშორების გადაწყვეტილებაც. მადლენას მეც ზედ მიმაყოლებდნენ. ეშინოდათ, ქალის დაპატიმრებით მათი შავი საქმეები არ გახმაურებულიყო. 1994 წლის აგვისტოში შემატყობინეს, მადლენა მოკლესო. ერთი ტყვია თავში დაუხლიათ, მეორე — გულში. ვიცოდი, საქმეს ამით დახურავდნენ და სასწრაფოდ მოსკოვში გავფრინდი. მანამდე კი, აქვე, თბილისში, აეროპორტში შემხვდა ერთი ჩემი სანდო კაცი და მითხრა, — ერთი ოჩამჩირელი ბიჭი ჩამოფრინდა გუშინ მოსკოვიდან, კაიფში იყო და იგინებოდა, მადლენას მოკვლაში ორმოცი ათასი უნდა მოეცათ. ოცი მომცეს, მაგრამ რაკი არ მოკვდა, მეორე ოცს აღარ მაძლევენ ეს შობელძაღლებიო. გავარკვიე, რომ მკვლელი მადლენას სახლთან ჩემი ჯგუფის წევრს, გია გოგოლაშვილს მიუყვანია(!). ოჩამჩირელი სადარბაზოში დამალულა და ქალი კიბეზე რომ ჩამოდიოდა, უკითხავს — ვი მადლენა პავლოვნა? — დაო, უპასუხია. ჰოდა, უნდა მოგკლაო და იარაღი ამოუღია.

— მოიცა, — უთქვამს მადლენას, — რასაც გაძლევენ, ათ იმდენს ახლავე მოგცემ. თანაც იცოდე, შენი შემკვეთი ჩემთან მართალი არაა და ამას ნუ იზამო. მაგრამ ქილერს მაინც უსვრია. ქალს უმარჯვია და სროლისას ჩანთა აუკრავს იარაღისთვის. ამიტომაც არ იყო ნასროლი ზუსტი და მადლენაც გადარჩა. მოსკოვის პროკურატურამ რეანიმაციიდან გადაგვიმალა და ერთ-ერთ თათბირზე დაუფარავად გვითხრეს — ვი ვ დრუგომ გოსუდარსტვე. მი ვედიომ რასსლედოვანიე. ლუბოე ვაშე დეისტვიე ბუდეტ რასცენენო კაკ სამოუპრავსტვო ი ნაკაზუემო ნაშიმ უგალოვნიმ კოდექსომო. საგონებელში ჩავვარდი. ჩემს ჯგუფს მოსკოვის პროკურატურა მართავდა. გოგოლაშვილი უკვე იმათი იყო. ეს შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა. მოგვიანებით უშიშროების მინისტრად გადასულმა კვირაიამ წაიყვანა თავისთან, მერე კი ფსბ-ს „დაავერბოვკებინა“. ჩემი და საქმის ერთგული ერთადერთი ისკრა მოროხია კი...

ისკრა მოროხია (პოლიციის პოდპოლკოვნიკი): — როდესაც საღინაძე მოსკოვში ჩამოვიდა, პროკურატურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა, თბილისში სამინისტროში გიბარებენო. იძულებული გავხდი, ჩამოვსულიყავი. აქ კი გავიგე, რომ არავის უფიქრია ჩემი გამოძახება. თურმე ჩემი მოსკოვიდან გამოწვევა იმისთვის სჭირდებოდათ, საღინაძეზე რომ მოეწყოთ თავდასხმა.

ნადირობა... მონადირეზე

— მართლა შედგა ეს თავდასხმა, ბატონო ბათუ?

— სრულ იზოლაციაში მოვხვდი — ჩემი დანახვა არავის უნდოდა. ერთი სული ჰქონდათ, თავიდან მოეშორებინე. ჩემი მოსკოვში ჩასვლის მეათე დღეს მადლენა საქართველოში გადმოაფრინეს ექიმთან ერთად. მეც აქეთ ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ ამ საქმის გამომძიებელი ჩვენი პროკურატურიდან, ჟორა წურწუმია გადამეკიდა და ერთ მიყრუებულ კაფეში დამპატიჟა. გული რაღაც ცუდს მეუბნებოდა, მაგრამ რომ აღარ მომეშვა, დავთანხმდი. კაფეში ჩვენს მეტი არავინ იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ წურწუმია გავიდა, ტელეფონზე დავრეკავო. მთელი სხეულით ვგრძნობდი მოახლოებულ საფრთხეს. არ გასულა ხუთი წუთი და ორი აშკარა მკვლელი შემოდის სხვადასხვა კარიდან. ისაა, უნდა მესროლონ და ერთბაშად წამოვიმართე, ორივე ხელში იარაღი მიჭირავს. ვიყვირე — ერთ-ერთს აუცილებლად გაგაგორებთ-მეთქი. მერე ერთი მათგანი გადავჯეგე და ქუჩაში გავვარდი. წურწუმია ვნუკოვოს აეროპორტში დავიჭირე, რომ დამინახა, თვალები კინაღამ შუბლზე აუცვივდა. დამავიწყდა მეთქვა, კვირაიამ თავისი მოადგილე ემზარ საბანაძეც გამყოლა მოსკოვში და მანაც იმდენი იჩალიჩა, ჯგუფი საბოლოოდ დამიშალა, ხოლო ჩემზე თავდასხმის შესახებ „არაფერი გაუგია“. თბილისში დაბრუნებულმა კვირაია მოვიკითხე, შინააო, მითხრეს. ტელეფონში ჩემი ხმა რომ გაიგო, ენა ჩაუვარდა — სამსახურში უნდა მოხვიდეო. ვერ მოვალ, შეუძლოდ ვარ და იქნებ ხვალამდე გადავდოთო. მეორე დღეს გვიან მოვიდა. მის კაბინეტში რომ შევედი, დაბნეული გამომეგება — გადარჩენას გილოცავო, — მიწა გამსკდომოდა მერჩია. ეჭვი კი მქონდა, მაგრამ ამდენს აღარ ველოდი. თავდასხმის შესახებ ხომ მოსკოვშიც არავისთვის მითქვამს, მათ შორის არც წურწუმიასთვის, — ერთი კი გავიფიქრე, ამას ახლა კისერს მოვუგრეხმეთქი, მაგრამ თავი მოვთოკე და ვკითხე, — შენ საიდან იცი ეს ამბავიმეთქი. ჯაბას მოადგილემ, ჭყონიამ მითხრაო (ჭყონიას მეშვეობით აკონტროლებდა ჯაბა მადლენას საქმის ძიების მიმდინარეობას) და თავის გასამართლებლად დაამატა, ჟენევაში მიმავალი ჯაბა მოსკოვში ორი დღით გაჩერდა, შენ რომ მოეკალი. და ეს პრეზიდენტმაც იცისო. იმ ცხელ გულზე იქნებ არც დამეჯერებინა მისი ნათქვამი, მაგრამ მოგვიანებით ჯაბას მაშინდელ მოადგილეს ირაკლი მაჭავარიანს ვკითხე — ჟენევაში რომ მიფრინავდით, მოსკოვში რამე პრობლემა ხომ არ შეგექმნიათ-მეთქი. მანაც გულუბრყვილოდ მიპასუხა — ერთადერთი ის იყო, რომ მთელი ოთხი დღე ჯაბა სადღაც დარბოდა, რაღაცას აგვარებდა და ამის გამო ორი დღე დავაგვიანეთო. არადა, ასეთი რამ არ სჩვეოდაო. ისევ მომიბრუნდა გული, ან რა უნდა მექნა, კვირაია მინისტრი იყო და მე მისი ხელქვეითი. მინდოდა თუ არა, უნდა მივნდობოდი. ვიფიქრე, ალბათ გონს მოვიდა-მეთქი და ჯიქურ ვკითხე: — გინდათ ტერორიზმს ებრძოლოთ? კიო — მიპასუხა. მაშინ აგერ ღონისძიებების ნუსხა, ეს გააკეთეთმეთქი. პატარა ბიჭივით ჩაიწერა ჩემი ნაკარნახევი ტექსტი, მერე თავისი აპარატის ხელმძღვანელი იხმო და იქვე მისცა დავალებები. ერთი სიტყვით, ვიფიქრე, კვირაია ამჯერად მაინც მოიქცევა კაცურად-მეთქი და საქმეზე მუშაობა გავაგრძელე.

გატყლება თუ არა მადლენას კოკა?

იმხანად მადლენას ინტერესებს ადვოკატი შალვა რჩეულიშვილი იცავდა. მისამართი არ მომცა, მაგრამ შემპირდა, შეგახვედრებო და ვიღაც ქალის მეშვეობით მართლა შემახვედრა. ჯერ გამჩხრიკეს, მერე სადღაც ვარკეთილის კვარტალებში მახეტიალეს და ღამით რომელიღაც სადარბაზოს მიმაყენეს.

თავ და მხარშეხვეული მადლენა შუა ოთახში იჯდა. თავი ღირსეულად ეჭირა, პატივისცემითაც კი განვიმსჭვალე მის მიმართ. ნუთუ ვერ ხვდები, რომ იმ საქმეში ჯაბასთან ერთად, შენი მინისტრიც და იგორ გიორგაძეც არიან გარეულებიო, — მითხრა ქალმა. იმაზეც გადამიკრა სიტყვა, საგარეჯოს რუსული ჯარის სპეცნაწილს თავს რომ დაესხნენ, სამად გაიყო ის უახლესი, ლაზერული ტექნიკა და იარაღიო. მივხვდი, ჯაბასა და იგორის შემდეგ, მადლენას ერგო იმ იარაღის მესამედი, რომელიც დღესაც ველისციხეშია გადამალული და არავინ იცის, როდის აფეთქდება. ეს ის იარაღია, რომელსაც რუს სამხედროთაგან მხოლოდ თითოოროლა თუ იცნობს. ეს იარაღი ფიგურირებდა პრეზიდენტსა და სხვებზე განხორციელებულ ტერაქტებშიც. სიტყვის გატეხა არ მჩვევია და მე და მადლენა მშვიდობიანად დავშორდით ერთმანეთს. შემპირდა, რომ ტერაქტების აღკვეთის საქმეში ჩემთან ერთად იმუშავებდა, მაგრამ სიტყვა გატეხა და მოსკოვში გაიპარა. იქ კი ისკრა მოროხიამ დააპატიმრა ისიც, გუშჩინიც, მოკინიც და სხვები. ეს მოხდა 1994 წლის 30 ნოემბერს. სასამართლო კი დღემდე გრძელდება. იქიდან შემომითვალა, დათო შონია ჩამოიყვანე და დავამტკიცებ, რომ აქ შვიდი კაცი ჰყავს მოკლული, მათ შორის ჟურნალისტი დიმიტრი ხოლოდოვი და საქართველოში კი სამჯერ მეტიო.

— რა ბედი ეწია ველისციხეში გადამალულ მადლენას წილ იარაღს?

— ორი ჩემი თანამშრომელი გავაგზავნე სამალავის ზუსტი კოორდინატებით. იქ კი გურჯაანის მილიციამ ვითომ შემთხვევით აუტეხა სროლა და ორივენი ისე დაცხრილეს, საბრალოები ძლივს გადაურჩნენ სიკვდილს. იმ დროს მილიციის უფროსი ახლანდელი იუსტიციის მინისტრის, გილიგაშვილის ძმა იყო. მოგვიანებით კახეთის რეგიონის პოლიციის სამმართველოს უფროსს, ვლადიმერ ახალკაცს შევხვდი. მადლობის სათქმელად მოვიდა ჩემთან. მანამდე ხელთ ჩამივარდა მადლენას სატელეფონო საუბარი თავის ქალიშვილთან მოსკოვიდან გურჯაანში — ლალის უთხარით, ასაფეთქებელი მასალა ორი ჩანთით შეიტანონ ახალკაცის სახლში და დედაბუდიანად ამოჟლიტონო. ვოვამ კი მიამბო, — კვირაიამ გამომიძახა და მკითხა, მადლენასთან როგორ ხარო. ისე ვარ, როგორც უნდა იყოს პოლიციის უფროსი კრიმინალთან-მეთქი. ამბობს, ხელს არ მართმევსო. თქვენ გაგიხარდებათ, მე რომ მადლენას ხელი ჩამოვართვა-მეთქი? ვკითხე მინისტრს. ასე სჭირდება საქმეს. ასეთებმა უნდა გადაარჩინონ საქართველოო. მაშინ მე ამისთვის არ გამოვდგები, სხვაგან გადამიყვანეთ-მეთქი. ამ დროს წამოხტა იქვე მჯდომი მისი მოადგილე მგელაძე და მიყვირა — მინისტრი ქვეტექსტით გელაპარაკება. ან გაიგე, ან ამოგკრავთ პანღურს და გადაგიყვანთ კი არა, საერთოდ გაგაგდებთ აქედანო...

ასეთი შეხვედრა ჰქონიათ ახალკაცსა და მინისტრს. ჰოდა, ადგა ის კაცი და აჭარაში წავიდა ასლან აბაშიძესთან, ახლაც იქაური მინისტრის მოადგილეა.

— თქვენს წინადადებებს რა ბედი ეწია კვირაიას აპარატში?

— კვირაიასთან შესვლა არ მაღირსეს. ჩემი გარჯის შედეგი კი ის იყო, რომ მითხრეს, 60 წლის ხარ და სამსახურიდან უნდა წახვიდეო. არადა თბილისის პროკურორის, ქურდაძის მკვლელობისა და თიანეთში შვიდი კაცის მკვლელობის საქმე თითქმის ბოლომდე მქონდა მიყვანილი. ვზივარ ახლა ლტოლვილების სახლში და იმაზე ვფიქრობ, რა ეშველება საქართველოს ამნაირების ხელში.

P.S. ჩვენი გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად, ბატონ შოთა კვირაიას ვერ დავუკავშირდით. ბატონმა ჯაბამ კი შემდეგი მოგვახსენა: „ეგ კაცი (ბათუ საღინაძე — ვ.გ.) აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოგდებული პროვოკატორია, რომელიც ჩემთან პოლიციაში აღდგენის თხოვნით მოვიდა. ზუსტად არ მახსოვს, დავეხმარე თუ არა. მისი მოკვლა რომ მნდომოდა, ვითომ რა შემიშლიდა ხელს?! ავადმყოფია ეგ და მოჩვენებები აწუხებს ალბათ. სიცოცხლეში ჩივილისა და ინტრიგანობის მეტი არაფერი უკეთებია და ისევ ძველებურად აგრძელებს“.

მე მოსამართლე არ ვარ და ჩემი საქმე არაა მტყუან-მართლის გარჩევა. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ამ ორი კაციდან ერთ-ერთი მართალია. ბ-მა ჯაბამ ისიც გვითხრა, თუ მოკვლას ვუპირებდი, ადგეს და მიჩივლოს, მაგას მაინც არ ეხება ხანდაზმულობაო. საღინაძეს კი იმედი აქვს, რომ პარლამენტის შუამდგომლობით მას შინაგან საქმეთა ორგანოებში აღადგენენ და ბოლომდე მიიყვანს დაწყებულ საქმეებს, — მარტო ეს მაწუხებს პირადად მე, სხვა არაფერი მაინტერესებსო. თუ ეს გულახდილად ნათქვამია, მაშინ ჩემთვის გასაგებია მისი სატკივარი, რადგან პირადად გადამილახავს ის ქარტეხილები, რომელსაც ახლა ებრძვის იგი. მე მაშინ სამსახურიდან იმისთვის გადამაყენეს, რატომ კამერიდან არ გაუშვი მკვლელობისთვის ნასამართლევი ორი ბანდიტიო.

ვაჟა გავაშელი

„ანტისანელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წევრი გასამართლდება“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

მას შემდეგ, რაც არ გამოუვიდა ამ პროექტის ბლოკირება, თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნას, არჩია თვითონ ყოფილიყო ამ პროცესის უშუალო მონაწილე. აქედან გამომდინარე, შეიცვალა მისი ტაქტიკა საქართველოს მიმართაც. რუსეთი დარწმუნდა, რომ ბაქო-თბილისი-არზრუმისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენები აუცილებლად ამოქმედდება. მას არ ჰყოფნის ძალა ამ პროექტების ჩასაშლელად. ამიტომ გადაწყვიტა უშუალოდ საქართველოზე კონტროლის დაწესება და მისი სატელიტად გადაქცევა, რითაც ფაქტობრივად გააკონტროლებს ენერგეტიკულ კორიდორსაც...

სურათი რომ უფრო ნათელი ყოფილიყო, გავესაუბრეთ სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ ყოფილ მთავარ ინჟინერს **ავთანდილ გოგიჩაიას**, რომელიც ამჟამად საწარმოში ერთ-ერთ სამსახურს ხელმძღვანელობს: — „თბილგაზის“ სპეციალისტების მიერ, როგორც ალტერნატიული წინადადება, მომზადდა ათწლიანი პროგრამა — თბილისის გაზის მეურნეობის სრული სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოების ეკონომიკური ანალიზი, რომელიც დღემდე განხილული არ არის. სარეაბილიტაციო პროგრამა ითვალისწინებდა თბილისის გაზის მეურნეობის სრულ აღდგენას ინვესტორის მოზიდვისა და მის მიერ გარკვეული ფულადი სახსრების დაბანდების გარეშე, თუ, რა თქმა უნდა, „საქგაზმრეწვი“ და „თბილგაზი“ გაერთიანდებოდა. გაერთიანების შემთხვევაში, „თბილგაზს“ ვალი კი არ დარჩებოდა, პირიქით, 30 მლნ „იტერას“ ექნებოდა გადასახდელი. გაერთიანების ასეთივე სქემა დამუშავებული ჰქონდა „საქტრანსგაზმრეწვის“ ხელმძღვანელობასაც.

მათ ჰქონდათ შესაბამისი ბიზნესგეგმა, რომელიც 2002 წლის 8 ივლისს განსახილველად წარედგინა საქართველოს სახელმწიფო და ქონების მართვის მინისტრებს. განხილვაც დაინიშნა, მაგრამ განხილვამდე ერთი დღით ადრე უცნობი პირები „საქტრანსგაზმრეწვის“ ხელმძღვანელის ოჯახს და პირადად მას ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ.

— კი, მაგრამ აქამდე სად იყავით, რატომ არაფერი თქვით? თუნდაც ის, რომ „თბილგაზი“ ხელოვნურად ზრდის გაზის ტექნიკურ დანაკარგებს.

— ვიყვირე და ინტრიგანობა დამაბრალეს. ალბათ თქვენ არ იცით, რომ ტექნიკური დანაკარგების დონე „თბილგაზში“ ვითომ 72%-ს აღემატება. ეს ფულის შოვნის კარგი საშუალებაა. ვერ დავამტკიცებ, მაგრამ მაინც ვიტყვი, — შარშან სახელმწიფომ „თბილგაზი“ 33 მილიონი ლარით დააფინანსა, რომელიც მთლიანად მოწოდებული გაზის საფასურში გაიხარჯა. მერიაში „თბილგაზის“ ხელმძღვანელობა გამოიძახეს და იმ ჩარიცხული თანხის 20%, ანუ „ატკატკა“ მოსთხოვეს, ანუ 6 მილიონ 600 ათასი ლარი ნაღდი ფული უკან დააბრუნეს. ვინ ჩაიდო ჯიბეში, არ ვიცი. ეს თანხა მოსახლეობისგან ამოღებული გაზის მოხმარების საფასური იყო. საერთოდ, ჩინოვნიკები ცდილობდნენ, „თბილგაზის“ ვალები გაზრდილიყო. ამისათვის „საქგაზიდან“ დირექტორად გია გოზალიშვილი მოიწვიეს, რომელმაც რამდენიმე თვეში „თბილგაზის“ ვალები სამჯერ გაზარდა და 20 მილიონ ლარს გადააჭარბა, მერე კი კვლავ „საქგაზში“ დაბრუნდა. როდესაც ამბობენ, რუსეთის გარდა ბუნებრივი აირის მოწოდების ალტერნატიული გზა არ არსებობსო, — სიცრუეა. ჩვენს გაზგამანაწილებელ სისტემას აზერბაიჯანის ანალოგიურ სისტემასთან 35 კილომეტრი აშორებს. მაგრამ ეს მთავრობას არ აძლევს ხელს. აქ სხვა ინტერესები მოქმედებს...

P. S. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციიდან შევიტყვეთ, რომ რესპუბლიკის ენერგოსისტემაში უკანასკნელ დღეებში განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთებულნი არიან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენის პროექტისა და მშენებლობის დამფინანსებელი საზღვარგარეთის დიდი კომპანიები. ისინი აღარ ენდობიან საქართველოს მთავრობას და თურმე პროექტის მარშრუტის შეცვლაზეც ფიქრობენ.

ზვიად ჩაკვეტაძე



დაბომბვა — სხვისი დროშით

ოფიციალური თბილისის ცნობით, 23 აგვისტოს, გამთენიისას 7 თვითმფრინავი რუსეთის მხრიდან შეიჭრა საქართველოს სივრცეში, დაბომბა ახმეტის რაიონის ორი სოფელი და პანკისის ხეობის დაუსახლებელი ნაწილი. დაიღუპა 1 და დაიჭრა 7 ადგილობრივი მცხოვრები.

ამის თაობაზე სულ სხვა აზრისაა რუსეთის პოლიტიკური ელიტა და პრესა. გაზეთ „უტრო რუს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან სარწმუნო წყაროთი აცნობა, რომ 23 აგვისტოს პანკისის ხეობა დაბომბა საქართველოს საჰაერო სამხედრო ძალებმა, უშუალოდ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბრძანებით.

ქართული მხარე ირწმუნებოდა, — დაბომბვა 4-5 თვითმფრინავიდან ხდებოდაო. სინამდვილეში კი, ბომბები ჩამოყარა საქართველოს ერთმა მოიერიშე თვითმფრინავმა სუ-25-მა, რომლის საბორტე ნომერია — 15. გაფრენის წინ თვითმფრინავის ბორტის ნომერი გადაღებეს და ზედ დააწერეს რუსეთისა — „32“. გარდა ამისა, ფრთებსა და კუდზე დაახატეს ვარსკვლავები და რუსეთის დროშა — „აგრესორის“ ეროვნული წარმომავლობის ხაზგასასმელად. ცნობილია მფრინავის გვარიც — გიორგი რუსტელი. მაგრამ ახლა სად არის იგი, არავინ იცის. სამაგიეროდ, იმ მოიერიშის სამყოფელია ცნობილი — გაერთიანება „თბილავიამშენის“ ტერიტორიაზე დგას. როგორც თბილისური წყარო იტყობინება, თვითმფრინავი იქ ჩაიყვანეს ვინმე ვაჟა თორდიას ხელმძღვანელობით. თვითმფრინავზე მექანიკოსებმა დაზიანება აღმოაჩინეს — დამწვარი იყო ტურბინი. ახლა ტურბინის შეკეთებასთან ერთად იმ ადგილებსაც ღებავენ, სადაც რუსეთის ნიშნები იყო აღბეჭდილი.

საქართველოს საჰაერო სამხედრო ძალების საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია. შარშან, დეკემბერში, ქართული მედია წერდა საქართველოში რუსეთის სამხედრო საწყობებიდან სათადარიგო ნაწილების დატაცების შესახებ. ეს ნაწილები გახლავთ სუ-25-ისა და შვეულმფრენ მი-8-ისა. სწორედ ამის შემდეგ რუსეთის სამხედროებმა შენიშნეს ქართული სამხედრო საჰაერო ძალების გააქტიურება. რუსეთის სამხედროების მონაცემებით, ამჟამად საქართველოს 7 მოიერიშე თვითმფრინავი სუ-25 ჰყავს; მათგან ერთს, რომელიც მოდერნიზებულია ისრაელის კერძო ფირმებთან ერთად, ღამეც შეუძლია საბრძოლო ოპერაციების ჩატარება. ჩვენი მონაცემებით, სამხედრო საჰაერო თავდაცვის დისლოკაციის მთავარი ავიაბაზა მარნეულშია. კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: ამჟამად საქართველოში „კაპიტალურად არემონტებენ“ თურქმენეთის ოც მოიერიშე სუ-25-ს. მაგრამ გაუგებარია, რატომ არემონტებს თურქმენეთი თავის საბრძოლო მანქანებს საქართველოში, რომელსაც თავისი თვითმფრინავების მოდერნიზებაც არ შეუძლია. რუსეთის ძალოვნები ეჭვობენ, რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველო „გასარემონტებელ“ მანქანებს საბრძოლველად გამოიყენებს.

რუსეთის თვითმფრინავების მიერ საქართველოს დაბომბვის ამბავი თბილისის მიერ ოსტატურად დადგმული სპექტაკლი იყო...

უტრო რუ *(კომენტარი ამ სტატიაზე იხ. გვ. 9)*

საქართველო თავს აღარავის დააბომბვინებს!

საქართველოს პრეზიდენტს ეჭვი არ ეპარება, რომ ქართული სოფლები ამას წინათ რუსეთის სამხედროებმა დაბომბეს. მსგავსი შემთხვევა თუ განმეორდა, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები ეცდებიან, გააკეთონ ის, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ვალია. სუვერენული სახელმწიფოს დაბომბვა არავის შერჩება, — დაჰპირდა პრეზიდენტი თანამემამულეებს. ამის თაობაზე შევარდნაძემ წერილი გაუგზავნა თავის რუს კოლეგას, ვლადიმირ პუტინს. რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას ცეცხლი შეუნთეს ქართველმა დეპუტატებმა. პარლამენტართა ჯგუფმა რფ-იდან საქართველოს ელჩის გამოწვევა და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა მოითხოვა. მაგრამ თავად პრეზიდენტი შევარდნაძე ასე რადიკალურად არ იყო განწყობილი — „საქართველო რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას არ გაწყვეტს, ვიყოთ რეალისტები და ჩვენი ქვეყნების მომავალზე ვიფიქროთ“, — თქვა მან.

რუსი პოლიტიკოსები და სამხედროები კი კატეგორიულად უარყოფენ ყველა ბრალდებას. რფ-ის თავდაცვის მინისტრმა, უკვე მერამდენედ, ინციდენტზე პასუხისმგებლობა საქართველოს მხარეს დააკისრა: „არ გამოვრიცხავ, რომ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა რაღაც ჩაიდინეს და რადგან არ უნდათ ტერორისტებთან ურთიერთობის გამწვავება, რომლებსაც ყოველწუთს შეუძლიათ იარაღი თბილისისკენ შემოაბრუნონ, აცხადებენ ქართული სოფლები სხვამ დაბომბაო“. ივანოვმა მზადყოფნა გამოთქვა „საქართველოსთან ერთად ამ ინციდენტის“ გამოძიების თაობაზე.

ედუარდ შევარდნაძემ ერს აღუთქვა,— შინაგანი ჯარები პანკისში თავის მოვალეობას შეასრულებენო. მათ უკვე დაიკავეს ყველა ჩეჩნური სოფელი, შექმნეს ცხრა დამატებითი ბლოკპოსტი, რომლებიც სოფლებში საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მინი-ბაზებად იქცევიან. ამასთან ერთად, პანკისის ხეობის შესასვლელში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 1,5 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი მზად არის, თუ საჭირო შეიქნა, შინაგან ჯარებს დაეხმარონ, თუკი მათ პანკისის ხეობაში სერიოზული წინააღმდეგობა დახვდებათ. მაგრამ ჯერჯერობით საქმე არ გართულებულა, რადგან პანკისის ხეობა შეიარაღებულმა ხალხმა, შინაგანი ჯარების იქ შეყვანამდე, სამი დღით ადრე დატოვა. ჯარისკაცებს და ოფიცრებს ნაბრძანები აქვთ, თავაზიანად მოეპყრან ადგილობრივ მოსახლეობას. სამხედროებს საცხოვრებელ სახლებში შესვლის უფლება მხოლოდ მასპინძლის ნებართვით შეუძლიათ, ისიც სპეციალური საბუთების წარდგენის შემდეგ, თანაც სოფლის უხუცესის თანდასწრებით.

კომერსანტი **№153**

მშვიდობით, კავკასია!

აშშ კავკასიიდან რუსეთის განდევნას იწყებს

რუსეთის ცხვირწინ აშშ რაღაც დიდი ოპერაციის ჩატარებას აპირებს. კერძოდ, ანტიტერორისტული ბრძოლის მომიზეზებით — კავკასიაში შეჭრას. შემდეგ კი კონტროლს დააწესებს არა მარტო საქართველოსა და აზერბაიჯანზე, არამედ ჩეჩნეთზეც.

როგორც ბრიტანული გაზეთი „ფაინენშელ თაიმსი“ წერს, — „თუ რუსეთი დარწმუნებულია, რომ შეუძლია საქართველოში თავისი ჯარის შეყვანა, მაშინ შესაძლებელი იქნება ჩეჩნეთში არარუსული ძალების მონაწილეობაზე ფიქრიც, რაშიც ჩაერთვებოდნენ საშუამავლო ძალები, შევიდოდნენ მშვიდობისმყოფელები და დიდი რაოდენობით შეიტანდნენ ჰუმანიტარულ დახმარებას. ბატონი პუტინი ამის წინააღმდეგი იქნება, მაგრამ საკმაოდ დიდი ფინანსური მხარდაჭერა ალბათ დაარწმუნებს, რომ ეს აუცილებელია“. ეტყობა, ოპერაციის წვრილმანები უკვე მოფიქრებულია.

ვაშინგტონმა სწორედ ახლა იმიტომ კი არ აამოქმედა „კავკასიური კარტი“, ვითომდა „მეგობარი შევარდნაძის“ მხარდასაჭერად, არამედ სწორად განსაზღვრა კავკასიაში რუსეთის პოზიციებზე შეტევის შესაფერისი დრო.

როდესაც სამ უცხოურ გამოცემაში — „ვაშინგტონ პოსტში“, „თაიმსსა“ და „ფაინენშელ თაიმსში“ ერთდროულად ჩნდება რუსეთის არმიის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი წერილები, აშკარაა, გაჩაღებულია ფართომასშტაბიანი პროპაგანდისტული კამპანია რუსული არმიის დისკრედიტაციისთვის და იმის დასამტკიცებლად, რომ საჭიროა საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტის (ანუ ამერიკული სპეცრაზმის) შეყვანა რეგიონში. აი, როგორ შეაფასა ბრიტანულმა „იდეპენდენტმა“ რუსეთის მხარის განცხადება პანკისის ხეობის დაბომბვის შესახებ: „რუსეთის სამხედროების მიერ პანკისის ხეობის დაბომბვის უარყოფა ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ ეცილება ერთმანეთს ტყუილი და უაზრო, დაუსაბუთებელი თავის მართლება“. დასავლეთის პრესის ლანძღვის მსგავსი ეს განცხადება მეტყველებს იმაზე, რომ მზადდება ახალი სამხედრო ოპერაცია, რომელიც პანკისის ხეობის მასშტაბებს ვერ შეედრება. როდესაც შარშან, სექტემბრის მოვლენების შემდეგ, რუსეთმა მხარი დაუჭირა აშშ-ის ცენტრალურ აზიაში გამაგრებას, ეს მისი გავლენის სფეროს საზიანოდ მოხდა. ახლა კავკასიის ჯერი დადგა. სწორედ ამ საკითხზე მსჯელობს „ფაინენშელ თაიმსი“: „ავღანეთში სამხედრო კამპანიის დასაწყისში რუსეთის მხარდაჭერა აუცილებელი იყო, ახლა კი აშშ-მა და ევროკავშირმა უნდა ისარგებლონ შემთხვევით და ჩეჩნეთის საკითხი საერთაშორისო საზოგადოებრიობის განხილვის საგნად აქციონ“.

ცენტრალურ აზიაში ფეხის მოკიდების შემდეგ, აშშ მყარად გრძნობს თავს რუსეთის გავლენის სფეროების ზონებში. პანკისის ხეობაში ამერიკული სპეცრაზმის გადმოსხმის ერთი თვის შემდეგ კი ნეტავ სადამდე გადაიწევს რუსეთის საზღვრები კავკასიაში?

ნეზავისიმაია გაზეტა **№150**

და მაინც, ვინ დაბომბა საქართველო?

ოტო ლაციში, „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“: 28 აგვისტოს, ჩიტაში, ციმბირის სამხედრო ოლქის შტაბში ჩატარებულ თათბირზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა: „რუსეთის ტერიტორიაზე გასვლის მცდელობისას, საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ტერორისტებთან ბრძოლაში დაიღუპა რუსეთის 7 სამხედრო პირი“. ამასთან, იმავე 28 აგვისტოს მილიონობით ტელემაყურებელმა ORT-ზე ნახა სიუჟეტი, სადაც რიგითმა მესაზღვრეებმა — ოლეგ ხისმატულინმა და ნიკოლაი ბოჟკოვმა აღიარეს, თანამებრძოლები ჩვენ დავხოცეთ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზეო. რა მოხდა? პრეზიდენტს შეეშალა, თუ იმათ, ვინც მას ინფორმაციას აწვდის? აღვილი შესაძლებელია, რომ ამ შეცდომის აღმოჩენის შემდეგ პირის მოსაწმენდად თქვან, — ესენი კი არა, საზღვარზე სხვა 8 რუსი სამხედრო დაიღუპაო. ქართველი მფრინავი რუსტელისა და სუ-25-ის ამბის გამომგონებელს არც ამ ამბის შეთხზვა გაუჭირდება.

ნიკოლაი სვანიძე, ტელეწამყვანი: — ვარიანტები, თუ ვინ დაბომბა, უამრავი შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ ფაქტია, რომ მთელი საქართველო კი არ დაიბომბა, არამედ მხოლოდ პანკისი, სადაც ბოევიკები არიან გამაგრებულნი. ეს თავად ქართველებსაც შეეძლოთ გაეკეთებინათ და მართალნიც იქნებოდნენ, რადგან ორ კურდღელს დაიჭერდნენ — ბოევიკებს მოიშორებდნენ და რუსეთს გადააბრალებდნენ. თუ რუსებმა დაბომბეს, მათი გამართლებაც შეიძლება, ამიტომ მამააბრამის ბატკნებად ნუ მოაქვთ თავი. ამერიკელები დიდი ხნის წინ დაბომბავდნენ ბოევიკების ამ ბუდეს და მსოფლიოსაც ამცნობდნენ.

ანზორ კავაზაშვილი, სსრკ-ის ნახერების მეკარე 1960-იან წლებში: — ყოველ შემთხვევაში, არა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა. ეს ფაქტია. დარწმუნებული ვარ რუსეთის არმიის წესიერებაში.

ვიქტორ ბარანეცი, სამხედრო მიმომხილველი: — იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიდის „დიდი თამაში“, სადაც მხარეები ყველანაირ არგუმენტს იყენებენ, სერიოზულსაც და ფარისევლურსაც. პირადად მე გამაოგნა ექსპერტის მტკიცებამ, მოზდოკის სუ-25 კავკასიის ღამის სივრცეში დაიკარგებოდა, რადგან განათების საშუალება არ აქვსო. საოცარია... 1986 წელს ავღანეთში საკუთარი თვალით არაერთხელ მინახავს, ქაბულის უკუნეთ ღამეში როგორ მიჰქროდნენ მოჯაჰედების დასაბომბად ჩვენი „გრაჩები“ (ასე ეძახდნენ მფრინავები სუ-25-ს) და შეუფერხებლად უკან ბრუნდებოდნენ. მახსოვს, რა მაღალ შეფასებას აძლევდნენ ამ მანქანას სამხედრო პილოტები. ასე რომ, ამ თვითმფრინავს ნურავინ დააკნინებს.

ალექსანდრ პლენკოვი, I კლასის მფრინავი, თადარიგის მაიორი: — ბევრი რამაა გაურკვეველი. ვერსია იმის შესახებ, რომ ქართველმა ლეიტენანტმა დაბომბა ხეობა, ეჭვს იწვევს: ღამე ამას ვერ მოახერხებდა. ასეთი გადაფრენისთვის სულ ცოტა, სამასი საათი მაინც უნდა ჰქონდეს ნაფრენი, თანაც ასი საათი — ღამით. თუმცა შტურვალთან შეიძლება პოლკოვნიკიც იჯდა, თავს კი ლეიტენანტად ასაღებდა. ჩვენებს რომ დაებომბათ, აშშ უმალ წარუდგენდა შევარდნაძეს თავისი თანამგზავრიდან მიღებულ ფოტოებს, მაგრამ რაღაც არაფერი ჩანს...

ვლენ ბასლამისი, გაზეთი „მილეთი“ (თურქეთი): — ეს შეეძლო გაეკეთებინა რუსეთს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩეჩენ ბოევიკთა ჯგუფი გაენადგურებინა, მეორე: იმისათვის, რომ თბილისისთვის ეჩვენებინა თავისი ძალა — კავკასიაში ჩემი ინტერესების დაცვა ძალმიძსო! მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ამ ინციდენტის უკან თავად საქართველო დგას. მას ახლა ძალიან სჭირდება დასავლეთის მხარდაჭერა.

დასავლეთი მოსკოვს სიცრუეში ადანაშაულებს!

ვაშინგტონმა მკაცრად გააფრთხილა რუსეთი ქართული სოფლების დაბომბვისათვის, რასაც მშვიდობიან ადამიანთა დაღუპვა-დაჭრა მოჰყვა. თეთრ სახლს ეჭვიც არ ეპარება, რომ დაბომბვა სწორედ რუსეთის სამხედრო ავიაციამ განახორციელა. საინტერესოა, რომ რუსეთის პარლამენტის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ მარგელოვი ის პირველი რუსი ოფიციალური პირია, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს დაბომბვის ფაქტს არ გამორიცხავს. მარგელოვმა გააფრთხილა რუსეთის მთავრობა, რომ ასეთმა ქმედებებმა შეიძლება რუსეთი და აშშ ერთმანეთს დაუპირისპიროსო. არადა, მოვლენათა ამგვარი განვითარება რომ რეალობასთან ახლოსაა, მოწმობს თეთრი სახლის პრესმდივნის გარი ფლეიშერის განცხადებაც, ანუ ვაშინგტონი ოფიციალურ მოსკოვს დიპლომატიურ ენაზე ადანაშაულებს სიცრუეშიც და საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაშიც. ამიტომ აღარაა გასაკვირი, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის რიჩარდ ბაუჩერის კატეგორიული განცხადებაც, რომ პანკისის ხეობის პრობლემის დარეგულირებაში მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება და ქართული ჯარი უნდა მონაწილეობდესო! ხოლო ის ფაქტი, რომ რუსეთი დაჟინებით უარყოფს დაბომბვებში თავის მონაწილეობას, მხოლოდ ამძიმებს ვითარებას. ისმის კითხვა: რა ფასი აქვს პუტინის მცდელობას საერთაშორისო დაძაბულობის განსამუხტავად, თუ ამ პოლიტიკას ძირს უთხრის რუსეთის გენერალიტეტის თავაშვებულობა?!

გაზეთი „ფაინენშელ თაიმსი“ კი წერს, რომ მოსკოვმა ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით თავად შექმნა ჩეჩნეთში მეამბოხეთა რეჟიმი. ამიტომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობებმა სერიოზულად უნდა განიხილონ ამ კონფლიქტში ჩარევის ვარიანტები. რასაკვირველია, მოსკოვი არ დათანხმდება ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარების ინტერნაციონალიზაციას, მაგრამ ამ შემთხვევაში კრემლის პოზიცია სუსტია, რადგან თავად რუსეთს მიაჩნია „საკუთარ საქმედ“ საქართველოში ინტერვენცია და საამისოდ ყველაფერზე მიდის. ამის მისაბაძ მაგალითად კი რუსებს ავღანეთში აშშ-ის მიერ განხორციელებული ოპერაცია მოჰყავთ. მაგრამ ამგვარი პარალელის გავლება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. რუსეთი უწინარესად იმიტომ აწყობს ინტერვენციას საქართველოში, რომ ეს მის სტრატეგიულ ინტერესებში შედის. საქართველოს გავლით უნდა მოხდეს კასპიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება დასავლეთის ბაზრებზე და მოსკოვს სურს, კასპიის ენერგორესურსების უდიდესი ნაწილი რუსეთის გავლით მოხვდეს დასავლეთში. ამდენად, ვითარების დესტაბილიზაცია საქართველოში ნაკლებად მიმზიდველს გახდის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის სატრანზიტო მარშრუტს. მოსკოვი აფხაზ და ოს სეპარატისტებს უჭერს მხარს, რათა არ დაუშვას საქართველოში ეროვნული კონსოლიდაცია, თანაც საბჭოთა კავშირის დროინდელ სამხედრო ბაზებს ინარჩუნებს ამ ქვეყანაში. საერთაშორისო თანამეგობრობას მიაჩნია და სრულიად სამართლიანადაც, რომ თუ რუსეთი ანტიტერორისტული ოპერაციის მომიზეზებით ჯარს შეიყვანს საქართველოში, ეს მისი უწინდელი ბატონობის აღდგენისა და საქართველოს დასავლეთზე ორიენტირებული ლიდერების, უწინარესად, პრეზიდენტ შევარდნაძის დასჯის მიზნით იქნება განხორციელებული!

ვაშინგტონ პოსტი ფაინენშელ თაიმსი

საზღვარგარეთ სწავლის მსურველთა ყურადღებოდ!

- TOEFL/GMAT (მათემატიკის მოდულის ჩათვლით) ბიზნეს ინგლისური საკომუნიკაციო ინგლისური
- უნივერსიტეტებისა და კოლეჯების შერჩევა აშშ-ში, საბუთების გაფორმება, თარგმანი, დამოწმება.

განაცხადი მიიღება ყოველდღე 12-18 სთ-მდე
შაბათ-კვირის გარდა

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 50, II სად., II სართ.
ტელეფონი: 22 19 72; 899 55 15 24

გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენ გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

ჰკითხეთ გერიოსობენ

დემურ დემურიშვილს დედა ეუბნება:

— შვილო, სადაცაა პირველ კლასში წახვალ. მოდი, ათის ფარგლებში მიმატება-გამოკლებაში ვივარჯიშოთ.

ბავშვმა უპასუხა:

— დედა, მე ოცის ფარგლებში ვიცი და უხალისოდ დაიწყო პასუხების გაცემა დედის მიერ დასმულ ზეპირ მაგალითებზე. დედა ეკითხება:

— ცხრას მივუმატოთ ორი, რამდენია?

— ათი!

— აკი ვიცი?! — გაუწყრა დედა.

— დედა, შენ მითხარი ათის ფარგლებშიო, თორემ ისე თერთმეტია — მიუგო ბიჭმა.

***

3 წლის ლანა ციცაძის მამამ მუშაობა დაიწყო. აღფრთოვანებულმა გოგონამ ასე მიულოცა მამიკოს:

— გილოცავ სამსახურის მუშაობას და აწი უფრო ბევრი კანფეტები მიყიდეო.

***

ლულუ ბებო **პატარა ტატოს** უხსნის დედალსა და მამალს შორის განსხვავებას.

— დედალი ქალი ქათამია და კვერცხს დებს, მამალი — კაცია და ყივის.

— ე.ი. მე კაცი ვარ და მამალი ვარ, შენ ქალი ხარ და დედალი, ხომ? — კითხულობს ტატო.

— ჰო, შვილო, — პასუხობს ლულუ ბებო.

— კი მაგრამ, შენ კვერცხს დებ? — კვლავ კითხულობს ტატო.

ოპოვე 11 განსხვავება

I ხმა, გამოიცანი

1. ვის სახელს ატარებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია?

ა) პეტრე ამირანაშვილის; ბ) ვანო სარაჯიშვილის; გ) დავით ანდღულაძის; დ) ზაქარია ფალიაშვილის.

2. ვინ ჭედავს ცხენებს?

ა) ნალბანდი; ბ) დალაქი; გ) მჭედელი; დ) მეწაღე.

3. რა ჰქვია გარეულ მსხალს?

ა) ზღმარტლი; ბ) უნაბი; გ) მაჟალო; დ) პანტა.

4. ბუნების რომელ მოვლენაზე ამბობენ „ცრის“?

ა) თოვლზე; ბ) წვიმაზე; გ) სეტყვაზე; დ) ქარზე.

II

იპოვე ორი ერთნაირი მტრედი

III რებუსი

IV

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ მშვილდის „ტყვიის“ სახელს.



V

მიუჩინე ყველა ნივთს შესაფერისი ადგილი



მიიყვანე თაგვი ყველთან

დავალება პირველკლასელთათვის

დაეხმარე არიციას სასკოლო ნივთების შერჩევაში

დააკავშირე ხაზებით ერთმანეთის საპირისპირო ნახატები



ჯვარედინი

ცხენის ჯოგი				ბრიყვი, გაუზრდელი, უხეში ადამიანი				იგივეა, რაც იმედი				იტალიელი კინორეჟისორი, ფედერიკო ...						ჟინიანი, მიზეზიანი											
მუსიკ. ნოტი				ნადირის დასაჭერი მოწყობილობა				ჟურნალ-გაზეთების ერთობლიობა								... დაბა, ქალაქი				ბუნებრივი უნარი				სასკოლო ნივთი, წიგნის „მეგობარი“			

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

„პირველი მერცხალის“ რეჟისორი — ფილმი და სინამდვილე ფეხბურთის სიყვარულზე

საქართველოში არ მეგულება მაყურებელი, რომელიც არ იცნობს, ან გულგრილადაა განწყობილი რეჟისორ ნანა მჭედლიძის ფილმებისადმი. მათ აღიარება არც ადრე აკლდათ, არც დღეს აკლიათ... როცა ქალბატონ ნანას ვახსენებ, მეხსიერებაში ამოტივტივდება ის პირველი გაკვირვების განცდა, როცა გავიგე, რომ „პირველი მერცხალის“ რეჟისორი ქალია და ის უკიდეგანო სიყვარულიც ეროვნული სიამაყის — ქართული ფეხბურთის მიმართ, ჩვეულებრივ მამაკაცებს რომ უფრო სჩვევიათ, ქალს ეკუთვნის. ალბათ, ამ განცდამ განაპირობა, რომ ქალბატონ ნანას პირველი კითხვა უნებლიეთ ფეხბურთზე დავუსვი. საუბარი ისე საინტერესოდ წარიმართა, რომ მაშინვე მოვინუსხე და ბოლომდე ასე ვუსმენდი.

— ქალებსაც უყვართ ფეხბურთი. მე, მაგალითად, ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა. იმდენად, რომ, ანეკდოტები და ლეგენდებიც კი დადიოდა ჩემზე ჩემს ნაცნობ-მეგობრებში...

— რას ბრძანებთ, ასეთი რა ანეკდოტები იყო?

— ერთხელ სოხუმში ვიყავი, თბილისში კი თბილისის „დინამო“ რომელიღაც გუნდს ეთამაშებოდა. ძალიან ვჩქარობდი, გადავწყვიტე ჩამოვფრენილიყავი. უნდა გითხრათ, რომ მატარებელი საერთოდ არ მიყვარს და ადრე, როცა თვითმფრინავის ბილეთი ხელმისაწვდომი იყო, ფრენა მერჩია ხოლმე. „კრასნოდარი-თბილისი“ მოფრინავდა სოხუმის გავლით. მგზავრებს გამოგვიცხადეს, რომ თვითმფრინავი უმნიშვნელოდ გაუმართავია და როგორც გნებავთ, ისე მოიქეცითო. კერძოდ რაზე იყო საუბარი, აღარ მახსოვს... ყველამ არჩია მატარებლით მგზავრობა, მაგრამ მე ხომ მაგვიანდებოდა! წამოვედი თითქმის ცარიელი თვითმფრინავით მფრინავებისა და სტიუარდესას საზოგადოებაში.

— ეს ლეგენდაა თუ მართლა ასე იყო?

— მართლა ასე იყო... როცა ცუდი ამინდის გამო ფრენა არ იყო, მატარებლით მაინც არ წამოვსულვარ. დღეები ველოდი გამოდარებას. მამა მეუბნებოდა, რა არის, ახლა რომ თვითმფრინავით არ ჩამოსულიყავი, რა იქნებოდა, რა დაშავდებოდაო. როგორც ჩანს, მაინც ეშინოდა, რამე არ შემმთხვეოდა. ხუმრობდა: ისე გეჩქარება, მზად ხარ, სამი დღე აეროპორტში გაათენოო.

— ფეხბურთის სიყვარული საკვირველი სულაც არ არის, მაგრამ ის გამბედაობა და უშიშარი ბუნება, თქვენ რომ გქონიათ, მართლა მაკვირვებს.

— შიშზე არ ვფიქრობდი საერთოდ... ვცურავდი კარგად. ძალიან შორს გავდიოდი ზღვაში, ყოველ დილას 4 საათი მაინც ვიყავი წყალში და თითქმის იქამდე მივდიოდი, გემები რომ დაცურავდნენ. ავხედავდი ზემოთ, მთები რომ გამოჩნდებოდა, ვიცოდი, ძალიან შორს ვიყავი უკვე. მეკითხებოდნენ: ზღვის ცხოველები არ გხვდებაო? არაფერიც არ მხვდებოდა... მაგრამ ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა: ხალხი ამბობდა, სანაპიროზე რვაფეხა გამოჩნდაო. ეშინოდათ, წყალში ვერ ჩადიოდნენ. სტატიაც კი დაიწერა ამაზე. მიუხედავად ამისა, მაინც შორს გავცურე. უცებ რაღაცის შეხება ვიგრძენი შიშით გული მომეწურა მოვიხედე, ვხედავ კუნძი ტივტივებს, იმისი ფესვი კი მე მეხება... მსგავსი შიში არასოდეს მიგრძნია. ემოციისგან ისე შევიბორკე, კინაღამ ფსკერისკენ წავედი. თან სად ვიყავი, იცით? ნაპირი ძლივსღა ჩანდა. დახმარების ლოდინი გამორიცხული იყო. როგორღაც უნდა ამეყვანა თავი ხელში. დავიწყე სიმღერა, თან შეძლებისდაგვარად ხმამაღლა. ამან ძალა მომცა და გამოვცურე...

მარტო ვარ... თითქოს ძალიან დავშორდი ამ ცხოვრებას. რაც ჩვენ გარშემოა, უკეთესი განწყობილების საშუალებას არ მიტოვებს.

— თქვენისთანა მტკიცე ხასიათის ადამიანისათვის რეჟისორობა რთული პროფესია არ იქნებოდა...

— რეჟისორობა ქალისათვის კი არა, მამაკაცისთვისაც რთული პროფესიაა, მაგრამ მე რომ ვუყურებ, კაცებს უფრო უჭირთ წონასწორობის დაცვა, ნერვიულობენ, უფრო ემოციურები არიან. ემოციურობა არც მე მაკლდა, მაგრამ გადაღებაზე რომ მივდიოდი, ვიცოდი სირთულეც შემხვდებოდა, გაუთვალისწინებელი პრობლემებიც. რეჟისორია მთავარი, ყველაფერი მას ეკითხება, ყველა პასუხისმგებლობა მას აწევს. ხან მსახიობი არ მოვა, ხან კოსტიუმი არ იქნება მზად, ათასი რამ შეიძლება მოხდეს. მე ვცდილობდი, ყველა პრობლემა გადამეჭრა და სიმართლე გითხრათ, არ მაგონდება, გადაღება ჩამშლოდეს. სხვებიც სიამოვნებით მუშაობდნენ. საათზე არავინ იყურებოდა, როდის დავამთავრებთ გადაღებასო... გადაღებამდე თუ ჩვეულებრივ, მშვიდად ვცხოვრობდი, გადაღების დაწყებისთანავე მთლიანად საქმეში ვიყავი ჩაფლული, იმდენად, რომ რეალობას აღარც კი ვაქცევდი ყურადღებას. მაშინ დაღლას ვერ ვგრძნობდი... ახლა, როცა ამდენი წელი გავიდა, რაც ბოლო ფილმი „დანაშაული მოხდა“ გადავიღე, გაცილებით უფრო მოქანცული ვარ. ამაზე ლაპარაკიც არ მინდა... ნოსტალგია მაქვს... ახლა ხომ დრო საოცრად მძიმეა, მაგრამ წარსულის დაბრუნება მაინც არ მინდა.

— დიდ შრომასთან ერთად, ბევრი კარგი რამ გაჩუქათ თქვენმა პროფესიამ. თუნდაც ლეგენდარულ მსახიობებთან ურთიერთობა რად ღირს...

— მართლაც კარგი ხალხი იყო ჩემ ირგვლივ. სინანულით ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრი აღარ არის ცოცხალი... დოდო აბაშიძე... იპოლიტე ხვიჩია, „პირველი მერცხალის“ ოპერატორი გიორგი ჭელიძე, სცენარის ავტორი — ლევან ჭელიძე... „პირველ მერცხალს“ რომ ვიღებდით, რაკი კომედია იყო, მსახიობები ცდილობდნენ, ისე ეთამაშათ, რომ კომიკური სახეები შეექმნათ... იმდენად არ მომეწონა რაც გადავიღეთ, რომ ფილმის თითქმის ორი ნაწილი გადავაგდე. დავიბარე მსახიობები და ვუთხარი: იცით რა? გადავწყვიტე, კომედია არ გადავიღო. რა გვაქვს სამხიარულო, რუსეთის კოლონია ვართ, დაჩაგრული ერი, გადავიღოთ დრამა-მეთქი. ცოტა გაუკვირდათ, მაგრამ რა ექნათ... კინოსტუდიაში დიდ დარბაზში შედგა პრემიერა. ჩვენებისას თავიდან ბოლომდე სიცილი ისმოდა. ერთი ახალგაზრდა, „პირველ მერცხალში“ მეზღვაურის როლს რომ ასრულებს, ბათუმის თეატრის მსახიობი — შალიკაშვილი მოწყენილი იყო. რა მოგვივიდა, რაღაც, უკმაყოფილო ჩანხარ-მეთქი? — ვუთხარი. არა, ქალბატონო ნანა, უბრალოდ, გადაღებისას ჩვენ ვტიროდით და ნახეთ, ხალხი როგორ იცინისო?!



კადრი ფილმიდან „იმერული ესკიზები“

— ფილმმა წარმატება ეკრანებზე გამოსვლისთანავე მოიპოვა...

— პირველი ჯილდო თეირანის IV საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო. დაჯილდოება ირანში დიდი პომპეზურობით იმართებოდა ხოლმე. მე რომ წავედი, იმ ფესტივალზე მსოფლიოში გამოჩენილი ყველა მოღვაწე იყო მიწვეული, ერთადერთი, ჩარლი ჩაპლინი ვერ ჩამოვიდა, მანაც წერილი მოიწერა: ლოგინზე ვარ მიჯაჭვული და ვწუხვარ, ვერ ჩამოვდივარო. საუკეთესო ჟიური აფასებდა ფილმებს. ელდარ რიაზანოვს უთქვამს: მომბეზრდა ფესტივალებზე სიარული, მაგრამ თეირანის ფესტივალზე ყოველთვის სიამოვნებით წავალ, იმიტომ, რომ ეს ზღაპარიაო. მახსოვს, კიდევ ერთმა ჩემმა კოლეგამ, რეჟისორმა ქალმა დამირეკა ჩეხოსლოვაკიიდან და მითხრა, რა ბედნიერი ხარ, მიდიხარ ირანში და „ათას ერთ ღამეში“ მოხვდებიო. მართლაც ასე იყო. ეს იყო სასწაული. შაჰი არ მინახავს, ის საგარეო პოლიტიკას განაგებდა. კულტურის სფეროში მისი მეუღლე შაჰის უფლებებით სარგებლობდა. თვითონ ულამაზესი, ძალიან ჭკვიანი არქიტექტორი იყო. მე და დოდო აბაშიძეს თავად მან გადმოგვცა პრიზები. მე — რეჟისურისათვის, მას — საუკეთესო მამაკაცის როლის შესრულებისათვის. მიწვეული ვიყავი ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში „პირველი მერცხალის“ საპრემიერო ჩვენებაზე. ეს ძალიან პრესტიჟულია, როცა იქ გოდარის ფილმის პრემიერას უჩვენებდნენ, ამ დროს ის აფრიკაში იღებდა ფილმს და ამბობენ ორი საათით ჩაფრინდა ნიუ-იორკში, რომ ამ ღონისძიებას დასწრებოდაო. მე, სამწუხაროდ, „პირველი მერცხალის“ ჩვენებაზე არ გამიშვეს... საერთოდ, დიდი სიხარულით არსად არ მიშვებდნენ, მაგალითად, ავსტრალიაში. რატომღაც საქართველოდან მქონდა შეფერხება. ვიდრე მოსკოვიდან არ დარეკეს, რატომ ნანა მჭედლიძეს არ უშვებთ, ღონისძიება გვეშლებაო, მანამდე არც კი მითხრეს, რომ მიწვეული ვიყავი. 11 დღე უნდა ვყოფილიყავი ავსტრალიაში, დაგვიანებით ჩავედი და მხოლოდ 6 დღე დავრჩი... არ გამიშვეს პარიზში, იუგოსლავიაში. იქაც ფილმის გამო ვიყავი მიწვეული. მერე მითხრეს: ასე თქვეს, რაღა ამ ღრმად მორწმუნე ადამიანს უშვებთო...

რა გვაქვს სამხიარულო, რუსეთის კოლონია ვართ, დაჩაგრული ერი, გადავიღოთ დრამა.

— იმ წლებში მორწმუნეობა და მით უმეტეს, ღრმად მორწმუნეობა უბრალო საქმე არ იქნებოდა...

— მე მრცხვენია, ამას რომ ვამბობ. ღრმად მორწმუნეს როგორ დავარქმევ ჩემს თავს. მრევლის ჩვეულებრივი წევრი ვიყავი. მე რომ ღრმად მორწმუნე ვიყო, ჩემისთანა ბედნიერი ადამიანი არ იარსებებდა. ეს იმხელა მადლია, მე რა დავიმსახურე, რომ მომენიჭოს, მაგრამ ეს ხომ მათ არ იცოდნენ. კარგი თვალით არ უყურებდნენ, ვინც ეკლესიაში დადიოდა. რთული იყო, მაგრამ რწმენის ძალას ღმერთი განიჭებს.

— და ოჯახი ხელს გიწყობს, რომ სწორი გზა აირჩიო, რწმენის გზა...

— რა თქმა უნდა. ბაბუაჩემი — სიმონ მჭედლიძე მღვდელი იყო, 1924 წელს დახვრიტეს. დღეს ის წმინდანად არის შერაცხული. სწორედ მასზე და მასთან ერთად დახვრეტილებზე მინდოდა ფილმის გადაღება...

— თქვენი ბავშვობის შთაბეჭდილებები, ალბათ „იმერულ ესკიზებში“ ჩატიეთ... საოცარი იმერელი ბებია გვაჩვენეთ.

— ეს ბებიაჩემის და სხვა იმერელი ბებიების კრებითი პორტრეტია. ამ ამბების ზოგის მომსწრე ვიყავი, ზოგიც გადმოცემით ვიცოდი. მოგონილი არაფერი არ არის.

— ეტყობა კიდეც ფილმს. რეალურად რომ არ ყოფილიყვნენ ასეთი ბებიები თქვენს ცნობიერებაში, ისე დამაჯერებლად ვერც შეასრულებდით მთავარ როლს.

— როლის შესრულებაზე არც მიფიქრია. ჩემი სცენარია, ჩემი რეჟისურაა, ახლა კიდევ მთავარ როლს შევასრულებ-მეთქი, არც კი მომსვლია თავში. ვეძებდი შემსრულებელს და შევარჩიე სესილია თაყაიშვილი. გადაღებაზე რომ მივდიოდით, ქალბატონი სესილია ავად გახდა. ძალიან შევწუხდი. ერთი წელი ვემზადებოდით გადასაღებად მთელი ჯგუფი. ეს ჟამარმაზარ ხარჯებთან არის დაკავშირებული. რეზო ჩხეიძე დავამშვიდე, ვეცდები, გამოსავალი ვიპოვო-მეთქი. გადავწყვიტე, მომეწვია ქეთო ბოჭორიშვილი. ძალიან მიყვარს ეს მსახიობი, უნიჭიერესი ქალია, ქართლელია, მაგრამ მე დავეხმარებოდი, რომ იმერელი განესახიერებინა. ქეთო გორის თეატრში მუშაობდა. ვიფიქრე: გავუვლი და თან წავიყვან გადაღებებზე-მეთქი. გავუარეთ, დაუძახეს და რას ვხედავ: მოდის ყავარჯნებით. თურმე დაცემულა, ფეხი მოუტეხია. აღარც კი მითქვამს, შენი გადაღება მინდოდა-მეთქი, გული რომ არ სტკენოდა. მოვიარეთ მე და ჩემმა მეორე რეჟისორმა ნუგზარ ლორიამ მთელი იმერეთი. ჩემი პირობა ასეთი იყო: გამხდარი, მაღალი ქალი უნდა გვეპოვა. ვერ ვიპოვეთ. ჩემს ბავშვობაში (ხონში ვიზრდებოდი) იმერლები გამხდრები იყვნენ, მსუქანი ერთი ქალი მახსოვს, ისიც კახეთიდან იყო გამოთხოვილი... მოკლედ, ვერავინ შევარჩიეთ. ნუგზარმა ამიმხედრა მთელი ჯგუფი, საშველი აღარ მომცა, შენ თვითონ ითამაშეო... ასე მოვხვდი ამ როლზე.

— მსახიობის ამპლუა ძალიან უცხო არ იქნებოდა, თქვენ ხომ სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობდით.

— თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე. სამსახიობო ფაკულტეტზე ბრწყინვალე მასწავლებლები მყავდა. თუკი მე რამეს წარმოვადგენ, მათი დამსახურებაა. სამწუხაროა, რომ დღევანდელი ახალგაზრდები ვერ ნახავენ, როგორ ლექციებს გვიტარებდა დიმიტრი ალექსიძე. ეს ცალკე სპექტაკლი იყო, ფეიერვერკი. საშა მიქელაძე მასწავლიდა, ვასო ყუშიტაშვილი, ლილი იოსელიანი. ამათი დასახელებაც კი საკმარისია მკითხველისათვის. მე შევიცვალე პროფესია. რეჟისურა უფრო ჩემეული იყო... ღმერთმა ასე ინება... სხვათა შორის, ახლა, რომ მოვხუცდი, გადაღება მთხოვეს ერთ-ორ ფილმში... არ ვიცი რას ვიზამ. როგორც ყველანაირი ფილმის გადაღება არ შემიძლია, ისე ყველა როლს ვერ ვითამაშებ...

— „დიდედები და შვილიშვილები“ რომ გადაიღეთ, ახალგაზრდა იყავით, დიდედობის ასაკს საკმაოდ დაშორებული. დღეს რას ფიქრობთ, ამ ფილმს რომ უყურებთ?

— მე, საერთოდ, ჩემს ფილმებს არ ვუყურებ. არ მიყვარს. ფილმზე მუშაობისას იმდენჯერ ვნახულობ და ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ... ვფიქრობ, ნეტავ ეს როგორ ვთქვი, ეს ხომ მართო ჩემი უნდა ყოფილიყო, მე კი საჯაროდ განვაცხადე-მეთქი. ამიტომაც არ მსიამოვნებს ყურება.

— დაბოლოს, თქვენ თეატრშიც დადგით „მარტოობის ბინადარი“.

— შარშან ერთი მსახიობის თეატრში მიმიწვია სოფიკო ჭიაურელმა. დავდგი „მარტოობის ბინადარი“, რომელშიც თვითონ სოფიკო თამაშობს. ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის თეატრში მუშაობა. სპექტაკლი რომ შედგა, სოფიკოს დიდი დამსახურებაცაა, მწერლის — რეზო კლდიაშვილისაც... მე არ ვიცი ჩემი წვლილი რამდენია, მაგრამ ერთში დავრწმუნდი. თურმე, ისევ შემიძლია მუშაობა აბსოლუტურად იმავე დატვირთვითა და ენერგიით, როგორითაც ადრე... ეს მნიშვნელოვანია...

— რაც შეეხება მარტოობის თემას, ეს ყველა შემოქმედისათვის ახლობელია, არა?

— ახალგაზრდობაშიც და ახლაც, ყოველთვის ვიყავი მარტოსული. მყავდა უამრავი ახლობელი, ამხანაგი, ბოლომდე ამხანაგებად რომ დარჩნენ... ახლა მყავს ქალიშვილი მაგდა, უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ასწავლის... მიუხედავად ყველაფრისა, მარტო ვარ... არ დავდივარ არსად, არც ჩემთან დადიან ხშირად, ერთი-ორი მეგობარი თუ მოდის... შეიძლება ეს ყველაფერი იმისი ბრალია, რომ საქართველო ასეთ დღეშია. ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. ბეწვის ხიდზე გავდივართ... თითქოს ძალიან დავშორდი ამ ცხოვრებას. არც მარტო ასაკშია საქმე... რაც ჩვენ გარშემოა, ტელევიზორში რასაც ვხედავთ, უკეთესი განწყობილების საშუალებას არ მიტოვებს. თუმცა... ღმერთი მოწყალეა...

P.S. *არ შეიძლება სულ ასეთი მძიმე დრო გვედგას. ყველაფერი კარგად უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ყოველთვის ჰყავს ისეთი შვილები, ვისაც ყველასათვის გასაგებ, ხელოვნების ენაზე შეუძლია, მსოფლიოს უთხრას: ჩემი სამშობლო დიდი საქართველოა.*

ლელა ჯიჯაშვილი

თბილისის საინჟინრო-პედაგოგიური ინსტიტუტი „ათინათი“

აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

◆ იურიდიული; ◆ ქართული ენა და ლიტერატურა; ◆ ჟურნალისტიკა; ◆ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; ◆ საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; ◆ ფინანსები და კრედიტები; ◆ საბანკო საქმე; ◆ უცხო ენები; ◆ დაწყებითი განათლების პედაგოგიკა; ◆ სკოლამდელი აღზრდა.

წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-17 სთ-მდე. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს“ სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

ეპიზოდები ფოტოკამერის თანხლებით

— მოგვარეზე წერას მიკერძოებაში ჩაგვითვლიან, არ გვინდა; ისე კი, რამდენიც გინდა, ვილაპარაკოთ — მეუბნება ბ-ნი ტარიელ კაპანაძე. ვარწმუნებ, რომ თავად კი არა, მისი მოგონებები მსურს გავაცნო მკითხველს. იმდენ სახელგანთქმულ ადამიანს შეხვედრია პირისპირ და ისეთი ამბების მოსწრე ყოფილა, დასანანი იქნება, სხვებსაც რომ არ გაუზიაროს.

ისე, არც თვითონაა ადვილად „ხელწამოსაკრავი“ ვინმე და ამაში ის რეგალიებიც დაგვარწმუნებენ, რომელთა ჩამოთვლაც აუცილებლად მივიჩნიე: „იმედის მწვანე კუნძულად“ წოდებული გარდაბნის სახელმწიფო აღკვეთილის დირექტორი სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკია, ამავე დროს რესპუბლიკური და საკავშირო კატეგორიის მსაჯიცაა და ექსპერტიც — სანადირო კინოლოგიაში, სპორტის ოსტატი სასტენდო სროლაში და საქართველოს საპატიო მონადირეც.

ხომ გითხარით, ტიტულები საკმარისზე მეტი აქვს-მეთქი... მოსაგონებელიც ულევი.

მიმხვდარიყავი, რამოდენა განათლებას იტევდა და რამოდენა გულს დაატარებდა. მასავით სამშობლოზე შეყვარებული კაცის პოვნა დღეს არც ისე ადვილი საქმეა. მისი უნიკალურობა და განუმეორებლობა ამაშიც ღრმად ვლინდებოდა. არადა ნახეთ, ფოტოზე როგორი უბრალოა? — ფეხზე „ბატინკები“ აცვია და შარვალზე „ჩულქები“ აქვს ამოცმული, რომ სიარულში ხელი არ შეუშალოს. ღიმილი როგორღაც უდარდელი კაცისა უფრო აქვს, სინამდვილეში უამრავ დარდს ატარებდა და ყველაფერი გულთან მიჰქონდა. მისი სიმდიდრე წიგნები იყო და დიდი კაცობა, სულს რომ უნათებდა. დღეს რომ ასეთი პატრიოტები გვყავდნენ, ქვეყანა წელში გასწორდებოდა და ყველასა და ყველაფერს აუცილებლად ეშველებოდა.

ეპიზოდი მეორე

რეზო ლაღიძე — დიდი კომპოზიტორი, ბუნების ლაღი შვილი და სულით ხორცამდე იმერელი კაცი

— რეზო ლაღიძე თავისივე სიმღერებივით მშვენიერი, თბილი, ტკბილი და გემრიელი კაცი იყო. ბუნების ნამდვილი შვილი, ნადირობისა და თევზაობის დროს ისე გალაღდებოდა ხოლმე, გულში გავიფიქრებდი, კაცს რომ ასე ზუსტად ახასიათებდეს თავისი გვარი, მეორე არ მინახავს-მეთქი... ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა. „ტყე შეუნახე შვილებსა“ რომ დაწერა, ღამის 3 თუ 4 საათზე დამირეკა და მეუბნება, მომისმინე ერთი, ნახე, რა კარგი რამე დავწერეო და წაუღიღინა.

— ექსკლუზივის მფლობელად გაქცია და პირველს თქვენ მოგასმენინათ ახალდაბადებული სიმღერა?

— ეგრე გამოდის. თან მეუბნება — ისე, რა აზრი აქვს, შენ ხომ დათვმა დაგაბიჯა ყურზე ფეხი და რას გაუგებ ახლა ამასო.

— მთელი იმერეთი მღერის, ბატონო ტარიელ, არც კაპანაძეებში მინახავს ვინმე, სიმღერა რომ არ იცოდეს, თქვენ რა დაგემართათ?

— რა ვქნა, არაფერი გამომდის... ისე მეხუმრებოდა, თორემ დიდებული კაცი იყო და ძალიან ვუყვარდი კიდეც. გაჟონვა რომ დაემართა და ნახევარი მხარე წაერთვა, წვალობდა, მაინც დადიოდა, თევზაობდა და სვამდა კიდეც. სადღეგრძელოები იცოდა ისეთი, ტანში ჟრუანტელი დაგივლიდა, შეყვებოდით, ვიტყოდით ამ მთისას თუ იმ მთისას და მთელი „შტოფი“ ისე შემოგვეცლებოდა, ვერც ვგებულობდით.

ერთ დღეს აღშფოთებული მირეკავს: ტელევიზიას ჩემზე ფილმის გადაღება გადაუწყვეტია და სადღა ვარგივარ მაგისათვის, აქამდე სად იყვნენო. მართლა სად იყვნენ ეგ დალოცვილები, რას ელოდებოდნენ? ვინც ერის კულტურას და სახეს ქმნის, ბარემ ჯანმრთელი შემოუნახე მომავალ თაობებს, რა იქნება...

ერთი სიტყვით, წითელ ხიდთან შევიკრიბეთ მისი სამეგობრო, პურმარილით, მთელი ამბით. მე ვკასკადიორობ — იხვსაც ვკლავ და თევზსაც ვიჭერ; მერე ბ-ნ რეზოს ვაწვდით, როგორც მის ნადავლს. არადა, ადრე ან ნადირობაში ვინ შეედრებოდა, ან თევზაობაში. კი, რეჟისორმა ყველაფერი ოსტატურად აკინძა, ეჭვს ვერც შეიტან, თუ თვითონ არ აკეთებს ყველაფერს, მაგრამ ის აღტკინება და სიცოცხლის უნარი სადღა იყო, ასე უხვად რომ ჰქონდა საერთოდ?

ერთხელ თევზიანი კალათა დაგვრჩა არაგვზე — კარგად შეეუჟუჟუნებულებს, თურმე საბარგულში ჩადება დაგვიწყებოდა და ღამის თბილისს მოახლოებულს გაგვახსენდა.

— ტარიელა, სადაა, ბიჭო, თევზი? — სუფთა იმერული, ბაღდათური, სულაც ობჩური (სოფ. ობჩიდან იყო) კილოთი მეუბნება.

მივბრუნდით უკან.

— დაგვხვდება ახლა ვითომ ის კიდე იქანა? — ბუბუნებს ისევ იმერულად.

— თუ ტურამ არ მიაგნო, დაგვხვდება, — ვამშვიდებ და იღბლად აღგილზევე გვხვდება, თორემ დარდი მოკლავდა.

ისე, მაგის მანქანაში უცხო ვერ ჩაჯდებოდა, თევზის სუნით იყო გაჟღენთილი. უკანა ნაწილში ბადეები, ანკესები, ვედროები და კალათები ეწყო. ზოგჯერ პატარა თევზი სალონში გადმოვარდებოდა, სადმე უხერხულად გაიჩხირებოდა, ბ-ნი რეზო მის გამოღებას ვერ ახერხებდა და ადგილზე რჩებოდა სამუდამოდ, ამას კი არად დაგიდევდათ. ბუნების ნამდვილი შვილი იყო და ასეთი უხერხულობები არ აწუხებდა. ოღონდ კარგ კაცთან ესაუბრა და გლეხი იქნებოდა თუ ინტელიგენტი, მისთვის სულერთი გახლდათ. ბოროტება რა იყო, შური და მტრობა, ვერ გეტყოდათ, თვითონ ხალასს, უნდოდა ყველა ასეთი ყოფილიყო.

სასწაული კაცი იყო. ღამაზ სულს დაატარებდა და ღამაზ სიმღერებს წერდა. მარტო „თბილისო“ და „გულს რად მიკლავ“ ეყოფოდა უკვდავების დასამკვიდრებლად. ასეთები კი განა ცოტა აქვს?

საშინლად დამწყვიტა გული, უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ იმდენი ღამაზი მოგონება დამიტოვა, ჩემთვის ყოველთვის ცოცხალი იქნება.

ფოტოზეც ასეთივე დარჩა — კეთილშობილი, ერთგული, გამტანი, მართლა „ხალასი ოქრო და პატიოსნება“. გვერდს მასავით უსაყვარლესი კაცი, საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ოთარ საბაშვილი უმშვენებს. ეგ იყო ის მდივანი, რაიონს რომ შვილივით მოუარა და ყველას ძალიან შეაყვარა თავი. რეზომ და ბ-ნმა ოთარმა ჯერ თავიანთი არსებობით გაახარეს ყველა და მერე წასვლით დაამწუხრეს. მთელ საქართველოს თვალისჩინივით დააკლდნენ და კიდევ როდის მოვლენ მათი მსგავსნი, ღმერთმა უწყის.

ეპიზოდი მესამე

ხრუშჩოვი — საუკეთესო მსროლელი და მონადირე

— მსმენია, რომ აღკვეთილში დიდი თანამდებობის პირებიც გსტუმრობდნენ თურმე?

— როგორ არა, ჩვენთან მარტო ჩვენები კი არა, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი და პოლიტბიუროს წევრებიც მრავალჯერ ყოფილან, მარშალი გრეჩკო, ვასილევსკი, კულაკოვი და შოლოკოვი, МВД-ს არმიის გენერალი, ხომ თითქმის სულ ჩვენთან იყვნენ, ერთობოდნენ, ისვენებდნენ. ისე, დღეს რომ მითხრან, ხვალ თვით ზესახელმწიფოს, ამერიკის პრეზიდენტი ბუში გეწვევაო, ნერვიც არ შემიტოკდება, მაგრამ რაც მე ხრუშჩოვის ჩამოსვლამდე გადავიტანე, ვერ აგიწერთ.

ჩემი მღელვარების შესახებ ალექსი ინაურს ვუამბე, უშიშროების მაშინდელ მინისტრს, მართლა არაჩვეულებრივ ადამიანს, ალალად გაიღიმა და სრულიად მარტივად ამიხსნა, ჩვენ ხომ უამრავჯერ გვინადირია ერთად? ასე იქნები მასთანაც. ისიც ჩვენნაირი, ჩვეულებრივი ადამიანია, ორი ხელი, ორი თვალი, ერთი ცხვირი და თავი აქვსო და მერე ხუმრობა-ხუმრობაში ქვევითაც ჩამომყვა, გულიანად გამაცინა და დაძაბულობა მოიხსნა. თუმცა ხრუშჩოვის პირველმა დანახვამ, მაინც გამაოგნა. მანქანიდან ჩამოვიდა ტანდაბალი, ერთი ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული რუსი კაცი, რომელსაც სახეზე უამრავი ცხიმგროვა ჰქონდა და გულწრფელად გამიკვირდა, ნუთუ მართლა ეს კაცი მართავს ამ უზარმაზარ იმპერიას და ნუთუ მან გაბედა, გაეროში სიტყვით გამოსვლისას, ახმაურებული დარბაზის ყურადღება რომ მიეპყრო, ფეხსაცმელი გაეხადა და კათედრისთვის დაეშინა-მეთქი?

— მერე, ნადირობისა და ჩვეულებრივი ურთიერთობისას როგორი აღმოჩნდა ნიკიტა სერგის ძე?

— რა გითხრათ, აწყობილი ქვეყანა დაანგრია, ვერ შეინარჩუნა, ქვეყანას შავი პურიც სანატრელი გაუხადა, მაგრამ როგორც პიროვნება, ცუდი ნამდვილად არ იყო, პირიქით, ძალიან უბრალო, უშუალო და შინაურულიც კი გახლდათ.

— მართალია, რომ ცხოველებს თოკებით უბამდით და ისე „ნადირობდა“?

— თავისი ცოდვები არ ჰყოფნის, რომ ეგეც მივუმატოთ? პირიქით, შესანიშნავი მსროლელი და მონადირე იყო.

— ნადირობას ვინ ესწრებოდა ჩვენებიდან?

— მჟავანაძე, ინაური, ჯავახიშვილი და ცეკა-ს მდივანი ქადაგიძე — აზერბაიჯანიდან — ახუნდოვი და ისკანდეროვი, ხოლო სომხეთიდან — ზარობიანი და არუშანიანი. აქვე იყო უამრავი მოწვეული მონადირე. უშუალოდ ხრუშჩოვის ზურგში, ათიოდე მეტრის მოშორებით მისი დაცვის წევრი იდგა. დაცვას განსაკუთრებული მისია ჰქონდა, თუ დაჭრილი ნადირი მისკენ გამოქანდებოდა, ან ქვეშ მოიქცევდა მას, დაცვას ისე უნდა მოეხდინა ცხოველის ლიკვიდაცია, რომ ხრუშჩოვს, როგორც იტყვიან, თმის ღერიც არ შერხეოდა, თორემ ისე, თმა სად ჰქონდა? იმ დღეს მხოლოდ სამი ღორი და ერთი ირემი მოვკალით, მაგრამ ირმის „მკვლელს“ უსაყვედურა, როგორ გაიმეტე, ესეირნა ამ მშვენიერ ტყეშიო. როგორც ჩანს, მართლა არ ჰქონდა ცუდი გული და ამის დასტურად ერთ საინტერესო ამბავსაც გიამბობთ...

ბიჭვინთაში, ხრუშჩოვის აგარაკზე დასვენების დროს, ადლერში თვითმფრინავით 200-მდე ხოხობი ჩაიყვანეს, რომ მერე ჩვენს ტყეებში გაეშვათ და მას ენადირა. შეიტყვეს ეს ინფორმაცია ჩვენი ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა. ატყდა ერთი ამბავი. მეცნიერები შიშობდნენ, რომ ისინი ჩვენს სახელგანთქმულ ქართულ, ე.წ. კოლხურ ხოხობს შეერეოდნენ და, შეჯვარების შედეგად, სახეობის გადაგვარება მოხდებოდა. ამის თქმას ვერავინ უბედავდა, ვის ჰქონდა ათი თავი. ისევ მე გამიმეტეს და გამიშვეს. მივედი, გამიხსენა, ძალიან თბილად მიმიღო, ხელი მაგიდაზე დაჰკრა: Раз так, зачем обижать ученых-ო, — თქვა. დატვირთული თვითმფრინავი ადლერიდან კიევში გაისტუმრა და თვითონაც იქ წავიდა სანადიროდ. ასე გადავრჩით.

სხვათა შორის, მე მასთან ბიჭვინთაშიც ვარ ნამყოფი, აგარაკზე. ულამაზესი ორსართულიანი სახლი ჰქონდა, ლიფტითა და აუზით. მაშინ ასეთი რამ ახალი ხილი გახლდათ. სახლში შესვლის წინ დეზინფექციაგაკეთებული ნაბდები ამომაცვეს და ისე შემიშვეს. პურმარილი არავის გაუწყვია, მაგრამ სითბო და ყურადღება არ მოუკლიათ.

— მის ცოლს თუ იცნობდით?

— როგორიც თვითონ იყო, ისეთივე ჰყავდა, აბა, ბრიჯიტ ბარდო ხომ არ გაჰყვებოდა? ჩვეულებრივი რუსი ბაბა იყო, ნინა პეტროვნა ერქვა. საქართველო და ქართველები უყვარდა...

— კიდევ ხომ არაფერს გაიხსენებდით?

— ერთხელ ზამთარში გვეწვია. უზარმაზარი სეფა გვქონდა გაშლილი და საქართველოს ყველა კუთხიდან გვყავდნენ მოწვეული საუკეთესო მზარეულები. ხრუშჩოვმა, რატომღაც, დარჩენა არ ინება და ის იყო, მანქანაში ჩაჯდა, გამოვიდა ერთი ახოვანი, ორმეტრიანი თეალაული კაცი გაქათქათებული „ჩეფჩიკითა“ და ხალათით და მჟავანაძეს მიმართა: ვასილ პავლოვიჩ, მე ეგრე ვერ გავუშვებ მაგაი აქედანა, სტალინგრადში ჩვენ ერთად ვიბრძოდითო.

ხრუშჩოვი მიხვდა, მასზე რომ ლაპარაკობდნენ და მობრუნდა. თელაველმა მზარეულმა გაახსენა ხრუშჩოვს, ერთ-ერთი შესვენების დროს, როგორ იპოვა სადღაც მაგიდა, მერე წითელი გადასაფარებელ „ღმოაჩინა“ და პატარა სუფრაც გაშალეს — ნივრით, შავი პურითა და რუსული არყით დიდებულად „მოილხინეს“. Все правильно, — გაიხარა ხრუშჩოვმაც და გადაეხვივნენ ერთმანეთს. დასწვდა ეს ამხელა კაცი ამ პატარა კაცს, დაიხარია, ჩაბღუჯა, გააწითლა, იმდენი კოცნა. ერთი სიტყვით, დიდი ამბავი იყო. როცა დაგვემშვიდობა, დაგვპირდა: Когда свиньи наберут жира, обязательно приеду-ო, თუმცა მეტად აღარ ჩამოსულა.

— ბრეჟნევიც გყოლიათ ერთხელ, არა?

— ჰო, მაგრამ მაგას არ უნადირია. ჭაჭის არაყი მოეწონა ძალიან, ბევრი სვა და იმითაც კარგად ისიამოვნა...

თამარ კაპანაძე

რედაქცია მკითხველისაგან სიამოვნებით მიიღებს რუბრიკის შესაფერისი ფოტოებსა და ეპიზოდებს და გამოვაქვეყნებთ.

ბილიარდის, ბ-ნი გივი კობოსნიძისგანაც გამიგონია, — საუბარს ვაწყვეტინებ ბ-ნ ტარიელს.

— ოო, გივის მამას ვიცნობდი კარგად, ოფიცერ ლადო კობოსნიძეს, ნადირობის დიდი ტრფიალი იყო, — სახე გაუნათდა ჩემს რესპონდენტს.

— ჰოდა, ერთხელაც, ნოდარ დუმბაძეს უთხრა თურმე ბ-ნმა ნიკომ: „გივი ჯერ ბატონი ნიკოსია და მერე ბოტანიკოსიო“. კარგად ულერს არა?

— დიახ, მისი „ლექსთმოყვარეობის“ ამბავი საკმაოდ ცნობილი ფაქტი იყო, — თქვა ბ-ნმა ტარიელმა და განაგრძო: მომავალ ბიოლოგებს ერთი დიდი უპირატესობაც გვქონდა სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისგან განსხვავებით — გარდა იმისა, რომ ლექციებს გვიკითხავდა, მასთან ერთად ხშირად გვიწევდა ექსპედიციებში სიარული და ბუნებასთან უშუალო შეხება.

სამეცნიერო წრეში გაერთიანებული ბიოლოგები, ზოოლოგები და ბოტანიკოსები უშუალოდ ბ-ნი ნიკოს ხელმძღვანელობით ვეცნობოდით და სამუდამოდ ღრმად ვსწავლობდით სამგორის ველის ფლორასა და ფაუნას. ეს ფოტო სწორედ მომავალი თბილისის ზღვის ფსკერზეა გადაღებული. ექსპედიციების დროს ბ-ნი ნიკო ჩვენი მშობელიც იყო, მრჩეველიც და სამეცნიერო მუშაობის უშუალო ხელმძღვანელიც. ყოველი მისი ნაბიჯი, სიტყვა თუ საუბარი, ჩვენთვის ცოცხალი მაგალითი გახლდათ იმისა, როგორი უნდა იყოს ადამიანი.

ერთი ძალიან კარგი, ჯიშიანი ძაღლი ჰყავდა ბ-ნ ნიკოს — პოინტერი. სამეცნიერო მივლინებებსა და ექსპედიციებში მასთან ერთად დადიოდა და თოფსაც აუცილებლად დაატარებდა, თუმცა გულჩვილი იყო და ნადირობა არ უყვარდა. ვინც მის ბოლო წიგნს — „მკერდში დაჭრილი ბუნება“ — წაიკითხავს, აღვილად დარწმუნდება, რომ იგი ცხოველსა და ფრინველს ნამდვილად ვერ გაიმეტებდა მოსაკლავად.

სუფრაზე და ურთიერთობებში ისეთი უბრალო იყო, თუ არ იცნობდი, ეგებ ვერც

CMYK

— ᲐᲠ ᲕᲣᲞᲘᲫᲚᲕᲐᲠ ᲓᲘᲡᲘᲓᲔᲜᲒᲘ...

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲛᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐᲛ

დღეს, 2002 წლის 2 სექტემბერს, 23.00 საათზე საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე იწყება ახალი გადაცემა, სახელწოდებით „ღღის ბოლოს", რომელიც 40 წუთი გაგრძელდება. მას წარუძღვება გურანალისტი ნუგზარ რუხაძე. ჩვენი თანამემამულე, რომელიც 14 წელი აშშ-ში ცხოვრობდა.

ამ წერილს არ დავწერდი, დღემდე საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე რომ არ ვმუშაობდე; ერთი წელი ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ არ ყოფილიყავი და არ მქონოდა საშუალება, იქაური ტელევიზიის მაყურებელივით ყველაფერი მეყურებინა, ერთხელ — ღია ეთერში რესპონდენტიც; რომ არ ვიცოდე, რა ხელფასები აქვთ ჩვენს კოლეგებს იქ, რომ არ ვიცოდე კვალიფიკაცია როგორ ამტკიცებს ნერვებს და რა კვლინტოსორნერს გზდის, ხოლო საფარელი საქმით დაკავებული პროფესიონალისათვის რა უაზრობაა უხაზო, არარაციონალური საუბარი, დროის ფლანგვა და, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რა დიდი ზღვარია ჩვენს რეალობასა და იქ ქვეყნის შორის.

ამ ქვეყნისგან განსხვავებით, აქ ჯერ ქაოსია, არაპროფესიონალთა, კეთილ-დღეობის ქაოსი...

ეს არის ერთ-ერთი დისკომფორტი, რომელიც ვფიქრობ, ჩემს კოლეგას ბოლომდე „ფრთების გაშლაში" შეუშლის ხელს...

შემოქმედი ადამიანებისგან მსჯელია, საკუთარი მაყურებლის წინაშე გამოსული ყველაზე უფრო პასუხისგებელი.

სანამ ნუგზარ რუხაძე ტელეეკრანიდან პირველად მოგვესალმებოდეს, მინდა ცოტა რამ იცოდეთ მის შესახებ:

დამთავრებული აქვს უცხო ენათა მედაგოგიური ინსტიტუტი, იცის ინგლისური, ფრანგული და იტალიური ენები, ხან მასწავლებლობდა სკოლაში, ხან კომკავშირის ცეკაში მუშაობდა, ხან საქართველოს მინისტრთა საბჭოში მაღალი ჩინოსნის თანაშემწედ იყო უცხოეთთან ურთიერთობის დარგში. ერთი ხანობა ტკეხლურ უნივერსიტეტსაც და უცხო ენათა ინსტიტუტში ასწავლიდა. მერე მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა დაამთავრა, სანკტ-პეტერბურგში დაიცვა დისერტაცია მედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ბოლოს, თარჯიმნობას მიყო ხელი და ამ გზით ცდილობდა, თავი დაეღწია სიბეჩავრე რუბინოსთვის და ამ პროფესიის ნაცალობითვე მოხვდა ნუგზარი, ეგვიპტესა და ინგლისში...

ერთი სიტყვით, ეწერგინით აღსაკვნეს თავისი შესაძლებლობის რეალიზაციის სამუშაო ველი ყველაფერი კი ეცოტავებოდა, ეხაბრაკებოდა...

ნუგზარ რუხაძის ბედმა მაშინ გაუღიმა, როცა „გარდაქმნის" სიო ცოტაოი შეარხია გაქვავებული ატროფება. 1989-ში შემოგვთავაზა ჟურნალისტთა გაცვლა. მაშინ ჟურნალისტთა შორის ენის ბარიერსვე მეოდენ, შინაავსად თავისუფალი და, ალე გამსვეთო, უშიშროების სამსახურისთვის სანდო პიროვნება ძნელი მოსაძებნი იყო. გაწრობილი იყო აშშ-ში და გელა ჩარკვიანის გაგზავნა (ოქიდან კი ჩამოგიდოდა ამერიკელი ჟურნალისტი). ბატონმა გელამ უარი თქვა და ნუგზარ რუხაძის კანდიდატურა შესთავაზა. ეს პროგრამა ეეეყო კვირიანი უფიცა დასარულებულიყო. ნუგზარ რუხაძის პიროვნული დამსაზურება, რომ პროექტი ხუთ წლამდე გაგრძელდა.

ბევრი რამ შემიძლია მის შესახებ მოგითხრო, მაგრამ სჯობს, დღეკანდელ თემას დავუბრუნდეთ და თავად მას ვკითხოთ, როგორ ფიქრობს ჩვენთან თანამშრომლობაზე:

— მოგეხსენებათ, რა გზით არ ცდილობენ დღეს ადამიანები ემიგრაციაში წასვლას, რათა აქაურობას თავი დააღწიონ. ამ ვითარებაში რამ გადააგდებინათ საქართველოში დაბრუნებაზე?

— მინ დაბრუნებას ისედაც ვაპირებდი, სულ რაღაც რამდენიმე წლის შემდეგ. უბრალოდ უნდა გავსულიყავი და ვიფიქრე, როგორმე მეოთხედ საქმე საქმეს სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში მედაგოგად დამეწყო მუშაობა. ვიფიქრე, ეს მოხდებოდა რამდენიმე წლის შემდეგ. მაგრამ მეფმა ნიკა ბურნაძემ საქართველოს ტელევიზიის თავმჯდომარედ, ზაზა შენგელაიამ კი შემომთავაზა თანამშრომლობა. ეს ვერ გავიხარე, არ ვეღირსე, თუ ვინმეს ეახსოვდეთ კიდეც ძალიან მადლიერი ვარ.

ერთი სიტყვით, მინ დაბრუნება გარდაუვალი იყო, თუმცა მართლაც სასწაულმოქმედი ყოფილა ფეზიები...

— „დღის ბოლოს" — თვითონ სათაურში მიგვანიშნებს, რომ გადაცემა დღის მთავარ თემებს მოიცავს და, თავისთავად, უკვე მოზგებიანია. მეორე ალუსი — თქვენი გადაცემის დროა. როგორც დღეს ამბობენ, „პრაიმ-ტაიმი" გიჭირავთ. და კიდევ ერთი კოხპრი: ყველა დიდი ინტერესით ელოდება, როგორ წარედგება ქართველი ტელემაყურებლის წინაშე ამერიკის ერთ-ერთი ტელეკომპანიის ყოფილი რეპორტიორი. პრიმადონ გაითვალა — არ გაეშინოთ? იცით, რომ ქართველ მაყურებელს ვერაფერს გამოაპარებთ?

— დიახ, მეშინია. ძალიან ვღელავ, რადგან აქ, ქართველი მაყურებლის წინაშე, უფრო მეტ პასუხისგებლობას ვგრძნობ, ვიდრე აშშ-ში. მით უმეტეს, რომ გავიზარდე ერთ გარემოში, სოციალიზმში, როგორც ჟურნალისტი დავაღწიე ენები კაპიტალიზმში და დავბრუნდი სრულიად სხვა საქართველოში, სადაც ცივილური და პოლიტიკური გარემო საფცხით შეცვლილია და აშ პოლიტიკურ ცხოვრებაში შენც ისეთი სხვანაირად.

— მოუცდებად იმისა, რომ ჩვენგან განსხვავებით, დასავლეთში ტელევიზია გარეგნობის, ფიგურების და, საქართველოში კი, ზედმეტად პოლიტიზებული ტელევიზიაც საუკეთესოდ ყველაზე მოზგებიანია.

გულწრფელობას სავირთოდ ის სჯობს, მაგრამ ზემი პროგრამის ხასიათის და ჩემი, როგორც ნამყვანის, ალსაწერად უფრო სხვა რამ გამოდგებოდა. აქ ორი რამ უნდა დავიცვა. უპირველეს ყოვლისა, ფაქტის სიზუსტე — სანამ გამოვამეზეურებდე, ათასჯერ უნდა შემოწმდეს და მეორე — ობიექტურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამაში უნდა გაისმოდეს არანაკლებ ორი განსხვავებული აზრი, თუ არა მეტი.

— ბოლო კითხვებიც შენი უნდა გამოგიტატო: როგორ შეძლებთ იცოდ ზუსტად და ობიექტურ, როცა ეს არხი სახელმწიფო ტელევიზიაა?

— გარწმუნებთ, რომ ამ სახელმწიფოებრიობისგანაც, ამ მთავრობისგანაც და მისი ოპოზიციისგანაც გაცილებით სახარგებლოა, რომ ნებისმიერ ეთერში, ნებისმიერ არხზე, კერძო იქნება თუ სახელმწიფო, ეთერში ჩანდნენ ჟურნალისტები, რომლებიც ფაქტის სიზუსტეზე მიიჩნევენ თავიანთი საქმიანობის მთავარ პრინციპად, ხოლო ამ საქმიანობის ქლასიკური საფუძველი — მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურობაა.

P.S. ჩემს ირონიულ ღიმილზე ნუგზარ რუხაძე მეუბნება, — ახლა ვიცი, რაც უნდა მკითხო, როგორ გადაკეთდი სამჭიმა მოხელე დემოკრატიული ქვეყნის ოპონენტორად. აქვე გიპასუხებ, რა ვქნა, მე არც დისიდენტი ვყოფილვარ და არც სახალხო ვმირი. თუ ამისთვის გამასაპარიანებენ, ნება თქვენია. მე კი, ჩემი ირწმუნი გზით ნიდაც ვიბრძოლი და ჩემს ქვეყანას ნავიდე.

დოდო იორდანიშვილი

ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲕᲐᲬᲧᲝᲑᲓᲘ ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲔᲑᲡ

ᲠᲐᲦᲐᲪ ᲓᲝᲛᲘᲗ ᲕᲐᲠ

ᲚᲘᲖᲐ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡᲐ ინტერვიუს მუშაობით შეუცდად გამეკეთ, რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ ადამიანთან ინტერვიუს მომეფერთან ნიშნის მოსედვით ადამიანის ხასიათისა და თვისებების გამოცნობა. 1974 წლის 21 იელისს დაბადებული ლიზა, ვიდრე კირჩხიბი, თუმცა ისინი ხასიათისა და ქცევის მხრივ ერთმანეთისგან შეიძლებოდა მეჩნიერებით ერთმანეთისგან შეიძლებოდა მანც კირჩხიბია და, რჩი არ ვიცი, მაგრამ ლიზის ნიშან-თვისებებში გამომდგარებას უწყორო ფერებიც ნარმოძვნილა უწყობის ხელს.

— როგორც ვფიქრობ წლები დაბადებული, კონფლიქტების გერეატორი, უდისციპლინო და ოპოზიციონერი უნდა იყოთ.

— უდისციპლინო ვარ, უყურო სწორედ, ცხოვრებისეულად „ნტარი" ვარ, მიყვარს ლაღად ცხოვრება. აქედან გამომდინარე ვარ უდისციპლინო, თორემ სამსახურებრივ უდისციპლინობას და სატრიდ, უწესრიგობაში ვერავინ დამდებს ბრალს.

— ამ ნტარების გამო თუ დასჯილხართ?

— ძალიან ხშირად. მთელი მაგშრომის ისისთვის ვისჯებოდი, რომ იმას ვაკეთებდი, რაც არ უნდა მეკეთებინა. ნინერთია მოსაკალური ათწლეული მაქვს დამთავრებული. იქ დიდი გარჯა და მეცადინეობა მჭირდებოდა, მაგრამ ჩემი მოწაფეები ნინერების წელიწადი დიდ ყურადღებას მაქცევდნენ, თორემ სწავლა დიდად ცდილობდა ჩემს გამოსწორებას, მაგრამ ვერაფერ ჩემ მიერ ფიზიკურად შეუძლებელზე მეძალა — ნელა, ნელა დავუკარი მის შეძლებს შეფერი რომ არ მოიცა, შემოგვიცა თავისი ნიჭით ინსტრუმენტის დაფდება — ნტარიდან ვიწექი და ვკითხულობდი — ძალიან დავინაკვე.

— თქვენ ნამმობიდან გამომდინარე ალბათ უფრო რისკიან ვეფხვს ზგავხართ, ვიდრე ბრძყალებგამალულ ფოცოს.

— ალბათ ირიგეს ვგავარ. სიტუაციი განპაირობეს ჩემს როლს. ისე კი, ჩემს კოხრებზოთა ოფლობიდან ვარ, თუ პირად ცოცხე ვეხები, ეს პირად ცხოვრების ფერგირებ — ფისო.

— ვეფხვებისგან ყოველთვის ელით გაფთვალწინებულ ძაქციას, სიურპრიზს. თქვენთან როგორია საქმე?

— ხშირად ვცდილობ სიურპრიზების მოყვანას და ჩემი ოჯახის ნევრებსაც ვაკეთებინებ ელვილებით ნერვიუნებ ელვილებით რაღაცას, გაუთვალისწინებელს. პაციმარებში შეიგნებენ ალსაწერად ალსაკვირვებელ ფინოს.

— ვეფხვებს ძალიან უყვართ ლიდერობა...

— ძალიან მიყვარს ერთპიროვნული ლიდერობა, რაც ამჟერად ალარ გამიმდგის იმის გამო, რომ მეორე ნახევრიც ასეთივე თვისების მქონეა. ანტროლოგიურად ქალწულია და თანაც, გეყვლი. დავთმე ბასით ძალაუფლება, რაც ძალიან მიყვარს. მაგრამ მასზე უფრო ძლერ მიყვარს კაცი, რომელსაც სიამოვნებით მიეყრდე

— ვეფხვებს იშვიათად უწესრიგები სიტყვარობენ. ამ ეტაპზე თქვენზე ამას ვერ ვიტყვით, სიყვარულში იშვიათად ეწერგებით?

— სიყვარულში ძალიან ვარ ჩვინია. ძალიან მოსიყვარულე ვიყავი და ამიტომაც მაძაკაცებიც უყურადღებობით არ ვიზარებებიდით.

— ანტროლოგები ამბობენ, რომ თუ კირჩხიბი ბუნტისთავი არ არის, უეცრელად მაინც პრინციპის ირჩევს გასვეი ლიზა მაინს კვალს?

— არა, და გამოცის, რომ ბუნტისთავიც ვარ? მაინ ინტერესი მაკლია, თავად კი უცხო ენების სპეციალისტი გამდავარვით. თუ შეიძლება იოქვას, სამსახურშიც პილიციონი მიყვარს. ბავშვობიდანვე უყვარვ რაჭს ცხნაკეთები. ვეცნობოდი, და მერე თავს ვაჩვენებ.

— კირჩხიბებზე განსაკეთრებულ ზეგავლენას ახდენს მთვარე და მის სხვადასხვა ფაზაში ხასიათიც ეცვლებათ თქვენს სწრაფად იცვლით ხასიათს?

— სულ კარგ ხასიათზე ვარ. ამქვეყნად უსაშენელო მხილოდ ადამიანების გარდაეცვალება, თორემ ფანარნერი ყველაფერი მოგარდება. დღეს თუ მძინე ფინანსური შეგარამებაა, ხვალ გეშეგობრებიდება; დღეს თუ პირადი ცხოვრება შეგიერა, ზეგ ისეე კარგად იქნება; მაზეგ ხელი თუ მოგტყდება, ერთ-ორ კვირაში თაბაშინს მოგხსნან. მოცელ, გადაეყრელი პრობლემა არ არსებობს.

— კირჩხები „ცივ" დედები არიან. თქვენ რამდენად ახელენ ამ თვისებას?

— ჯერ ძალიან პანანნაა არაკალ და ჯერ გაგვიკვირ, „ცივი" დედა ვარ თუ არა. ის ცოდნა, რომ ძალიან მიყვარს.

— კირჩხებისთვის ოჯახის ინსტიტუტი „ბაკეში ჯერ არ დასხდებულიყო და აბრაამს არც შეეფერებინ", თქვენც დაბადებიდან დედაკაცი სახელი არსებობს?

— მე და ჩემმა შეეულებამ ბევრი ვიფიქრეთ ბაბის სახელი დაგვერქმია დიდი ჯანი ბაგრატიონის ნამყვანი სახელი არსებული იყო. აღმოჩნდა, რომ ზაზასაც ეს სახელი პოსწონს.

— ბაგრატიონის ქალი, მეფეთა შთამომავალი დღეს ვის შმორჩილებს?

— სინაზორძეს. ამ გვარის ჩემი ინტერპრეტაციით ამე ვნსნი — სინას მთიდან ჩამოსული უნია. ზაზა სულ მეჩხებება ამის გამო. სინამდვილეში, სარჩევით და ფიდი ნნის გვარია. ზაზას წინაპრები ძველდელმანური იყვნენ... ჩემი არჩევნისთვის გვარს ხელი არ შეუშლია.

— ზოდიაქოს მიხედვით „მთვარანი ლომის სხეი" გეწოდებათ. მაგალი ქართიანური თუ უძლეველი თქვენთვის და საერთოდ, ხართ თუ არა რომანტიკული?

— ასეთი მშვენიერი ქაოიანური სამდვილად არავის უთქვამს და, სამწუხაროდ, ძალიან რომანტიკული არ ვარ.

ეკა ლომიძე

PS ამაღლებდა ეკას, ლიზა ბაგრატიონი, სამყაროში „მზიურელია თავისი დღეკანდელი როლით და მზის ენერგია არსეულ გეგმებს ძალიან, ძალიან პოულებს იდეას, კარგ პროექტებს და საინტერესო ადამიანებს ეპაერებაში. „რაც იყო წარსულია, ახლა ჩემს შემოქმედებაში ხაძლე უნდა შეეიტანო", აშშობს ვეფხვის ნიშნით კირჩხიბი ლიზა.

— ეკრანზე გამოსვლა ქვის კოდვაა და ჭკუის ღუნჭრაცია...

დაბრუნება წარსულთან — შეიძლება ასე ვუწოდოთ ახალ გადაცემას, რომელიც სექტემბრის პირველი რიცხვებიდან ყოველ კვირადღეს გავა ეთერში. თუმცა, ოპამპა ჰპატანტირაძის ახალ გადაცემას სახელიც სრულიად ახალი აქვს და ბატონი თამაზიც სრულიად განსხვავებულად გამოწყობილი წაუძღვება მას. ალბათ უკვე იხილეთ ტელეეკრანებზე მისი სარეკლამო რგოლი, რომლითაც გვეპატიჟება „სასიტყვაოში“ სამოგზაუროდ. ვიდრე ამ საინტერესო „ტურნეში“ გამგზავრებულხართ, გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ თამაზთან.

— პირველად როდის გახვედით სატელევიზიო ეთერში?

— 1975 წელს. მანამდე სხვა კითხულობდა ქართული ენის გრამატიკის კურსს. ჩემი გადაცემა თავიდანვე პოპულარული ნამდვილად არ ყოფილა, არც მკითხველი მყავდა მაშინ კრიტიკულ-ლიტერატურული წერილებით განებივრებული.

— თქვენს სატელევიზიო შემოქმედებაში ამგვარი ტენდენცია მგონი მოგვიანებით, 80-იანი წლებიდან დაიწყო.

— დიახ. მიუხედავად იმისა, რომ მეც ქართული ენის კურსს ვკითხულობდი და ლექციების ძირითადი სამიზნე აბიტურიენტები იყვნენ (თუმცა ჩემს გადაცემას არა მარტო აბიტურიენტები უსმენდნენ), გადავწყვიტე, ლექციებზე ყურადღება გამემახვილებინა მათთვის უფრო საჭირო, უმაღლესში მისაღებ წერითი გამოცდის თემატიკაზე. ეს მეხმარებოდა, მემსჯელა საჭირბოროტო სოციალურ, პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ საკითხებზეც; საამისოდ ვიყენებდი თავისუფალი თემის ფაქტორს, რაც საშუალებას მაძლევდა და პუბლიცისტური მიზანდასახულობის ციკლად გარდამესახა ჩემი გადაცემები. ლიტერატურაზე როცა მსჯელობ, ცხოვრებაზე მსჯელობ, ამიტომაც ლიტერატურა დიდ გასაქანს მაძლევდა.

— ალბათ გახსოვთ პირველი ლექციაც?

— რა თქმა უნდა, როგორც პირველ სიყვარულს, პირველ კოცნას და საერთოდ პირველს ვერაფერს დაივიწყებ, ისევე დაუვიწყარია ჩემთვის ჩემი პირველი სატელევიზიო ლექცია, სათაურით — „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“. არავინ იფიქროს, რომ ტელეეკრანზე თავის გამოჩენა იოლია. წლები დამჭირდა, მაყურებელთა ჩემი წრე რომ გამეჩინა.

— და ახლა კვლავ უბრუნდებით ეკრანს.

— ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ, რომ ის ძველი გადაცემა მართლაც ძალიან პოპულარული იყო და ალბათ იმის წყალობით დღესაც ადვილად გავიკვლევ გზას მაყურებლისკენ. თუმცა მაინც ვშიშობ: თავმოყვარე კაცი ვარ და არ მინდა მსმენელს, მაყურებელს ვათქმევინო, რომ (ფიზიკურად ყველა ვბერდებით) თამაზ პატარა ბუთხუზა ილიკოს მუთაქასავით დააგორებდნენ თურმე, ზედ „ვეფხისტყაოსანს“ გადაშლიდნენ და უკითხავდნენ, ყურს უხედნიდნენ. ასე უნდა შევაყვაროთ დღესაც ძველი ქართული ენა, „ვეფხისტყაოსანი“, სვანური, მეგრული; ძველი სიტყვის მუსიკა და სურნელება უნდა შევიყვანოთ სიყრმიდანვე ქართველის გონებაში.

ვდით ასე მაყურებელს, რომელიც სულაც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აბიტურიენტებით?

— მაშინ დრო იყო სხვანაირი. აკრძალული ხილის ეფექტი მოქმედებდა. მართალია, ყველანაირ სიმართლეზე ვერ ვლაპარაკობდი, მაგრამ რასაც ვამბობდი, გულწრფელი ნათქვამი იყო.

— ცენზორი არ ჰყავდა თქვენს გულწრფელობას?

— ჩემი გადაცემა პირდაპირ ეთერში გადიოდა. მისი ცენზურა კი ის იქნებოდა, თუ შემდეგ გადაცემაზე უარს მეტყოდნენ, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ შეზღუდული. მოგვიანებით, როცა უშიშროების მაღალი ჩინი, შესანიშნავი პიროვნება ანზორ მაისურაძე გავიცანი, მან პირველსავე შეხვედრაზე მითხრა, უკვე რამდენიმე წელია, კარგად გიცნობთო და ამით მაგრძნობინა, რომ დისიდენტები იმ დროში ყველგან და ყველა სტრუქტურაში იყვნენ და, ყოველივე ახლის, აკრძალულის გამოჩენას გარკვეული სიფრთხილით კი ექცეოდნენ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ უხმო დათმობაზე, ერთადერთხელ თეთრი როლინგის ნაცვლად შავით გამოვცხადდი ეთერში, 80-იანი წლების დასაწყისი, 9 მარტი იყო. ეს, ცხადია, შენიშნა ტელედეპარტამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა — ეთერში სამგლოვიარო შავი როლინგით გავედი...

— მოგვიანებით, 80-იანი წლების ბოლოს, სტუდენტური შიმშილობებისა და ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე ტელეხელმძღვანელობამ ერთ-ერთი გადაცემაში მგონი საგანგებოდაც გაგიზარდათ გადაცემის დრო.

— „ჟამი ქვების მოკრებისა და სროლისა“ ასე ერქვა გადაცემას, რომლითაც მაშინ ეთერში გავედი და ჩვენი შვილების გაფრთხილება გადავწყვიტე. ჩემი აზრით, 89 წელს „ქვათა სროლის ჟამი“ არ იდგა. მაშინ, სანამ ჩემთვის განკუთვნილი საეთერო დრო, 30 წუთი ამოიწურებოდა, ოპერატორმა მანიშნა, რომ ხელმძღვანელობამ დრო დაგიმატაო. მოკლედ, ტელევიზიის ხელმძღვანელობა გულწრფელ და თავისუფალ სიტყვას არასდროს არ მიხშობდა.

— ამჯერად როგორ გაჩნდა თქვენი ახალი გადაცემის იდეა? სატელევიზიო ტენდერში გაიმარჯვეთ?

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ტენდერობია“ არ იყო, ცხონებულმა ზაზა დარასელმა მთხოვა, ჩემი ტელელექციების კურსი მეორე არხზე გამეგრძელებინა. ეს ჩემთვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც ხელსაყრელი იქნებოდა, მაგრამ ვერ გავრისკე. მაშინაც ვეჭვობდი, როგორ მიმიღებდა მაყურებელი, ჩემს „მეორედ მოსვლას“ ვუფრთხოდი: ეკრანზე გამოსვლა ქვის კოდვაა. ობიექტივის მომტყუებელი ადამიანი არ არსებობს. შეიძლება მაყურებელი მოატყუო სცენიდან, მაგრამ ობიექტივი გაგყიდის, ამიტომაც ეკრანი ჭკუის ღუსტრაციას ახდენს. მე მშიშარა კაცი არა ვარ, მაგრამ მაყურებლის დღესაც მეშინია. ვერ შევეჩვიე ეკრანს. დღესაც ოფლი მასკდება ღვარად.

— მაშინაც ხშირად იწმენდდით ოფლს, ჩახველებაც ძველებურ ჩვევად შემოგრჩენათ. ალბათ ახალ გადაცემაში ბევრი არაფერი იქნება შეცვლილი.

— ზაზა შენგელიამ მოინდომა ისევ კვირას, ისევ იმ დროს და ისევ 30 წუთით ეთერში ჩემი გადაცემის გასვლა. ოღონდ ვიზუალური მხარე შეიცვლება. მე ლექციას ამჯერად სტუდიაში წავიყვან მსმენელის თანხლებით, თორემ ისევ ვილაპარაკებ ენაზე, ლიტერატურაზე, ცხოვრებაზე, სიტყვაზე, მესიტყვეებზე. ქართული სიტყვა იქნება ჩემი გადაცემის გზისმკვლევი.

— ამიტომაც დაარქვით ახალ გადაცემას „მოგზაურობა სასიტყვაოში“?

— დიახ. სასიტყვაოში სიტყვები ცხოვრობენ, იქ ლიტერატურის სამყაროა, ჯადოსნური სამყარო, სადაც თქვენთან ერთად ვიხეტიალებ, ვნახოთ, რა გამოვა.

— თქვენი ჩაცმულობის, იმიჯის საქმე როგორ იქნება, კვლავ როლინგით გამოგვეცხადებით?

— ამჯერად როლინგით — არა. თუმცა, არც ჰალსტუხით ვიქნები. მბორკავს ჰალსტუხი, როლინგიც იმიტომ მიყვარდა, რომ ჰალსტუხს თავს ვარიდებდი; იმიჯს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩემს გარეგნობაზე მხოლოდ მე და ჩემი მეუღლე ვიზრუნებთ ისევ და ისევ.

— ბატონო თამაზ, მინისტრობის შემდეგ რას საქმიანობთ?

— მოხდა ისე, რომ ჩილეში ავარიაში მოხვედრის შემდეგ, როდესაც ბეწვზე გადავურჩი სიკვდილს, საქართველოს მთავრობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა და მინისტრების უმრავლესობა გადადგა. მეც დავწერე განცხადება და პრეზიდენტს ვთხოვე, განხილვის გარეშე დამთანხმებოდა, რადგან ჩემს მდგომარეობაში — ნაავარიევი კაცისათვის მინისტრის სავარძელში ჯდომა აბურძგნილ ზღარბზე ჯდომას უფრო წააგავდა. პრეზიდენტი დამთანხმდა და სწორედ მას შემდეგ დავწერე სამი წიგნი, რომლებიც მალე გამოიცემა.

— თურმე მინისტრობის დროს ერთი განუხორციელებელი ოცნება გქონიათ, სვანურ და მეგრულ ენებთან დაკავშირებით.

— ყოველთვის ძალიან მიყვარდა ყველაფერი კოლხური, მეგრული, სვანური, შემდეგ იქამდე მივიდა საქმე, რომ ვარლამ თოფურიამ გამოგვიცხადა — ასპირანტურაში ჩემთან ვერავინ ისწავლით, თუ სვანური და მეგრული არ გეცოდინებათ კარგად. მინისტრობის დროს კი მართლაც დამრჩა განუხორციელებელ ოცნებად, რომ სკოლებში ქართულის გაკვეთილზე პირველი კლასიდანვე გვესწავლებინა ბავშვებისთვის სვანური და მეგრული სიტყვები, ანუ ყური გაგვეხედნა ჩვენი ბავშვებისათვის. დასაკარგი სიმდიდრე ჩვენ არა გვაქვს. ყველა ქართველის დედაენა ქართულია, მაგრამ სვანური და მეგრული ამ დედაენის ღვიძლი ნაწილია, საერთო, წინარე ქართველური ენიდან წარმოქმნილი. ამას კარგად გაიგებდა საქართველოს ყველა კუთხის ბავშვი. მაგდა ბებურიშვილი და გრიგოლ ჭავჭავაძე პატარა ბუთხუზა ილიკოს მუთაქასავით დააგორებდნენ თურმე, ზედ „ვეფხისტყაოსანს“ გადაშლიდნენ და უკითხავდნენ, ყურს უხედნიდნენ. ასე უნდა შევაყვაროთ დღესაც ძველი ქართული ენა, „ვეფხისტყაოსანი“, სვანური, მეგრული; ძველი სიტყვის მუსიკა და სურნელება უნდა შევიყვანოთ სიყრმიდანვე ქართველის გონებაში.

— ზოგს მეაჩვენა, რომ ვარსკვლავია, მაგრამ „გრძელი ენის“ სტუმარი ვერ გახდა

28 აგვისტოს შუაღამისას, რუსთაველზე, ოპერის წინ მომღერალ ახალგაზრდა მამაკაცებს თავს წამომდგარმა პოლიციელმა „უდროო მხიარულების“ მიზეზი ჰკითხა თურმე და რისით უთხრა, — რას აკეთებთ აქ, ამ შუაღამისას, საქართველოს მოქალაქეების სიმშვიდის დარღვევას როგორ ბედავთ თქვენი ბღავილითო? „მომღერლები“ გაისუსნენ თურმე, ერთს შლაპა უფრო ჩამოუფხატავს სახეზე და უპასუხია — ვმღერით, ბატონო, ვმღერითო. წამის წინ რისხვით სავსე პოლიციელს უცებ დათაფვლია ხმა და უკითხავს. (ამოუღერღავს) — ბატონო კოკა, თქვენ?..

დიახ, ბატონებო! **კოკა ძანდიაშვილს** რუსთაველზე ფეხით სეირნობა მოენატრა თურმე და მეგობრებთან ერთად შუაღამისას ქუჩაში გასულა. „იმ ღამეს მარიამობა რომ თენდებოდა, ჩემს მეგობრებთან ერთად, ძალიან ბევრი ვიარე ფეხით. ქუჩაში თუ ვინმე გვხვდებოდა, ყველას ვულოცავდით დამდეგ დღესასწაულს და კარგადაც „ვიმაიმუნეთ“. ამიტომაც „გაგვაჩა“ პოლიციამ. ძალიან კარგი იყო ბავშვობის გახსენება, უდარდელი ბოდიალი. კოკა ყანდიაშვილი ღამით ქუჩაში სეირნობის გარდა, საქმიან სადილზე სასტუმრო „თბილისი-მარიოტის“ კაფეშიც ახერხებს გართობას და არც მეტი, არც ნაკლები თბილისელ ღამაზმანებს უთვალთვალებს. თავადაც შევესწარი ამ ფაქტს. როგორ სიამოვნებით ზვერავს ბატონი კოკა თბილისელ ქალბატონებს და რომელიმე მათგანით აღფრთოვანებული ემოციურად წამოიძახებს: „შეხედეთ, ბიჭო, რა გოგოა“ და ა.შ. სხვათა შორის, ეს ინტერვიუც იმ კაფეში შედგა. ჩემი რესპონდენტი სულ მალე დასასვენებლად ინდოეთში მიემგზავრება. მას ამის შესახებაც ვკითხე:

— მარტო მიემგზავრებით ინდოეთში?

— არა, ოთხნი. ორი გოგო და ორი ბიჭი. ინდოეთში არასდროს ვყოფილვარ. ალბათ გუაში, ოკეანის სანაპიროზე გავჩერდებით, იქ, სადაც ყველაზე ევროპელი ინდუსები ცხოვრობენ და სადაც, გადმოცემით, ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები ინახება.

— ხშირად გიწევთ გასვლა უცხოეთში საქმიანი ვიზიტით, ალბათ დასამახსოვრებელი ბევრი რამ გადაგხდათ.

— განვითარებულ სახელმწიფოებში, ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს: მომსახურების დონე, კომფორტი და ა.შ. მაგრამ, როგორც კი ისეთ ქვეყნებში ვხვდები, როგორიცაა ზიმბაბვე, იამაიკა, ან თუნდაც კუბა, ვგრძნობ, რომ სრულიად სხვა სამყაროში ვარ და იქ უამრავ უცხოს, ჩემთვის ძალიან საინტერესოს ვხვდები. სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების სხვადასხვა სტილს ვეძებ.

„დისქავერიზე“ 10 სერია გავა საქართველოზე



— თქვენზე ხუმრობით ამბობენ, რომ „კუბათმცოდნეაო“, რატომ?

— ბოლო ორი წლის მანძილზე 5-ჯერ ვიყავი კუბაში. მოსკოვში სწავლის დროს ერთ-ერთ კუბელთან, გვარად ნავასთან ვმეგობრობდი. ერთხელაც გადავწყვიტეთ ბიჭებმა კუბაში მასთან წასვლა. მასპინძელი სიხარულით კინაღამ გაგიჟდა. „რა ხდება“ ახალი დახურული იყო, ყველაფრისგან მოწყვეტა მინდოდა. ერთი კვირა დავყავი კუბაში. მოხდა ისე, რომ ჩასვლისას ორ კაცს ვიცნობდი მხოლოდ. წამოსვლის დროს კი ერთმა ავტობუსმა ხმაურით გამომაცილა.

— ეი. ძალიან სტუმართმოყვარეები არიან?

— ძალიან. ვიდრე მაგაზე ვისაუბრებდე, მინდა გითხრათ, რომ იქ სრულიად სხვა სამყაროა. იქ არის კომკავშირი, კომპარტია და ა.შ. — მთელი „ჩვენი საბჭოური წარსული“. ბევრი საინტერესო რამ ვნახე, მათი სამზარეულო, მათი არაჩვეულებრივი გოგონები. ჰო, რამ ჩამიყვანა მეორედ კუბაში — იმ ერთმა ავტობუსმა ხალხმა, ვინც ერთი კვირის განმავლობაში გავიცანი. უცნაურია, წარმოიდგინეთ, მიდიხართ ქუჩაში, ხედავთ ისეთ მოხუც ქალს, გგონიათ, ეს-ეს არის წაიქცევა, ის კი დგას, „ამიგო, ამიგო“ გეძახის, გიღიმის, ქძახის ვიღაცებს, გამოდიან ეზოებიდან გოგოები, ბიჭები. გამოაქვთ მუსიკალური საკრავები, „რომი“, უკრავენ, ცეკვავენ. ამას ყველაფერს აკეთებენ შენთვის, რომ გაამონ, მოგეფერონ.

— ფიდელ კასტროს ვერ დაკავშირებიხართ, თუმცა საფრანგეთის პრეზიდენტთან ახლობლობთ თურმე.

— არა მარტო მასთან, ბევრ სხვა სახელმწიფოს მეთაურთან. შირაკი ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტად და ორჯერვე ჩემი დაბადების დღეს. მე და ნიკა ტაბატაძემ გავიცანით ერთად შრედერი. ჩვენი დაახლოება კი ოფიციალური შეხვედრის შემდეგ მოხდა. შრედერს ვკითხე — როგორ მიდის თქვენი დიეტის საქმე-მეთქი? ერთ-ერთი მასთან მომუშავე ჩემი მეგობრისაგან ვიცოდი, რომ გერჰარდი თავის რიგით მეოთხე ცოლის დაჟინებული მოთხოვნით იცავდა დიეტას, ცოლი ჭამას უკრძალავდა. შრედერს არ უსაუბრია ჩვენთან ოფიციალურ საკითხებზე იმდენი, რამდენიც დიეტაზე ილაპარაკა.

— შრედერის დიეტა იქით იყოს და როგორც „შსუნაგ“ გურმანს, რომელი ქვეყნის სამზარეულო მოგწონთ ყველაზე მეტად?

— იტალიის. ჩემმა ცოლმა შემაყვარა. საქორწინო მოგზაურობაშიც იტალიაში ვიყავით, — ვენეციაში. ქართული სამზარეულოც ძალიან მიყვარს, რუსულიც. პირადად კულინარის ნიჭი არა მაქვს. ერთადერთი, უმარტივესი სენდვიჩის მომზადება შემიძლია.

— კოკა, თქვენი დოკუმენტური სერიალის — „საქართველო — XX საუკუნე“. გადაღების პროცესს სირთულეები თუ ახლდა?

— ახლდა. 1996 წელს დავიწყეთ გადაღება. მე და კოლია დროზდოვმა გადავწყვიტეთ, რომ საუკუნის ბოლოსთვის რაღაც გაგვეკეთებინა და მოვიფიქრეთ ასეთი რამ. ვშიშობდით, რომ ფოტო, აუდიო და ვიდეომასალის არარსებობის გამო საქმე არ გამოგვივიდოდა. თავის დანებებაც კი გადავწყვიტეთ, მაგრამ ფილმის გადაღება მაინც დავიწყეთ. 300-350 კაცი ვმუშაობდით ფილმზე და კიდევ უამრავი სტრუქტურა და ორგანიზაცია იყო ამ საქმით დაკავებული. მე-20 საუკუნეც, 21-ის მსგავსად, დიდი მიწისძვრით დაიწყო, მაშინაც ბჭობდნენ — 1900 წელს იწყებოდა მე-20 საუკუნე თუ 1901 წელს. ძალიან ბევრი რამ ჰგავს მაშინდელი და დღევანდელი ერთმანეთს. მაშინ გაზეთებში იბეჭდებოდა მეძავ ქალთა განცხადებები, თუმცა, დღევანდელისაგან განსხვავებით, ქუჩაში არ იდგნენ. ჩემს შვილთან ერთად სულ მეშინია ქუჩაში გავლისას, რომ მეძავებზე არ მკითხოს — მამიკო, ესენი ვინ არიან, ან აქ მუდმივად რატომ დგანანო.

— თქვენს კომპანია „პრემიერს“ უამრავი ახალი გადაცემა მოუმზადებია?

— „იმღერე რამეს“ შესახებ უკვე ბევრი ითქვა, ამის გარდა, ეთერში გავა „გრძელი ენა“ — გადაცემა ბომონდის შესახებ, სადაც მოხვდებიან მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც ხალხი სახეზე ცნობს, მათ ცხოვრებაზე, სიხარულზე, ბედნიერებაზე და ა.შ. იქნება საუბარი. აქ მოხვდება ყველა მუსიკოსი, პოლიტიკოსი და თუნდაც მეხინკლე, რომელსაც ხალხი შეიძლება ცნობდეს. ალბათ ძნელი ასატანი იქნება ეს გადაცემა მათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ ვარსკვლავია და ამ დროს „გრძელი ენის“ სტუმარი ვერ გახდება. გვექნება გადაცემა „კრიმინალური საქართველო“, რომელიც ყველა ჩვენი ძალოვანი სტრუქტურის მუშაობას შეეხება. იანვარში მაყურებელი ნახავს ჩვენ მიერ მომზადებულ ახალ ქართულ სერიალს, რომლის გენერალური პროდიუსერი გახლავართ მე, პროდიუსერი კი გიორგი ხარაბაძე. ფილმი იქნება ერთი ქართული ოჯახის ცხოვრების შესახებ.

— რაც მთავარია, მაქვს ინფორმაცია, რომ საზოგადოებაში კვლავ მოდაში იქნება ფრაზა „რა ხდება“? — კოკას ჰკითხე ყანდიაშვილს“?

— დიახ, თებერვლიდან „რა ხდება“ კვირაში ერთხელ გავა ეკრანზე. მე ვიქნები წამყვანი. ეს იქნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური-გასართობი ტოკ-შოუ, სადაც მე მოვიწვევ კვირის გმირებს, ათამდე სტუმარს. დარბაზში გადაცემის მსვლელობას დაესწრება მაყურებელი. მოკლედ, ეს იქნება სრულიად განსხვავებული პროექტი. მხოლოდ ძველი სახელით და წამყვანით. ორი წელი ეთერში რომ არ ვიყავი, ახლა ერთად მოვიფხან გულს და რაც ხდებოდა, ყველაფერს ერთად გავახსენებ ჯიგრებს.

— კოკა, თქვენ მგონი რაღაც დახმარებას უწევთ ცნობილ მსახიობ ვანესა რედგრეივსა და მის ვაჟს, რომლებიც ფილმს იღებენ საქართველოში.

— მე უბრალოდ კადრები მივეცი საქართველოში არსებული ომების შესახებ. სხვათა შორის, „საქართველო — XX საუკუნის“ მასალებზე ძალიან ხშირად მომმართავენ, მაგრამ ბევრს უარს ვეუბნები, რაც არ ხდება გერმანელების მიმართ, რომლებიც სულ კარგ ფილმებს იღებენ საქართველოზე, არც „დისქავერის“ ვეუბნებით უარს. „საქართველო — XX ს-ის“ მიხედვით გადაღებული 10 სერია უნდა გავიდეს ახლა „დისქავერიზე“, რითაც ჩვენი ქვეყნის ისტორიას გაიცნობს ბევრი ქვეყნის მაყურებელი.

— ალბათ ნახეთ „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში „ფოტოანტიკვარში“ თქვენი ფოტო.

— დიახ, მაშინ სოჭში ვისვენებდი დედასთან ერთად. პლაჟზე მორბენალი იქვე მოხეტიალე ფოტოგრაფმა გადამიღო, თუმცა თავისთვის... მოგვიანებით ფოტოგრაფის სტენდზე ეს ფოტო ჩემს მეზობელს უნახავს, მოუპარავს და მე მომიტანა.

გვერდი მოამზადა
ეკა ლომიძემ

ბავშვობა მართლაც განუმეორებელი და ულამაზესი ხანაა. მისი ხიბლი კი ის არის, რომ სწორედ ბავშვობაში მოდის ყველაფერი პირველი: სიტყვაც, ნაბიჯიც, სიხარულიც, მეგობრობაც და სიყვარულიც. ამას წინათ პოლიტიკოსებს პირველ სიყვარულზეც ვკითხე. გამაოცა მათმა უეცარმა ცვლილებამ. დაძაბული ტონი უმალ „გაუთბათ“, მოღუშულ სახეზე სხივი გადაეფინათ. გაიხსენეს პირველი სიყვარული... თუმცა მათზე მოგვიანებით გესაუბრებით, ახლა კი მინდა გაგაცნოთ წერილი, რომელიც პირველ სიყვარულს ეხება. რესპონდენტი ინკოგნიტოა, მაგრამ გულწრფელი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ახდენილ ოცნებას განხორციელებული სურვილი ჰქვია. ამიტომაც ის, რაც აუხდენელია, ათჯერ უფრო მიმზიდველია და საოცნებო...

სევდიანი ამბავი გაუმხელელი სიყვარულისა

ნინოს და გიოს (ჩემი შერქმეული სახელებია) ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი. თუმცა მაშინ არც იცოდნენ, ეს თუ სიყვარული იყო. ბიჭი დამალობანას თამაშის დროს უპირველესად მას ეძებდა თვალებით, დაჭეროსთან დროს კი რატომღაც მის დაჭერას ლამობდა. ხანდახან, როცა გოგონა ყურადღებას სხვას მიაქცევდა, ბიჭი ბრაზობდა, ან თავში წამოარტყამდა, ან ხელს გაჰკრავდა, მერე მთელი ღამე ელანდებოდა გოგოს ცრემლიანი თვალები. სკოლაშიც ერთად წავიდნენ. სადაც ნინო იყო, იქვე იდგა გიოც. ნინო ისე შეეჩვია მის სიახლოვეს, რომ შინ მარტო დარჩენილი უხერხულადაც კი გრძნობდა თავს, თითქოს რაღაც აკლდა. ყველამ იცოდა, რომ გიოს ნინო უყვარდა. გოგონას გულწრფელად უკვირდა — ნეტა, თვითონ რატომ არაფერს მეუბნებაო.

სკოლის დამთავრების შემდეგ ერთმა სამედიცინოზე გააგრძელა სწავლა, მეორემ — უნივერსიტეტში. ბიჭი უფრთხოდა გოგონასთან სტუმრობას — ვაითუ, გასეირნება რომ ვთხოვო, უარი მითხრასო. ამიტომ ხშირად ელოდა უნივერსიტეტთან და შორიდან მზერითღა ეალერსებოდა. ნინოს დანახვაზე გიოს ისე უცემდა გული, ეშინოდა, ნინომ არ გაიგონოსო. გოგონას არაერთხელ შეუნიშნავს ჭადრის ხეს ამოფარებული ბიჭი. გულში ბრაზობდა, — როდემდე უნდა იყოს ჩუმად, ახი არ იქნება, რომ გავთხოვდეო?

ნინო ფიქრობდა, საჭიროა ბიჭმა იაქტუროსო, გიო კი იმათთაგანი გახლდათ, რომელსაც ძლიერი გრძნობა ამუნჯებს. სხვებთან ხალისიანს ნინოს დანახვაზე ხელ-ფეხი უშეშდებოდა, ენა მუცელში უვარდებოდა. მეგობრები აგულიანებდნენ, არიგებდნენ, ისიც თავს უქნევდა — თქვენი რჩევისამებრ მოვიქცევიო, მაგრამ გამოჩნდებოდა ნინო და ყველანაირი დარიგება წყალში იყრებოდა. ნინო დაღალა მისმა დუმილმა, გაებუტა კიდეც. გიომ, როგორც იქნა, გადაწყვიტა, დაბადების დღე მიელოცა გოგოსთვის და საჩუქრით ხელში კარს მიადგა. გაღიმებული ნინოს დანახვამ ისე დააბნია, რომ მილოცვაც ვერ მოახერხა. ესღა ამოღერღა — აი, ეს შენო და არანაკლებ დაბნეულ გოგონას საჩუქარი ხელში მიაჩეჩა. სუფრასთან ღვინოს მიეძალა, რომ როგორმე დაეძლია სიმორცხვე, მაგრამ რაც უფრო მხიარულობდნენ მეინახენი, მით მეტად მუნჯდებოდა გიო, თანაც ნინო ისეთ შორეულ ოცნებად ესახებოდა, რომ შევეხო, ვაითუ გაქრესო, — ფიქრობდა...

იმ დღის მერე განაწყენებული ნინო კიდევ დიდხანს, ამაოდ ელოდა გიოს გამოჩენას...

ამასობაში, გამოჩნდა გიოზე ენაწყლიანი და გაბედული ყმაწვილი და ნინო ცოლად გაჰყვა მას...

გავიდა წლები. დროდადრო მეგობრებთან ხვდებოდა ნინოს და ეს კანტიკუნტი შეხვედრები უხარებდა გულს. ერთ-ერთი მეგობრის ქორწილში ველარ გაუძლო ნინომ გიოს მზერას და ნაჩქარევად დაწერა ფურცელზე: „გაბნეული სირენები, სროლის ხმა, მუსიკა, სიცივე, თოვლი, თოვლივით თეთრი კაბით შემოსილი პატარძალი, სიძე, მაყრიონი, უამრავი სტუმარი, სხვისი ქორწილი და არა — ჩვენი... თოვლის ფიფქივით მიმოფანტულიყო ჩვენი ჭაღარა, განვლილი ბაშვობა, ღამაზი ზღაპრები, თამაში, ფერადი ოცნებები, უამრავი მოგონება, ჩემი და შენი საფიქრალი, ჩვენი წარსული... მოძველებული, მოდიდან გამოსული, სხვებისგან მივიწყებული ერთი ჩვეულებრივი (ან იქნებ არაჩვეულებრივი) სიყვარულის ამბავი. იგივე თვალები. იგივე მზერა. იგივე მოკრძალება. იგივე სურვილი. იგივე სიმღერა და... სხვისი ქორწილი... ცოტა სინანული. ცოტა სიხარული. ბევრი ტკივილი. შენი ბერბიჭობა. ჩემი მარტოობა და ჩვენ წინ დამჭკნარი სიყვარული... ორივეს დამარცხება. ორივეს გათეთრება. ირგვლივ თოვლი და სიქათქათე და სხვისი ქორწილი... ამ სიტყვებს მიღმა მიმალული ბევრი სათქმელი, სხვისთვის მაგალითი ის ერთადერთი უდროოდ ჩაფერფლილი ჩვენი სანთელი...“

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ეს ჩანაწერი გიოს გაუგზავნა მეგობრის ხელით: ახლა მაინც გაიგოს, რომ ყოველდღე ველოდი მის გამოჩენას, მისგან ნათქვამ „მიყვარხარ“-ს... ეს პატარა წერილი კი ჩემგან სამახსოვროდ დარჩესო.

დარჩა კიდეც...

მარინა ბაბუნაშვილი

ქათინაურში

„ქალს ყურით უყვარდება, კაცს კი თვალითო“, — ხშირად მსმენია და ამჯერად სწორედ ამ მოსაზრების შემოწმება ვცადე; შესაძლოა, ჩემი „გამოკვლევა“ სუსტი სქესის „დაპყრობის“ მოსურნე კაცებსაც გამოადგეთ. ერთი კი ცხადია — თუ ქალს მართლა ენით შეიძლება შეაყვაროს კაცმა თავი, გამოდის, რომ მასზე „იერიშის“ საუკეთესო საშუალებაა ქათინაური, რომელიც ხშირად სრულ სიმართლეს შეეფერება. მაგრამ საკუთარ მომხიბვლელობაში დარწმუნებულ ნებისმიერ ქალსაც კი თურმე ძალიან სიამოვნებს ქათინაურით ამ ფაქტის კონსტატაცია. მოკლედ, მივმართავთ ქალებს:

— რას ნიშნავს თქვენთვის ქათინაური და თუ გახსოვთ რომელიმე მათგანი?

ლალი (60 წლის): — ქათინაურის თქმას დიდი ტაქტი და ლაზათი უხდება, თორემ შეიძლება სახოტბოდ ნათქვამი ფრაზა უხამსი გამოვიდეს და ადრესატის განაწყენების საბაბიც კი გახდეს. მახსოვს ერთი შემთხვევა... მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ქმარ-შვილთან ერთად გუდაუთაში ვისვენებდი. იმ დღეს მეც და ჩემი მზით გარუჯული ბიჭუნებიც, რომლებიც მაშინ 4-5 წლისანი იქნებოდნენ, თეთრებში ვიყავით გამოწყობილნი. ბევრი ქათინაური მივიღე. მაგრამ ერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ერთ-ერთ ღია კაფესთან წყლის დასალევად შევჩერდით. მაგიდას სამი კაცი უჯდა. გვერდით რომ ჩავუარეთ, გავიგონე ერთის ნათქვამი — რა ბედნიერია ის კაცი, ვისთანაც ეს ანგელოზივით ოჯახი მიდისო. მთელი დღე გული მიმღეროდა. ეს იყო ძალიან ლამაზი ქათინაური, რომელშიც ყველაფერი ჩაატია მთქმელმა.

ნელი (56 წლის): — 21 წლის ვიყავი. მაშინაც მოდაში იყო ავადმყოფური სიგამხდრე. თავს ვიკლავდი, მინდოდა თხელი და ნატიფი გამოვჩენილიყავი, მაგრამ მაღალი, სავსე მკერდი და თეძოები ამის საშუალებას არ მაძლევდა. ერთხელ ქუჩაში მიმავალს მანქანამ ჩამიქროლა. მომესმა მუხრუჭების ხრჭიალი. მოვიხედე. მძღოლმა, ახალგაზრდა იყო, მოაბრუნა მანქანა და ჩემ გვერდით გაჩერდა. დავიბენი. მან კი ღიმილით მითხრა: ბესიკს რომ ენახეთ, თქვენზე მეორედ დაწერდა „ტანტატანოსო“. ძალიან კარგი მოსასმენი იყო ის სიტყვები, მაგრამ შემრცხვა და გავიქეცი. ის ბიჭი დღეს ცნობილი მხატვარია. მისი წყალობით დავანებე თავი სულელურ დიეტებს.

ლიკა (36 წლის): — დრო იცვლება და როგორც ჩანს, ქათინაურის თქმის კულტურაც, რაც, სამწუხაროდ, ქართველი კაცების გადაგვარებაზე მიგვანიშნებს. ამას წინათ ჩემს 17 წლის ქალიშვილთან ერთად მივდიოდი ქუჩაში. სხვადასხვა ასაკის მამაკაცების „ბირჟის“ გვერდით მოგვიწია გავლა. ჯერ ურცხვად აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერეს, შემდეგ ხმამაღლა მოგვადევნეს, — აუ, რა კაი „ნაშაა“ პატარა, დიდიც კაია, ნეტა ეგენი მოგვცა ამ საღამოსო. გუნება გამიფუჭდა. რამე რომ მეთქვა, უფრო შეურაცხმყოფდნენ, არადა, იმ წუთში მართლა მძულდა კაცთა მოდგმა. ნეტავ, ვინ ზრდის ასეთ არაკაცებს?!

თიკა (18 წლის): — ქათინაური ქალებს კი არა, კაცებსაც თავბრუს ახვევს. უფრო მეტიც, თუ ქათინაურს ეტყვით, შეიძლება შეუყვარდეთ კიდეც. ერთი ბიჭი მომწონდა, თურმე იმასაც მოვწონდი, მაგრამ ვერ მიმხელდა. ერთხელ ვუთხარი, — ისეთი თბილი და ალერსიანი ხარ, ჩემს ფისოს მაგონებ-მეთქი. მას მერე სულ თაფლად იქცა. ერთ დღეს მეუბნება, — შენ რომ გიყურებ, სულ მგონია, ბებიაჩემ დაფინოს ახალგაზრდობას ვხედავო. მაშინ ვიფიქრე, მაშაყირებს-მეთქი. მერე კი, როცა დავქორწინდით, დაფინო ბებიას ახალგაზრდობის ფოტოები ვნახე და დავმუნჯდი, — ულამაზესი ბებია ჰყოლია ჩემს ქმარს.

ეკა ლომიძე

P.S. რაღა დაგიმალოთ და, თვითონაც არაერთხელ მსმენია უაზრო და ზოგჯერ უხამსი ვითომ ქათინაური, რომლებსაც საკუთარი დედების გინებით იწყებენ ჩვენი თაობის ბიჭები. რა გჭირთ, ბიჭებო, მიბაძეთ თქვენს მამებს, რომლებიც გველს თუ ვერ ამოიყვანენ ხვრელით, ქალს ნამდვილად აუჩქარებენ გულისცემას ლამაზად ნათქვამი სიტყვებით.

მუსლიმი ქალი

ახლახან წავიკითხე ყურბან საიდის რომანი „ალი და ნინო“. ძალიან დავინტერესდი მუსლიმანურ ქვეყნებში ქალის როლით. გთხოვთ გვიამბოთ აღმოსავლურ ტრადიციებზე.

ერთ-ერთი თბილისელი, ნინო ყიფიანი

მუსლიმანურ ქვეყნებში ქორწინება წმინდა საქმედაა აღიარებული. საცოლე და საქმრო ერთმანეთს უნდა შეეფერებოდნენ ასაკით და საზოგადოებრივი მდგომარეობით. ყურანი კრძალავს პირდაპირი ხაზით ნათესავების და სისხლით ნათესავების მესამე თაობაზე ადრე შეუღლებას. მუსლიმანს შეუძლია ცოლად შეირთოს ქრისტიანი, იუდეველი ან სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელი, მაგრამ მაჰმადიანი ქალი მხოლოდ მაჰმადიანს უნდა გაჰყვეს.

აკრძალვა და კანონი

დაქორწინება შეუძლიათ მხოლოდ სრულწლოვნებს. ტრადიციულად, ვაჟებისთვის ეს 15 წელია, ხოლო გოგონებისთვის — 9. თანამედროვე კანონებით, ეს ასაკი გაზრდილია — მამაკაცი უნდა იყოს 18 წლისა, ქალი — 15-ის. ქორწინების რიტუალი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. პატარძლის ხელის თხოვნის შემდეგ საქორწინო ხელშეკრულება იდება და ამის საფუძველზე ახალგაზრდებს ერთმანეთის ნახვის უფლება ეძლევათ. შემდეგ ქალს საქმროს სახლში მიიყვანენ და ნოტარიუსი ქორწინებას აფორმებს.

ყურანით დაშვებულია მრავალცოლიანობა. მასში ნათქვამია: „შეირთეთ ის, ვისი ხიბლვაც გსიამოვნებთ — ორი, სამი, ოთხი... მეტი არ შეიძლება. სამაგიეროდ, თუ მამაკაცი ერთ ცოლს გაშორდა, შეუძლია ახალი მოიყვანოს. თანამედროვე მუსლიმანურ სახელმწიფოებში მრავალცოლიანობა მაინცდამაინც არ არის გავრცელებული. ზოგ ქვეყანაში მხოლოდ ორი ცოლია დაშვებული, ზოგან კი საერთოდ აკრძალულია მრავალცოლიანობა.

ქმარი ვალდებულია, უზრუნველყოს ცოლი საცხოვრებლით, საკვებით, ტანსაცმლით და ა.შ. ცოლი კი, თავის მხრივ, ქმარს უნდა ემორჩილებოდეს და ყველა სურვილს უსრულებდეს, მაგრამ თუ მორჩილ ცოლს ქმარი სახარჯო ფულს არ აძლევს, მას შეუძლია თვითონ აიღოს ქმრის ქონებიდან გარკვეული თანხა.

თუ ქმარს ცოლის შენახვის თავი არა აქვს და ქალი იძულებულია, თვითონ იშოვოს საარსებო ფული, მაშინ მას შეუძლია ქმარს არ დაემორჩილოს.

შარიათის წესით, ქალმა ჩადრი უნდა ატაროს, რათა სხვა კაცმა არ მოჰკრას თვალი. სახლში ქალები და მცირეწლოვანი ბავშვები სადიაცოში (ჰარემი) ცხოვრობენ, მამაკაცებს ეკრძალებათ იქ შესვლა.

მეჩეთში მუსლიმანი ქალები მამაკაცთა საღოცავისგან ტიხრით გაყოფილ საქალებოში ლოცულობენ.

ოჯახური მორალიც ძალიან მკაცრია — კაციც და ქალიც ღალატისათვის გაწკეპვლით ისჯებიან. მკაცრი სასჯელი ელის ცილისმწამებელსაც, ჭორიკანასაც...

კანონი განსაკუთრებით ულმობელია ქალებისადმი. ქორწინებამდე კავშირი თავისმომჭრელია არა მარტო თავად ქალისთვის, არამედ ოჯახისთვის, გვარისთვის, სოფლისა და უბნისთვის.

მუსლიმანი მამაკაცი ცოლს არასოდეს ახსენებს — ეს უწესობაა. მის ცოლს სხვა ვერც მოიკითხავს და ვერც საჩუქარს გაუგზავნის. მთელი ოჯახის მოკითხვა კი მიღებულია. ქალის მდგომარეობა შვილების რაოდენობასა და ასაკზეა დამოკიდებული. ასაკოვან ქალს დიდ პატივს მიაგებენ.

იოლი განქორწინება

მუსლიმანი ცოლ-ქმარი ძალზე იოლად იყრება. საკმარისია ქმარმა მოწმეების თანდასწრებით სამჯერ უთხრას, — შენ თავისუფალი ხარო და განქორწინებულებად ითვლებიან. ქალს არავინ არაფერს ეკითხება, ცოლი თავისი ბარგი-ბარხანით მშობლების ოჯახში უნდა გადავიდეს, მაგრამ ქმარმა სამი თვე უნდა არჩინოს. ამის შემდეგ ქალს გათხოვების უფლება აქვს. ქალს თან მიჰყავს გოგონები, ვაჟები მამას რჩება.

მამაკაცთა მთავარი ფასეულობები

ინსტრუქცია ქალებისათვის

ავტომობილი. მამაკაცი ავტომობილის გარეშე უცხენო ცხენოსანს ჰგავს. თუ ღამღამობით მანქანის სიგნალის გაგონებაზე გიჟივით არ წამოხტება ლოგინიდან, თავის პიპინაზე ნახევარ ხელფასს არ ხარჯავს და სააღერსო სახელს არ ეძახის, ის ნამდვილი მამაკაცი არ არის!



ფეხით მოსიარულე მამაკაცი დროებითი მოვლენაა. ოდესმე ის მაინც შეიძენს მანქანას.

ძმაკაცები. ჩვენ, ქალებს, დაქალები უმეტესად საჭიროაოდ, დარდის გასაზიარებლად გვჭირდება, მამაკაცებს კი, საქმისთვისაც. ისე, ჭორაობაც უყვართ და ქეიფიც. მეგობრებს შინ თუ მოიყვანს და სუფრის გაშლას მოითხოვს, უარი არასოდეს უთხრათ, თორემ მტრად გადაგეკიდებათ. ძმაკაცი — უპირველესია და მერე სხვები...

საჭმელი. მშიერი მამაკაცი მგელს ჰგავს. თუ სამსახურიდან მოსულს ცხელ-ცხელი კერძი, განსაკუთრებით კი, ხორციანი, არ მიაგებეთ — ვაი თქვენი ბრალი!...

ცოლი. ეს სტატუსი არ არის, ეს წოდებაა, რომლითაც კაცი ქალს აჯილდოებს და ის ამ წოდებას უნდა აამაყოფილებდეს, ანუ:

ა. ჩინებულ კერძებს უნდა აკეთებდეს, მაგრამ მთელი დღე სამზარეულოში არ უნდა იჯდეს;

ბ. უნდა იყოს ინტელექტუალური, მაგრამ ამით თავს არ უნდა აბეზრებდეს;

გ. სექსუალურად გამოიყურებოდეს, მაგრამ ისე, რომ სხვამ არ შეამჩნიოს;

დ. სტუმრები გაართოს, სტუმრად ყოფნისას ყურადღების ცენტრში იყოს, თან შეუმჩნეველი დარჩეს.

თამაშები. მამაკაცს ბალღზე ნაკლებად არ უყვარს თამაში, ოღონდ... ქალის ნერვებზე. დროდადრო არც კომპიუტერულ და სპორტულ თამაშებზე ამბობს უარს.

სიყვარული. როცა მამაკაცი შეყვარებულია, სწორედ იმას აკეთებს, რაც სხვისა აღიზიანებდა. თუმცა ყველა კაცს ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოუცდია დიდი სიყვარული. მაგრამ იცოდეთ! მისი ცხოვრების უპირველესი ქალი მაინც დედაა.

დედა. თუ თქვენი რამე არ მოეწონა, უთუოდ შეგადარებთ თავის დედას; დედას და არა დას ან ბებიას... დედას აღმერთებს, ის არის თქვენი მუდმივი მეტოქე. ამიტომ სასწრაფოდ დაავლეთ ხელი მას და მოაშორეთ მშობლიურ კერას.

სექსი. ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ტესტოსტერონი მართავს. თუ საწოლში იმარჯვა — ეს დიდი ზეიმია მისთვის. მერე არაქათგამოცლილი თვალს დახუჭავს და ხვრინვას ამოუშვებს.

ძილი. თუ მამაკაცი არ ფანტაზიორობს, მანქანას არ არემონტებს, თავისი არსის ძიებაში არ არის ან დედამისს არ გადარეთ, ე.ი. სძინავს. საკმარისია წუთით მოადუნოთ ყურადღება და მაშინვე მიწვება.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კაცები მხოლოდ იმიტომ ფხიზლობენ, რომ ქალები და საგანგებო სიტუაციები უშლით ხელს.

ვაფრო ყნდათ ქათხოვება

— იმიტომ, რომ ქეთი უკვე მესამედ თხოვდება

— იმიტომ, რომ სადმე შეგვიანებულმა გამოაცხადოს — „ჩემი მომაკითხავს“...

— იმიტომ, რომ წინა „კავალერს“ ნერვები აუშალოს.

— იმიტომ, რომ „იმას“ გაუჩინოს ბიჭი, თავისთვის — გოგო...

— დაბოლოს, იმიტომ, რომ უყვარს...

იუმორი

ქმარი კარებში ეგებება ბაზრიდან მძიმე ჩანთებით დაბრუნებულ ცოლს.

— არა, გენაცვალე, ამას ბოლო უნდა მოეღოს, სად შეგიძლია ამხელა ტვირთის თრევა.

— რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?

— ჯობს, ორჯერ წახვიდე ხოლმე ბაზარში.



ყველა მერსედესი შეკვეთილია



როდესაც ჩამავალი მზე ჟენევის ტბას ოქროსფერ სხივებს უგზავნის, საუდის სამეფო ოჯახის წევრები ბარბექიუს (მწვადის) მისართმევად იკრიბებიან. ტბის პირას მათთვის ორ გრძელ მაგიდას და წითელ სავარძლებს დგამენ, გარშემო კი ქოთნებში ჩარგული მზესუმზირებს შემოუწყობენ. შვეიცარიელებმა რომ სამეფო ოჯახის ქალებს თვალი არ მოჰკრან, ისინი შავი ტენტით შემოსაზღვრულ „ოთახში“ სხდებიან, ქაბაბსა და ღავაშს მიირთმევენ და თვალს ადევნებენ პატარა პრინცებს და პრინცესებს — ფილიპინელი ძიძები რომ დასტრიალებენ თავს.

მთელი სამეფო ოჯახი, 81 წლის მეფე ფაჰდის მეთაურობით, არდადეგებს სწორედ ჟენევაში ატარებს. მეფეს უყვარს აქ დასვენება, ის აქ პირველად 1970 წელს ჩამოვიდა. ფაჰდი 350 მხლებელთან (ოჯახის წევრები, მოსამსახურეები და ა.შ.) ერთად, ორი ბოინგით ჩამოდის, რომელთაგან ერთში მფრინავი ჰოსპიტალია მოთავსებული. ბოინგებს საუდის არაბეთიდან რამდენიმე რეაქტიული სამხედრო თვითმფრინავი მოჰყვება. ადგილობრივი ტურისტული ბიუროს ცნობით, ფაჰდის ოჯახი ჟენევაში ყოველდღიურად 3-4 მლნ დოლარს ხარჯავს. თუმც თვითონ საუდელთა მტკიცებით, ეს თანხა 10 მლნ-ს შეადგენს. ოჯახი, ტრანსპორტის სახეობიდან, მხოლოდ მერსედესის ლიმუზინებს ანიჭებს უპირატესობას. ჟენევაში მათ 600 მერსედესის დაქირავება გადაწყვიტეს. ქალაქში ამდენი მერსედესი ვერ მოგროვდა, საჭირო გახდა 150 ავტომობილის გერმანიიდან ჩამოყვანა. ფაჰდის მხლებლები ყოველთვის „ნოგა ჰილტონში“ იდებენ ბინას, რაც აქ მდებარე მაღაზიების მეპატრონეთა აღტაცებას იწვევს. არც არის გასაკვირი — საუდელები ხომ მაღაზიას თითქმის აცარიელებენ — მხოლოდ ისეთ ნივთებს ტოვებენ გულგრილად, რომლებიც „სულ რაღაც“ რამდენიმე ასეული დოლარი ღირს.

მდიდარი საუდელების ძვირფასეულობისადმი კეთილგანწყობა შვეიცარიელთათვის კარგადაა ცნობილი. სწორედ ამიტომ — ამ დროისათვის, როცა ჟენევას სამეფო ოჯახი დასასვენებლად ეწვევა ხოლმე, აქ ძვირფასეულობისა და განთქმული შვეიცარიული საათების მაღაზიების დარბაზებს აფართოებენ. ყოველდღიურად ჟენევის აეროპორტში რამდენიმე თვითმფრინავი ეშვება, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან საგანგებოდ სამეფო ოჯახისთვის ხილი, ბოსტნეული და ხორცი ჩამოაქვს. თუმცა, როგორც ჩანს, ამანაც იცის მობეზრება. — ამ მდიდრულმა საკვებმა დამასნეულა, — წუწუნებს ფაჰდის ერთ-ერთი მრჩეველი, — იქნებ სჯობდეს, უბრალო მოკვდავებივით დავისვენოთ?

შესაძლოა, კარგი იდეაა, თუმცა ვინ გაბედავს, რომ ის მეფეს მიაწოდოს?

ნიუზუიქი

ვწეროთ ჩვენს იმედად

ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს არგენტინა ყოველთვის ძლიერ მეზობლად მიაჩნდათ. ბოლო დროს, ეკონომიკურმა კრიზისმა იგი სუსტ და მღელვარე ქვეყნად აქცია. სადღაც გაქრა საბანკო ანგარიშები. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ერთადერთი საზრდო — ჰური და ხილია. თუმცა ამაყი არგენტინელები აცხადებენ, რომ მათ ქვეყანას ორი უცვლელი ღირებულება მაინც შემორჩა — ფეხბურთი და ტანგო. ამას კი ბოლო დროს ერთი იმედიც დაემატა — ესაა აწეული ხელი. სწორედ ხელის აწევით დაადასტურეს შვეიცარიელმა ბანკირებმა მათ ბანკებში დაგროვილი, არგენტინის კუთვნილი ასეულობით მილიონი დოლარის ბუენოს აირესისთვის დაბრუნების გადაწყვეტილება. ბანკირთა თანხმობით, ეს კაცრები მთელმა არგენტინამ ნახა და იმედიც ჩაესახათ, რომ მათი ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას შეძლებს.

აწეული ხელი კი არგენტინელთათვის კვლავ გამარჯვებისა და იმედის სიმბოლოდ იქცა. ქვეყანაში დიეგო მარადონას უზარმაზარი პლაკატების გამოფენა დაიწყეს, სადაც არგენტინელ ფორვარდს ხელით გააქვს ბურთი. მორწმუნე არგენტინელებმა ფეხბურთელის ამ უჭვეულო საქციელს მარტივი ახსნა მოუძებნეს — ეს ღმერთის ხელი გახლავთ, რომელიც უთუოდ შეგვეწევაო...

ნიუზუიქი

თქვენს ანდერძში რა წერია?

ფრანსუა რაბლე

„ძალიან მადლობელი ვარ ჩემი მეუღლისა, რომელმაც მიმატოვა და საშუალება მომცა, მშვიდად გამეტარებინა დარჩენილი ცხოვრება, ამიტომაც მსურს, გადასცეთ მას 10 შილინგი ცხვირსახოცის საყიდლად, რომელიც დასჭირდება, როცა ჩემი სიკვდილისა და ანდერძის ამბავს შეიტყობს“, — წერდა ერთი შოტლანდიელი ექიმი ანდერძში.

მომაკვდავის უკანასკნელი სურვილი — ანდერძი ხშირად უცნაურ ტექსტს შეიცავს. მაგალითად, ერთმა ფრანგმა ფერმერმა ანდერძი დატოვა: — ჩემს ქვრივს 100 ფრანკს ვუტოვებ, მაგრამ თუ მეორედ გათხოვდა, ჩემი ქონებიდან 200 ფრანკი მიეცით. იმ საცოდავს, რომელიც მაგას ითხოვს, ფული ნამდვილად დასჭირდებაო.

უილიამ შექსპირის ანდერძში აშკარად ჩანს მისი შემდგენლის წუწურაქობა — ნახმარი ფეხსაცმელებიც კი აქვს აღნუსხული და მითითებული, ვის უტოვებს. თუმცა ეს ანდერძი ჯერო იმითაა საინტერესო, რომ შექსპირის ნამდვილად არსებობის ღამის ერთადერთი დამადასტურებელი საბუთია.

ყველაზე გრძელი ანდერძი შეადგინა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა დამაარსებელმა თომას ჯეფერსონმა. იგი 1826 წელს გარდაიცვალა. სამშობლოსათვის არაფერი დაუტოვებია, მაგრამ ანდერძით ყველა თავისი მონა გაათავისუფლა.

ყველაზე მდიდრული ანდერძი 1991 წელს ამერიკელმა ვალტერ ანენბერგმა დატოვა, მან თავისი, 1 მლრდ დოლარად შეფასებული ხელოვნების ნაწარმოებთა კოლექცია ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმს უანდერძა.



ვალტერ ანენბერგი

ყველაზე ღარიბული ანდერძი ფრანგ მწერალს ფრანსუა რაბლეს ეკუთვნის, — არაფერი გამაჩნია, მაგრამ თუ მაინც რამეს იპოვით, ღარიბებს მიეცითო.

ნაღდი ფულის ყველაზე მეტი რაოდენობა — 5000 მლნ დოლარი — ამერიკელმა მრეწველმა ჰენრი ფორდმა დატოვა ანდერძით, თუმცა ეს თანხა 4.157 სასწავლო და საქველმოქმედო ორგანიზაციას უნდა გაენაწილებოდა.

ყველაზე ცნობილი ანდერძი ალფრედ ნობელს ეკუთვნის. ის, რომ მან დააწესა ნობელის პრემია მსოფლიოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იცის.

დენგი №34

თეთრი სახლის ბავშვები

შვილები — სიცოცხლის ყვავილები — თავისი საქციელით ყოველთვის როდი ამშვენებენ თეთრი სახლის ბაღს. ზოგიერთი პრეზიდენტი გულახდილად ამბობდა, — ქვეყნის მართვა უფრო იოლია, ვიდრე საკუთარი შვილებისო.

აშშ-ის პირველი პრეზიდენტი არაერთხელ გაუწითლებია თავისი შვილიშვილის, ზარმაცი და მოქეიფე ყმაწვილის საქციელს. იგი ყველას ქედმაღლურად უყურებდა, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობდა. ბოლოს, უნივერსიტეტიდანაც გააგდეს.

„ჩემი შვილები უფრო მეტ უსიამოვნებას მაყენებენ, ვიდრე მტრები“, — განაცხადა აშშ-ის მეორე პრეზიდენტმა ჯონ ადამსმა, რომლის ერთ-ერთი ვაჟი, ჩარლზი, ლოთი იყო და ლოთობით მოკვდა მაშინ, როცა მამამისი წარმატების მწვერვალზე იმყოფებოდა.

ექვსი შვილის მამა, აშშ-ის 26-ე პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი წუწუნებდა, — მეტის ატანა აღარ შემიძლიაო. მის უფროს ქალიშვილს, ალისას, უყვარდა მანქანების სახურავებზე ცეკვა, თეთრი სახლის აუზში ტანსაცმლიანად ბანაობა და თუკი რაიმე არ მოეწონებოდა, მსახურების გინება.

განსაკუთრებით რთული პრობლემები ჰქონდა რონალდ რეიგანს. რეიგანის გერმა, პეტი დევისმა, ჯხამს პოზაში „ფლეიბოისთვის“ ფოტო გადაიღო. შემდეგ ისიც თქვა, — კოკაინს სწორედ მაშინ მივეძალე, როცა დედაჩემი ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის აქციას ჩაუდგა სათავეშიო.

23 წლის ჩელსი კლინტონი ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლობს და მშობლების მუდმივ ყურადღებას მოკლებულია. თუმცა მას იცავენ აშშ-ის საიდუმლო სამსახურის აგენტები, ასე რომ, დედ-მამა შვილის თავგადასავლების შესახებ ყველაფერს ჰეორე დღესვე იგებს. იგი ყოველ დღეს დისკოთეკაზე, ბარსა და ღამის კლუბში ატარებს, საიდანაც ძალიან ხშირად უგონოდ მთვრალი გამოჰყავთ. თუმცა აგენტები, ჩელსის საქმრო და მეგობრები ცდილობენ, ეს ამბავი არ გაახმაურონ, მაგრამ ხალხს ჰაინც არაფერი ეპარება.

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა პაპარაცმა ფირზე აღბეჭდა ჩელსის მორიგი ღრეობის ამსახველი კადრი ლონდონის პრესტიჟულ კლუბ „ემბარაიში“. ღამის სამ საათზე ჩელსი კლუბიდან ხელით გამოიყვანეს და რომ არავის ეცნო, თავზე პიჯაკი ჰადააფარეს. ამან არ უშველა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე კვირით ადრე კი ჩელსი დისკოთეკაზე თავდავიწყებით ცეკვავდა და ისეთი მთვრალი იყო, რომ არ შეუმჩნევია, როგორ ჩაძვრა ტოპი და მკერდი გაუშიშვლდა. კლინტონების ოჯახის საბედნიეროდ, იმ წამს იქ პაპარაცი არ ყოფილა.

საკვირველი ის გახლავთ, რომ ჩელსი ყოველთვის გამოირჩეოდა მოკრძალებით, თავდაჭერილობით და წარბი არ შეხრია მონიკა ლევინსკის სახელთან დაკავშირებული სკანდალის დროსაც კი. მაგრამ ინგლისში ჩასვლისთანავე შეიცვალა. ოქსფორდში კლინტონის ქალიშვილმა გაიცნო სანფრანცისკოელი უმდიდრესი ოჯახის შვილი იენ კლაუსი. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ამბობენ, მალე ჯვარს დაიწერენო, მაგრამ ლოთობის გამო ამ ქორწინებასაც და ჩელსის მომავალსაც საფრთხე ემუქრება.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ჰილარიმ დაურეკა ქალიშვილის აგენტებს და სთხოვა, როგორმე შეეჩერებინათ ჩელსი და არ მიეცათ დალევის უფლება.

სიტუაცია იმითაც რთულდება, რომ გოგონას მემკვიდრეობით ცუდი გენები აქვს. ბილის დედ-მამა ლოთები იყვნენ, ძმა, როჯერსი კი ალკოჰოლისგან მეურნალობდა.

ბუში-უმცროსის ქალიშვილებიც საგონებელში აგდებენ მშობლებს — ძალიან უყვართ ღამის ბარებში ლუდის და ვისკის წრუპვა...

უცხოური პრესის მიხედვით

თუ გსურთ:

ჩვენთან თანამშრომლობით, თქვენ შეძლებთ ყველაზე:

ექსპრესის ტარიფები	
0.01-დან 50-მდე	2 ლარი
50.01-დან 100-მდე	3 ლარი
100.01-დან 200-მდე	4 ლარი
200.01-დან 500-მდე	6 ლარი
500.01-დან 1000-მდე	10 ლარი
1000.01-დან 1500-მდე	14 ლარი
1500.01-დან 2000-მდე	20 ლარი
2000.01-დან 2500-მდე	24 ლარი

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.

სახეზე მაქვს ჭორფლი, რომელიც ზაფხულში უფრო მკვეთრი ხდება, ვცადე რამდენიმე კოსმეტიკური საშუალება, მაგრამ უშედეგოდ — ცოტა ხნის შემდეგ ჭორფლი ისევ გამიჩნდა. იქნებ მირჩიოთ რამე ხალხური მედიცინიდან?

ერთგული მკითხველი

ჭორფლის წარმოქმნა კანში პიგმენტ მელანინის გადანაწილების დარღვევასთანაა დაკავშირებული. იგი უფრო ინტენსიური ხდება მზიან ამინდში, რადგან ულტრაიისფერი სხივები ამ დროს უფრო მეტად მოქმედებს სახის კანზე.

შემოგთავაზებთ ნიღბებს, რომელთა მეშვეობით ჭორფლი შესაძლოა სულ არ გაგიქრეთ, მაგრამ ძალიან გაფერმკრთალდეს.

1. ოცდაათი ცალი ნუშის გული ჩაყარეთ მდუღარე წყალში, ათი წუთის შემდეგ ამოიღეთ, გაფცქვნით და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში (ან დანაყეთ საფთიაქო როდინში). ნელ-ნელა შეათქვიფეთ 1ჩ/კ ანადუღარი წყალი და 0,5 ჩ/კ თაფლი. ეს ნარევი წაისვით სახეზე დღეში ერთხელ მაინც (შეიძლება ორ-სამჯერაც); 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

2. ერთ კონა ოხრახუშის წვენს დაასხით იმავე რაოდენობის ანადუღარი რძე. ამ ნარევით სახე დღეში რამდენჯერმე გაიწმინდეთ (ყველაფერი უნდა გააკეთოთ ისევე, როგორც პირველი ნიღბის დროს).

3. აიღეთ თანაბარი რაოდენობის ღიმონისა და კიტრის წვენი. მათი ნარევი შესანიშნავი მათეთრებელია.

4. თუ ღია ფერის ჭორფლი გაქვთ, სახე დილა-საღამოს გაიწმინდეთ ახალგამოწურული ხახვის წვენით.

5. შეიძლება პირის დაბანა ყოველ დილით მჟავე მაწვნით.

6. მიიღეთ B_2 ვიტამინის დამატებითი დოზა.

მაქვს გულის არითმია და ხანდახან ვგრძნობ მცირე ტკივილებს გულის არეში. მკურნალობის რა მეთოდს მივმართო?

ვანტანგ ჯანეზაშვილი

აღნიშნულ შემთხვევაში ყოვლად დაუშვებელია თვითმკურნალობა. უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც დაგისვამთ ზუსტ დიაგნოზს, კერძოდ, რა სახის არითმია (რითმის დარღვევა) გაქვთ, რამ გამოიწვია მისი განვითარება, არის თუ არა ტკივილი გულის არეში გულის კუნთის ჰიპოქსიის (ჟანგბადის ნაკლებობის) შედეგად წარმოქმნილი და მხოლოდ ამის შემდგომ დაგინიშნავთ კვალიფიციურ მკურნალობას.

ყოველგვარი არასწორად ჩატარებული თვითმკურნალობა უფრო მეტ ზიანს მოგიტანთ, ვიდრე სარგებელს.

ბიჭს 7 წლის ასაკში ჰქონდა გლომერულონეფრიტი და განიკურნა. ახლა იგი 25 წლისაა. შენარჩუნებული ექნება თუ არა შვილოსნობის უნარი?

მკითხველი

როგორც ჩანს, მკითხველს რთული სამედიცინო ტერმინი „გლომერულონეფრიტი“ აშინებს, რადგანაც არა აქვს ინფორმაცია მისი მნიშვნელობის შესახებ. გლომერულონეფრიტი თირკმლის, კერძოდ, მისი გორგლოვანი აპარატის ანთებას ნიშნავს. ამას არანაირი კავშირი არ აქვს მამაკაცის სქესობრივი პოტენციის დაქვეითებასთან. ასე რომ, თუ მსგავსი პრობლემა აწუხებს ადამიანს, ამის მიზეზი სასქესო სისტემის ამჟამად არსებული ფუნქციური ან ორგანული დაზიანებაა და არა გადატანილი გლომერულონეფრიტი.

რა განსხვავებაა ინფიცირებულსა და დაავადებულს შორის?

მ. რუსიძე, თბილისი

ინფიცირება ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმის შეჭრაა, რასაც შედეგად ინფექციური პროცესის განვითარება მოსდევს.

ინფექციური დაავადება ინფექციური პროცესის ერთ-ერთი ფორმაა, ანუ მისი განვითარების უმაღლესი ხარისხია, მაგრამ ყოველთვის როდი ვითარდება ინფიცირების შედეგად დაავადება. იმის მიხედვით, თუ როგორია მიკრო და მაკროორგანიზმების ურთიერთქმედების თავისებურება, გარემო ფაქტორები, შესაძლოა ინფიცირების შედეგად მივიღოთ სხვადასხვა პროცესი — გამომწვევის უსიმპტომო მატარებლობიდან, კლინიკურად გამომჟღავნებულ დაავადებამდე. ამდენად, ინფიცირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს დაავადების განვითარებას, შესაძლოა, დაავადება საერთოდ არ განვითარდეს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

მაინტერესებს ექიმის რჩევა ლიპოსაქციაზე, მის ეფექტურობასა და უარყოფით მხარეზე. რა შეიძლება მოხდეს ცუდად გაკეთების შემთხვევაში? იმ ადგილას, სადაც კეთდება ლიპოსაქცია, შეიძლება თუ არა, რომ ხელახლა გაჩნდეს ცხიმგროვა?

ი.თ.

დღეისათვის არსებობს ლიპოსაქციის (ცხიმის მოშორების) გაუმჯობესებული მეთოდი — ულტრაბგერითი ლიპოსაქცია, რომლის უპირატესობა ის არის, რომ ულტრაბგერის ზემოქმედებით ხდება ცხიმოვანი ქსოვილის გადაყვანა თხევად მდგომარეობაში და შესაძლებელი ხდება მისი დიფერენცირება (გამორჩევა) ცხიმოვანი ქსოვილის მიმდებარე სისხლძარღვოვანი და ნერვული კომპონენტებისგან. ეს კი, ამცირებს მათი დაზიანების შესაძლებლობას. გათხევადებულ ცხიმს ზონდით გამოსრუტავენ. ასე რომ, ყოველგვარი გართულება და „ცუდად გაკეთება“ ამ ოპერაციისა, ფაქტობრივად გამორიცხულია.

იმ უბანზე, სადაც კეთდება ლიპოსაქცია, ცხიმოვანი უჯრედები აღარ არის და ცხიმოვანი ქსოვილიც აღარ ღაგდება.

ერთი რამ კი, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ — ლიპოსაქცია არ გახლავთ სიმსუქნის მკურნალობის მეთოდი. იგი მხოლოდ ლოკალური ჭარბცხიმიანობის სამკურნალოდ — სხეულის ფორმის კორექტირების მიზნით გამოიყენება.

ხალხში გაბნეული რეცეპტები

მარილები დღეს თითქმის ყველა მოხუცებულის პრობლემაა. მეც მათ შორის ვიყავი, ვიდრე ერთი უებარი საშუალება არ მასწავლეს: საღამო ხანს 2 სუფრის კოვზი ბრინჯი გარეცხეთ და დაასხით 1 ჩაის ჭიქა ცივი წყალი. ასე დატოვეთ მეორე დილამდე. დილით შემოდგით ცეცხლზე და მოხარშეთ. არ მოაყაროთ არც მარილი და არც შაქარი. არც ცხიმი უნდა დაუმატოთ. ნახარში შექამეთ უზმოზე (წვენიც დალიეთ) და შემდეგ 3 საათის განმავლობაში არაფერი მიირთვათ. ასე გააკეთეთ ყოველდღიურად. შედეგი გასაოცარი იქნება. სახსრები ისე მტკიოდა, რომ მოძრაობაც კი მიჭირდა, თითები დაბუჟებული მქონდა — ვერაფერს ვგრძნობდი, წელის ტკივილიც მაწუხებდა. ბრინჯის ნახარშის მიღების ერთთვიანი კურსის შემდეგ ეს ყველაფერი საგრძნობლად შემიმსუბუქდა, თითებში მგრძნობელობა დამიბრუნდა, ასე მგონია, მძიმე ლოდი მოვიშორე ზურგიდან. მინდა ყველას ვასწავლო ჩემი წამალი, რათა მათაც იგრძნონ შვება. მთავარია, ნებისყოფა და ნახარშის ყოველდღიური მიღება.

ნინელი ჯანგულაშვილი

ექიმის კომენტარი: ჩინურ მედიცინაში ბრინჯი ძირითადად კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ გამოიყენება. მაგრამ ალბათ ყველა დიასახლისისთვისაა ცნობილი ბრინჯის თვისება, ჭარბად შეინოვოს კერძიდან მარილები და სითხე. სწორედ ამ თვისებასთანაა დაკავშირებული ამ მცენარის ის მოქმედება ორგანიზმზე, რომელზედაც ჩვენი მკითხველი გვიამბობს. რეგულარული, ხანგრძლივი მიღებისას უმარილო ბრინჯი და მისი ნახარში წმენდს ორგანიზმს წიდებისაგან, ნალექი მარილებისაგან, აუმჯობესებს სხვადასხვა ორგანოთა და სისტემების ფუნქციონირებას, სახსრების მუშაობას. აღნიშნული რეცეპტი მრავალნაცადია და ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ასე რომ, შეგიძლიათ, შეუდგეთ მის შესრულებას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, შედეგის მისაღწევად, ნახარშის ხანგრძლივი და რეგულარული მიღებაა საჭირო.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

ახომატელი სისხლე

ახალგაკეთებული სადილის სურნელებამ მშიერს შეიძლება მგლის მადა გაგიღვიძოთ. სწორედ ეს ფაქტორი შეიქნა დოქტორ ალან ჰირშის სიმსუქნის საწინააღმდეგო მეთოდის საფუძველი. რაკი არსებობს მადის აღმძვრელი სუნი, ე.ი. ისეთიც არსებობს, რომელიც მას თრგუნავს, — დაასკვნა მეცნიერმა. — ასე შეიქმნა 15 „მომთვინიერებელი“ არომატი. მათ შორის მწვანე ვაშლის, ბანანის, პიტნის, ლავანდის, ვარდის... გახდომის მექანიზმი მარტივია: ყოველი ახალი კერძის დაგემოვნების წინ, რამდენჯერმე უნდა ჩაისუნთქოთ სურნელოვანი ექსტრაქტები. ამის შემდეგ თვით ყველაზე ნუგბარი კერძიც კი, უგემური მოგეჩვენებათ.

ვოკრუგ სვეტა №8

სიმსუქნეს სირბილით ვებრძოლოთ

ჭარბი წონა რომ მოვიშოროთ თავიდან, საამისოდ მონდომება და ნებისყოფაა საჭირო. საუკეთესო გასახდომი საშუალება სირბილია, ოღონდ არა ძუნძულით სირბილი. ის, ვინც ძუნძულით სირბილს არჩევს, სხეულს ხანგრძლივი და დაძაბული ფიზიკური დატვირთვის დროს მცირე ენერგიის დაკარგვას აჩვევს, ჩქარი სირბილით კი, ორგანიზმი მცირე დროის მანძილზე დიდი რაოდენობით კალორიას ხარჯავს.

სამკურნალო ფიზკულტურის ავსტრიელი ინსტრუქტორები გვირჩევენ სწრაფი და ნელი სირბილის შენაცვლებას. მედიკოსებმა შენიშნეს, რომ ზედმეტი კალორიები იხარჯება უშუალოდ სირბილის დროს. 30-წუთიანი გარბენის შემდეგ კიდევ 15 საათის მანძილზე მიმდინარეობს ორგანიზმში დაგროვებული ცხიმის წვა.

ეხო პლანეტი №32

კიდევ ერთხელ მწვანე ჩაიზე

კვლევებმა ცხადყო, რომ მწვანე ჩაის სმა მნიშვნელოვნად ამცირებს ბევრ რისკს.

ამ სასმლის სამკურნალო თვისებები მასში შემავალი იმ ნივთიერებების დამსახურებაა, რომლებიც ეწინააღმდეგება უჯრედების დაზიანებასა და თრგუნავს კანცეროგენების აქტივობას.

იაპონელი ექსპერტები 10 წლის მანძილზე იკვლევდნენ 9 ათას კაცს და დაადგინეს, რომ მათ, ვინც მუდმივად მწვანე ჩაის სვამდნენ, გულის დაავადებათა რისკი საშუალოდ 25-30%-ით შეუმცირდათ.

ჩინელი მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ მწვანე ჩაი აჩქარებს ქოლესტერინის დაშლას, ამკვრივებს სისხლძარღვების კედლებს, ამცირებს ინფარქტის განვითარების რისკს და გამოკვეთილი ანტიბაქტერიული თვისებები აქვს.

ამასთან, მწვანე ჩაი წარმატებით უმკლავდება ორგანიზმში მოხვედრილ მძიმე მეტალებს. ამიტომ, პროფილაქტიკური საშუალების სახით, ექიმები გვირჩევენ დღეში 3-დან 5 ფინჯნამდე სამკურნალო სასმელი დავლიოთ.

ზდოროვიე №8.

გვჯერა ოთვლოვი თქვენთა...

ბევრი დაავადების მიზეზი საკვებიაო, — დაასკვნა დიეტოლოგმა დევიდ ჰერბერმა 20-წლიანი კვლევის შემდეგ. წიგნში „ჯანმრთელობის ცისარტყელა“, ექიმი ამტკიცებს, რომ მიმზიდველი, მსუყე ფერის პროდუქტი ორგანიზმს ჯანმრთელობისათვის საჭირო და აუცილებელ ენერგიას აძლევს. ბ-ნ ჰერბერის აზრით, ბუნებამ ტყუილად არ შეამკო ყველაზე სასარგებლო პროდუქტი თვალისმომჭრელი ფერებით, წითელი, მწვანე, ნარინჯისფერი, იისფერი, ყვითელი — ამ ფერთა გამაში გაცილებით ბევრი სასარგებლო ნივთიერება და ვიტამინია. წითელი ყურძენი, ვაშლი, პომიდორი უნდა ვჭამოთ ყოველდღე. მით უმეტეს, რომ ტომატში აღმოჩენილია ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის ყოველგვარი სიმსივნის განვითარებას. მუქი ლურჯი და იისფერი — ამცირებს გულსისხლძარღვთა დაავადებას და ინსულტის რისკს. ამ ჯგუფს განეკუთვნება მოცვი, მაყვალი, ბადრიჯანი და ქლიავი. მწვანე და ყვითელ ბოსტნეულსა და ხილში მთელი ბუნებრივი აფთიაქია. ბროკოლი, ბრიუსელის კომბოსტო — საუკეთესოა იმუნიტეტის ასამაღლებლად, კივი, ავოკადო, მსხალი, ნესვი და სიმინდი აუმჯობესებს მხედველობას, იცავს თვალებს კატარაქტისა და სხვა დაავადებისაგან. სატაცური, ნიახური, ხახვი იცავს ქსოვილებს დაშლისაგან. ფორთოხალი და სტაფილო სასიკეთოდ მოქმედებს ორგანიზმზე.

მეგაპოლის-ექსპრესი №30

თუ უძილობა გაწუხებთ...

ბრიტანელმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა უძილობა, ამიტომ გვირჩევენ:

— ძილის წინ მიირთვით ბანანი;

— თუ პირველი 20 წუთის განმავლობაში არ დაგეძინათ, ნუ მიეძალებით თავს. აჯობებს, წამოდგეთ და რამით შეიქციოთ თავი, მუსიკას მოუსმინეთ ან რამდენიმე ხანს იკითხეთ, სანამ ძილი არ მოგაკითხავთ;

— დღის განმავლობაში მიღებული სტრესის გამო თუ არ დაგეძინათ, აბებს ნუ მიმართავთ საშველად. საკმარისია მონახოთ ფურცელი და დაწვრილებით ჩამოწეროთ, რა საქმეები გაქვთ გასაკეთებელი მეორე დღეს;

— ნუ გადაჰკრავთ ალკოჰოლურ სასმელს ძილის მოსაგვრელად;

— გაანიავეთ საძინებელი ძილის წინ;

— დაიცავით რეჟიმი, — ერთსა და იმავე დროს დაიძინეთ.

მოსკოვსკიე ნოვოსტი №33

ოზონი — ბორმანქანის ნაცვლად

ბრიტანელმა სტომატოლოგებმა დაიწყეს კბილების მკურნალობის ახალი მეთოდის ტესტირება. მეთოდი ასეთია: ოზონის ნაკადი მაღალი წნევით მიემართება დაზიანებულ კბილზე, კლავს ბაქტერიებს ყველგან. ერთდროულად მიმდინარეობს პირის ღრუს დეზინფექცია და ისპობა დაავადების ყველა კვალი.

პროცედურა სულ 10 წამი გრძელდება, თანაც აბსოლუტურად უმტკივნეულოა, გაყუჩებაც კი არ არის საჭირო.

სტომატოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ნამკურნალევ კბილზე აღარასოდეს გაჩნდება კარიესი.

სობესედნიკი №32

გახსოვდეთ!

პროდუქტები, რომლებიც ხელს უწყობენ ათეროსკლეროზის წარმოშობას: ნაღების კარაქი და ყველანაირი ცხოველური ცხიმი, წითელი ხორცი, ცხიმიანი რძე, ნაღები, ცხიმიანი ყველი, შემწვარი საკვები, თეთრი პური, ფუნთუშეულობა, ნამცხვარი, თეთრი შაქარი, მარილი, ღუდი და მაგარი სასმელები.

სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის: ზეითუნის, სოიის და სხვა მცენარეული ზეთები, თევზი, ფრინველის თეთრი ხორცი, უცხიმო რძე, მაწონი, კეფირი, იოგურტი, უცხიმო ხაჭო, ბრინზა, მოხარშული საკვები, შავი, რუხი გაუცრელი პური, თაფლი, მუქი შაქარი, უმარილო დიეტა, ზომიერად — შავი ღვინო.

მიშველე, ექიმო, მეხსიერება დამიქვეითდა!



არცთუ იშვიათად გვავიწყდება ჩვენი ტელეფონის ნომერი, კროსვორდის ამოხსნისას ვიქექებით წიგნებსა და ენციკლოპედიებში, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მეხსიერება გვღალატობს.

სოციალური კვლევის ინსტიტუტიდან ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ 25 წლის ასაკშიც კი შეიძლება დაკარგოს ადამიანმა მეხსიერება. კვლევისათვის მათ შეარჩიეს 20-დან 90 წლამდე ასაკის მოხალისენი. გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებსაც მეხსიერების მხრივ იგივე პრობლემები აქვთ, რაც მოხუცებულებს, რომლებიც თანამედროვე, აჩქარებული ცხოვრების რიტმში ვერც კი ამჩნევენ, თუ როგორ „ეკარგებათ“ გზადაგზა როგორც ძველი, ისე ახალი ინფორმაცია.

ფსიქოლოგმა დენის პარკმა გამოიტანა საბოლოო განაჩენი: გონების აქტიური მუშაობის გარეშე სუსტდება მეხსიერება, ისე როგორც ტრავმირებული სპორტსმენის კუნთები საავამდყოფოში წოლისას. „ჩვენი ტვინი, იმავე პრინციპითაა მოწყობილი, როგორც კუნთები, რომელიც მუდმივი ვარჯიშის გარეშე სწრაფად კარგავს თავის ფუნქციას“ — გვაფრთხილებს პარკი.

ადრეული კვლევებითაც აღმოჩენილია, რომ ახალგაზრდობას „ეკარგება“ მეხსიერება სკოლის დამთავრებისთანავე, თუმცა ეს „დავიწყების“ პერიოდი გადაუვადდებათ ხოლმე, თუ უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებენ სწავლას.

ასეც ხდება, რომ 80 წლის ადამიანს უფრო კარგი მეხსიერება აქვს, ვიდრე ახალგაზრდას, ეს იმის ბრალია, რომ ისინი გამუდმებით ავარჯიშებდნენ ტვინს — გვმოძღვრავენ მეცნიერები.

თანამედროვე მეცნიერება არ კარგავს იმედს, რომ ისე, როგორც გამოიგონეს გასახდომი აბები, გამოიგონებენ მეხსიერების აღდგენის წამლებსაც. მანამდე კი, გვირჩევენ რაც შეიძლება მეტი ვავარჯიშოთ გონება.

ნეიროფიზიოლოგები მეხსიერების გასაუმჯობესებლად, როგორც ახალგაზრდებს, ისე ხანში შესულებს, ურჩევენ შეიყვარონ... თევზი, კაკალი, ჭვავის პურისა და კარაქის ბუტერბროდი, მზესუმზირის ზეთით შეზავებული ბოსტნეულისა და პარკოსნების სალათები.

თევზი კვირაში 2-ჯერ მაინც უნდა მიირთვათ. უპირატესობა მიანიჭეთ ზღვის თევზებს: ორაგულს, ვირთევზას, ქაშაყს, ფარგას და კაპარჭანას, რომლებიც შეიცავენ არა მარტო ფოსფორს, არამედ უჯერ ცხიმოვან მჟავას, რომელიც აიძულებს ტვინის რუხ უჯრედებს იმუშაოს ნაყოფიერად. ძალიან სასარგებლოა ასევე ბოსტნეული და ხილი. ბანანი შეიცავს დიდი რაოდენობით B_6 ვიტამინს, რომლის უკმარისობა იწვევს მეხსიერების დაქვეითებას, ვაშლსაც იგივე თვისებები აქვს. პომიდორი შეიცავს მანგანუმს, რომელიც სჭირდება იმ ადამიანებს, რომლებიც ინტელექტუალურ შრომას ეწევიან. სტაფილო ანელებს ორგანიზმის დაბერების პროცესს, მათ შორის, ტვინისაც. გაითვალისწინეთ, რომ ეს ნარინჯისფერი ბოსტნეული უნდა მიიღოთ მზესუმზირის ზეთით. ქამა სოკო მდიდარია B_3 ვიტამინით, რომელიც დაღლილობას ებრძვის. მოხარშული (და არა შემწვარი) კარტოფილი ხელს უწყობს შრომისუნარიანობის ამაღლებას, მზესუმზირის ზეთი კი, აძლიერებს ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარს.

ასე რომ, კარგ მადას გისურვებთ...

ნოვიე იზვესტია №100

რით ვუშველოთ იმპოტენციას?

ა.ი., თბილისი

იმ სექსუალური პათოლოგიებიდან, რომელთა გამო მამაკაცები ექიმს მიმართავენ, ყველაზე ხშირი ერექციის დარღვევებია. ეს ძლიერი სქესის წარმომადგენელთა ყველაზე დიდი პრობლემა გახლავთ. ერექციული დისფუნქცია უფრო ზუსტი განმარტებაა ტერმინისა — იმპოტენცია. ეს იმას ნიშნავს, რომ მამაკაცს დაქვეითებული აქვს ერექციის მიღწევისა და შენარჩუნების უნარი, რომელიც საჭიროა ნორმალური სქესობრივი აქტის ჩასატარებლად. თანამედროვე სამედიცინო სტატისტიკის მიხედვით ერექციული დისფუნქცია განსხვავებული სიხშირით გვხვდება სხვადასხვა ასაკის მამაკაცებში. 18 წლის ზემოთ მისი სიხშირე 12%-ია, 40 წლის ასაკამდე 2-5%, 40-50 წლამდე იმპოტენციის სიხშირე მკვეთრად მატულობს და თითქმის ხუთჯერ იზრდება, ხოლო 75 წლის ზევით ასაკის მამაკაცებში 50%-ს აღწევს.



მრავლისმომცველი დისფუნქცია — იმპოტენცია

განასხვავებენ ერექციული დისფუნქციის სამ ტიპს: ფსიქოგენური, ორგანული და შერეული.

ფსიქოგენური იმპოტენციის ყველაზე ხშირი მიზეზებია: წარუმატებლობის მოლოდინი, შიში, სტრესი, დეპრესია, პრობლემები პარტნიორულ ურთიერთობებში, ხანგრძლივი სექსუალური თავშეკავება, სექსუალური კულტურის დაბალი დონე. გადაჭარბებული სექსუალური პრეტენზიები საკუთარი თავისადმი და სხვა. ორგანული იმპოტენცია არის ზოგიერთი ენდოკრინული, ნერვული და სისხლძარღვოვანი დაავადების მწვავე და ქრონიკული (გახანგრძლივებული) მიმდინარეობის შედეგი. მათგან ყველაზე ხშირი კი (თითქმის 70%) სისხლძარღვოვანი პათოლოგიებია. გარდა ამისა, გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ასაკი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, ზოგიერთი მედიკამენტით გამოწვეული დარღვევები და სხვა.

უახლესი მონაცემებით, ერექციული დისფუნქციის ხარისხი, გამოხატულების სიძლიერის მიხედვით, 3 ტიპად იყოფა: სუსტად გამოხატული, საშუალოდ გამოხატული და სრული. ამასთან, იმ მამაკაცთა რიცხვი, რომელთაც 40 წლის ასაკისთვის აღნიშნული პრობლემა არ აწუხებდათ, საგრძნობლად შემცირდა.

რისკ-ფაქტორები: იმპოტენციის განვითარების ყველაზე გავრცელებული რისკ-ფაქტორებია: შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონია (მაღალი არტერიული წნევა), გახანგრძლივებული მტკივნეული ერექცია, თირკმლის უკმარისობა, ღიპიდური ცვლის მოშლა, ქოლესტერინის მაღალი დონე, ზოგიერთი მედიკამენტი, ჭარბი ალკოჰოლი, თამბაქო, ნარკოტიკები, სიმსუქნე. ამჟამად უმოძრაო ცხოვრების წესიც მიიჩნევა ერექციული დისფუნქციის რისკ-ფაქტორად.

დიაგნოსტიკა: აღნიშნული პათოლოგიის გამოვლენაში მთავარი როლი დიაგნოსტიკას ენიჭება. გამოკვლევები აუცილებლად უნდა განხორციელდეს სპეციალიზებულ კლინიკებში. დღეს არსებული ლაბორატორიული და ინსტრუმენტული მეთოდები საშუალებას გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ იმპოტენციის მიზეზები:

1. ასოს არტერიების ულტრაბგერითი (ექოსკოპიური) გამოკვლევა — განისაზღვრება ასოს არტერიებში სისხლის მოძრაობის სიჩქარე, რაც ინფორმაციას იძლევა მამაკაცის სასქესო ორგანოს სისხლით მომარაგებაზე.
2. მედიკამენტური ტესტი — ასოში შეჰყავთ სისხლძარღვთა გამაფართოებელი სპეციალური ნივთიერებები, რითაც მიიღწევა ხელოვნური ერექცია.
3. ღამის ერექციების მონიტორინგი (დაკვირვება) — ზუსტდება აქვს თუ არა პაციენტს ღამის განმავლობაში ერექცია და თუ აქვს — რამდენი.
4. მამაკაცის სასქესო ჰორმონების გამოკვლევა სისხლში.
5. ნევროლოგიური რეფლექსების გამოკვლევა წარმოდგენას იძლევა მამაკაცის სასქესო ორგანოების ნერვული მექანიზმების ფუნქციონირების შესახებ.
6. სასქესო ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა აჩვენებს წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის), სათესლე ჯირკვლების და ასოს სტრუქტურულ მდგომარეობას.
7. ფსიქოლოგიური ტესტები.

მკურნალობა: იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ერექციულ დარღვევასთან გვაქვს საქმე, მკურნალობაც შესაბამისი უნდა იყოს.

იმპოტენციის მკურნალობა მოიცავს:

— ფსიქოთერაპიას.

— მედიკამენტურ თერაპიას (სპეციალური წამლები შეჰყავთ ასოში, საშარდე მილში, არსებობს კანზე წასასმელი მალამოებიც).

— ქირურგიულ ჩარევას (ოპერაციები ასოს ვენებსა და არტერიებზე, პროთეზირება).

მკურნალობის ეფექტურობისთვის სასურველია ინფორმაციის მიღება სექსუალური პარტნიორისგანაც.

გაითვალისწინეთ! მკურნალობა აუცილებლად უნდა შეირჩეს ინდივიდუალურად ექიმი-სპეციალისტის მიერ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩნდება პრობლემის გადაწყვეტის რეალური შანსი.

მაია მუხიგული

ვიტამინთა ენციკლოპედია

A ვიტამინს შეიცავს თევზის ქონი, ღვიძლი, კვერცხი, ყველი, რძე, გარგარი და მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული. მას უწოდებენ სილამაზის ვიტამინს, რადგან ის უხდება როგორც თვალს, ისე კანსა და თმას.

D ვიტამინს შეიცავს თევზის ქონი, კვერცხი, კარაქი, ქაშაყი, იგი ზრდის კალციუმის შეთვისებას საკვებიდან, აუცილებელია ძვლის ზრდისათვის.

B_1 ვიტამინს შეიცავს საფუარი, ღორის ხორცი, პარკოსანი მცენარეები, შვრიის ბურბუშელა, კაკალი. იხმარება ავიტამინოზის დროს, აგრეთვე ნევრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი და ღვიძლის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ.

B_2 ვიტამინს შეიცავს ღორის ხორცი, რძე, კვერცხი. იხმარება თვალის (ჰემერალოპია, კონიუნქტივიტი, კატარაქტა და ა.შ.) დაავადებათა სამკურნალოდ.

B_6 ვიტამინს შეიცავს კარტოფილი, ფოთლოვანი ბოსტნეული, თევზეული, რძე, წიწაკა, წითელთავხვეული კომბოსტო. აქტიურებს უჯრედების ცვლას და ასტიმულირებს სისხლის წარმოქმნას.

B_{12} ვიტამინს შეიცავს ღვიძლი, თევზი, რძე, ყველი. გამოიყენება ანემიის, სხივური დაავადებების, ღვიძლისა და კანის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ.

E ვიტამინს შეიცავს მზესუმზირას ზეთი, შვრიის ბურბუშელა, ყვავილოვანი კომბოსტო. E ვიტამინი ეხმარება ღვიძლს მავნე ტოქსინების გამოდევნაში. იხმარება კუნთოვანი დისტროფიის სამკურნალოდ.

K ვიტამინს შეიცავს ისპანახი, ხბოს ღვიძლი, კარაქი, რძე, კომბოსტო, მწვანე ლობიო. იხმარება სხვადასხვა ხარისხის სისხლდენის, სიყვითლის, მწვავე ჰეპატიტის და სხვა დაავადებათა დროს.

კაროტინს შეიცავს ყველა ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული, ბრიუსელის კომბოსტო. ეს ვიტამინი აქტიურად ებრძვის ორგანიზმში არსებული ე.წ. თავისუფალ რადიკალებს.

გთავაზობთ მოზრდილ ადამიანთა ვიტამინების დღიურ ნორმას:

A — 1,5-2მგ
B_1 — 0,01-0,04მგ
B_2 — 0,02-0,04მგ
B_6 — 0,01-0,04მგ
B_{12} — 0,05-0,12 მგ
D — 0,003-0,015მგ
კაროტინი — 5მგ
K — 0,03-0,12მგ
C — 75-250მგ

ლიზა №34



შაკიკის მიზეზი კუჭშია...

თავის ტკივილი შეიძლება ინფექციური ხასიათისა იყოს და მას უნდა ვუმკურნალოთ ანტიბიოტიკებითა და „მეგობრული“ ბაქტერიებითო, — დაადგინეს მილანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომლებმაც კვლევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ ქრონიკული შაკიკის 18% განპირობებულია ორგანიზმში Helicobacter pylorc-ის არსებობით, რომელიც თურმე კუჭის წყლულის განვითარების მთავარი მიზეზიცაა.

კვლევის პროცესში მოხალისენი, რომელთაც შაკიკი აწუხებდათ და ინფიცირებულნი იყვნენ ამ ბაქტერიით, გაყვეს ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს მხოლოდ 3 კვირის განმავლობაში უტარდებოდა ანტიბიოტიკური თერაპია, მეორე კი — გარდა ანტიბიოტიკური თერაპიისა მთელი წელი იღებდა „სასარგებლო“ ლაქტობაქტერიებს — პირველი 3 თვე — 3-ჯერ დღეში, შემდეგ თვეებში კი, დღეში ერთხელ. ერთი თვის შემდეგ ორივე ჯგუფში შეიმჩნეოდა ერთნაირი შედეგები. ერთი წლის შემდეგ კი, განსხვავება დიდი იყო: საუკეთესო შედეგები აღენიშნებოდა მეორე ჯგუფის ადამიანებს (მხოლოდ 20%-სღა სტკიოდა თავი), ვიდრე პირველი ჯგუფის (50%-ს დარჩა თავის ტკივილი).

ტრუდ-7 №100

ჯახაქიმის ჩჩევები

ახალგაზრდობის ელექსირი: შეურიეთ ერთმანეთს 100-100გ გვირილა, ნეგო, კრაზანა და არყის კვირტი. 1ს/კ ნარევს დაასხით 500გ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთი და გადაწურეთ. დილით მიიღეთ 1ჩ/კ ნაყენი 1 ჩ/კ თაფლთან ერთად ჭამამდე 20 წუთით ადრე და საღამოს, ჭამიდან 2 საათის შემდეგ. გაიმეორეთ მხოლოდ 5 წლის შემდეგ.

ფაღარათის დროს: 1ჩ/კ დაქუცმაცებულ ბროწეულის ქერქს დაასხით მდუღარე და 10-15 წუთი ადუღეთ. შეფუთეთ და გააჩერეთ 2 საათი. უფროსებმა მიიღეთ 1ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამამდე, პატარებს კი მიეცით 1ჩ/კ 3-ჯერ დღეში.

ათეროსკლეროზის დროს: 1ს/კ კუნელის ნაყოფი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 2 საათი. გაწურეთ და მიიღეთ 1-2 ჩ/კ 3-4-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი განუსაზღვრელია.

ბრონქიტს შველის: **1.** 1ჩ/კ საპონას ფესვებს დაასხით 1ჩ/ჭ ანადუღარი ცივი წყალი. გააჩერეთ 8 საათი და გაწურეთ. მიიღეთ 2ს/კ 6-8-ჯერ დღეში.

2. შავი ბოლოკი გახეხეთ და გაწურეთ. 1ლ წვენს დაამატეთ 400გ თაფლი და მიიღეთ 1ს/კ ჭამის წინ.

სისხლში შაქრის საზომი აპარატები სიახლე!!!
სერტიფიცირებული
კომპლექტები: აპარატი: 50ც. ტესტ-ჩხირი: 250ც.
159 ლარად + 25ც. ტესტ-ჩხირი საჩუქრად!
შეს „კონტრასტი“, პოლიკლინიკა ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექსკლუზიური იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული უკეთესი თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

ონკოცენტრში პროფესორ კოტე მარდალეიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ახალი საკვლევი პრეპარატის საერთაშორისო კლინიკური კვლევა თავკისრის სიმსივნეებით დაავადებულებში. კვლევისათვის შერჩეულ პაციენტთა მკურნალობა უფასოა.
☎ 25 38 55; 899 98 03 64 №20-03/504

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

თავისუფალი სიტყვა თავის გზას პოულობს

გასულ თვეში უსიამოვნო ამბავი მოხდა ირანში — კონსერვატორმა სასულიერო ხელისუფლებამ განკარგულება გასცა ქვეყნის სამი ყველაზე რეფორმისტული გაზეთის დახურვის შესახებ. თავისუფალი სიტყვის ერთადერთ კუნძულად ინტერნეტი შემორჩა ირანს. ქვეყანაში პრესის შევიწროება, ხშირად კი გაზეთების დახურვა, კანონით არის გამაგრებული, ხოლო ინტერნეტის წინააღმდეგ ხელისუფლებას არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. ეს კი იმ დროს, როდესაც ირანში ყველაზე პოპულარული ვებგვერდები მოლათა მიერ შევიწროებულ რეფორმისტულ გაზეთებს ეკუთვნის. თუმცა კონსერვატორი მოლები ყოველგვარი სიახლისა და პროგრესის წინააღმდეგნი არიან, მათ შორისაც ვერ მოიძებნა ადამიანი, ვინც ვებგვერდების განადგურებას შეძლებს, რადგან ამას კომპიუტერული პროგრამების კარგი ცოდნა სჭირდება. დღეს ირანში ინტერნეტით 2 მილიონზე მეტი ახალგაზრდა სარგებლობს. ყოველდღიურად კი საგაზეთო ვებგვერდებს ასობით ათასი ირანელი ეცნობა. მეტიც, ინფორმაციებს პრინტერებზე ბეჭდავენ და ნაცნობ-მეგობრებში ავრცელებენ.

იტოგი №34

ავღანეთის სასიკვდილო ძარღვანი

ავღანეთში ნაწილობრივ სიმშვიდემ დაისადგურა. გამარჯვებული ჩრდილოეთ ალიანსი დამარცხებულ თალიბთა მიერ ქვეყანაში მოწყობილ სისხლიან ანგარიშსწორებათა შესახებ ლაპარაკობს. თუმცა, როგორც ირკვევა, სისასტიკით ამ უკანასკნელთ არც გამარჯვებული ჩამორჩებიან. შებერგჰანის მახლობლად, უდაბნოში, აღმოაჩინეს ბულდოზერებით გადასწორებული მიწა. ამერიკელმა ადამიანის უფლებათა დამცველებმა, ამ ამბის შეტყობისთანავე, ავღანელ ხელისუფალთაგან მალულად გათხარეს ეს ადგილი და თვალწინ საზარელი სანახაობა გადაეშალათ. თხრილებში ასობით ადამიანის გვამი ეყარა, რომლებსაც ძალადობის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდათ. გათხრებამდე ცოტა ხნით ადრე ცნობილი გახდა, რომ შებერგჰანის ციხეში, რომელიც 800 პატიმრისთვის იყო განკუთვნილი, 3000-ზე მეტი თალიბი ჰყავთ დამწყვდეული. ავღანეთში სისასტიკით ცნობილმა ტაჯიკმა გენერალმა დუსთუმმა კონდუსის აღების შემდეგ რამდენიმე ათასი თალიბი დაატყვევა. მისმა მებრძოლებმა ოცამდე სატვირთო მანქანის ჰერმეტულ კონტეინერებში 200-200 თალიბი შეყარეს და კარებს ბოქლომი დაადეს. პატიმრები ჰაერს და წყალს ითხოვდნენ, მაგრამ უშედეგოდ... დუსთუმის ჯარისკაცებმა მანქანები უდაბნოში ათი საათი გააჩერეს. პატიმრები უჰაერობით დაიხოცნენ. დუსთუმმა ბრძანა, გვამები იქვე დაემარხათ. ალბათ ვერავინ გაიგებდა ამ ამბავს, რომ არა უდაბნოს მტაცებლები, რომლებმაც გვამის სუნი იკრეს და მიწის თხრა დაიწყეს. მახლობელი სოფლის გლეხებმა მიწა გათხარეს და ნანახით შეძრწუნებულებმა ყოველივე ამერიკელებს უამბეს...

ეს ტრაგედია ერთი ნაწილია ავღანეთში დატრიალებული ძმათამკვლელი დაპირისპირებისა.

ნიუზუიქი

„ბოროტების ღერძი“ დაგრძელდა

მსოფლიო საზოგადოებრიობის მოლოდინის სანაცვლოდ, ზიმბაბვეს მთავრობის გადაყენების შემდეგ პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ პოზიცია კიდევ უფრო გაამკაცრა და ამით, შეიძლება ითქვას, მთელ ცივილიზებულ სამყაროს დაუპირისპირდა. კაბინეტიდან დაითხოვა ზომიერი პოლიტიკოსი და ერთადერთი

თეთრკანიანი მინისტრი. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დანარჩენ აფრიკულ ქვეყნებს მოუწოდა, გაკიცხონ მუგაბეს რეჟიმი. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უოლტერ კანსტეინერმა მუგაბეს რეჟიმს „შემზღილი და უკანონო“ უწოდა და ისიც დასძინა, — ამერიკის მთავრობა ყველაფერს იღონებს მის დასამხობადო. ზიმბაბვეს მთავრობა თეთრკანიანებისთვის მიწების წართმევით „ეთნიკურ წმენდას“ ატარებს. ეს კი ძალიან ჰგავს იმას, რაც იუგოსლავიაში ხდებოდა ნატოს ოპერაციის დაწყებამდე. ახლა ზიმბაბვე „ბოროტების ღერძის“ ნაწილია და იგი ერაყთან ერთად აშშ-ის სამიზნე ხდება.

ვლასტი №35

დონალდ რამსფელდი: ბუში ისეთივე შორსმჭვრეტელია, როგორიც ჩერჩილი

„მხოლოდ ჰიტლერის თავდასხმის შემდეგ მიხვდნენ ევროპის ქვეყნები, რომ უინსტონ ჩერჩილი მართალი იყო, როცა წუხდა იმის გამო, რაც გერმანიაში ხდებოდა, — განაცხადა დონალდ რამსფელდმა და დაურთო, — აშშ-ის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მიუხედავად იმისა, დაუჭერენ თუ არა მხარს მოკავშირეები, ჰუსეინის რეჟიმი აუცილებლად უნდა დაემხოს. ამ შემთხვევაში ერთსულოვნების შენარჩუნება სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე ნაკლებმნიშვნელოვანია, მაშინაც კი, თუ მისი განხორციელება მხოლოდ ამერიკელებს მოუწევთ. ლიდერობა მძიმე ტვირთია, მაგრამ ის ყოველთვის პოულობს მომხრეებს და მიმდევრებს.“

მაილ რუ

დედამიწის სამიწო

იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გაიმართა უმაღლესი დონის ყველაზე წარმომადგენლობითი შეხვედრა — გაეროს კონფერენცია, რომელსაც დედამიწის სამიტსაც უწოდებენ. მასში 100-ზე მეტი სახელმწიფო მონაწილეობდა.

ახლანდელი სამიტი 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართული ისტორიული ფორუმის ლოგიკური გაგრძელებაა. ეს იყო გაეროს პირველი კონფერენცია, რომელიც გარემოს დაცვასა და განვითარებას მიეძღვნა. მსოფლიო საზოგადოებრიობა მაშინ ვარაუდობდა, რომ XX საუკუნეში შიმშილთან და ავდმყოფობასთან ბრძოლის ახალი ერა დაიწყებოდა. ახლანდელ სამიტზე განიხილეს სუფთა წყლის, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაბინძურების პრობლემები.

ღარიბი ქვეყნების უმეტესობას სურდა, ეს სამიტი იმისთვის გამოეყენებინა, რომ მდიდარი სახელმწიფოებისთვის შეეხსენებინა — ჩვენც გვიწილადეთ რამეო. ამიტომაც გასაგებია, რატომ თქვა უარი სამიტში მონაწილეობაზე დასავლეთის ბევრი ქვეყნის ლიდერმა, მაგალითად, იტალიის პრემიერმა სილვიო ბერლუსკონიმ და იოჰანესბურგში გარემოს დაცვის მინისტრი გაგზავნა. დედამიწის სამიტს არც აშშ-ის პრეზიდენტი დასწრებია. ამისთვის ბევრმა ცნობილმა პირმა, მათ შორის მსახიობმა ლეონარდო დი კაპრიომ, გააკრიტიკა ჯორჯ ბუში — დედამიწის სამიტში მონაწილეობისთვის არც თვითონ წავიდა და არც კოლინ პაუელი გაგზავნა, ამერიკის დელეგაციას პაუელის თანაშემწე ხელმძღვანელობდაო. ამით დასავლეთმა მსოფლიოს დაანახვა, რომ სამიტს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და ღარიბებისთვის არაფრის დარიგებას არ აპირებს.

კომერსანტი №153

პინოჩეტს ახლა ფრანგები უპირებენ გასამართლებას

საფრანგეთის თემიდა აპირებს გაასამართლოს 86 წლის გენერალი პინოჩეტი და მისი თანამოაზრეები. სასამართლო გაიმართება 2003 წლის დამლევს, ან 2004 წლის დამდეგს. ოთხწლიანი ძიება დასასრულს უახლოვდება. მისი მიზანია, შუქი მოჰფინოს ჩილეში რამდენიმე ფრანგი მოქალაქის უკვალოდ გაქრობას — ისინი ხუნტის რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ. პინოჩეტთან ერთად ბრალდებას წაუყენებენ ოთხ გენერალს, რომლებიც ამჟამად მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობენ. ძიებამ მოიძია სამხილი, რომელიც ადასტურებს, რომ სწორედ ამ გენერლებს ჰქონდათ დედაქალაქის მახლობლად საკონცენტრაციო ბანაკი „დიმნიდადი“, სადაც პინოჩეტის რეჟიმის მოწინააღმდეგეებს უსწორდებოდნენ და შემდეგ მათ ასავალ-დასავალს ვერავინ გებულობდა. საფრანგეთის იუსტიციის სამინისტრო ინტერპოლის საშუალებით აპირებს განსასჯელების მოძებნას და დაპატიმრებას, მაგრამ საეჭვოა, რომ აქცია წარმატებით დაგვირგვინდეს თუნდაც იმ მიზეზით, რომ გენერალი პინოჩეტი, როგორც ქვეყნის ყოფილი თავკაცი, ხელშეუხებლობით სარგებლობს. გავიხსენოთ თუნდაც ამგვარი სხვა მცდელობები. მაგალითად, ესპანელ მოსამართლე გარსონს, რომელსაც სურდა პინოჩეტი განსასჯელის სკამზე დაესვა, არაფერი გამოუვიდა.

ასეა თუ ისე, ჩილეს ხუნტის თავკაცების პირველ სასამართლოს დიდი რეზონანსი ექნება და ისევე, როგორც მილოშევიჩის სასამართლო, რომელიც ჰაagაში გაიმართება, იქნებ იმის დასტურიც გახდეს, რომ მთავრობის დამნაშავე მეთაურთა დაუსჯელობის დრო წარსულს ჩაბარდა და მათი ყბადაღებული იმუნიტეტი იურიდიული ანაქრონიზმია.

ნოვაია გაზეტა №36

მოკლედ

ჩეჩნეთში მოკლეს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საველე მეთაური ასლამბეკ აბდულჰაჯიევი. იგი ბუდიონოვსკზე თავდასხმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და საერთაშორისო ძებნაში იმყოფებოდა 1995 წლიდან.

ტიციანის სურათი, „შესვენება ეგვიპტის გზაზე“, რომელიც 1995 წელს მოიპარეს ლორდ ბატას მამულიდან, ლონდონში აღმოაჩინეს და პატრონს დაუბრუნეს. შედევრი, საბედნიეროდ, დაზიანებული არ არის. იგი 5 მლნ გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული.

ჩინეთის მთავრობამ ჰუნანის პროვინციიდან 600 ათასი ადამიანი გაიყვანა, რადგან დუნტინჰუს ტბა, რომელიც სიდიდით ჩინეთში მეორეა, შესაძლოა ნაპირებიდან გადმოვიდეს და ქალაქები დატბოროს.

ამერიკაში 11 სექტემბერს მომხდარი ტრაგიკული მოვლენებიდან ერთი წელი გავიდა და ნიუ-იორკის ერთ-ერთ საავადმყოფოში ახლაღა იპოვეს ჯორჯ სიმზი. მას ამნეზია სჭირს და ფსიქიკურადაც აშლილია. მისმა ნათესავებმა არ იციან, როგორ მოხვდა საავადმყოფოში. 11 სექტემბერს იგი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მახლობლად მუშაობდა და დაღუპულთა ოფიციალურ სიაში იყო შეყვანილი.

ევროპაზე გადავლილმა საშინელმა წყალდიდობამ გასამრავლებლად ნიადაგი შეუქმნა სისხლისმწოველ მწერებს. ამჟამად ავსტრიაში მილიარდობით კოღო ირევა. ეპიდემიოლოგები არ გამორიცხავენ, რომ ქვეყანას შესაძლოა ამ კოღოებისა და სხვა მწერების საშუალებით დაავადებათა ეპიდემია მოედოს.

შვედეთში 15 სექტემბერს საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, რომლის ყველაზე კოლორიტული ფიგურა 34 წლის ყოფილი სომალელი აბდირისაკ ადენია. იგი უკვე 12 წელია შვედეთში ცხოვრობს. მართალია აშშ-მა მისი სახელი „შავ სიაში“ შეიტანა (იგი „ალ-ქაიდასთვის“ ფინანსების შეკრებაში დაადანაშაულეს), მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს. ადენი აცხადებს — ჩემი, როგორც პარლამენტარის ამოცანა იქნება, შვედეთში მცხოვრებ უცხოელთა უფლებათა დაცვაო.

ახლან მასხადოვმა მტრები გააერთიანა

ბოევიკების ინტერნეტსაიტმა სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა — მოვლადი უდუგოვი ასლან მასხადოვის მთავრობაში საგარეო ინფორმაციის სამსახურს ჩაუდგება სათავეშიო. ცოტა ხნის წინ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იჩქერიის წარმომადგენლად მასხადოვმა თავისი მეორე იდეური მოწინააღმდეგე ზელიმხან იანდარბიევი აღადგინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაერთიანდნენ ადრინდელი მტრები, რასაც ალბათ ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებების გააქტიურება მოჰყვება.

მოვლადი უდუგოვმა ჩეჩნეთის მეორე ომამდე ერთი წლით ადრე გადაწყვიტა მასხადოვთან ურთიერთობა.

ჩეჩნეთის ადმინისტრაციაში იჩქერიის ძალთა გაერთიანებას დიდი ვნებათაღელვა არ გამოუწვევია. რესპუბლიკის მეთაურმა აჰმად კადიროვმა განაცხადა, — მაგ ხალხს კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, ეს გაერთიანება მხოლოდ ფორმალურია, მასხადოვი კარგა ხანია ვერაფერს აკონტროლებს და მას ძალიან პატარა ჯგუფი ემორჩილება, ამიტომ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ძალაუფლების დაბრუნებას, თუ ბასაევის, იანდარბიევისა და უდუგოვის პირობებს დათანხმდება. ისინი, ფაქტობრივად, მიიღებენ ბოევიკებზე, ფინანსებზე კონტროლის უფლებას, სამაგიეროდ, მასხადოვს ფორმალურად აღიარებენ ლიდერად.

ჩეჩნეთში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა პარტიზანული ომი, კრემლში კი დაუჟინიათ — ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობა მშვიდდებაო. მარტო ჩეჩნეთის მეორე ომის განმავლობაში კრემლმა შვიდჯერ მაინც განაცხადა, ბოევიკები ფედერალურ ჯარებს წინააღმდეგობას ვეღარ უწევენ და კონტრტერორისტულ ოპერაციას მალე დავამთავრებთო. კრემლის ოპტიმიზმი აშკარად ნაადრევი გამოდგა.

მოსკოვსკი კომსომოლეცი №161

ფსბ-ს ყოფილი ოფიცერი ლიტვინენკო პუტინს ბრალს სდებს ნარკოგაჭრობის ხელის შეწყობაში

ფსბ-ს ყოფილმა ოფიცერმა ალექსანდრ ლიტვინენკომ მოუწოდა გამოიძიონ „ამერიკის მოკავშირეთა“ — რუსეთის სპეცსამსახურებისა და „ჩრდილოეთის ალიანსის“ ლიდერთა „ბნელი საქმეები“. როგორც ლიტვინენკო ამბობს, ისინი თანამშრომლობენ „ევროპის ბაზარზე ავღანური ნარკოტიკების ექსპორტში“.

მისი წერილი გამოქვეყნდა გასულ კვირაში, გაზეთ The Washington Post-ის საიტზე.

ლიტვინენკო ირწმუნება, რომ პირადად მოახსენებდა ფსბ-ს მაშინდელ დირექტორ ვლადიმირ პუტინს რუსეთის სპეცსამსახურების „კორუმპირებული“ ხელმძღვანელების კავშირებზე ავღანელ გენერალ აბდულრაშიდ დუსთუმთან. ისინი „მილიონებს აკეთებდნენ“, მიჰქონდათ რა ნარკოტიკები „რუსეთისა თუ ევროპის ქალაქთა ქუჩებამდე“ — წერს ლიტვინენკო. მაგრამ, მისი თქმით, პუტინმა ამაზე თვალი დახუჭა, რადგან ფსბ-ს კავშირები ავღანეთთან მიიჩნია „სტრატეგიულად მნიშვნელოვნად“.

„ის მართალი იყო, — წერს ლიტვინენკო — 11 სექტემბრის შემდეგ გენერალი დუსთუმი და მისი ფსბ-ელი კოლეგები მნიშვნელოვანი რესურსი აღმოჩნდა, რომელიც პუტინმა დასავლეთს ჩეჩნეთის ომის გამართლების სანაცვლოდ შესთავაზა“.

ფსბ-ს ხელმძღვანელობის მონაწილეობა ნარკობიზნესში — ერთ-ერთი მთავარი თემაა ლიტვინენკოს წიგნისა „ლგპ“ (Лубянская Преступная Группировка), რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებში გამოვა ნიუ-იორკის გამომცემლობა „გრანიში“.

ლიტვინენკოს წერილი — უკანასკნელი კვირის მანძილზე მეორე პუბლიკაციაა რუსეთის სპეცსამსახურების კავშირების შესახებ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან. ოთხშაბათს გერმანულმა გაზეთმა Die Welt-მა გამოაქვეყნა რეპორტაჟი ГРУ-ს თანამშრომლობის შესახებ ევროპაში არსებულ რუსულ კრიმინალურ ორგანიზაციებთან.

შეგახსენებთ, სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელი ალექსანდრ ლიტვინენკო და ადვოკატი იური ფელშტინსკი ირწმუნებიან, რომ მათ განკარგულებაშია მოსკოვში 1999 წელს საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში ძირითადი ეჭვმიტანილების ჩვენებები.

ფსბ-ს ყოფილი თანამშრომელი ლიტვინენკო, რომელმაც მიიღო დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფარი, რუსეთში კი — 3,5 წლის პირობითი პატიმრობა, არის ავტორი გახმაურებული წიგნისა — „ფსბ აფეთქებს რუსეთს“, რომელშიც რუსეთის სპეცსამსახურებს ბრალი ედებათ 1999 წელს განხორციელებულ ტერაქტებში და რომელიც საფუძვლად დაედო ბორის ბერეზოვსკის დოკუმენტურ ფილმს „რუსეთზე თავდასხმა“. ლიტვინენკოს მტკიცებით, ჩვენებები, რომელიც მას გააჩნია, უარყოფს „ჩეჩნური კვალის“ ვერსიას სახლების აფეთქებაში და ადასტურებს მის წიგნში გამოთქმულ ვერსიას — სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ.

ჩვენ თავაზიანად ვიბრძვით, თავაზიანებს კი ომში ხოცავენ

საქართველოს ხელისუფლებას წესრიგის დასამყარებლად პანკისის ხეობაში ჯარი შეჰყავს!

საქართველოს თურმე შინაგანი ჯარი ჰყოლია და მისი მოვალეობა წესრიგის დამყარება ყოფილა. აკი, აქამდე საქართველოს ჯარი არ ჰყავდა? და თუ მართლა არსებობს ქართული არმია, — უთუოდ ბრძოლისუუნარო. ერთადერთი, პრეზიდენტის ელიტარული გვარდიით მოაქვთ თავი, მაგრამ მასაც ჯანყზე უჭირავს

თვალი. ამერიკის მთავრობის დიდი მონდომების მიუხედავად, ქართული არმიის ჩამოყალიბებას საშველი არ დაადგა. დღეს პანკისის ხეობაში ჯარის შესვლა მხარდაჭერაა ჩეჩენი ბოევიკებისა. სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს არმია ჩეჩნეთის ერთ პატარა ბრიგადასაც კი ვერ გაუტოლდება ბრძოლისუნარიანობით. ასე რომ, ეს გახლავთ რუსეთის პოზიციის მიმართ ქართველთა მძაფრი რეაქცია. რუსეთმა უკვე მერამდენედ განაცხადა, რომ თავად შეუძლია პანკისის პრობლემის გადაწყვეტა. საერთაშორისო საზოგადოებრიობამ იცის, რომ ამ რეგიონში მოქმედი ბანდიტური დაჯგუფებები დაკავშირებულნი არიან „ალ-ქაიდასთან“. ალბათ ამიტომ აფორიაქდა შევარდნაძე და პანკისში „ანტიტერორისტული კამპანია“ წამოიწყო.

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში ერთმანეთს ეჯახება მსხვილი მოთამაშეების ინტერესები. იმავე დროს აქ სრული დესტაბილიზაცია ბატონობს. პრეზიდენტის მიერ არჩეული გუბერნატორები მანამდე არიან ამ რეჟიმის მიმართ ლოიალურნი, სანამ შეეხებოდნენ. სახელისუფლებო პარტიამ არჩევნები წააგო. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ამ რეჟიმის პოლიტიკური ბაზა ნულის ტოლფასია. დღესდღეობით კი, რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს რეჟიმი მაინც მოქმედებს და ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქვეყანაში სრული სიმშვიდეა. ამას მხოლოდ ერთ გარემოებას უნდა უმადლოდნენ — შევარდნაძის და აშშ-ის ურთიერთობას, რაც, — დროებითია. ამერიკას ხომ შევარდნაძემ წყნარ ოკეანეში რუსეთის მდიდარი ტერიტორიები „აჩუქა“. თუმცა ბოლო ხანს კეთილი დამოკიდებულება ცივი ნეიტრალიტეტით შეიცვალა. ამერიკელები შევარდნაძეს თავგამოდებით არც იცავენ და არც ცდილობენ მდგომარეობის შეცვლას. ეს კი რუსეთს ხელ-ფეხს უხსნის, თავისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედოს საქართველოში.

პანკისის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ რუსეთს შეუძლია. ამ რეგიონში გახსნილი „ღია საზღვარი“ ჩეჩნებისათვის მოსახერხებელია და ისინიც სურვილისამებრ გადადიან და გადმოდიან საქართველოში. რუსეთს უამრავი საშუალება აქვს პოლიტიკური მანევრირებისათვის. ამერიკელები კი ამ პატარა ქვეყნის გამო რუსეთს არ გადაიმტერებენ; თავის მხრივ, ისიც ეცდება, ძალიან არ დაძაბოს სიტუაცია შევარდნაძესთან, თუნდაც იმიტომ, რომ მდგომარეობის გამწვავება ჩვენთვის ამ ეტაპზე არ არის მომგებიანი. შევარდნაძის რეჟიმი რომ შეიცვალოს, ამერიკა ახალ კონსტრუქციას მიიღებს საქართველოსთვის და მაშინ რუსეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ფაქტობრივად ამოუცნობია, რატომ არ მცირდება ჩეჩნეთის ბანდიტურ ფორმირებათა რაოდენობა, როდესაც ყოველდღიურად უამრავი ბანდიტი იხოცება. ალბათ, გარკვეულწილად, „ქართული ფაქტორის“ გამო. რუსეთი პანკისში ისე ვერ წყვეტს საკითხს, როგორც სურს. ეს რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის „გადაჭარბებული ინტელიგენტურობის“ ბრალია. ასე იქცევიან ისინი ჩეჩნეთში და საქართველოშიც.

დღეს დემაგოგია არ გამოგვადგება, ხშირად უნდა გავიხსენოთ ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც დღესაც ისევე იბრძვიან, როგორც გუშინ, ერთი წლის წინ და ა.შ. მთებში, მძიმე პირობებში ხშირად შეუძლებელია ბოევიკების პატარ-პატარა ჯგუფების დამარცხება. ისინი საზენიტო რაკეტებით ახერხებენ კიდეც ჩვენი თვითმფრინავების ჩამოგდებას, მაგრამ საომარი რეჟიმის შემთხვევაში, ბოევიკების სარაკეტო დარტყმა მათთვის ბოლო გაბრძოლება იქნება.

პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება ძალიან ჰგავს ჩეჩნეთში არსებულ მდგომარეობას. რუსეთის „ჰუმანიტარული“ წმენდა და თავად ეს ჰუმანიტარული კონფლიქტი მანიშნებელია იმისა, რომ შესუსტებულია კონტროლი. ომში კი სისუსტე მიუღებელია და აღიქმება, როგორც რუსეთის არმიის უნიათობა. ყოველივეს ზუსტად ასე აღიქვამენ ის ადამიანებიც, ვინც ბანდიტებს ფინანსურად ეხმარებიან. მათთვის ეს სტიმულია და ომის გაგრძელების საუკეთესო საშუალება.

ასეთ მოქმედებას კი ჩიხში შევყავართ. ჩვენ სხვა გზით უნდა ვიაროთ, სწორედ იმ გზით, რომელიც ადრე წამოვიწყეთ.

იმედია, ახალი არჩევნები საშუალებას მოგვცემს წერტილი დავუსვათ ფორსირებას და ჩეჩნეთში ომიც დასრულდება.

პანკისის ხეობაში არსებული მდგომარეობა კი ჩვენთვის ძალიან ნიშანდობლივია, რადგან გარედან გაცილებით უკეთ ჩანს ყველაფერი.

ობოზრევატელი №34

ევროკავშირი ბანკირს ფულზე ცვლის

ევროკავშირმა შეიძლება შეუწყვიტოს საქართველოს ყოველგვარი ფინანსური დახმარება, თუ მოკლე ხანში არ მოიძებნება თბილისში მოტაცებული ბრიტანელი ბანკირი პიტერ შოუ.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პირად კონტროლზე აიყვანა ამ ბოროტმოქმედების გამოძიების საკითხი. საქართველოს რეპუტაცია საფრთხეშია; ბრიტანეთში ამბობენ, საქართველოში ხალხის გატაცებაში ზოგიერთი მაღალჩინოსნის ხელი ურევიაო. ევროკავშირის კომისარმა საგარეო პოლიტიკის დარგში, კრის პატენმა თბილისს მოსთხოვა დაუყოვნებლივ გახსნას ეს სისხლის სამართლის საქმე. ევროპარლამენტის კომიტეტის წევრმა გლენის კინოკომა მკაცრი წერილი მისწერა ბატონ შევარდნაძეს. მიუხედავად ამისა, შედეგი მაინც არ ჩანს. დასავლეთის მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ თუ ბრიტანელი მოქალაქე მოკლე დროში საღ-სალამათი არ ჩაბარდება პატრონს, ხოლო მისი გამტაცებლები არ დაისჯებიან, ევროკავშირი საქართველოს შეუწყვეტს ყოველგვარ ფინანსურ დახმარებას.

კომერსანტი №154

რუსეთმა და პუტინმა ბოდიში უნდა მოუსადონ საქართველოს!

რუსეთის მასმედიაში მძვინვარე ანტიქართული პროპაგანდისა და ისტერიის ფონზე, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა გავლენიანი რადიოსადგურის, „ეხო მოსკვის“, გადაცემა. ჟურნალისტი **ანდრეი ჩერქეზოვი** ამბობს:

— რუსი პოლიტიკოსები და მაღალჩინოსანი სამხედროები განაგრძობენ ხმაურს საქართველო-რუსეთის ახლანდელი ურთიერთობების შესახებ და ყოველი სიტყვა რუსეთის მხრიდან საქართველოს, ქართველი ხალხის შეურაცხყოფა და დაშინებაა. ამასთან, მოსკოვში აღშფოთებულნი არიან საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, რომელიც დსთ-დან გამოსვლას მოითხოვს! საინტერესოა, რა აქვთ განზრახული რუს პოლიტიკოსებს? მითი, „უცხოპლანეტელებმა“ დაბომბეს საქართველოს ტერიტორია, ააშკარავებს რუსული პოლიტიკის სტილს. საქართველო სთავაზობს რუსეთს ერთობლივი გამოძიების ჩატარებას. ეს ლოგიკური მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს, მაგრამ მოსკოვი კვლავინდებურად ყვირის და უარობს. სრულიად გაუგებარია რუსლან გელაევის გარშემო ამტყდარი დავიდარაბა. განა ცუდია, თუ ქართული მხარე მას და მის ბოევიკებს რუსეთის ტერიტორიაზე გამოდევნის? მოსკოვს ხომ უნდა გელაევის განადგურება? რატომ უნდა ებრძოლოს თბილისი გელაევს თავის მიწა-წყალზე? მაგრამ ყველაფერი გასაგებია. მოსკოვს ნაკლებად ადარდებს რუსლან გელაევი. იგი ნებისმიერ საბაბს ეძებს საქართველოში ჯარის შესაყვანად. ამ შემთხვევაში რა ვქნათ ჩვენ, უბრალო მოქალაქეებმა? ნუთუ მოსკოვის უხერხემლო პოლიტიკამ და გელაევის 100-მა მებრძოლმა საქართველოსთან სამუდამოდ უნდა გაგვიფუჭოს ურთიერთობა და ქართველობაც დიდი ხნით გადაგვკიდოს?! „ეხო მოსკვის“ საშუალებით ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა თემაზე — უნდა მოიხადოს თუ არა ბოდიში პუტინმა საქართველოს დაბომბვისათვის. გამოკითხულთა 56%-მა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს ბოდიში უნდა მოუხადოს, 44% კი თვლის, რომ ქართველებმა თავად დაბომბეს საკუთარი ტერიტორია და რუსეთსაც რომ დაებომბა საქართველო, ამისთვის ბოდიში მაინც არ უნდა მოვიხადოთო!

ეხო მოსკვი

პანკისის ხეობაში ბერეზოვსკის აჩრდილი დაძრწის

საქართველომ პანკისის ხეობაში კრიმინალურ ელემენტებთან ბრძოლის ფორმალური დემონსტრირება მოახდინა — გააფრთხილა გელაევი, — ჩეჩენმა მამაკაცებმა დატოვონ პანკისის ხეობაო. რასაკვირველია, გელაევმა ყურად იღო „თეთრი მელას“ სიტყვა და ანტიკრიმინალური ოპერაციისას პანკისში ერთი ბანდიტიც წამლად ვერ იპოვეს. მაგრამ, ეტყობა, ამ ოპერაციას მაინც მოჰყვება შედეგი, რადგან ქართველი სამართალდამცავები ეძებენ კონკრეტულ პირებს, (და დაბეჯითებით იციან, რომ ისინი პანკისში არიან) — საერთაშორისო ძებნილ ყარაჩაელ ტერორისტებს, აჩიმეზ გოჩიევის მეთაურობით, რომელთაც ბრალად ედებათ აფეთქებები მოსკოვსა და ვოლგოდონსკში. ეს ტერორისტები ქართველებს შემთხვევით არ დასჭირვებიათ. ინტერნეტში გაჩნდა სენსაციური ინფორმაცია — რუსეთის ცნობილმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ გადაწყვიტა, მოსკოვში მომხდარი აფეთქებების აღმსრულებელთა დაჭერა ან მოტაცება, ე.ი. ბორის აბრამოვიჩმა არასასურველი მოწმეების მოშორება განიზრახა. ეს ინფორმაცია ლოგიკურად სიმართლესთან ახლოს დგას. კრიმინალური ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის წყალობით ბერეზოვსკის საქართველოში ძლიერი პოზიცია აქვს.

აღმოჩნდა, რომ გელაევმა „ჩაუშვა“ ყარაჩაელი ტერორისტები, კერძოდ, ადამ დეკუშევი. ეს უკანასკნელი პატარკაციშვილზე განაწყენდა, რომელმაც მას დაპატიმრება ვერ აცდინა და „ალაპარაკდა“; ისეთი ჩვენებების მიცემა დაიწყო, რომ არა მარტო თავის თავსა და გოჩიევს, არამედ ბერეზოვსკისაც გამოუტანა განაჩენი. ახლა ბერეზოვსკის უნდა პირველმა

მოვლადი უდუგოვი და ბორის ბერეზოვსკი — ძველი მეგობრები

სტაცოს ყურში ხელი პანკისში დაბანაკებულ გოჩიევს, კრიმშამხალოვს, ძმებ აბაევებს, ბატჩაევსა და სხვებს, ამიტომაც პატარკაციშვილის საშუალებით დაასფინანსა საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები ყარაჩაელების დასაჭერად თუ გასანადგურებლად. კერძოდ, რამდენი თანხა გადარიცხა ბერეზოვსკიმ, უცნობია, მაგრამ ამ ოპერაციას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ოლიგარქისთვის, რომ ალბათ ბევრს გაიმეტებდა.

გოჩიევის ტერორისტული ჯგუფის პოვნისა და განიარაღების შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ ქულებს ჩაიწერს. ბერეზოვსკი კვლავ განაგრძობს ყველა აფეთქების რუსეთის ძფბ-ისთვის გადაბრალებას, ძფბ კი მთავარ მოწმეებს დაკარგავს და პირში ჩალაგამოვლებული დარჩება.

გასაგები ხდება საქართველოს ხელმძღვანელთა პოზიცია, რომელთაც ხელს არ აძლევთ რუსეთის ჩართვა ანტიკრიმინალურ ოპერაციაში, რადგან მაშინ იძულებული იქნებიან, დაჭერილი ტერორისტები რუსეთს გადასცენ და არა ბერეზოვსკის.

როსიისკაია გაზეტა №163

Louise-all
ლუიზოლი
ჭარბთმიანობისაგან განკურნება
სხეულიდან შესაძლებელია საფიქმო ჯიქმით და ღოსიონით „ლუიზოლი“. შედეგად თმა ახ ამოდის.
უნივერსალური სახის კრემი ნებისმიერი კანისთვის (ნაოჭები, გამონაყარი, ღაქები).
თმის ცვენა შეგიჩერდებათ!
თმა გაგიხშირებათ საფიქმო საშუალებებით და მასაჟით.
იოსებიძის ქ. №53 ტელ: 37-38-13
მის: ჭავჭავაძის გამზ. 20 ტელ: 29-19-73
კაბინეტი „ლუიზოლი“ 10-დან 19 სთ-მდე

კბილების ფხვნილი და სავლები ლოსიონი
გაიფლეი
უმოკლეს დროში მოგბისნით ღრძილების გაღიზიანებას, ნებისმიერ დისკომფორტს.
მის: იოსებიძის 53, ჭავჭავაძის გამზ. 20
კაბინეტი „ლუიზოლი“
☎ 37-38-13; 29-19-79

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 31 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,1650
ევრო	2,1325
ინგლ. ფუნტი	3,3635
რუსული რუბლი	0,0685
თურქული ლირა (1.000.000)	1,3307

მოსწავლეთა სამყარადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი «მზიური» აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი:დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎ 95-45-75; 91-03-17; 91-07-32

„ევრობეტონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: ფერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკაკის ქ. №8 (საორგის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ცხოვრებისეული კურიოზები

„თავგასული" თაგვი

ეს ამბავი ჩემმა ახლობელმა გრიშამ მიამბო. თავად გადახდა ქართლში:

„ერთ გვიან საღამოს, სოფელში, მთელი დღის ნამუშევარი, დაღლილ-დაქანცული, აივანზე გაშლილ ლოგინში ჩავწექი და ის-ის იყო, თვალი მივლულე, რომ მინდვრის თაგვმა გადამირბინა შუბლზე. ვიფიქრე, ხელს დავუხვედრებ და თუ ისევ „იმავე გზით" გადმოირბინა, დავიჭერ-მეთქი. მართლაც, ორიოდე წუთის შემდეგ თაგუნამ გადმოირბინა და ჩემს მუჭაშიც მოექცა. რას ვიზამდი, ხომ არ გადავყლაპამდი, მავიქნიე და ჩემ პირდაპირ მცხოვრები მეზობლის, თადეს ეზოსკენ გავისროლე. თურმე თადესაც აივანზე სძინებია და ის ოხერი თაგვი, პირდაპირ შუბლში მოხვედრია. კაი ხნის ჩაძინებული თადე ფეთიანივით წამოხტა.

— ვინ ისვრის ქვებს? თქვენი ცოლი და დედა!.. — გემრიელი ქართული „ლოცვა-კურთხევა" გაუგზავნა ქვის მსროლელს. მე ვწევარ და ვიგუდები სიცილით. რომ წამოვდგე და ვუთხრა, როგორც იყო საქმე, ვიცი, გინება არ ამცდება. ჰოდა, ვწევარ და ღამის გული შამიღონდეს სიცილით. არადა, თადემ მთელი სოფელი დააფეთიანა. მოვიდნენ მეზობლები საქმის გასარკვევად. დახედეს თადეს შუბლზე და არც კოპი აქვს, არც განაკაწრი, ვერც ქვა იპოვეს აივანზე და კარის მეზობელმა სონამ მშვიდად დამოძღვრა:

— აბა, ვის უნდა ესროლა ქვა? გრიშა მაგას არ იზამდა, დანარჩენები კიდენა აქამდინ ვერ მააწვდენდნენო (მე კი — სწორედ ის ეჭვმიტანილი და „მთავარი დამნაშავე" — მშვიდად ვიწექი ჩემთვის).

სონას სიტყვებმა თადე უარესად გააგიჟა, სულ კინწისკვრით გამოყარა მეზობლები, თქვენ მე გიჟი ხომ არ გგონივართო..."

გრიშამ ეს ამბავი რომ მომიყვა, თან გამაფრთხილა, თუ კაცი ხარ, სოფელში არავისთან წამოგცდეს, თორემ თადე მომკლავსო. მეც მხოლოდ თქვენ გეუბნებით და არ დამღუპოთ, თქვენ მაინც არ უთხრათ არავის.

ოყნა

ფიტოთერაპევტი გახლავართ და ხშირად სასაცილო სიტუაციაში აღმოვჩნდები ხოლმე. ერთხელაც, ჩემმა ახალმა თანამშრომელმა, შოთამ მომაკითხა წამლისთვის. შოთა ქიზიყელი იყო და ისეთი კილოკავი ჰქონდა, რომ დაილაპარაკა, თავი ზემო მაჩხაანში მეგონა.

— ბატონო ნიკო, ერთი ბებერი ძალუა მყავ, ძალიან მურტალი ბუასილი სჭირს და უშველი რასმე? შენ თუ იმაი მამირჩენ, მადლობელი ხო ვიქნები და ვიქნები და თანაც ერთ „ბაჩონკა" იგეთ ღვინოი ჩამოგიტან, სიცოცხლეში რო არ გაგიშინჯია...

მეორე დღესვე გავუმზადე შოთას წამლები: დასალევი, მალამო და მცენარეული ნაკრები ოყნისათვის. ვუთხარი, რომ ძილის წინ დასალევი დალიოს, მალამო წაისვას, მიკროოყნით ნაყენი გაიკეთოს და დილამდე დაიტოვოს, არ გადმოღვაროს-მეთქი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადამიხადა, წამლები წაიღო და გავიდა. ხუთი წუთიც არ იქნებოდა გასული, ისევ შემობრუნდა ოთახში და მოკრძალებით მითხრა:

— ბატონო ნიკო, ძალუაჩემი 75 წლის ქალია და ვაითუ, ვერ გაუძლოი, არ შაიძლება რო ის კლიზმა გამაიღოს და იგრე დაიძინოს?

თავი ვერ შევიკავე და სიცილი ამიტყდა. სანამ რამეს ვეტყოდი, მიხვდა, რომ სისულელე წამოსცდა და თვითონვე განმარტა:

— მარტო ბალახი წვენი დაიტოვოი, არა? — და მთასავით კაცმა მორცხვად თავი ჩაღუნა...

მიწის თხილი

ფარმაბოტანიკურ ექსპედიციაში ვართ იმერეთში. ორი, მეცხრე-მეათე კლასელი ბიჭი გვყავს წაყვანილი „ლაბორანტებად".

ექსპედიციის პირველი დღეა. მე მცენარეულობას აღვწერ, ბიჭებს მითითებებს ვაძლევ და საჰერბარიუმო მასალას ვაგროვებინებ. მუშაობა-მუშაობაში „ლაბორანტები" ჩამომრჩნენ. ერთ ადგილას ჩამოვჯექი და დაველოდე. ჩემ ირგვლივ თხის კურკლი ეყარა აურაცხელი. ერთი მუჭა ხმელი კურკლი ავიღე და ჯიბეში ჩავიყარე. ბიჭები რომ მომიახლოვდნენ, ხელი პირისკენ წავიღე და თითქოს რაღაცის ჭამა დავიწყე.

— რას მიირთმევთ, ბატონო ნიკო? — მკითხეს ბიჭებმა და მეც არ დავაყოვნე, — მიწის თხილია-მეთქი.

— ჩვენ არ გვაჭმევთ, ცოტას?

— როგორ არა-მეთქი და გულუხვად ჩავუყარე მუჭაში ორთავეს თხის კურკლი. არც დაუხედავთ ზედ, პირდაპირ გაიქანეს პირში, მაგრამ როგორც კი გაკვნიტეს, სასწრაფოდ გადმოყარეს უკან, მეორედაც რომ გაკვნიტეს, ერთხმად წამოიძახეს, — უი, ჭიანი ყოფილა ეს მიწის თხილიო!

ნიკოლოზ იოსებიძე

ანგარიშში გურულად



იმ ზამთარს გურიაში ნაადრევად მოთოვა. ტარასის ჩალა კი ჰქონდა, მაგრამ თივის მომარაგება ვერ მოახერხა და ადრე გაზაფხულზე საქონლის საკვები გამოელია. ასე დაემართა მის რამდენიმე მეზობელსაც. იმათ კი, ვინც ჩალისა და თივის მომარაგება მოასწრეს, ახლა ხელის მოთბობა განიზრახეს.

მთელი სოფელი მოიარა ტარასიმ, იაფად უნდოდა საქონლის საჭმელი ეშოვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ჩალას და თივას ცეცხლის ფასი ეკიდა და ტარასი პირში ჩალაგამოვლებული და დაძმარებული დაბრუნდა შინ.

— რამ დაგაღონა, ტარასი? — შეეკითხა კარის მეზობელი მინაგო.

— რაღა რამ დამაღონა, კონა ჩალას ღარნაკლებ არ ყიდიან, ერცახე თივის ბულულს კი ღარ-ნახევრად. არ იციან, მაგ უბედურებმა, ორი კვირის მერე კონა ჩალა ათი თეთრი რო იქნება?

— რაფრა, კაცო!? უფრო არ გაძვირდება? — გადაირია მინაგო.

— კი, აპა, გაძვირდება! ორ კვირაში საქონელი შიმშილით გაწყდება და ვის რათ უნდა მერე მაგათი ჩალა და თივა!

ანკო, თბილისი

ზოგჯერ ყურადღებაც შეიძლება „შავი" იყოს...

თბილისის ერთ-ერთ უბანში ლოთობამ შეიწირა ერთი ახალგაზრდა კაცი. მისმა ამფსონებმა გადაწყვიტეს, ერთად ასულიყვნენ პანაშვიდზე...

ზოგი მთვრალი იყო, ზოგი ნაბახუსევი და ერთმანეთს გზას უჩვენებდნენ, ერთი მათგანი კიბეზე წაიქცა და ძლივს ააყენეს. ბოლოს, როგორც იქნა, შევიდნენ იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა...

ერთ-ერთი მათგანი დიდხანს გაჩერდა ძმაკაცის ცხედართან, ყურადღებით დააკვირდა, მერე მოტრიალდა და უკან მდგომს (რომელიც ალბათ, ერთი სამი დღის გამოუფხიზლებელი იყო) ეუბნება, — ნახე, ტო, მეოთხე დღეა, რაც არ დაულევია და რა დაწყნარებული სახე აქვს!..

ზაზა ნაფეტვარიძე, თბილისი

მკითხველის — საყვარელი ანეკდოტი

სამი მოხუცი დაქალი საუბრობს:

პირველი — გოგოებო, უკვე 70-ს გადავაბიჯე და ყველა კბილი მაქვს!

მეორე — მე 65-ის ვარ და, თმის შეღებვა არ მჭირდება!

მესამე — მე უკვე 63-ის ვარ, თვალი არ მეცეს (თან მაგიდაზე სამჯერ დააკაკუნა) და, ისევ ქალიშვილი ვარ!..

ა.გ., ქუთაისი

— ეირია, ბიჯო, ქვეყანა, — ეუბნება ჭიჭიკია ძმაკაცს, — უწინ სახლში რო მივდიოდი, ძაღლი მიყეფდა და ნაზიკიას ფლოსტები მოქონდა. ახლა შებრუნებითაა — ნაზიკიე მიყეფს და ძაღლს ფლოსტები მოაქვს!..

გია პატარიძე, თბილისი

ძველი, გამოცდილი პოლიციელი ინსტრუქტაჟს უტარებს ახალგაზრდა, დამწყებ პოლიციელს:

— აბა, მითხარი, როგორ უნდა აიღო ბევრი ფული და მიაღწიო მაღალ პოსტს?

— უნდა დავიჭირო ცნობილი, ავტორიტეტული დამნაშავე! — იყო პასუხი.

— მართალია, მაგრამ მერე, დაუყოვნებლივ უნდა გაუშვა. მერე მიიღებ დიდ პრემიას მისგან და მერე იყიდი დიდ პოსტს შენთვის! გაიგე?

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

უცხო ავტოინსპექტორი

ქუთაისის კოლორიტ ლაყაფიას ერთი დაფახფახებული, საბურავებდამდნარი მწვანე ჟიგული ჰყავდა.

მიდის ერთ დღეს ბალახვანში, მიიხედ-მოიხედა, ინსპექტორი ვერსად დალანდა და სწრაფად გადაჭრა ორმაგი ღერძულა ხაზი. ჩასაფრებულმა ინსპექტორმა ჩაუსტვინა, მაგრამ ლაყაფია „რაის გამჩერებელი იყო"!

ახალგაზრდა ინსპექტორი ახალნაყიდ ბმვ-ს დაახტა და მალე მიიმწყვდია ლაყაფია მოსახვევში. დამრღვევი მანქანიდან გადმოიზლაზნა.

— ბიჯო, შენ ქიშვარდია ხარაბაძის ბიჭი არ ხარ?

— კი და ახლა ასეთი უხეში დარღვევისთვის „პრავას" გადაგახევ თავზე! — დაუბრიალა თვალები ბიჭმა.

— ბიძია, სად გეიზარდე შენ? და საერთოდ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ხარ გასაშობი!

— ვითომ რატომ?!

— არ იცი როგორ უნდა მიმართო მძღოლს და იმიტომ!

— ხო აგიღე „ჩესტი"? — დაიბნა ქიშვარდიას ბიჭი.

— „ჩესტი" ბებიაშენს ოუღე!.. ჯერ უნდა მკითხო: ბატონო ლაყაფია, „პრავა" თუ გაქვს?

მურმან მერკვილიშვილი, თბილისი

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

მამულ-დედული

როგორ გავიგნოთ გზა

მეხი მარცხნივ გადაგრეხილ ხეს ეცემა

ძვირფასო მკითხველებო, ბუნებასთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით მოგაწოდებთ მასალებს ბუნებაში მოგზაურობისას აუცილებელი წესებისა და საჭირო ჩვევების შესახებ. თუ ამასთან დაკავშირებით შეკითხვა დაგებადათ ან გაინტერესებთ რომელიმე საკითხის გაშუქება, გთხოვთ მოგვწეროთ. მზად ვართ, თქვენთვის საინტერესო ყოველ საკითხზე გაგცეთ პასუხი.

მოგზაურისთვის ორი რამ არის აუცილებელი: არ დაკარგოს ორიენტაცია და მზად იყოს ნებისმიერი ბუნებრივი მოვლენის შემთხვევაში.

მოგზაურობის დაწყების წინ აუცილებლად უნდა დააფიქსიროთ მიმართულებები (ჩრდილოეთ-სამხრეთი ან აღმოსავლეთ-დასავლეთი), ხოლო მოგზაურობისას ორიენტაციის ყოველი ცვლილება, ანუ მიმართულების გადახრა უნდა აღნუსხოთ გონებაში. ამით ქმნით აზრობრივ რუკას. ეს აუცილებელია, რათა არ დაიბნეთ უკან დაბრუნებისას. მაგრამ ყველას არ ძალუძს ასეთი წესით რუკის შედგენა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბუნებაში მცირე ხნით გასეირნება უნებლიე მოგზაურობად გადაგექცათ. ამ შემთხვევაში შეიძლება დაიბნეთ, ანუ უკან დასაბრუნებელი მიმართულება დაკარგოთ. თუ ბილიკზე არ დგახართ, უნდა დაეშვათ ქვემოთ ვერტიკალურად და წააწყდებით ბილიკს. თუ ვერ იპოვეთ, ქვემოთ აუცილებლად ნახავთ ღელეს ან მდინარეს, დაუყვებით მას და არ შეიძლება არ წააწყდეთ დასახლებულ პუნქტს, ფერმას და ა.შ.

ასევე აუცილებელია ორიენტაციის დასადგენად ხმაურის გამოყენება. თუ ყურს მიაპყრობთ, შეიძლება გაიგონოთ მატარებლის, ავტომანქანის, ხის ჭრის, სამთო სამუშაოებისა და სხვა ხმაური.

ამიერკავკასიაში მუხის ტყე გავრცელებულია მხოლოდ სამხრეთ ფერდობებზე, წიფელი კი — ჩრდილოეთით. ამის ცოდნა დაგეხმარებათ ჰორიზონტის მხარის მიმართულების გასარკვევად: ხეს ხავსი ყოველთვის ჩრდილოეთის მიმართულებით აქვს, ხოლო თხელი ღია ფერის კანი — სამხრეთით. ფიჭვის ტანი ჩრდილოეთის მხარეს წვიმის დროს მუქდება, წიწვოვანებს კანიდან ფისის ნაჟური მხოლოდ სამხრეთით აქვს.

მოგზაურობისას მზად უნდა იყოთ ამინდის ცვალებადობისათვის. მოსაზრება, რომ ელჭექის დროს თავი უნდა შეაფაროთ წიწვოვან ხეს და არა ფოთლოვანს, — არ გახლავთ სწორი. ალბათ დაჰკვირვებიხართ ხის შტამბს, რომელიც იგრიხება ქვემოდან ზემოთ, ან მარცხნივ, ან მარჯვნივ. არსებობს ასევე სწორშტამბიანი ხეები. ელჭექის დროს ფოთლოვან ტყეში თავი უნდა შეაფაროთ სწორშტამბიან ან მარჯვნივ გადახრილ ხეს, რადგან მეხი მარცხნივ გადაგრეხილ ხეს ეცემა.

სოკოს მომზადების ძველი ქართული და ძალიან გემრიელი წესი

მასალა: 500 გ ახალი ქამა სოკო, 0,5 ჩ/ჭ გარჩეული ნიგოზი, 3 კბილი ნიორი, 4 ღერი ქინძი, ძმარი, წითელი წიწაკა, მარილი.

კარგად გარეცხილ და მშრალ სოკოს ქუდებს მოაყარეთ მარილი, დააწყვეთ ლითონის უჟანგავ ბადეზე და დადეთ ცხელ ნახშირზე. ცალი მხარე რომ შეიწვება, სოკო გადაბრუნეთ. შეწვის შემდეგ ჩაალაგეთ ქვაბში. გარჩეული ნიგოზი, წითელი წიწაკა, ნიორი და ქინძი გაატარეთ ხორცსაკეპში, დაუმატეთ მარილი გემოვნების მიხედვით, გახსენით ძმრით და დაუმატეთ გადადუღებული ცივი წყალი. მომზადებული სოუსი დაასხით ჭურჭელში მოთავსებულ შემწვარ სოკოს.

ასევე შეიძლება სოკოს მოშუშვა ქვაბში, ზეთით. ამ შემთხვევაში სოკო წვრილად უნდა დაჭრათ, ხოლო მოშუშვის შემდეგ დაასხათ მომზადებული სოუსი.

ᲕᲐᲐᲡᲣᲮᲝᲑᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ

დაჩქარებული მეთოდით ჩირის მომზადება

— მოგესხენებათ, ჩირის სახით ხილის გამოსაშრობად ზაფხულის ბოლო პერიოდის ცვალებად მზიან დღეებს ველარ ენდობი, გთხოვთ გვიპასუხოთ: დაჩქარებული მეთოდით შრობის რა ტემპერატურა და ხანგრძლივობაა საჭირო სახლის პირობებში სხვადასხვა ხილის ჩირის დასამზადებლად და როგორ შევინახოთ ჩირი. წინასწარ გიხდით მადლობას.

მანანა სახვაძე

— დაჩქარებული მეთოდით ჩირის მომზადება შეიძლება გაზქურაში ან შეშის ღუმელში, სადაც შრობის ტემპერატურა +70-80°C უნდა იყოს, ხოლო შრობის ხანგრძლივობა სხვადასხვა ხილისათვის სხვადასხვაა და დამოკიდებულია მასში არსებულ შაქრისა და წყლის შემცველობაზე. გარდა ამისა, მზის დაბალი ტემპერატურის დროსაც შეიძლება ხილის შრობა სპეციალური მოწყობილობით, რომლის ტემპერატურა საკმარისია ხილის გამოსაშრობად. ამისათვის 2-3 სმ სისქის ფიცრისაგან უნდა შეიკრას ყუთი 50X60 სმ მოცულობით, უკანა კედლის სიმაღლე — 20 სმ, ხოლო წინა კედლისა — 10 სმ, შესაბამისად — გვერდითი კედლები 20-დან 10 სმ-მდე დახრით. ყუთს ზემოდან ანჯამით უმაგრდება ჩარჩო ორმაგი ნარიმანდით, ორმაგი მინის ჩასასმელად. ჩარჩოს წინ უკეთდება სახელური, ასაწევად. უმჯობესია, თუ ყუთს შიგნიდან ფსკერზე ჩაკრავთ უჟანგავი ლითონის ფურცელს. ჭარბი ტენის გამოსასვლელად ყუთის უკანა კედელზე კეთდება 2 სმ დიამეტრის ნახვრეტი.

ჩირი რომ კარგად შეინახოთ (მაგ. ლეღვი, ხურმა და ა.შ.), უნდა ჩააწყოთ მომინანქრებულ ჭურჭელში ფენა-ფენად და მოაფრქვიოთ შაქრის პუდრა. ჭურჭელი მჭიდროდ უნდა იყოს თავდახურული.

ჩირს, რომელიც შენახვისას არ საჭიროებს შაქრის პუდრას (მაგ. ქლიავი, მსხალი და ა.შ.), ინახავენ მოხუფულ ქილაში. ქილაში არსებული ჰაერის ტენმა დაობება რომ არ გამოიწვიოს, ქილის ფსკერზე მოათავსეთ რბილ ქაღალდში გახვეული ჩირის წონის 10-15% სიმძიმის ჩაუმქრალი კირი, რომელიც შეიწოვს ტენს. ასეთი წესით შენახული ჩირი დიდხანს არ ფუჭდება.

როგორ შევწამლოთ ბალი

— რამდენიმე წელია, ჩვენს ბალს მატლი გაუჩნდა. რამდენჯერმე შევწამლეთ დამწიფებამდე, მაგრამ ამაოდ. როგორ მოვიქცეთ?

დავით გოგოძე

— ბალს უამრავი პარაზიტ-მავნებელი ემტერება და დაავადება უჩნდება. მათ წინააღმდეგ გამოიყენება ბრძოლის როგორც მექანიკური (დაავადებული ფოთლების ან ტოტების შეგროვება გაზაფხულზე და დაწვა, შტამბის ძირში ღრმა გადაბარვა შემოდგომა-გაზაფხულზე და წყლით დატბორვა), ასევე ქიმიური ხერხები, ანუ შეწამვლა. იწყება აღრე გაზაფხულზე, კვირტების დაბერვამდე — გამოიყენება 3%-იანი ბორდოული სითხე (300 გ შაბიამანი, 300 გ კირი 10 ლ წყალზე). მეორე შესხურება უშუალოდ ყვავილობის დაწყების წინ ხდება — 50 გ სპილენძის ქლორჟანგი 10 ლ წყალზე ან 1%-იანი ბორდოული სითხე; მესამე — ყვავილობის დამთავრებისთანავე. გამოიყენება 50 გ სპილენძის ქლორჟანგისა და 20 მლ აქტელიტის ხსნარი 10 ლ წყალზე; მეოთხე შესხურება განმეორდება წინა შესხურებიდან 10-12 დღის შემდეგ იმავე პრეპარატებით.

წამლობა უნდა შეწყდეს ხილის მოკრეფამდე 20 დღით ადრე.

ხილის კრეფის პერიოდია...

ერთი და იმავე ხილის კრეფის პერიოდი სხვადასხვა წელს სხვადასხვაა. ხილის კრეფის პერიოდი შეიძლება იყოს ნაადრევი, დროული და გვიანი, რასაც ბუნებრივი პირობები განსაზღვრავს (ტემპერატურა, ტენიანობა, წლიწადის დროთა ხასიათი და სხვა).

ხილის კრეფაზე, დახარისხებასა და შენახვაზე იხარჯება ხეხილის მოვლისთვის განკუთვნილი წლიური სამუშაოების 40-60%. ხილის კრეფის პერიოდები უნდა განისაზღვროს ნაყოფის სიდიდის, შეფერილობის, სიმაგრის, გემოს, თესლის შეფერილობისა და სხვათა მიხედვით.

კრეფისათვის განკუთვნილია ნაყოფი იმ შემთხვევაში, როდესაც მოკრეფის შემდეგ მალევე უნდა გამოიყენონ საკვებად. შესანახად გამოდგება ის ნაყოფი, რომელიც ისეა სიმწიფეში შესული, რომ გარკვეული დროის შემდეგ შენახვისას დამწიფდება. ტექნიკურად მწიფეა ნაყოფი, როდესაც სიმწიფე დასრულებულია და მოითხოვს ტექნიკურ გადამუშავებას, რომლის შემდეგაც მიიღება წვენები, ჯემი და სხვა.

კურკოვანი ხილის შემთხვევაში კრეფის და შესანახი პერიოდები ემთხვევა.

შედარებით რთულია ვაშლისა და მსხლის კრეფის ზუსტი ვადის განსაზღვრა, ვინაიდან ისინი არაერთგვაროვნად მწიფდება, არა ისე, როგორც კურკოვანები — ბალი და ალუბალი, რომლებიც კრეფის შემდეგ აღარ მწიფდება.

ნებისმიერი სახის ქლიავი ადგილზე მოსახმარად მხოლოდ მწიფე იკრიფება, ხოლო ტრანსპორტირებისათვის 3-6 დღით ადრე დამწიფებამდე, იმის მიხედვით, თუ რა მანძილზე ხდება მისი ტრანსპორტირება.

ყველაზე რთულია ატმის კრეფის პერიოდის განსაზღვრა. სიმწიფეში შესული ატამი სიმწიფემდე 2-4 დღით ადრე უნდა მოიკრიფოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ატამი ვერ აღწევს იმ ბუნებრივ სიმწიფეს, რაც მას ახასიათებს.

ხილის კრეფა უნდა ჩატარდეს მზიან ამინდში, დილის ან საღამოსწინა საათებში.

ხილი რომ კარგად შევინახოთ, ის უნდა მოიკრიფოს დაღმავალი მთვარის პერიოდში, საფსემთვარეობის შემდეგ მომავალ ახალმთვარეობამდე, ე.ი. მთვარის მე-18 დღიდან 30-ე დღემდე. ამ პერიოდში ხილს არ აქვს ის ზედმეტი წვენი, რაც შენახვისას ხელს უწყობს ლპობას.

გარდა ამისა, ხილის კრეფის პერიოდში უნდა გავითვალისწინოთ, ზოდიაქოს რომელ ნიშანშია მთვარე. ხილის კრეფა, ჯემის ან კომპოტის მომზადება მიუღებელია კირჩხიბის, ქალწულისა და თევზების დღეებში, რის საორიენტაციოდ შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩვენს რუბრიკაში არსებული კოსმოსური რიტმების კალენდარი.

ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲠᲘᲪᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ (2-16 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ)

2-3/IX, ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ — ოთახის ყვავილების გადარგვა, რწყვა, განოყიერება. გაზონების კრეჭა, მავნებლებთან ბრძოლა, კარტოფილის ამოღება. მიუღებელია ბოსტნეულისა და ხილის შენახვა-დაკონსერვება.

ერიდეთ გაცივებას, გაუფრთხილდით მკერდის არეს, ნაღვლის ბუშტს და ნერვულ სისტემას. ყურადღება მიაქციეთ თავის არეში სისხლის მიმოქცევას. მოერიდეთ ენერგიის გადახარჯვას. ეცადეთ მიიღოთ მსუბუქი საკვები, ბოსტნეულის წვნიანი, სალათები და ხილი.

4-5/IX, ᲚᲝᲛᲘ — ფუტკრის მკურნალობა, სარეველების მოსპობა, ხეხილის გასხვლა. ნიადაგის დამუშავება, კარტოფილის ამოღება. მიუღებელია ნიადაგის სასუქით განოყიერება.

აუცილებელია ოთახის განიავება. დილით სუნთქვითი ვარჯიშები. ნუ გადატვირთავთ გულს, დიაფრაგმას, სისხლის მიმოქცევის სისტემას. ამ დღეებში მოსალოდნელია თავის ტკივილები, დაავადებების გამწვავება. დაუშვებელია ალკოჰოლის მიღება და სექსუალური ურთიერთობა. აუცილებელია აბაზანის ან შხაპის მიღება. კარგია გულის სამკურნალო მცენარეების შეგროვება. შეგიძლიათ მიიღოთ თევზი, ფრინველის ხორცი, ყაბაყი, პარკოსნები, ლეღვის ჩირი, ჭერამი, კარგია კუნელის ფოთლის ნაყენის დალევა.

6-7/IX, ᲫᲐᲚᲬᲣᲚᲘ — საყრდენი და ღობის ბოძების დასობა გრუნტში, ოთახისა და დეკორატიული მცენარეების გადარგვა, კომპოსტის მომზადება, ნაკელის შეტანა ნიადაგში, მავნებლებთან ბრძოლა. მიზანშეწონილია ხილისა და ბოსტნეულის შენახვა და დაკონსერვება.

ამ დღეებში იოლად ცივდებიან. გაუფრთხილდით საკვებმომნელებელ, სისხლის მიმოქცევისა და ნერვულ სისტემებს. საღამოობით შეიძლება იგრძნოთ მოთენთილობა ან ემოციური აგრესიულობა. საზიანოა კანის მოვლა ან აბაზანის მიღება.

ამ დღეებში ეცადეთ მიიღოთ მსუბუქი საკვები, ხილი და ბოსტნეული. გამორიცხეთ თამბაქო და ალკოჰოლი.

8-9/IX, ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — ოთახის ყვავილებისა და ღია გრუნტის განოყიერება. საშემოდგომო ხორბლის თესვა 24 სექტემბრამდე. მიუღებელია ოთახის ყვავილების რწყვა.

აუცილებელია ბინის განიავება და ლოგინის გამზეურება. გაუფრთხილდით თირკმლებს, შარდის ბუშტს. ფიზიკური ვარჯიშის ციკლი ხელს შეუშლის ორგანიზმში მარილებისა და კენჭების წარმოშობას. კარგია მოგზაურობა, აქტიური დასვენება, აბაზანის მიღება სამკურნალო მცენარეთა ნაყენით. მიუღებელია გულის გადატვირთვა, ყურადღება მიაქციეთ კუჭ-ნაწლავის მოქმედებას.

მიზანშეწონილია წიწიბურას ან შვრიის ფაფა, მაწონი, ხაჭო, თევზი, ბოსტნეული, ვაშლი.

10-11/IX, ᲚᲠᲘᲜᲐᲜᲙᲐᲚᲘ — ოთახის ყვავილების რწყვა, განოყიერება. კარტოფილის ამოღება, სამკურნალო მცენარეების შეგროვება და შრობა. მიუღებელია ხეხილის გასხვლა და ხის მოჭრა. მოერიდეთ გაცივებას. ოთახი მხოლოდ მცირე ხნით გაანიავეთ. გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას და სასქესო ორგანოებს. კარგია აბაზანის მიღება მცენარეთა ნაყენით ან თაფლით. მოსალოდნელია კოორდინაციის დარღვევა. ამიტომ აუცილებელია სისხლძარღვთა მარეგულირებელი ნაყენების მიღება.

საკვებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ის, რაც მოგწონთ.

12-13-14/IX, ᲛᲫᲕᲘᲚᲓᲦᲔᲡᲐᲜᲘ — ხეხილზე ხმელი ტოტების შეჭრა, ნიადაგის დამუშავება, მთიან ზონებში ბინის პირველი გათბობა.

აუცილებელია ბინის განიავება და ლოგინის გამზეურება. ყურადღება მიაქციეთ სისხლძარღვებსა და გრძნობის ორგანოებს, ბარძაყის არეს და ქვედა კიდურებს. დილით აუცილებელია სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, რათა შთანთქათ კოსმოსური ენერგია. კარგია შიმშილი, კუჭის გაწმენდა. 13 სექტემბერს მოსალოდნელია ტკივილები თავის არესა და მუცლის ღრუში. ნერვული სისტემის სისუსტე, ამიტომ წინასწარ მიიღეთ თბილი აბაზანა სამკურნალო ნაყენით.

საკვებად მიზანშეწონილია პარკოსნები, ბოსტნეული, ხილი, ნიგოზი და თაფლი.

15-16/IX, ᲗᲮᲘᲡ ᲠᲫᲐ — ფუტკრის მკურნალობა, ბინის პირველი გათბობა, სარეველების ამოძირკვა, კომპოსტის მომზადება, ნაკელის დაგროვება, ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვება, საშემოდგომო ხორბლის თესვა.

მოუფრთხილდით კანს, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური მკურნალობა. ყურადღება მიაქციეთ მუხლებსა და სახსრებს. კარგია ერთკვირიანი შიმშილის დაწყება ორგანიზმის გამწმენდი პროცედურებით.

შეგიძლიათ მიიღოთ ფრინველის ხორცი, თევზი, ბოსტნეული, კარტოფილი, ბრინჯი და მწვანილი.

რუბრიკას უძღვება დურმიშხან ყიფიანი

მილოცვა

ვჯაოშვილებო!

გილოცავთ მარიამობას, გფარავდეთ ღვთისმშობელი. გატყობებთ, რომ ა/წ 20 ოქტომბერს (კვირას), თბილისში მოეწყობა ვჯაოშვილების გვარის შეკრება და ფილმი-ნარკვევი „ჩემი გვარი – ვჯაოშვილის“ ჩვენება. ყველა დაინტერესებულ პირს გთხოვთ, დამიკავშირდეთ 20 სექტემბრამდე.

პატივისცემით ტელერეჟისორი ირაკლი ვჯაოშვილი

ვულოცავ ქეთევან და ლუკა ჭიჭინაძეებს

ქეთევანს შვენის ბაფთა
ლუკას ქოჩორი შვენის
ერთმანეთს ჩაჰკიდეთ ხელი
ბავშვებო! სკოლა გელით

მარიკა სიხარულიძე

ნინო სუმბაძეს

ჩვენო საყვარელო ნინო, გილოცავთ სწავლის დაწყებას – პირველ კლასში შესვლას. კარგი სწავლითა და ყოფაქცევით იმედია გაგვახარებ, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას ოჯახისა და სამშობლოს სასახელოდ გაზრდას, წმინდა ნინოს, ღმერთისა და დედაენის მადლი გიცავდეს და გწყალობდეს მუდამ.

კეთილი სურვილებით ენგური ბაბუა და ლალი ბებო

ნინი და ბასა გოგრიჭიანებს ვულოცავთ სწავლაში წარმატებებს, ვუსურვებთ სიკეთეს, ნათელ მომავალს. ღმერთმა დაგლოცოთ.

აზლობლები

მადლობა

ილია ჭავჭავაძის სახ. ბავშვთა დაზმარების ორგანიზაციის გამგეობა მადლობას უხდის ქველმოქმედებისთვის საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ალდაგ ედ“-ს, ფირმა „სალხინოს“, შპს „ბორჯს“, „აკკ „ჯორჯიას“.

ჩემს მკურნალ ექიმს გია ლობჟანიძეს!

ყოველად უანგაროდ, მაღალი პროფესიონალიზმით ჩამატარეთ ოპერაცია და ჯანმრთელობა მაჩუქეთ. უთვალავჯერ გიხდით მადლობას და ქედს ვიხრი სიფრთხილით და მოწიწებით თქვენს წინაშე, დაგილოცავთ მარჯვენას და კეთილ გულს. იცოცხლეთ მრავალჟამიერ ხალხის სამსახურად. თქვენთან ერთად მადლობას ვუხდი გულისხმიერებისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის ბატონებს: გია ნოზაძეს, ვახტანგ სარალიძეს და ქალბატონებს: თინიკო ბერიკაშვილს, ნინო და მარინა შუბითიძეს.

პატივისცემით ლუიზა მუმლაძე

ქირავდება

სილამაზის სალონი იოსებიძის №53, 161-ე სკოლის წინ. ტ: 93-19-52; 899-168-168

გთავაზობთ საქმიანობის

გვაქვს ვაკანსიები. გვესაჭიროება რუსულის მცოდნე, განათლებული თანამშრომლები. ვთანამშრომლობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა, კომპანიის ხარჯებით. გამომუშავება ახალი ამერიკული სტანდარტებით $200-400-ის გამომუშავებით. მიმდინარეობს შერჩევა! მის: მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის“ ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38; 899 90-54-78. მენეჯერი ბატონი დიმიტრი

განთავისუფლდა ადგილები ოფისში, სათანამშრომლოდ მიიღებთ განათლებულ. რუსულის მცოდნე ადამიანებს, ანაზღაურება მზარდი, გამომუშავებით, 300$-ის ზემოთ, აშშ სტანდარტებით, საუკეთესო თანამშრომლებს ყოველ 6 თვეში კომპანია სტაჟირებაზე გზავნის საზღვარგარეთ თავისი ხარჯებით, მიმდინარეობს შერჩევა. მის. მ. რუსთაველი, ბელინსკის 2. IV სართ. ოთახი 415 (რედაქციაში). ტ: 93-38-46; 899-90-54-78 მენეჯერი ბ-ნი მიხეილი

მომსახურება

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე. შალითების შეცვლა-აღდგენა, განახლება, სამეულების ქიმწმენდა, გასუფთავება მატრასების, სკამების აღდგენა-გაბნახლება. ვღებავთ გერმანული ტყავის სამეულებს.

ვთარგმნით ინგლისურიდან, რუსულიდან და ქართულიდან. სწრაფად და ხარისხიანად (კომპიუტერზე აკრეფით). ტელ: 52-44-47

ტურიზმი

დასვენება: ესპანეთისა და თურქეთის კურორტებზე, შეღავათიან ფასად, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; აჭარაში – ბათუმი, ქობულეთი, სარფი, კვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მალთაყვა; ასევე ბაკურიანში, ბორჯომში – კვებით და კვების გარეშე, სასტუმროებსა და კერძო სექტორებში. მის. ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაია) ქ. №21. ტურ. კომპანია „DILAMPUS“. http://dilampus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899-54-00-79

ზაურდოვანი სეზონი ქობულეთში! ათდღიანი საგზურები 80-ლარიდან სამკურნალო კვებით ფიზიკურ ფონზე კაფე „ივერიაში“ ბავშვებზე და ვეტერანებზე შეღავათები. მობრძანდით მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №113-115 (ღრმად ეზოში სამკურნალო ცენტრი „ფანასკერტელი“) კაბ. №31 ცისანა სუმბაძე. ტ: 91-18-38; 877-41-86-16

მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსერწყვლი მსაჯეთისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანთიმეურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899-14-64-95

მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავბრუსხვევა, მწვალისებური და ქიმიისებური გულძკერდი, სიმსივლეში ზრდა. ექიმი, მანუალური თერაპევტი ოსო ფირცხალაიშვილი. მის. აღმაშენებლის 60. მიხაილოვის საავადმყოფო. ტ: 75-06-14; 877-44-01-08

ეპილეპსია ვოლეურაძის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით ყოველგვარი გადიზიანების გარეშე, 1სთ – 6 ლარი, თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით), წარბების კორექცია. ვასწავლი კოსმეტიკას და ეპილეპსიას საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მისამართი: მეტრო 300 არაგველი, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. 15, მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საკმაო გამოცდილებით – აღმდგენი სათანადო აპარატებით, ჩინური წემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების ფუნქციას – ენობორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით. ტ: 899-55-05-75

მასწავლი

მოსწავლეებისა და აბიტურიენტთა საყურადღებოდ! გამოცდილი ფიზიკის-მათემატიკოსები მოვამზადებთ მათ მათემატიკურ სავნებში ან მოსწავლეებს დავეხმარებით სკოლის ყველა საგნის მომზადებაში, მაღალი ნიშნის გარანტიით. ტ. 39-08-42 თენგიზი 34-93-09; 34-93-40 ქეთინო

კომპიუტერული სტუდია – „დავიკ“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერებზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899-14-03-31

მოვამზადებ მსურველებს ინგლისურში აბიტურიენტებსა და toefl-ის მსურველების ჩათვლით. ვთარგმნით ნებისმიერი შინაარსის მასალას ინგლისურიდან ქართულად და პირიქით. ტ. 77-81-58 მარინა

ახალგაზრდა მასწავლებელი გერმანიაში შესწავლილი მეთოდით შეასწავლის სკოლის ასაკის ბავშვებს გერმანულ სასაუბრო ენასა და გრამატიკას. ტ: 39-24-74 ანა

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას ქართული და რუსული სექტორების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა; 2. უცხო ენები; 3. ეკონომიკური. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან მე-3 კურსზე. კოლეჯში ფუნქციონირებს ოგივე ფაკულტეტები. ფასი 220-300 ლარი. გათვალისწინებულია შეღავათები. მის: თოფურიას №12 (ვაჟა-ფშაველას III და IV კვარტალებს შორის), 128-ე სშ. სკოლა. ტ: 32-82-60; 32-06-97; 30-51-30 (სალამოს)

ელიტარული პროფესიული სასწავლებელი გიწვევთ დაუფლოთ პრესტიჟულ პროფესიებს: იმიჯმეიკერი, PR-მენეჯერი, პრეს-მდივანი, რეკლამის მენეჯერი, მოდის დიზაინერი. გასაუბრება ყოველდღე (კვირის გარდა) 12-დან 15 სთ-მდე. მარჯანიშვილის №21, IV სართ. ტ: 95-41-59

თანამედროვე ფსიქოლოგიური მეთოდი და ტრადიციები სწავლებაში!!! დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მიღებას ფსიქოლოგთა საავტორო სკოლაში. მოსამზადებელ ნულოვან და X-XI კლასებში. მშობლებთან და მოსწავლეებთან იმუშავებს ფსიქოლოგიური კონსულტაციები. სოლოლაკი, პაოლო იაშვილის 22. ტ: 99-53-75

„მენეჯერთა სკოლა“ აცხადებს მიღებას კურსებზე 1. მარკეტინგის მენეჯერი 2. საერთაშორისო ბუღალტერია 3. ფინანსური მენეჯერი. გაიცემა სერტიფიკატი ტ. 34-66-54; 899-16-90-83

„ოქროს აქტივები“ – ეკონომიკური ცოდნის გავრცელების ფონდი, ფონდი „ჰორიზონტისა და გერმანიის საგანმანათლებლო სპეშოების მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს – „ფინანსურ მენეჯერთა მოსამზადებელი ტრენინგი, საქართველოს დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებულ საშუალო მაძიებლებისათვის“. სწავლება უფასოა. მონაწილეები შეირჩევიან ტესტირების საფუძველზე. ტრენინგის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. მსურველებს ვთხოვთ, წარმოადგინონ ცნობა საქართველოს დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში, რეგისტრაციის თაობაზე. მის: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, V სართ. ოთახები №508 და №509. საბუთები მიიღება 2001 წლის 2 ნოემბრამდე, მისაღები ტესტი ჩატარდება 2001 წლის 5 ნოემბერს. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: ტელ/ფაქსი: 94-15-04; ტელ: 98-47-06. e-mail: golden@geo.net.ge

შევიძენ

„ბუდა“ ფურგონ-მოსაკიდს, საუკეთესო მდგომარეობაში, ბოლო წლების გამოშვებას და გაზზე გადაყვანილს. ტ: 899-14-28-16

დიდი რაოდენობის უკანგაკ მაგთულადეს, 6X 6მმ-იანი უკრედით. ტ: 899-14-28-16

Ф1,2-1,8მმ-მდე დიამეტრის „ნერგავეიკა“ ან „აცანკოვან“ მავთულს. ტ: 899-14-28-16

სხვადასხვა

გაინტერესებთ სასიყვარულო პრესა? – იკითხეთ ყველგან სასიყვარულო პრესის ლიდერი – გაზეთი „სიყვარულის სამყარო“. გაზეთის რედაქციის ოფისში ფუნქციონირებს გაცნობისა და დათვალიერების კლუბი. მობრძანდით, ჩვენ დაგეხმარებით დათვალიერებაში. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ, ოთ. №210. (შეს. ჭოველიძის №2-დან). ტ: 93-49-72; 899 56-32-59

ხსოვნა

ლადო ფიფიას ხსოვნას

ვერ ულამაზესი შვილი ლაშა, მერე ცრემლშეუშრობელი მამა. ამდენ სიმწარეს, ტკივილს, მონატრებას რა გულმა უნდა გაუძლოს, შენ ხომ ჩვენი საფიცარი ერთადერთი ძმა იყავი. ლადო ფიფია... ერთი ლამაზი ზუგდიდელი ობოლი ბიჭი. აკი ობლის კერი გვაან ხომ ცხვებოდა, ძმაო. შენთვის ეს კერიც დაენა ბუნებას. ვაი, იმ ვაიდასტატარს ვისი უცოდინარობით მიდიხარ ამ ქვეყნიდან. ღმერთსა ვთხოვთ საკადრისი სასჯელი მიეზღოს მის უგუნურობას. ჩვენო დიდი იმედო, ჭირში გამტანო, სტუმართმოყვარევ, მოუსვენარო, ქველმოქმედო, კეთილო, ასეთი კარგი დარჩები შენს შთამომავლობაში. 28 აგვისტოს წმინდა დღეს დაბადებულო წმინდა ბიჭო, ვინაცვალეთ გაძრენს ასეთი რომ გვყვდე და გვაპატიე ძმაო, რომ ვერ მოგარჩეთ.

მალე შეხვდრამდე, შენი დები

მაია ჯანგავაძის გახსენებას

მაიკო, უკვე სამი წელიწადი სრულდება რაც შენი ლამაზი სული მარადისობაში დამკვიდრდა. წარსული, რომელსაც შენ ავსებდი უიმედო და ულამაზო აწმყოთი შეიცვალა. 4 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, შენ ხომ სექტემბერს მოელინე ქვეყანას, მაგრამ 1999 წლის 9 სექტემბერს მოსკოვში მომხდარმა ტერაქტმა, შენს სახლში მოგისწრაფა სიკვდილე. უსაზღვროა მონატრება, სხვა რა დავგვრჩენია, მოვალთ შენს საფლავზე, სანთლებს დავანთებთ და ვილოცებთ შენი ნათელი სულის უკედავსაყოფად. უნგაროდ თესდი სიკეთეს და სულით ხორცამდე მოყვასისთვის დახარჯული მადლით და პატიოსნებით წარსდექი უფლის წიაწმე. სამარად დარჩა შენი ცხოვრების გზა მაიკო.

ოჯახი

გოჩა ჩხეიძის მონატრება

ძმო გოჩა, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, ვულს გვიკლავს იმაზე ფიქრი, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ, აკლიხარ უბანს, ეზოს, სამეგობროს, საძმოს, დედას და ოჯახს. ცოტა ხნით გარგუნა განგებამ ცხოვრება. უშენოდ დაიქარგა შენი სამძო, იშვიათად გვწევს ერთად ყოფნა, ისევ შენთან თუ მოვიყრით ხოლმე საფლავზე თავს, გვაკლია შენი დგომა, შენი კაცური სიტყვა, შენი იშვიათი ღიმილი. 24 აგვისტოს გისრულდება 31 წელი. ამთავლი ისევ შენს საფლავზე ჩვენი მოგონებებით, დაგინებით სანთლებს და შევთხოვთ უფალს ნათელში გვიმყოფოს შენი წმინდა სული.

დაბადების დღეს გილოცავს შენი სამძო და სამეგობრო

ჩვენო საყვარელო ბესო!

ძმო ბესო, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. 5 სექტემბერს ერთი წელი სრულდება, რომ შენ ჩვენთან აღარა ხარ, ყველას გვაკლიხარ. შენ ჩვენ შორის ხომ გამორჩეული იყავი. რა ვუთხრათ შენს უბედურ მშობლებს, შენს საყვარელ დას, რომელსაც უშენოდ ცხოვრება წარმოუდგენელი ეგონა. ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია, შევთხოვოთ უფალს, რათა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი, უბოროტო სული.

დეიდაშვილები

ნინო როუხაძის ხსოვნას

ჩვენო საყვარელო და სანატრელო ნინიკო, 5 სექტემბერს ორმოცი დღე სრულდება შენი იმქვეყნიურ სასუფეველში გადასვლისა. ჩვენო ნინიკო, გაუსაძლისია ჩვენი ყოფნა უშენოდ. თვალწინ გვიდგახარ შენი მოციმციმე თვალებით და მხიარული სახით. შვილო, 28 წელი იცხოვრე ამ ქვეყანაზე, მაგრამ ალბათ ეს ღმერთის განგება იყო. იმედი მაქვს, რომ ღვთისმშობელი მფარველობას არ მოგაკლებს და თავის კალთის ქვეშ ეყოლები. შევთხოვ უფალს, რომ ნათელში ამყოფოს შენი სულიკა სული.

შენი ოჯახი

სულიკო ქურდაძის გახსენება

ჩემო სულის მეგობარო, მიწურა რვა ტკაველიანი წელი. 4 სექტემბერს 66 წელი უნდა მოგეგლოცა. დავგეტოვე მოუშუშებელი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება. წმინდა სანთლებით მოვალთ შენს საფლავზე და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის, ნათელში გამყოფის უფალმა.

შენი საყვარელი ოჯახი

მამუკა მაისურაძის მონატრება

გავიდა გაუსაძლისი ერთი წელი ტკივილით, სევდით. ვერ ვეგუებით უშენობას. სიცოცხლით ნაღვიძი გქონდა, 35 წელი იცოცხლე. გვიყვარხარ და გვენატრები უსაზღვროდ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი, მოსიყვარულე სული და დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

დეიდა, დეიდაშვილები

აბესალომ (ბესო) გაბედავას

წელიწადია, შენ აღარა ხარ,
დედის სიცოცხლევ, მამის იმედო,
გადაიქროლე უშვილ-უძიროდ,
დის სიხარულო, კეთილო ბიჭო...

სექტემბრის თვე ჩვენი ოჯახისათვის მწარე თვეა. სამეღისწეროდ გათენდა შენთვის ის ავადმოსაგონარი დღე 5 სექტემბერი, ვეღარ მოასწარი ბედნიერების მწვერვალზე ასვლა. ეს ერთი წელი უშენოდ გავატარეთ ცრემლში, დარდსა და გაუსაძლის ვითარებაში, რომელიც ერთი საუკუნეა ჩვენთვის... ღმერთმა გადაგაჯაროს კალთა ზეცაურ სასუფეველში.

შენით გაუბედურებული ოჯახი

ცისანა ლორია-გედენიძის მონატრება

გავიდა ზუთი სევდით სავსე წელი. ცისანა ბიცოლა, თითქოს გუშინ იყო ის სითბო, სიყვარული და თბილი ღიმილი, რომლითაც გვხვდებოდი. დიდი ტკივილი დავგიტოვე შენი ამ ქვეყნიდან წასვლით. ყველას გვენატრები და ძალიან გვაკლიხარ, განვიცდით უშენობას. ისღა დაგვრჩენია ღმერთს შევავედროთ შენი ნათელი სული და ავინთოთ წმინდა სანთლები.

ინაშვილები

დიჟონი ლაბაძის გახსენება

„ჯიგონს მამას, მართალს და ამაყს“ ძნელი ყოფილა უშენობა მამა, წლებმა ვერ გაანელა ის უსაზღვრო მწუხარება, რომელსაც უშენოდ განვიცდით. ყველას დაგვეტყო შენი არყოფნა. ძალიან გვენატრები, ჩვენი დიდი ტკივილო, დაე მსუბუქი ყოფილიყოს ის მიწა, რომელიც მძიმედ ადევს შენს კეთილ გულს.

შენი ოჯახი

ლეილას ხსოვნას

ლამაზად განვლეთ წუთისოფელი, სიცოცხლე გიყვარდათ და ირგვლივ სიყვარულს ფურქვნევდით. გვიყვარხართ და გვენატრებით. ძალზე გვაკლია თქვენი ზრუნვა და ალერსი. მუდამ ვილოცებთ თქვენი სულისთვის. ღმერთმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი.

თქვენი დიდი ოჯახი

გურამ ფირცხალაიშვილის ხსოვნას

მალე სამი წელი შესრულდება გურამ, რაც ჩვენთან აღარა ხარ. სამი საშინელი, ტკივილიანი წელი. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი. ზოგჯერ, როცა ძალიან მიჭირს და აუტანელი ხდება აქ გაჩერება, მანდ ამოვრბივარ და ქუას ვეზიარე დარდებს. ძნელია უშენობა. დრო კი მირბის, დრო ულმობელი. სოფიკო 4 წლის ხდება. გურამი კოს შენს დაბადების დღეს უსრულდება 2 წელი და გაჩნდა ნანატრი მთიკოც. დაიზრდებიან პატარები, მაგრამ ვაი, რომ ჩვენ მოგვიწევს მათთვის შენი გაცნობა, თუ შეგძელით. გილოცავ დაბადების დღეს ძვირფასო. მჯერა იქაც გაიბრწყინებს შენი ლამაზი სული.

შენი ნუნუ, კახა, ზაზა

პაატა ყოლბაიას ხსოვნას

ორმოცი დღე გავიდა უშენოდ. ჩვენ მხოლოდ ის დავგრჩენია, სანთლები დავინთოთ და შენს იმქვეყნიურ მომავალზე ვიფიქროთ. კეთილო და ალალო პაატა, შენი სული ცათა სასუფევლისკენ გაიკვლევს გზას. ამ იმედით ვცოცხლობთ ყველა შენი ახლობელი და ნათესავი. გვეგონა ნათლობაში, ქორწილში დავგპატიჟებდი, შენ კი ათი წლის უნახავი ტრაგიკული სიკვდილით გამოგვეშმეხებე. იძინე მშვიდად, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

ელისო და ინგა უბილავები

ირაკლი მაღრაძე



ჩვენო საყვარელო ირაკლი, ძნელია ჩვენთვის შენი უცნაური სიკვდილი, ჭრილობა, რომელიც არასოდეს ხორცდება – ამ ჭრილობას შენი სიკვდილი ჰქვია. ცუდი მარიამობა დღე გაგვითენე. რამდენი ტკივილი დაიტია შენმა გულმა: შვილის სიკვდილი, საყვარელი ძმის სიკვდილი. ამ ტკივილს ვერ ამსჯავნებდი, გულში გჭირდა დამარხული, ვეღარ გაუძელი ამ გულმა ამდენ ტკივილს. შენც შეუერთდი შენი შვილისა და ძმის მარადიულ სუფეველს. ბუმბულივით მსუბუქი იყოს შენთვის ის მიწა, რომელსაც ჩვენ შენს ლამაზ გულს დავაყრით. არასოდეს დავივიწყებთ, ჩემო საყვარელო ადამიანო.

მეგობრები

(ლევანი) უსუპი ჟამერა შვილის ხსოვნას

ათი წლის უკან 30 აგვისტოს აფხაზეთის მიწაზე მტრის ტყვიამ დაგცა, უშენოდ 10 წელი მთელი საუკუნეა უსუპი შვილო. გვენატრები ყველას. 19 წლის ბიჭმა წაიღე სამშობლოს სიყვარული. მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენთვის. ღმერთმა ცათა სასუფეველში გამყოფოს.

გელა ბელქანიას გახსენება

29 აგვისტოს ქ. გაგრაში, სოფ. კოლხიდასთან უკანასკნელად გათენდა დილა შენთვის და შენი კურსელებისთვის. მტრის ალყაში მოქცეულმა, მტრის ტყვეებით დაცხრილულმა დაასრულე ხანმოკლე სიცოცხლე. როგორც კი სამშობლოს გაუჭირდა უყოყმანოდ დადექი ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლის სადარაჯოზე. უსიხარულოდ მიდის დღეები, წლები, ცრემლი არ შრება. გვენატრები, გვენატრება შენი ღიმილი, გამხიარულა, შენი ხმა... ენატრები დედას, რომელიც ათი წელია გელოდება, შენ ხომ მისი პირველი დიდი სიხარული და ცხოვრების მიზანი იყავი. იძინე მშვიდად მარადიულ სამყაროში, ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

ოჯახი

ლევან აბრახამიას გახსენებას!

შენ ჩვენი მონატრება გქვია... ლევანიკო, უკვე 40 დღე გავიდა რაც შენი თავი სიკვდილმა წაგვართვა. რაც სამუდამოდ დავკარგეთ. გვიჭირს იმის გაცნობიერება და დაჯერება, რომ შენ ჩვენს გვერდით არ ხარ. გვენატრები, ლევანიკო! შენი ხმა, სიცილი, საუბარი გვენატრება. შენი ვაჟკაცობა, უკვდავი სახელი კი ჩვენდა სანუგეშოდ დატოვე. დავგვტოვე მოურჩენელი იარა და სულის ტკივილი. დაე ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ულამაზესი სული.

კლასელები

ნეკროლოგი

მეულლე ვასო ახალაია. შვილები ელისო, დათო. შვილიშვილები ვასიკო, ნოდარი, მელა ახალაიები, მაშიკო, ნანა, მარიკა ვეკუები, ძმა ნოდარ ადამია, რძლები ვალია, მარინა, სიძე დათო ვეკუა, ძმისშვილი ნანა ადამია ოჯახებით ოუწყებიან რომ გარდაიცვალა

ნონა დავითის ასული ადამია-ახალაია

დაკრძალვა 31 აგვისტოს მოსკოვში 117335 ნახიმოვის პროსპექტი 67, კორპ.2 ბ.67

მეულლე ცისანა, შვილი ლაშა, შვილიშვილები ნიკა, მარიამი, ძმა კაკო, და ცოური ცეცხლაძეები ოჯახებით ოუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ ცეცხლაძე

პანაშვიდი: 1, 2 IX 16 სთ. გამოსვენება: 3 IX 15 სთ. მის. ბახტრიონის ქ. № 28, II სად. II სართ.

მშობლები, მეულლე, შვილები და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ომარის ძე მგალობლიშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს 15.00 სთ-ზე

ნაესაკოვოს პედაგოგური კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ნაესაკოვოს სკოლის დირექტორს ვეფხვ კუჭუხიძეს ძმის, ოუზა ვლადიმერის ძე კუჭუხიძის გარდაცვალების გამო

თანაგრძნობას ვუცხადებთ ივანა ივანურაშვილს მეულლის – ალიკა ხელაშვილის გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

მამიდები შურა, ელპიტა და მარიკა ივანურაშვილები

ექვსი ლამაზი სულის მოსახსენებელი

ძალიან გაგვიშინაურდა სიკვდილი, დაუნდობლად გვიტოვებს თავის სისხლიან ნაფეხურებს სულში... ტკივილს ცრემლებითა და გოდებით ვიყუჩებთ თითქოს, მაგრამ ახლა აღარც ცრემლი, აღარც სიტყვა აღარ იტევს დარდს და ჩვენივე უმწეობით კიდევ უფრო გულდამძიმებულებსა და გაოგნებულებს სანთლებს გვანთებინებს, მხურვალე ლოცვას აღგვავლენინებს ექვსი ლამაზი სულისათვის, 40 დღის წინ ავტოკატასტროფამ რომ იმსხვერპლა... „მოიხსენე, უფალო, სულნი გარდაცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა, მიუტევენ ყოველნი შეცოდებანი და მიეც საუკუნო ხსენება“ 20 წლის ანიკო კვანტალიანს, 10 წლის ზაზა ხაინდრავას, 22 წლის გია ფიოლიას. 43 წლის კოთინო ფხაკაძეს, 14 და 12 წლის დადუ და ხათუნა სურგულაძეებს.

ახლობლები

13 აგვისტო — ვარსკვლავთცვენის ღამე იყო...

15 წლის ქუთაისელი თორნიკე ჯგერენაიას შესახებ „კვირის პალიტრა“ ამ ცოტა ხნის წინ წერდა. უფალმა თორნიკე გამოარჩია და... ბიჭს სხეულზე ესახება ჯვრები, ფიგურები, რიცხვები, ბიბლიისეული ფრაზები, სდის მირონი ჭრილობებიდან, რომლებიც ზუსტად იმეორებენ იესოს ჯვარცმას, მაგრამ მთავარი მაინც სულია, თორნიკეს გონებასა და არსში ჩასახლებული... როცა უფალზე საუბრობს, თორნიკე არ არის ბავშვი. ის ერთდროულად ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, მქადაგებელია, მის სიტყვას უდიდესი ძალა აქვს. „ეს არ არის ჩემი ცოდნა, მე ვამბობ იმას, რასაც უფალი შთამაგონებს და ვალდებული ვარ, ხალხამდე მივიტანო ღმერთის სიტყვა და ნება, რათა ჭეშმარიტ გზას არ ავცდეთ“, — ამბობს ყმაწვილი, რომლისაც, სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის...

— ვიცი, ბევრს ჭორაობენ ჩემზე, — მეუბნება თორნიკე, — მე არავის ვახვევ თავს ჩემს არსებობას, მაგრამ როცა ადამიანები მაძლევენ უამრავ შეკითხვას, ვერ გავუშვებ უარით. უფალი მავალებს, თვალის ახელაში, ჭეშმარიტების დანახვაში დავეხმარო მათ. რა აღარ დამაბრალეს: მარჩიელიაო, მჩხიბავიო, პატრიარქი განურისხდაო... ვისაც მსგავსი ეჭვები აწუხებს და ჩემი არ სჯერა, დარეკოს საპატრიარქოს პრესცენტრში ან საპატრიარქოს რადიოში და ყველა კითხვაზე მიიღებს პასუხს.

— შენ უკვე მეორედ შეხვდი პატრიარქს...

— ბედნიერი ვარ, რომ აგვისტოში უწმინდესმა ზეთი მცხო სიონში და კურთხევა მოგვცა ფილმის გადაღებაზე, რომელსაც ჩემზე იღებს რეჟისორი დათო ნანობაშვილი. შეხვედრის მთავარი მიზეზი იყო ხილვა სერაფიმ საროველისა. ეს ამბავი აუცილებლად ილია II-ისთვის უნდა მომეყოლა. მან ყურადღებით მომისმინა. ჯერჯერობით არა მაქვს მისი გაცხადების უფლება. ეს რელიგიას ეხება. უფალი ამბობს: „ყველანი, მართლმადიდებელთა გარდა, პირბნელი წარდგებიან ჩემ წინაშე!“ — თუმცა კი, არც იმით შეიძლება თავი დავიმშვიდოთ, რადგან მართლმადიდებლური წესით ვართ მონათლულები, უკვე გადარჩენილები ვართ: ვინც ეკლესიურად არ ცხოვრობს შორსაა უფლისგან, ამიტომაცაა ამდენი ჭირი ჩვენს თავს და ავადმყოფივით ბორგავს ქართველი ერი, ჩვენი სამშობლო....

— ამ ხილვაში ალბათ ასე მომრავლებულ სექტებზეც იყო საუბარი, მათ შორის იელოველებზეც!

— იელოვას მიმდევრები ყველაზე საცოდავი ადამიანები არიან. უფალი სასწაულით უჩვენებს ხალხს, რომ არავის მისცემს მის კანონებში ჩარევის უფლებას. სატანის მიმდევრებს აქვთ ამ ქვეყნის დატოვების შიში და უფლის გმობამდე მიდიან, იგივეა ჩადებული იელოველთა მოძღვრებაში — დედამიწაზე მარადიული ყოფნა და ნეტარება, ე.ი. სატანასთან წილნაყარნიც არიან.

— არ გიცდია, იელოვას მიმდევრები შემოგებრუნებინა ჭეშმარიტი რწმენისკენ?

— ისე აქვთ გული და გონება ჩაკეტილი, ვერაფერს მიხვდნენ. უფალი ყველაფერ იმას აძლევს ხალხს, რისი ღირსიცაა და რაც დაიმსახურა. იელოველებიც ცოდვის გამო გაჩნდნენ ჩვენ გვერდით, ვერ ვიფხიზლეთ ისე, როგორც საჭირო იყო და მტერიც გავიჩინეთ იქ, სადაც სიყვარული უნდა გვემრავლებინა...

— აგვისტოში უკვე ინტენსიურად და განმეორებით გასახებოდა „13 აგვისტო“ სხეულზე...

— ამ დღემ მშვიდობით ჩაიარა და ახლა მავანნი მედავებიან, — რატომ არ დაინგრა ქვეყანაო. თითქოს უბრალო თვალის სეირის ნახვა გამორჩათ! 18 ქვეყანაში მოხდა უდიდესი წყალდიდობა, რასაც მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა, თანაც სწორედ 13-ში იყო წყლის მატების პიკი — ეს არაფერს ნიშნავს? საქართველო რომ გადარჩა, ამის გამო ბედნიერებას უნდა გრძნობდე, იმედგაცრუებას კი არა. საერთოდ კი, ქართული მიწა — წმინდა მიწაა, მას ყველაზე მეტად უფრთხილდება უფალი და ის აუცილებლად გაბრწყინდება ადრე თუ გვიან...

მე რასაც უფალი მიკარნახებს და პატრიარქი მომცემს ნებას ხმამაღლა თქმისა, უნდა ვთქვა, ვალდებული ვარ. იცით, რამდენი ლოცულობდა გულმხურვალედ მას შემდეგ, რაც განსაცდელის მოახლოების შესახებ გაიგო? უთუოდ ამანაც გადაგვარჩინა!... ისე, 13 აგვისტო ვარსკვლავთცვენის ღამედაც იყო გამოცხადებული...

— მირონმდინარე სატების ჩვენებასაც დაგვპირდი, თორნიკე!

— მირონი გადმოსდის ჩემს დაწერილ მთავარანგელოზ მიქაელის ხატს. სასწაული კი მოახდინა ღვთისმშობლის ხატმა, რომელიც ორი წლის წინ მოვქარგე. ამ ცოტა ხნის წინ ჩარჩოს მინა გამუქდა. ხატი არც ჩანდა. მოვხსენით და გაოგნებულებიც დავრჩით — ხატი მინაზე გადასულიყო. ახლა კედელზე ისახება ჯვარი, რომელიც ხელებაპყრობილი ქალის ფიგურასაც წააგავს.

— ამ მირონის ანალიზი ისევ ვერ მოხერხდა?!

— არა, ეს საქართველოში შეუძლებელია და იმაზეც დაიწყეს ლაპარაკი, ეს არ არის მირონიო. პატრიარქმა თქვა, — რა მნიშვნელობა აქვს, რა შემადგენლობისაა, როცა აშკარად გადმოდის ზეთიო! და საერთოდ, ამ სასწაულს დაიჯერებს ის, ვისაც უნდა დარწმუნდეს უფლის ძალაში და არა ჩემში!..

— კიდევ რას ეტყოდი ხალხს?

— ყველა ეს სასწაული მხოლოდ ჩემთვის არ ხდება. ხალხს ღვთის შიში და რწმენა ჰქონდა დაკარგული. ჩემთან შეხვედრის შემდეგ კი ბევრი გახდა მორწმუნე, მეც ამიტომ ვჩქარობ, რაც შეიძლება მეტს მივაწვდინო ხმა... ვიმეორებ, მე არაფერი შემიძლია უფლის ნების გარეშე და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მეც გადამეკეტოს ინფორმაცია, ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ და იმიტომ!... ვიმეორებ, უფალთან ყოფნის ყველა მსურველი გადარჩება, ქართული მიწა გაბრწყინდება!.. უგუნურებაა ღვთის ნებას შევეწინააღმდეგოთ.

თორნიკემ ბაგრატის ტაძარს ღვთისმშობლის მიძინების მოქარგული ხატი შესწირა, რომელიც მამა ზინობმა აკუთხა და უკვე ტაძარში დასვენების პირველი დღეებიდანვე სდის მირონი... ახლაც წერს ხატს... რაც შეეხება ნახატებს, მათმა რაოდენობამ უკვე 80-ს გადააჭარბა, ბოლოს „ბაბილონელი მეძავი“ დახატა.

— იქნება ქალი, რომელიც თავისი ნაბანი წყლით აზიარებს ხალხს, რაც, ბუნებრივია, ცუდია და ესეც ანტიქრისტეს მოსვლის ერთერთი ნიშანია, რადგან ხალხი გახდება სიბინძურის მოზიარე: „თუ სიბილწის ღვინო მიიღე, აღარაა ლაპარაკი იმაზე, რომ არ გაჰყვები ანტიქრისტეს!“.. ამისგან კი, უფალმა დაგვიფაროს და ამიტომაც უნდა ვიყოთ ფრთხილად, — ამბობს თორნიკე.

ნუ გავიმეტებთ ჩასაქოლად თორნიკე ჯგერენაიას. ეს ცოდვისაგან დამძიმებული სინდისისთვის ვერაფერი ნუგეშია. დავუჯეროთ მას, მივუგდოთ ღვთის სიტყვას ყური და ვილოცოთ. წუთითაც არ დავივიწყოთ, რომ ღვთით კურთხეული მიწის შვილები ვართ, რაც პირველ რიგში უდიდესი პასუხისმგებლობაა.

ინგა ჯაყელი

უცნობი ქალიშვილის საოცარი საჩუქარი

მეცნიერების დოქტორ მიშელ სეროს და ამო-ს შესახებ დაწერილ მის ნაშრომებს კანადაში ყველა იცნობს. ის ამტკიცებს, ბევრი ისტორიული მოვლენა გარმიანელთა ჩარევით მოხდაო, მაგრამ სეროს მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმ საოცარმა უნარმა, რომლის ძალითაც იგი თავიდან იცილებს ყველა ხიფათსა და უბედურებას.

თავიდან კოლეგებს მიშელი ქუდბედიანი ეგონათ. ერთხელ ბოლო წუთს უარი თქვა კვებეკიდან მატარებლით გამგზავრებაზე, თუმცა კონფერენციაზე აგვიანებოდა. მატარებელი რელსებიდან გადავიდა, ხოლო იმ ვაგონში, რომლითაც მას უნდა ემგზავრა კოლეგებთან ერთად, თერთმეტი მგზავრი დაიღუპა, ბევრი მძიმედ დაშავდა. ანალოგიური შემთხვევა მოხდა 1992 წელს, როდესაც მარსელიდან უნდა გაფრენილიყო სტრასბურგში, მგზავრთა რეგისტრაციის შემდეგ თვითმფრინავიდან ჩავიდა. თვითმფრინავი დაჯდომისას აფეთქდა, 87 ადამიანი დაიღუპა.

უამრავი ასეთი შემთხვევის გამო მეგობრებმა ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეს, რომ მიშელს უზარმაზარი ინტუიცია ჰქონდა... ხოლო კითხვაზე, როდის იგრძნო ეს, მიშელ სერო ყველას ერთსა და იმავე რომანტიკულ ამბავს უყვება:

— ტრუა-რივერიდან გვიან ღამით კვებეკში ავტომობილით ვბრუნდებოდი. არც ვიცი, რატომ, გაჩერებაზე გადავუხვიე, სადაც იმ დროს არავინ არ უნდა ყოფილიყო. სკამზე ულამაზესი გოგონა იჯდა. რაღაც არამიწიერი სხივი დასთამაშებდა — სრულქმნილი მშვენიერება იყო. გოგონა ისე იქცეოდა, თითქოს მელოდა. იმდენად ავღელდი, რომ აღარც მახსოვს, მე ვთხოვე თუ თავად მომიჯდა გვერდით მანქანაში...

მიშელი ბერბიჭა იყო, ქალებთან იშვიათად დადიოდა და ერთი შეხედვით შეუყვარდა გოგონა. გზაში ბევრი ისაუბრეს. აღმოჩნდა, რომ თანამგზავრმა მისი ყველა ნაშრომი იცოდა.

— სიზმარში მეგონა თავი, — იგონებდა სერო, — არაფერი მიკვირდა, ეჭვი არაფრისა მქონდა, თავს ბედნიერად და მშვიდად ვგრძნობდი. ეს ქალიშვილი ქმნიდა ამ ატმოსფეროს.

სამი დღე ერთად დაჰყვეს. ეს ბედნიერი დღეები იყო. სეირნობდნენ, საუბრობდნენ, მაგრამ მიშელი არაფერს ეკითხებოდა — იცოდა, გოგონა უსათუოდ მიუგებდა, — განა ის, რომ შენთან ვარ, საკმარისი არ არისო?

სამი დღის შემდეგ იდუმალმა უცნობმა გამოუცხადა, — მივდივარ და სამახსოვროდ საჩუქარს გიტოვებო. შემდეგ შუბლზე ხელი დაადო და უთხრა, — შეგიძლია ამას „ხიფათის სიგნალიზატორი“ დაარქვა. როდესაც შინაგან სიგნალს გაიგონებ, ნუ გააკეთებ იმას, რისი გაკეთებაც გინდა, არ წახვიდე იქ, სადაც წასვლას აპირებდი, შეცვალე გეგმებიო.

დოქტორი სერო ირწმუნება, — ამ სიგნალს ყოველთვის ვუჯერებ და იმედი მაქვს, ჩემი საყვარელი არსება კვლავ გამოჩნდებაო.

ნლო №31

თვის რიცხვების მიხედვით სიზმრის აცხადების შესაძლებლობა

1 — სიზმარი ცხადდება ზუსტად და სიკეთეს გიქადის;
2 — ცრუა;
3 — სწრაფად აცხადდება;
4 — არც ისე ჩქარა აცხადდება;
5 — კარგის ნიშანია;
6 — მოგვიანებით აცხადდება;
7 — ბედნიერი სიზმარია, მაგრამ ნურავის გაანდობთ;
8 — სურვილის ასრულებას მოასწავებს;
9 — ასრულდება, მაგრამ უსიამოვნებასაც ელოდეთ;
10 — ასრულდება;
11 — 11 დღეში ასრულდება და სიხარულს გპირდება;
12 — სწრაფად და კეთილად აცხადდება;
13 — უსიამოვნებას მოასწავებს;
14 — უიღბლო სიზმარია;
15 — სწრაფად და ძალიან კარგად აცხადდება;
16 — არ ასრულდება და არც არაფერს ნიშნავს;
17 — წარმატებას გპირდება და 20 დღეში ასრულდება;
18 — მოგებას და განახლებას გპირდება;
19 — ოჯახში დავიდარაბას მოასწავებს;
20 — სწრაფად აცხადდება;
21 — აცხადდება მოგვიანებით, მაგრამ სიმდიდრეს გპირდება;
22 — უსიამოვნებას წინასწარმეტყველებს;
23 — სწრაფად აცხადდება;
24 — სასიხარულოა და მალეც აცხადდება;
25 — ცრუა;
26 — კმაყოფილებასა და გუნებიანობას მოასწავებს;
27 — უაზროა, არაფრისმთქმელი და უმნიშვნელო;
28 — განიშნებს, დაბრკოლება გექნებაო და 30 დღეში აცხადდება;
29 — არ აცხადდება;
30 — ფანტასტიკური სიზმარია და არც ყოველთვის ცხადდება;
31 — სიყვარულში გამარჯვებას, ტკბობას მოასწავებს და 15 დღეში ასრულდება.

ტალისმანი

„საბალღო-სალაღო“ გეერდის პასუხები

I. აბა, გამოიცანი
1) — ბ); 2) — ა); 3) — დ);
4) — ბ).

II. მე-8 და მე-9;

III. სწავლა ცოდნის თესლია, ცოდნა კი ბედნიერებისაო;

IV. ისარი;

V. 1 — ვ; 2 — ა; 3 — ბ;
4 — ე; 5 — დ; 6 — გ.

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:
1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა, 4. უცხოური ენები - ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული,
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ისტორია და რელიგიის ისტორია,
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
11. ფიზიკა და მათემატიკა, 12. ქიმია და ბიოლოგია,
13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

ᲜᲣᲗᲣ ᲔᲡ ᲪᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲘᲧᲝ?

თუმცა ეკლესიური ცხოვრებით ვერ ვცხოვრობ, ყველა ქრისტიანულ წესს და დღესასწაულს ვიცავ. ისიც უნდა გითხრათ, რომ ხანდახან წინათგრძნობაც მაქვს, უცნაური ხილვებიც და მისნური სიზმრებიც.

ფერისცვალების წინა საღამოსაც ხილვა მქონდა — სხვას ვერაფერს დავარქმევ იმას, რაც შემემთხვა.

ორთაჭალაში ვცხოვრობ. ჩვენი სახლი კრწანისს გაჰყურებს.

გვიანი საღამო იყო, ცას უკვე ბინდი მორეოდა. საქმეს მოვრჩი და აივანზე გავედი. კრწანისისკენ გავიხედე. ცის კიდური შემღვრეული იყო. უეცრად გველეშაპივით გაიჭიმა შავი ღრუბელი. იმდენად შემზარავი, რომ სუნთქვა შემეკრა. იმავე წამს ღრუბელს დაადგა ისარივით ტანამართული მამაკაცი. მოკლე კაბა-აბჯარი ემოსა. მშვიდი სახე ჰქონდა, ძალიან ჰგავდა წმინდა გიორგის. მის ირგვლივ ყველაფერი გასხივოსნდა. ორიოდ წამის შემდეგ ეს ხატება გაქრა და ის ადგილი გაბრწყინდა. გამოისახა ვაშლის ყვავილის მსგავსი ულამაზესი, მოთეთრო-მოვარდისფრო, დაწინწკლული ყვავილი, რომლის შუაგული ნათლით გაცისკროვნებული იყო. ცხადად ვგრძნობდი, იქ ნეტარება, სიხარული და ბედნიერი სიცოცხლე დუღდა...

ეს ყველაფერი გაქრა, მაგრამ დამრჩა დიდი იმედის და სიხარულის განცდა.

მზიანა ბერეჟიანი

პირველი ზანგი საქართველოს ნაკრებში?

ჩივაძეს შვეიცარიაში წარმატების იმედი აქვს

რომაული გამონათქვამი — ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიან, — ალექსანდრე ჩივაძესაც ადარდებს. როდესაც საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტად გაუჭირდა, მისი მწვრთნელად დაბრუნება ფედერაციის თავკაცმა სასურველად მიიჩნია.

„შინდისფერთა“ ნაკრები შარშან ამ დროს საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა: განხეთქილებები, უნიათობა, სხვა ათასი რამ აწუხებდა და საშველიც არ ჩანდა. ფეხბურთელებს ხელმძღვანელობის იმედი გადაწურული ჰქონდათ და ბუნებრივიც იყო შინააშლილობა.

შექმნილი ვითარების სირთულეს ჩივაძე სხვაზე ნაკლებად როდი იცნობდა და როდესაც ჟორდანიამ წინამორბედ მწვრთნელთა დუეტის შეცვლა შესთავაზა, თავდაპირველად თავი შორს დაიჭირა. ბატონ საშას მშვენივრად ახსოვს გულშემატკივრებისთვის ბურუსით მოცული 1996 წლის აპრილი (როდესაც რუმინეთთან სამარცხვინოდ, 0:5 წავაგეთ) და იმავე წელს ინგლისელებთან მარცხის მიზეზები.

ზოგადად, საქართველოს ნაკრების მართვა ურთულესი საქმეა. გარდა შედეგებისა (რომელსაც გულშემატკივარი ითხოვს), მწვრთნელებს ფეხბურთელებთან ურთიერთობაც დიდ სირთულეებს უქმნის: ვინ როგორ ხასიათზე ჩამოვა შეკრებაზე, ვინ ვისთან მეგობრობს, რას გამოიწვევს ამა თუ იმ მოთამაშის შემადგენლობიდან „ამოგდება“ და ა.შ.

არადა, 15-20 წლის წინ ეს კაცი მოედანზე არავის არაფერს უთმობდა და ბრძოლიდან ძირითადად გამარჯვებულიც გამოდიოდა. მეტიც, ასეთი წარმატებული კაპიტანი ქართველებს არც გვყოლია და ეტყობა, მასში ბრძოლის ჟინმა ისევ იფეთქა. ნიჭიერ კაცს საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება სურდა.

ჩივაძის დაბრუნების შემდეგ ნაკრები თითქოს გარდაიქმნა და ოთხი მატჩი ზედიზედ წარმატებულად ჩაატარა. ბევრმა შვებით ამოისუნთქა, ალბათ, გვეშველაო, მაგრამ ყველაფერი დროებითი აღმოჩნდა. თურქეთთან წარმოჩენილი ხარვეზები (მსუბუქად ნათქვამია, არა?) აშიშვლებს ქართულ ფეხბურთში არსებულ რეალურ ვითარებას.

***საშა ჩივაძეს** „კვირის პალიტრამ“ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვა (არ უყვარს ბატონ საშას პრესასთან ხშირი ურთიერთობა)...*

— როგორ შეაფასებდით ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის შედეგებს?

— მე და მერაბ ჟორდანია ერთ გუნდს წარმოვადგენდით და გამარჯვების იმედი გვქონდა. ასე რომ, ყრილობის შედეგებს ნამდვილად არ გავუცებივარ.

— თქვენი აზრით, საქართველოს ფედერაციაში რა ადგილი უჭირავს დავით პეტრიაშვილს?

— მე დათოს ძალიან ვაფასებ. ყველაფერს რომ დავანებოთ თავი, იგი ფედერაციის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი გახლდათ და დიდი სარბიელიდან წასასვლელად არავის გვემეტება. ყოველთვის წარმატებით მუშაობდა და ქართულ ფეხბურთში დარჩენას ვუსურვებ.

— თქვენ ამას ხელს შეუწყობთ?

— რატომ უნდა შევუშალო ხელი მე დავით პეტრიაშვილს? ასეთი კითხვა არ მესმის.

— კითხვაც ამას გულისხმობს, როგორ, რანაირად შეუწყობთ ხელს?

— ამას, ალბათ, მერაბი და დათო უკეთესად მოიფიქრებენ. ეჭვი არ მეპარება, რომ დათოს ქართულ ფეხბურთში თავისი ადგილი აუცილებლად მოეძებნება.

— საინტერესოა, ნაკრების მწვრთნელი რა იმედს უკავშირებს ჟორდანიას პრეზიდენტობას?

— მერაბის წარმოდგენილ პროგრამაში ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენი პრეზიდენტი პრიორიტეტულად ნაკრების დაფინანსებას მიიჩნევს. ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას უდიდესი ყურადღება მიექცევა. ეს მიმართულებები ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია. სხვაგვარად ეროვნული ნაკრების წინსვლა წარმოუდგენლად მიმაჩნია.

— ფიფა და უეფა არც უახლოეს ოთხწლედში დაიშურებს ჩვენთვის გრანტებს. თქვენი აზრით, რომელი მიმართულებით ღირს ამ მილიონების დახარჯვა?

— ამის თაობაზე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო. საუკეთესო არჩევანის გაკეთებას კი დრო სჭირდება. ნაკრებს უმნიშვნელოვანესი თამაშები ელის და სიმართლე გითხრათ, არც ვფიქრობ ამ საკითხზე. ჩემთვის ახლა მთავარი საზრუნავია გუნდის კარგად მომზადება შვეიცარიასთან შესახვედრად.

საერთოდ, ბავშვთა ფეხბურთს თუ არ მოვუარეთ, დიდი წარმატების საფუძველი არ გვექნება. ახლა ბავშვთა ფეხბურთის ბუმია საქართველოში, უამრავი სკოლა და გუნდი გაიხსნა. მათ უნდა შევუქმნათ ყველანაირი პირობა, მოვუწყოთ მოედნები, მოვამზადოთ კვალიფიციური მწვრთნელები.

— „უსისხლო“ ფეხბურთელებს როგორ მოუვლით?

— აი, ასეთები თავის ადგილს მალე იპოვიან და ქართველი გულშემატკივარიც ყველაფერს კარგად დაინახავს — ვინ ინდომებს და ვის სურს ნაკრებში თამაში და ვის არა.

— თურქეთთან შეხვედრამ განსაკუთრებით გამოაჩინა ეს პრობლემა.

— მე ამის თაობაზე მოთამაშეებთან მკაცრი საუბარი მექნება.

— შესაძლებლად თვლით გუნდის რადიკალურ განახლებას?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ეტაპობრივად მოხდება. მე რომ რომელიმე კლუბის მწვრთნელი ვიყო, ამის გაკეთება გაცილებით გამიიოლდებოდა, რადგან 30-32 შეხვედრის ჩატარებისას უმტკივნეულოდ შეიცვლებოდა შემადგენლობა. ნაკრებში მეტი წინდახედულებაა საჭირო. შეუძლებლად მიმაჩნია გამოუცდელი ბიჭების შვეიცარიელებთან დაყენება. ასეთ დროს გამოცდილებას დიდი ფასი ედება. თანაც, მთავარია, გაჯანსაღდეს ნაკრებისადმი მოთამაშეთა დამოკიდებულებაც. თვითონ ისინი მოკვეთენ გუნდიდან უგუნურ მოთამაშეებს, დამიჯერეთ.

— ასეთი გაწყობა მოთამაშეებში შენიშნეთ?

— ეს განწყობა აუცილებლად იქნება და საკითხსაც დავაყენებ. უგუნურ მოთამაშეების ადგილი ნაკრებში არ არის.

— კახა კალაძის დაბრუნება მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორ მოახერხეთ მისი შემობრუნება?

— ყველამ იცის, კახა რა მიზეზით არ თამაშობდა, ამის მიუხედავად, მაინც ჩამოვიყვანე ტრაპიზონში და ვესაუბრე. მაშინ მითხრა, რომ შვეიცარიასთან აუცილებლად აპირებდა მოედანზე გასვლას. ამის შემდეგ თამაშის წინა თეორიულ მზადებაზე ოთახში შემოვიდა და ყველას გავაცანი კახას გადაწყვეტილება. წავედით სტადიონზე, დაიწყო თამაში და ახალგაზრდა კაცია, აუდუღდა სისხლი, ბიჭების თანადგომის, მათთან ერთად ბრძოლის სურვილი გაუჩნდა. მეც ეს მინდოდა.

— მისი ოჯახური ტრაგედიის შემდეგ გეჯეროდათ, რომ კახას თამაშზე დაითანხმებდით?

— მჯეროდა და იცით, რატომ? ფეხბურთია მისი პროფესია, ნებისმიერი პროფესიონალისთვის კი უდიდესი პატივია ქვეყნის ნაკრებში თამაში. მე კახას კაცობის მჯეროდა და ამიტომაც ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი მის დაბრუნებაში. კახა ადრე თუ გვიან, ამ ნაბიჯს აუცილებლად გადადგამდა.

— თბილისის „დინამოს“ ბრაზილიელი ნახევარმცველი კარლოსი ისე კარგად ათამაშდა, გაისმა მოწოდებები მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისა და ნაკრებში მიწვევის თაობაზე. თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ საკითხზე?

— მეც ვთვლი, რომ კარლოსი მშვენივრად თამაშობს „დინამოში“ და ამავე გუნდში ვუსურვებ წარმატებას, ნაკრებში კი რა მოგახსენოთ.

— თუკი დაცვაში შედარებით უკეთესი არჩევანი გაგაჩნიათ, იმავეს ვერ ვიტყვით მეკარეებზე. ხომ არ სჯობდა მიგეცებაძა სომხებისთვის და უცხოელი მეკარისთვის შეგეთავაზებინა ნაკრების კარის დაცვა?

— შეიძლება ამ საკითხზე დაფიქრება. თუმცა, დიდი სურვილი მაქვს, რომ საქართველოს ნაკრების კარში ძლიერი, ქართველი მეკარე ვიხილო.

— მერედა, რომ არ ჩანს ნაკრების დონის ქართველი მეკარე?

— უნდა ვეძებოთ და ვიპოვით კიდეც. გაბელია არ იყო ქართველი?

— ეს ხომ წარსულია.

— *(იცინის)* მერე, რა პრობლემაა, დავაბრუნებ. ხუმრობა იქით იყოს და მჯერა, რომ ჩვენი მეკარეები სერიოზული მუშაობით მაღალ დონეს მიაღწევენ. მათ საამისო პოტენციალი გააჩნიათ.

— კიევის „არსენალში“ მშვენივრად თამაშობს შალვა აფხაზავა. მის მოწვევას თუ აპირებთ?

— მე ვაკვირდები აფხაზავას, აშვეთიას, ჯანაშიასა და საერთოდ, ყველა პერსპექტიულ მოთამაშეს. თუკი ნაკრებს გამოადგებიან, ხელს არავის ვკრავთ და ამაში, ალბათ, ეჭვი არავის შეგეპარებათ.

... 8 სექტემბერს საქართველოს ნაკრები ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ შეხვედრას მართავს შვეიცარიელებთან. იმედია, პრობლემების მიუხედავად, „შინდისფერთა“ გუნდი ახლა მაინც გაგვახარებს და შვეიცარიელი ფანები „კოკა-კოლას“ ბოთლებს თავიანთ ფეხბურთელებს ესვრიან.

ლაშა დუმბაძე

ჩემპიონთა ლიგა 2002-2003

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები 27-28 აგვისტო

ლიბერეცი (ჩეხეთი) 2:1 მილანი (იტალია) (0:1)
შტურმი (ავსტრია) 3:3 მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) (0:2)
აეკი (საბერძნეთი) 1:0 აპოელი (კვიპროსი) (3:2)
ბრიუგე (ბელგია) 1:1 (პენ. 4:1) შახტარი (უკრაინა) (1:1)
დინამო (უკრაინა) 1:0 ლევსკი (ბულგარეთი) (1:0)
ნიუკასლი (ინგლისი) 4:0 ჟელეზნიჩარი (ბოსნია) (1:0)
ლოკომოტივი (რუსეთი) 3:3 გრაცერი (ავსტრია) (2:0)
ბრონდბიუ (დანია) 2:3 რუსენბორგი (ნორვეგია) (0:1)
ბაზელი (შვეიცარია) 2:0 სელტიკი (შოტლანდია) (1:3)
ლეგია (პოლონეთი) 0:1 ბარსელონა (ესპანეთი) (0:3)
ოსერი (საფრანგეთი) 0:0 ბოავიშტა (პორტუგალია) (1:0)
ფენერბახჩე (თურქეთი) 0:2 ფეიენოორდი (ჰოლანდია) (0:1)
სპარტა (ჩეხეთი) 4:2 გენკი (ბელგია) (0:2)
ბაიერნი (გერმანია) 3:1 პარტიზანი (იუგოსლავია) (3:0)
ინტერი (იტალია) 2:0 სპორტინგი (პორტუგალია) (0:0)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 5:0 ზალაეგერსეგი (უნგრეთი) (0:1)

დახრილი შრიფტით აღნიშნულია გუნდები, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში გავიდნენ

პირველი ჯგუფური ტური

A ჯგუფი

დორტმუნდი (გერმანია)
ოსერი (საფრანგეთი)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
არსენალი (ლონდონი, ინგლისი)

ტური. 17.09. 2002
ოსერი-პსვ ეინდჰოვენი
არსენალი-დორტმუნდი

II ტური. 25.09.2002
დორტმუნდი-ოსერი
პსვ ეინდჰოვენი-არსენალი

III ტური. 02.10.2002
პსვ ეინდჰოვენი-დორტმუნდი
ოსერი-არსენალი

IV ტური. 22.10.2002
დორტმუნდი-პსვ ეინდჰოვენი
არსენალი-ოსერი

V ტური. 30.10.2002
პსვ ეინდჰოვენი-ოსერი
დორტმუნდი-არსენალი

VI ტური. 12.11.2002
ოსერი-დორტმუნდი
არსენალი-პსვ ეინდჰოვენი

B ჯგუფი

სპარტაკი (რუსეთი)
ვალენსია (ესპანეთი)
ლივერპული (ინგლისი)
ბაზელი (შვეიცარია)

I ტური. 17.09.2002
ვალენსია-ლივერპული
ბაზელი-სპარტაკი

II ტური. 25.09.2002
სპარტაკი-ვალენსია
ლივერპული-ბაზელი

III ტური. 02.10.2002
ლივერპული-სპარტაკი
ვალენსია-ბაზელი

IV ტური. 22.10. 2002
სპარტაკი-ლივერპული
ბაზელი-ვალენსია

V ტური. 30.10.2002
ლივერპული-ვალენსია
სპარტაკი-ბაზელი

VI ტური. 12.11.2002
ვალენსია-სპარტაკი
ბაზელი-ლივერპული

C ჯგუფი

რეალი (ესპანეთი)
გენკი (ბელგია)
აეკი (საბერძნეთი)
რომა (იტალია)

I ტური. 17.09.2002
გენკი-აეკი
რომა-რეალი

II ტური. 25.09.2002
რეალი-გენკი
აეკი-რომა

III ტური. 02.10.2002
აეკი-რეალი
გენკი-რომა

IV ტური. 22.10.2002
რეალი-აეკი
რომა-გენკი

V ტური. 30.10.2002
აეკი-გენკი
რეალი-რომა

VI ტური. 12.11.2002
გენკი-რეალი
რომა-აეკი

D ჯგუფი

ლიონი (საფრანგეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია)
ინტერი (იტალია)
აიაქსი (ჰოლანდია)

I ტური. 17.09.2002
რუსენბორგი-ინტერი
აიაქსი-ლიონი

II ტური. 25.09.2002
ლიონი-რუსენბორგი
ინტერი-აიაქსი

III ტური. 02.10.2002
ინტერი-ლიონი
რუსენბორგი-აიაქსი

IV ტური. 22.10.2002
ლიონი-ინტერი
აიაქსი-რუსენბორგი

V ტური. 30.10.2002
ინტერი-რუსენბორგი
ლიონი-აიაქსი

VI ტური. 12.11.2002
რუსენბორგი-ლიონი
აიაქსი-ინტერი

E ჯგუფი

ნიუკასლი (ინგლისი)
ფეიენოორდი (ჰოლანდია)
იუვენტუსი (იტალია)
დინამო (უკრაინა)

I ტური. 18.09.2002
ფეიენოორდი-იუვენტუსი
დინამო-ნიუკასლი

II ტური. 24.09.2002
ნიუკასლი-ფეიენოორდი
იუვენტუსი-დინამო

III ტური. 01.10.2002
იუვენტუსი-ნიუკასლი
ფეიენოორდი-დინამო

IV ტური. 23.10.2002
ნიუკასლი-იუვენტუსი
დინამო-ფეიენოორდი

V ტური. 29.10.2002
იუვენტუსი-ფეიენოორდი
ნიუკასლი-დინამო

VI ტური. 13.11.2002
ფეინოორდი-ნიუკასლი
დინამო-იუვენტუსი

F ჯგუფი

ლევერკუზენი (გერმანია)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
მაკაბი (ისრაელი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

I ტური. 18.09.2002
მანჩესტერი-მაკაბი
ოლიმპიაკოსი-ლევერკუზენი

II ტური. 24.09.2002
ლევერკუზენი-მანჩესტერი
მაკაბი-ოლიმპიაკოსი

III ტური. 01.10.2002
მაკაბი-ლევერკუზენი
მანჩესტერი-ოლიმპიაკოსი

IV ტური. 23.10.2002
ლევერკუზენი-მაკაბი
ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი

V ტური. 29.10.2002
მაკაბი-მანჩესტერი
ლევერკუზენი-ოლიმპიაკოსი

VI ტური. 13.11.2002
მანჩესტერი-ლევერკუზენი
ოლიმპიაკოსი-მაკაბი

G ჯგუფი

ლანსი (საფრანგეთი)
ბაიერნი (გერმანია)
დეპორტივო (ესპანეთი)
მილანი (იტალია)

I ტური, 18.09.2002
ბაიერნი-დეპორტივო
მილანი-ლანსი

II ტური. 24.09.2002
ლანსი-ბაიერნი
დეპორტივო-მილანი

III ტური, 01.10.2002
დეპორტივო-ლანსი
ბაიერნი-მილანი

IV ტური. 23.10.2002
ლანსი-დეპორტივო
მილანი-ბაიერნი

V ტური. 29.10.2002
დეპორტივო-ბაიერნი
ლანსი-მილანი

VI ტური. 13.11.2002
ბაიერნი-ლანსი
მილანი-დეპორტივო

H ჯგუფი

ბრიუგე (ბელგია)
ლოკომოტივი (რუსეთი)
გალათასარაი (თურქეთი)
ბარსელონა (ესპანეთი)

I ტური. 18.09.2002
ლოკომოტივი-გალათასარაი
ბარსელონა-ბრიუგე

II ტური. 24.09.2002
ბრიუგე-ლოკომოტივი
გალათასარაი-ბარსელონა

III ტური. 01.10.2002
გალათასარაი-ბრიუგე
ლოკომოტივი-ბარსელონა

IV ტური. 23.10.2002
ბრიუგე-გალათასარაი
ბარსელონა-ლოკომოტივი

V ტური. 29.10.2002
გალათასარაი-ლოკომოტივი
ბრიუგე-ბარსელონა

VI ტური. 13.11.2002
ლოკომოტივი-ბრიუგე
ბარსელონა-გალათასარაი

ევროთასებზე მხოლოდ „დინამო“ შემოგვრჩა

უეფას თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი

ტალინი-დინამო (თბ.) 0:1
ლოკომოტივი (თბ.)-კოპენჰაგენი 1:4

დანიური „კოპენჰაგენი“ ბოლო ორ წელიწადში მეორედ ესტუმრა საქართველოს და მეორე ქართულ გუნდს გადაუღობა გზა ევროთასების მომავალი ეტაპისაკენ. დანიელებმა ამჯერად „ლოკომოტივი“ დაგვიჩაგრეს, შინ ორი ბურთის სხვაობით მოგების შემდეგ თბილისში კიდევ უფრო დიდი ანგარიშით (4:1) იმარჯვეს და 1/64 ფინალში გავიდნენ. ანგარიში ისევე როგორც კოპენჰაგენში, თბილისშიც ზაზა ჯანაშიამ გახსნა — ულამაზესი მაკრატელა შეასრულა, მაგრამ რად გინდა — ჯანაშია მარტო ვერაფერს გახდებოდა დანიელებთან, ის ოთხი გოლი, რომელიც ლომაიას კარში გავიდა, სრულიად ლოგიკური იყო.

თბილისის „დინამომ“ სტუმრადაც აჯობა ესტონეთის „ტალინს“, ერთადერთი გოლი, რომელიც ამ მატჩში გავიდა, ახალაიას ანგარიშზეა.

1/64 ფინალში „დინამოელები“ ჩეხურ „ლიბერეცს“ შეხვდებიან. ეს ის „ლიბერეცია“, შარშან რამდენიმე ევროპული სუპერკლუბი რომ გაამწარა და რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ თავად „მილანს“ აჯობა და მხოლოდ შინ მიღებული გოლის გამო დარჩა ჩემპიონთა ლიგის გარეშე. პირველი მატჩი 19 სექტემბერს ჩეხეთში გაიმართება, საპასუხო კი 3 ოქტომბერს, თბილისში.

ჟან რენო — ფრანგების ელვა-ცილობილი

მარი წლის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ჟან რენო დააჯილდოვა საპატიო ლეგიონის ორდენით, რომელსაც იღებენ განსაკუთრებული მიღწევებისათვის...

ჟან რენოს მშობლები ესპანელები იყვნენ და როცა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში გენერალი ფრანკო მოვიდა, ისინი მაროკოში გადასახლდნენ. ზუსტად იქ, კასაბლანკაში, 1948 წლის 30 ივლისს დაიბადა ხუან მორენო — მომავალი ჟან რენო.

ბავშვობაში ხუანი ჩხუბისთავი და ანცი იყო, ფეხბურთს თამაშობდა, ქურდობდა, ყველაზე მეტად თეატრი იზიდავდა. 12 წლისა იყო, როცა პირველად სცენაზე გავიდა. მან და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს სპექტაკლის დადგმა, რათა ფრანგული ენის გაკვეთილზე ეჩვენებინათ თანაკლასელებისათვის. რეპეტიციებმა, სცენამ, ფარდამ, დეკორაციებმა, გრიმის სურნელმა დენივით დაუარა ხუანს და მან მსახიობობა ჩაითქვა გულში. ყოველდღე ამხანაგებთან ერთად კინოში გარბოდა და უყურებდა ფერნანდელის, ბურვილის და ანრი ჟუვეს ფილმებს, ამერიკულ სურათებს კერკ დუგლასის, მარლონ ბრანდოს, ჯეიმს დინის მონაწილეობით. ერთი ხანობა კასაბლანკას ნაციონალურ დრამატულ თეატრშიც დადიოდა...

და აი, მაშინ მოხდა მოვლენა, რომელმაც განსაზღვრა მისი ბედი. ჩრდილოეთ აფრიკაში — ალჟირში, მაროკოსა და ტუნისში დაიწყო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. 1967 წელს მორენოს ოჯახი საფრანგეთში გადასახლდა, სადაც ხუანმა ოცნება აისრულა — მოეწყო თეატრალურ კურსებზე, ხოლო საღამოობით თეატრ „უფ დიუ ნორის“ სპექტაკლების მასობრივ სცენებში თამაშობდა. ფული არ ჰყოფნიდა. ამიტომ ის სატვირთო მანქანის მძღოლად მუშაობდა, შემდეგ ბუღალტრად, ფოტომაღაზიაში — გამყიდველად.

ახალგაზრდა პროვინციელს ყურადღება მიაქციეს პარიზის დრამატული ხელოვნების სკოლის მიმღები კომისიის წევრებმა და რენო მათი სტუდენტი გახდა. ახლა, ახალგამომცხვარი ფრანგის წინაშე ღია იყო ყველა კარი და ისიც არ აპირებდა გვერდზე დგომას — თავით გადაეშვა ბოჰემურ თეატრალურ ცხოვრებაში, მიეტანა ალკოჰოლს, ჰიპების მოძრაობაშიც კი ჩაერთო.

ჟანი შესანიშნავი მსახიობი იყო, ბევრს თამაშობდა სახელგანთქმულ რეჟისორებთან. მისი პარტნიორები იყვნენ მსოფლიო ვარსკვლავები: ივ მონტანი, რომი შნაიდერი... მაგრამ მაინც ნაკლებად ცნობილ მსახიობად დარჩებოდა, რომ არა მისი შეხვედრა ლუკ ბესონთან — 22 წლის რეჟისორის ასისტენტთან. „ლუკს იმიტომ დავუმეგობრდი, — იხსენებს ჟან რენო, — რომ მე ის მომეწონა, მას კი მე. ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს. შესანიშნავად მესმის მისი. მომწონს მისი ნაკლი და ღირსებები. ცხადია, მასაც იგივე გრძნობა აქვს ჩემდამი. ძმებივით ვართ, ერთმანეთის გვესმის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არ ვკამათობთ. ხანდახან ჩვენი ურთიერთობა საკმაოდ იძაბება და რთულდება. მაგრამ სხვანაირად არ შეიძლება შემოქმედ ადამიანთა შორის!“

რენომ ოჯახს კარიერა ამჯობინა...

— პირველად ადრე შევირთე ცოლი, დაუფიქრებლად, — ამბობს რენო, — ოჯახი დახვეწილი დიპლომატიის ადგილია, მაგრამ ამას ხვდები უკვე განქორწინების, ცხოვრების უმეტესი ნაწილის გავლის შემდეგ.

ჟანმა დღემდე ვერ აპატია საკუთარ თავს, რომ შვილები უმისოდ გაიზარდნენ.

1996 წელს მან ქუჩაში შემთხვევით გაიცნო თავისი მომავალი (მეორე) ცოლი. ასეთი რამ შესაძლოა მოხდეს მხოლოდ პარიზში. ჟან რენო ელისეს მინდვრებზე მიაბიჯებდა. უეცრად გოგონას მზერას შეეჯახა, რომლის სილამაზემ მოაჯადოვა მარტოხელა, არც ისე ახალგაზრდა მამაკაცი...

დიდი მცდელობით დაიყოლია ქალიშვილი, კაფეში შესულიყვნენ. რენომ უმალ გაუმხილა გულისნადები: „თქვენ ყველაზე ლამაზი ხართ. ჯერ არ შემხვედრია თქვენებრ მომხიბლავი ქალი. როგორც კი დაგინახე, საკუთარ თავს ვუთხარი, — აი, მოდის ჩემი მომავალი მეუღლე-მეთქი“. აბა, რომელი ქალი დარჩება გულგრილი ასეთი სიტყვების მიმართ! ისინი რამდენიმე საათი საუბრობდნენ და აღარც დაშორებიან ერთმანეთს. ლამაზმანი აღმოჩნდა სლავური წარმოშობის მანეკენი ნატალი დიშკევიჩი, რომელთანაც ქალვაჟი გაუჩნდა — ტომი და სერენა.

ჟან რენოს ტლანქი გარეგნობის მიღმა იმალება ძალიან რბილი და გულჩვილი ადამიანი, ისეთივე, როგორიც ლუკ ბესონის ფილმის „ლეონის“ გმირია. ამ ფილმის შემდეგ გახდა იგი მსოფლიოში ცნობილი. აღსანიშნავია ჟან რენოსა და ნატალი პორტმანის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი. შეგახსენებთ, რომ ნატალი ფილმში თამაშობდა გოგონას, მარგოს როლს. რენო იხსენებს, — 12 წლის გოგონამ გაცნობისთანავე მკითხა, — შვილები თუ გყავთო. კი-მეთქი, რომ ვუთხარი, ძალიან შეწუხდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ნატალიმ იფიქრა, თუ რენოს შვილები ეყოლებოდა, მაშინ ის გოგონას შვილივით ვერ შეიყვარებდა.

ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ საფრანგეთში ჟან რენო ნაციონალურ სექს-სიმბოლოდ არის აღიარებული. „არ ვაპირებ შევეჯიბრო არც რიჩარდ გირს და არც ბრედ პიტს — თქვენზე მიმზიდველი ვარ-მეთქი, — ამბობს რენო, — ჩემთან ტემპერამენტითა და ფიზიკური მონაცემებით უფრო ახლოს დგანან ვუდი ალენი და დენი დე ვიტო. სრულიად არ შევესაბამები ამერიკულ კანონებს და იდეალებს. არ ვიცი, რა ნახეს ჩემში ამერიკელებმა. ალბათ ეგზოტიკა...“

ჟან რენო ამერიკაზე არ გიჟდება. ის იქ წელიწადში რამდენიმე თვეს ატარებს, მაგრამ თავის სამშობლოდ საფრანგეთი მიაჩნია. „კინო — ჩემი სამუშაოა. ოჯახი — ცხოვრება. ოჯახი ჩემი ციხესიმაგრეა, ჩემი უნივერსალური წამალი. საკმარისია დავინახო ცოლის ღიმილი, გავიგონო შვილების სიცილი — და დაღლა წამში ქრება“.

ჟან რენოს ოჯახური სიმყუდროვე ურჩევნია პრეზენტაციებს, კინოფესტივალებს და ოფიციალურ შეხვედრებს.

ყვლამ ყვლაფერი დაიწყო უმრალოდ...

შონ კონერი — კუბოს გამპრიალებელი



თომას შონ კონერი ედინბურგში, ღარიბ ოჯახში დაიბადა და 13 წლისა უკვე მუშაობდა. სამი წელი მსახურობდა სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტში, ფულიც იშოვა, მაგრამ კუჭის წყლულით დაავადდა და მეზღვაურის კარიერას დაემშვიდობა. კონერი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და კუბოების გამპრიალებლად დაიწყო მუშაობა. უქმე დღეებში ქვის მთლელადაც მუშაობდა. შონმა ერთი წელი იმუშავა დამკრძალავ ბიუროში, შემდეგ უფრო პერსპექტიული სამუშაოს ძებნა დაიწყო და როცა 1950 წელს „მისტერ სამყაროს“ კონკურსში მესამე ადგილი დაისაკუთრა, მხატვრებთან მენატურად მოეწყო.

სანდრა ბალოკი — ნაძინის გამყიდველი. სანდრა ყმაწვილობიდანვე მუშაობდა ხან დამლაგებლად, ხან დაზღვევის აგენტად, ოფიციანტად, ბარმენად და ძაღლების დალაქად. ბოლოს, სანაყინეში გამყიდველად მოეწყო, სადაც კეთილსინდისიერად ორნახევარი წელი იმუშავა. „მე მაშინ ისეთი ღარიბი ვიყავი, რომ საუზმედ, სადილად და ვახშმად მხოლოდ სხვადასხვა სახის ნაყინს მივირთმევდი და ძალიან გავსუქდი. ამის მიუხედავად, ნაყინი ახლაც ჩემი ყველაზე გემრიელი სასუსნავია“.

ალეკ გოლდუინი — ოფიციანტი და პორტიე. 21 წლის ბოლდუინი, რომელიც მძღოლად და გამყიდველად იყო ნამუშევარი, ლას-ვეგასის ელიტურ ღამის კლუბში პორტიედ მოეწყო. მალე დააწინაურეს ოფიციანტად, რომელიც ემსახურებოდა კლუბის ცნობილ კაფეს, სადაც თავს ჰომოსექსუალისტები იყრიდნენ. „კლიენტებს ძალიან ვუყვარდი და ამით ვსარგებლობდი, ვინაიდან ფული არ მქონდა, მათ სიგარეტს ვთხოვდი და ურას არასდროს მეუბნებოდნენ“.

კევინ კოსტნერი. 1978 წელს, კალიფორნიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კევინმა პროფესიით (საქმის წარმოება, ბიზნესი და მარკეტინგი) დაიწყო მუშაობა, თუმცა ეს საქმიანობა მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდა. სამსახური მიატოვა. მისი ახალგაზრდა მეუღლე გაოგნდა, რადგან კევინმა მყუდრო ოფისს საექსკურსიო ავტობუსზე მუშაობა ამჯობინა და ტურისტები კინოვარსკვლავების რეზიდენციების სანახავად დაჰყავდა...

ბრედ პიტი — მიმპატიჟებელი კაფეში. ბრედ პიტი კოლეჯის ბოლო კურსიდან გამოაგდეს და ჰოლივუდისკენ გაემართა — როკ-ვარსკვლავობა უნდოდა. ამის ნაცვლად გახდა... ქათამი. პიტმა გადაწყვიტა ჯერ ფული ეშოვა და სწრაფი კვების კაფეში მოეწყო სამუშაოდ. მაგრამ ოფიციანტად კი არ მიიღეს, არამედ გამოაწყვეს წიწილის კოსტიუმში და ქუჩაში დააყენეს. ხმამაღლა უნდა ეცინა, ეკრიახა და როგორმე კლიენტები მიეზიდა... შემდეგ ლიმუზინის მძღოლად მუშაობდა და ღამის კლუბში სტრიპტიზიორები მიჰყავდა.

ვუპი გოლდბერგი — კოსმეტოლოგი და მორგის დალაქი. ვუპი გოლდბერგი სკოლიდან დაითხოვეს ცუდი სწავლისა და ყოფაქცევის გამო. იგი ჰეროინს მიეჩვია და ძალიან მალე ცოლად გაჰყვა ნარკომანი დილერს, რომელთანაც შვილი შეეძინა. ერთი წლის შემდეგ ვუპი გონს მოვიდა, ქმარს გაეყარა, ნარკოტიკებს თავი დაანება და ბედნიერების საძებნელად კალიფორნიაში გაემგზავრა. პირველი სამუშაო, რაც მან იშოვა, იყო კოსმეტოლოგიისა და დალაქის ადგილი მორგში. „მიცვალებულების დავარცხნა და მაკიაჟის გაკეთება არც ისე ძნელია, მით უმეტეს, რომ ისინი არ ჭირვეულობენ და ხელობას არ გიწუნებენ“, — ამბობს ვუპი. თავისუფალ დროს ბროდვეის სპექტაკლების მასობრივ სცენებში მონაწილეობდა, ხან კი ეპიზოდურ როლებსაც თამაშობდა.

კლინტ ისტვუდი — მიწის მთხრელი. ჯარში სამსახურისას კლინტ ისტვუდი ცურვის ინსტრუქტორი იყო. დემობილიზაციის შემდეგ მდიდარ კლიენტებს აუზისთვის ქვაბულს უთხრიდა. ლოს-ანჯელესის კოლეჯში სწავლისას, მაინც ახერხებდა ხან მეხანძრეებთან, ხან კი მშენებლობაზე შემდგომში მუშაობას. მისი ეს მძიმე შრომა სამი წელი გაგრძელდა. ამავე დროს ის გამუდმებით დადიოდა კინოსინჯებზე და იმედს არ კარგავდა, რომ ოდესმე მსახიობი გახდებოდა.



დენი დე ვიტო — დალაქი. სკოლის დამთავრების შემდეგ დენი საგონებელში ჩავარდა. კოლეჯში სწავლის გაგრძელება არ სურდა და ამიტომ დათანხმდა თავის დას, ანჯელას, რომელსაც სილამაზის სალონი ჰქონდა, მასთან ემუშავა. გაიარა კოსმეტოლოგიისა და საპარიკმახერო საქმის კურსები და სალონში მუშაობა დაიწყო. „ვიფიქრე, სწორედ აქ გავიცნობდი უამრავ ლამაზ ქალიშვილს“, — ჰყვება დე ვიტო. მაგრამ გოგონებს არ აინტერესებდათ 1,52 სმ-ის სიმაღლის ჩასუქებული ახალგაზრდა. დე ვიტომ მოიწყინა, სამსახურს თავი დაანება და მსახიობი გახდა. აქ კი ნამდვილად გაუმართლა.



ენტონი ჰოპკინსი — დამხმარე მუშა. სერ ენტონი ჰოპკინსმა მუშაობა პირველად ფოლადის ჩამოსასხმელ ქარხანაში დაიწყო დამხმარე მუშად. „მემონტაჟეზეინკლები ხან ფოლადის ჭანჭიკის მიტანას მავალებდნენ, ხან მავთულისას. ვერაფრით გავერკვიე და ყველაფერს ვურევდი. ბოლოს, მომბეზრდა, ორ თვეში სამსახური მივატოვე და ჯარში წავედი“, — იგონებს მსახიობი.

ჯეიმს კემერონი — მექანიკოსი, მძღოლი. მანქანების აწყობა და დაშლა ჯეიმსმა პატარაობიდანვე შეისისხლხორცა, ვინაიდან მამამისი ინჟინერი იყო. ამიტომ, როცა წამოიზარდა, მექანიკოსად დაიწყო მუშაობა ქარხანაში, შემდეგ საბარგო მანქანის მართვის მოწმობაც აიღო და მძღოლობა თავის სამუშაოს შეუთავსა. „ტიტანიკის“ მომავალი რეჟისორი ქარხანაში ოთხი წელი მუშაობდა. იმავე პერიოდში კოლეჯში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, სცენარებს წერდა და ოცნებობდა, სახელგანთქმული რეჟისორი გამხდარიყო.

ახალი წელი თურქმენეთში „თურქმენბაშით“ დაიწყება

ცნობილია თურქმენეთის პრეზიდენტის, საფარმურატ მურადოვის გატაცება ისტორიით. პრეზიდენტს მოსვენებას არ აძლევს რობესპიერის დიდება, რომლის დროს საფრანგეთში შეიცვალა წელიწადის თვეების სახელები. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ფრანგი რევოლუციონერის კულტი თურქმენეთში!

„თურქმენბაში“ ნიშნავს „ყველა თურქმენის მამას“. ასე უწოდებენ ქვეყნის პრეზიდენტს ოფიციალურად. მისი პორტრეტი თითქმის ყველა ქუჩას ამშვენებს. შარშან ჰაერში აუშვეს პრეზიდენტის ოქროს ფიგურიანი სტელა, რომელიც მზის მიმართულებით ტრიალებდა. გასულ კვირას კი საფარმურატ მურადოვმა გადაწყვიტა, თვეებისა და კვირის დღეებისთვის სახელწოდებები შეეცვალა.

იანვარი ამიერიდან იქნება თურქმენბაში; თებერვალი — დროშების თვედ მოიხსენიება; მარტს ერქმევა ნოვრუზი, მუსლიმთა დღესასწაულის აღსანიშნავად; აპრილს უწოდეს — ყურბან სალთან ეჯე — პრეზიდენტის დედის ხსოვნის აღსანიშნავად; მაისს — მაჰმუთუმყული, შუა საუკუნეების ცნობილი თურქმენი პოეტის პატივსაცემად; ივნისს — იღუზი, თურქმენების მითური მამამთავრის სახელი; ივლისი იქნება გარკუტი; აგვისტო — ალფ არსლანი; სექტემბერი — რუხნამე (ასე ჰქვია პრეზიდენტის წიგნს „თურქმენთა სულიერი კოდექსი“); ოქტომბერი — დამოუკიდებლობის თვე; ნოემბერი — საჯარი; დეკემბერი კი — ნეიტრალიტეტის თვე.

თურქმენბაშს ვერც კვირის დღეები გადაურჩა: ორშაბათი — კვირის მთავარი დღე, სამშაბათი — ახალგაზრდა, ოთხშაბათი — ღვთით კურთხეული, ხუთშაბათი — მხნეობის დღე, შაბათი — სულიერების დღე, კვირა — დასვენების დღე. რატომ არ ახლო ხელი პარასკევს, არავინ იცის.

თურქმენეთის სახალხო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, საფარმურატ მურადოვი სიკვდილამდე დარჩეს პრეზიდენტად. ამ გადაწყვეტილების მიღების მესამე დღეს, დელეგატების წინაშე გამოსვლისას, პრეზიდენტმა, როგორც მოკრძალებულმა ადამიანმა, უარი თქვა ამ საპატიო შეთავაზებაზე.

.

მირ ნოვოსტეი №33

ვინ ახიან ყველაზე უშნოები?

აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში ყველაზე უშნო ქალები ცხოვრობენ ავღანეთში. ამის შესახებ ცნობა გაავრცელა მამაკაცთა ჟურნალმა FHM-მა, რომელმაც ჩაატარა გლობალური გამოკითხვა უსახური ქალების შესახებ. სოციოლოგიურ გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო ინტერნეტის მომხმარებელმა 59-მა ათასმა მამაკაცმა. ჟურნალის მიერ ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, სილამაზით არც ინგლისელი ქალები გამოირჩევიან. ნისლიანი ალბიონის ასულების გარდა, მამაკაცებმა შეუხედავად მიიჩნიეს გერმანელი, ამერიკელი და ჩინელი და, თქვენ წარმოიდგინეთ ფრანგი ქალებიც. განსაკუთრებით უარყოფითად დაახასიათეს რუსი ქალები. უსახურ ქალთა სიაში არიან ალბანელები და თურქები, სულ ბოლოს — ინდოელები.

ვერსია №32

ადამიანს ყვავი არ უყვარს, მის ჩხავილს უბედურების ნიშნად მიიჩნევს, მაგრამ გაირკვა, რომ ყვავი ძალიან ჭკვიანი ყოფილა.

გონიერი ბეტი

ოქსფორდის უნივერსიტეტში ასეთი ცდა ჩაატარეს: ვიწროყელიან ქილაში ჩადეს საჭმელი, საიდანაც ყვავს, სახელად ბეტის, ეს საკვები უნდა ამოეღო.

ორნიტოლოგების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბეტიმ იქვე დადებული მავთული მოაკუჭა და ჭურჭლიდან საკვები ამოაცოცა.

მეცნიერები ამბობენ, რომ მათ პრაქტიკაში ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ფრინველმა მოახერხა მიზნის მისაღწევად სამარჯვის დამზადება. მათი აზრით, ყვავები განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე არიან, ვიდრე შიმპანზეები.

ოგონიოკი №33

ამერიკელები უკიცები გახდებიან

ამერიკაში უამრავი ემიგრანტია, ხოლო ემიგრანტებს, განსაკუთრებით კი მესამე სამყაროდან მოსულებს, ამერიკაში ბევრი შვილი უჩნდებათ და ეს ბავშვები უკვე ამერიკის მოქალაქეები არიან.

ასეთი ოჯახების ბავშვების 40%-მა არ იცის ინგლისური, ამიტომ ვერც ამერიკულ სკოლაში ისწავლის. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ემიგრანტები, ძირითადად, კომპაქტურად, ნაციონალურ კვარტალებში სახლდებიან და წლების მანძილზე ერთმანეთთან მხოლოდ მშობლიურ ენაზე აქვთ ურთიერთობა. ამერიკელები ფიქრობენ და ვერ გადაუჭრიათ ეს პრობლემა. თუმცა ჯერჯერობით არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური გამოსავალი, რომლის პრაქტიკულად განხორციელება თითქმის შეუძლებელია — ნაციონალური კვარტალების „განადგურება“. წინააღმდეგ შემთხვევაში, 20-30 წლის შემდეგ ამერიკის მოქალაქეთა 40%-ს წერა-კითხვა არ ეცოდინება.

ვერსია №29

მოხავალიც გადარჩა და იხვებიც დახუქდნენ

საუკუნეების მანძილზე ადამიანებმა ვერაფრით დაამარცხეს ყანის მტერი კალია. ჩინელებმაც ბევრი იფიქრეს და გადაწყვიტეს, მინდვრებში გაეშვათ რამდენიმე ათასი... იხვი. სპეციალისტების გაანგარიშებით, პეკინის გარშემო მდებარე მინდვრებზე კალიის რაოდენობა განსაცვიფრებელია: 1 კვმ-ზე 5 ათასი და მეტი კალია მოდის. ბიოლოგთა აზრით, ამის მიზეზია ხანგრძლივი გვალვები. იხვები შიმშილს სწორედ ამ კალიებით მოიკლავენ და ორიოდე თვეში სულ ცოტა, 2 კგ-ს მოიმატებენ და ჩასუქებულებს რესტორნებში გაამწესებენ — ჩინეთში მეტად პოპულარულია იხვის ხორცის კერძები.

ოტდოხნი №35

ყვავილნარი მეზაღეს ემსგავსება

ინგლისელი გერტ უილიამსი დარწმუნებულია, რომ ყვავილები გონიერი არსებანი არიან და კარგად არჩევენ, თუ ვინ უვლის მათ. როცა მისი მებაღე დაბალი იყო, ყვავილები და ბუჩქნარიც დაბალი იზრდებოდა, მაგრამ როცა კვლებს და ყვავილებს გოლიათი მებაღე დასტრიალებდა თავს, თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, ყველაფერი მაღლა-მაღლა მიიწევდა.

— როცა მინდა, ბუჩქები ან ყვავილები ძალიან გაიფურჩქნოს, მაშინ მსუქან მებაღეს ვირჩევ, — წერს უილიამსი.

მოსკოვსკიე ნოვოსტი №33

ყველაზე სუფთა ფული

იტალიის მართლმსაჯულებამ ჯერ კიდევ 1994 წელს დაადგინა, რომ მონეტები, რომელსაც შადრევნებში ყრიან, არავის საკუთრება არ არის და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მათი გამოყენება.

მშვენივრად ისარგებლა ამ კანონით ალბერტო ჩერჩელეტომ — კვირაში ორი დღე, თავის თანაშემწეებთან ერთად, ჩასაფრებულია რომის შადრევანთან და ტურისტების მიერ ჩაყრილ ხურდებს აგროვებს. 20 წელია ინვალიდი იტალიელი ამ საქმით ირჩენს თავს და დიდძალ ფულსაც შოულობს — წელიწადში 150 000 დოლარს. ვერც ვერავინ უბედავს შეცილებას. როგორც კი ვინმე შენიშვნას მისცემს, მაშინვე დანას მოიმარჯვებს და საკუთარ სხეულს ისერავს...

ალბერტომ ისე გაითქვა სახელი, რომ მასთან სურათის გადასაღებად საგანგებოდ ჩადიან რომში ტურისტები.

მეგაპოლის-ექსპრესი №35

ინდოეთის ბევრ შტატში საშინელი გვალვა მძვინვარებს. იგი მოსახლეობას შიმშილს უქადის. ინდუსები ამაში ამერიკელებს ადანაშაულებენ. დელის ატმოსფერული მოვლენების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი მურარი ლალი დარწმუნებულია, რომ ამერიკელთა

ინდუსებმა ბაყაყები დააქორწინეს

ბომბები ავღანეთში მხოლოდ თალიბებს კი არ სპობს, არამედ მეზობელი ქვეყნების კლიმატსაც ანადგურებს. ამერიკული თვითმფრინავები ავღანეთის, არაბეთის ზღვასა და პაკისტანზე გადაფრენისას უშვებენ უამრავ აეროზოლსა და გაზებს, რომლებიც ფანტავენ საწვიმარ ღრუბლებს და წინააღმდეგობას უწევენ მუსონებს. მუსონები ქვეყნისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, ივნის-სექტემბერში ინდოეთში მუსონების სეზონია. მიწა ამ პერიოდში 80% წყალს იღებს.

ჯაიპურელი ასტროლოგი, 85 წლის ჩანდრაშეკარა დარწმუნებულია, რომ დამნაშავეა ის ხალხი, რომელმაც ღმერთები ცოდვებით განარისხა. იგი ყველას ურჩევს, ილოცოს.

ასობით მილიონი ადამიანი ისევე, როგორც საუკუნეების წინ, ევედრება ინდრას, წვიმის ღმერთს, გაიღოს მოწყალება. ერთ-ერთ სოფელში ინდუსებმა დააქორწინეს ორი ბაყაყი, ჩააცვეს ტრადიციული სამოსი, ზეიმით გაატარეს სოფელში, შემდეგ კი დიდი ქორწილი გადაუხადეს. გამწარებული ხალხი ადამიანებსაც კი სწირავს წვიმის ღმერთს მსხვერპლად, ამიტომ მშობლები შვილებს შიშით გარეთ არ უშვებენ.

ეხო პლანეტი №34

მსოფლიოში ყველაზე მხცოვანი წყვილი

ამერიკელი ცოლ-ქმარი უილიამ და კლოდია ლილიან რიჩები პლანეტის ყველაზე მხცოვან წყვილად არიან აღიარებულნი. მათი ქორწინება 83 წელს ითვლის და უკვე აღარ იციან, რა ეპითეტით შეამკონ წყვილის ერთობლივი ცხოვრების მორიგი იუბილე. წინა კვირას რიჩებს ოფიციალურად გადაეცა გინესის რეკორდების წიგნში რეგისტრაციის მოწმობა.

უილიამი და ლილიანი 1919 წლის 12 აპრილს დაქორწინდნენ. ამჟამად ქმარი 104 წლისაა, ცოლი — 98-ის. მიუხედავად ასაკისა, ახლობლები ისევ ბიჭს და ღიჭს ეძახიან.

ნათესავებმა ორივეს აუხსნეს, რომ მსოფლიო რეკორდსმენები გახდნენ, თუმცა კი ბიჭს ცუდად ესმის, ღიჭს კი მეხსიერება ღალატობს. მოხუცებს 4 შვილი ჰყავთ (რომელთაგან ორი უკვე გარდაიცვალა), 9 შვილიშვილი, 23 შვილთაშვილი და 18 შვილიშვილის შვილიშვილი. სულ ახლახან, მათმა ქალიშვილებმა, რომლებსაც სიბერის გამო თავადაც უჭირთ თავის მოვლა, მშობლები მოხუცებულთა თავშესაფარში ჩააბარეს — ჯერ დედა, შემდეგ მამა, რომელიც თავიდან ჯიუტობდა, მაგრამ უცოლოდ ვერ გაძლო — ისინი ხომ არასოდეს დაშორებიან ერთმანეთს ამ 83 წლის მანძილზე. მოხუცები ერთმანეთში ხედავდნენ ცხოვრების აზრს და სწორედ ეს დაეხმარა მათ ოჯახს. „მე მუდამ ვცდილობდი, მასზე მეზრუნა, სწორედ ეს არის მთავარი“, — გაამხილა რეკორდის საიდუმლო უილიამ რიჩიმ.

ინტერნეტ-გაზეთი

ჟურნალ „კარუსელის“ საზრძო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

შენიშვნის წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ვოლტერის სიტყვებს ამოიკითხავთ.



დ. ნივთიერება, რომელიც მცირე ხნით აღაგზნებს, სიმხნევეს მატებს სპორტსმენის ორგანიზმს; **ა.** ფეთქებადი ნივთიერება; **ი.** ის, რაც ყველაზე ბოლოს კვდება; **ს.** ხვნა-თესვისა და ნაყოფიერების ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1932 წლებში; **ე.** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **ნ.** ფრენსის ფორდ კოპოლას გახმაურებული ფილმი; **ე.** რაიმე გზის, დისტანციის ცალკეული მონაკვეთი; **თ.** ძველებრაული სახელწოდება ბიბლიის პირველი ხუთი წიგნისა, რომლის ავტორობა მოსე წინასწარმეტყველს მიეწერება; **პ.** ფრთოსანი ცხენი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა.** აჭარული კერძი; **ლ.** ქალაქი, სადაც მდებარეობს მადამ ტიუსოს მუზეუმი; **ი.** უნგრული საავტომობილო ფირმა, რომელიც ავტობუსებით ამარაგებდა მთელ საბჭოთა კავშირს; **ტ.** მოკლე მუსიკალური მისალმება, რომელსაც ასრულებს სასულე ორკესტრი ვისამე პატივსაცემად; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ი.** გრძნობათა მცდარობის შედეგად სინამდვილის დამახინჯებულად, მცდარად აღქმა; **ს.** მეძაობა, მრუშობა; **ფ.** ფრინველის ხორცის ან თევზის ნაჭერი, რომელსაც გამოცლილი აქვს ძვლები; **ე.** რაიმე აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; **რ.** ფილოსოფიური ან სამეჯნურო ხასიათის ოთხსტრიქონიანი ლექსი სპარსულ და ტაჯიკურ პოეზიაში; **ე.** სევდიანი ლირიკული ლექსი; **ბ.** ალექსანდრე — საშა, რიჩარდი — დიკი, უილიამი — ?; **შ.** უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი; **ი.** ფაშიზმის სამშობლო.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
კ. კეგლი; **ვ.** ვერძი; **ი.** ინძაგი; **რ.** რვეული; **ი.** ისლი; **ს.** საირმე; **პ.** პასექი; **ა.** ანისი; **ლ.** ლიტრი; **ი.** იტყვის; **ტ.** ტყვია; **რ.** რიალი; **ა.** არმადა; **შ.** შიოლა; **ე.** ესკიმო; **ნ.** ნილოსი; **ი.** იშემია; **გ.** გიდელი; **ა.** ავიზო; **ზ.** ზუთხი; **ე.** ესქილე; **თ.** თამადა; **ი.** იმიჯი; **ა.** არსება.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის.

CMYK

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

№34 (308) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 486 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 204-მა ქალმა და 279-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რისი (ვისი) ეშინიათ ქალებს ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ამქვეყნად ქალებს ყველაზე მეტად ღალატი აშინებთ. რესპონდენტთა დაახლოებით 26-მა შეაფასა „ღალატი“ მაქსიმალური — 8 ქულით. მინიმალური — 1 ქულა მას მხოლოდ ორმა მკითხველმა (0,4) დაუწერა. **5,98** საშუალო ქულით „ღალატი“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა „ნაოჭები (სიბერე)“. როგორც ჩანს, ქალებს ღალატზე არანაკლებ ეშინიათ ნაოჭების — მკითხველთა თითქმის ერთნაირმა რაოდენობამ შეაფასა „ღალატიც“ და „სიბერეც“ მაქსიმალური ქულებით.

რესპონდენტთა 17-ის აზრით კი, სუსტი სქესის წარმომადგენლებს ყველაზე მეტად მარტოობის შიში აქვთ. 5,38 საშუალო ქულით „მარტოობა“ მესამე ადგილზეა.

რეიტინგის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალებს აქ ჩამოთვლილ საშიშ ფაქტორებთან შედარებით ნაკლებად აშინებენ კონკურენტები, უფრო ნაკლებად კი — ძალადობა და ჭორები. „ჭორებს“ მხოლოდ შვიდმა რესპონდენტმა (1,5) დაუწერა მაქსიმალური — 8 ქულა, მინიმალური ქულით კი 69-მა შეაფასა.

ქალ რესპონდენტებთან მეორე ადგილზე ზედმეტი წონაა.

რაც შეეხება მამაკაცებს, ისინი მიიჩნევენ, რომ ქალებს ზედმეტ წონაზე მეტად სიღარიბის ეშინიათ.



საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარინტის ავტორი თბილისელი, 27 წლის **პაატა პაატაშვილია.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „სიღარიბეს“ ხუთის ნაცვლად — ოთხი ქულა (მეხუთე ადგილი), ხოლო „ზედმეტ წონას“ ოთხის ნაცვლად — ხუთი ქულა (მეოთხე ადგილი) მიაკუთვნა.

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 4 სექტემბერს, 17 საათზე.

№35 (309) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„**კვირის პალიტრა**“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „**კვირის პალიტრის**“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ **მკითხველის შეტივნეში**

№35 (309) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 4 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 5 სექტემბრის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №35 (309) — მამაკაცები

თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რისი ეშინიათ მამაკაცებს (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№35(309) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი		
№		ქულა
1	სიბერე	
2	ღალატი	
3	ოჯახური კონფლიქტები	
4	ჯანმრთელობის პრობლემები	
5	უფულობა	
6	შანტაჟი, ინტრიგები	
7	მარტოობა	
8	ვალდებულებები, პასუხისმგებლობა	

მკითხველის შეტივნე

თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე ჭკვიანი ქართველი პოლიტიკოსი?

✓ _____

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ _____

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

ასაკი _____ ტელეფონი _____

მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. ეკა ლომაძე — „ბარო იტალიანეც“ — ანუ, რატომ დაბრუნდება მასხიმო საქართველოში და რატომ იყიდის სვანეთში კოშკს“ — 87 ხმა
2. გიორგი კალანდია — „დადიანების ფრანგული დღიური“ — 35
3. ვაჟა გაგაშელი — „გვამი ჩამოვარდა და თაბაშირას ქანდაკებასავით დაამსხვრა“ — 34
4. ზურაბ მჭედლიშვილი — „რუსეთისაგან განსხვავებით, ჩვენ „აბრაკუნეებას“ და „ლამაზისეულების“ თემით ვართ გართულნი“ — 27
5-6. მარინა მამისაშვილი — „1000 დოლარი ციხეში შემოიტანე და შენი მანქანა ბარნოვის ქუჩაზე დავხვდება“ — 24
5-6. ირაკლი ალადაშვილი — „პოლიგონი, სახელად საქართველო“ — 24

თქვენი პრემია — 50 ლარი გადაეცემა ჟურნალისტ **მაკა ლომაძეს.**

მკითხველის პრემიის გამოკენებაში 362 მკითხველი მონაწილეობდა.

მკითხველის შეტივნეს შედეგები

ადგისტოს თავის ადამიანი საქართველოში

1.	დავით თევზაძე	12 %
2.	კობა ნარჩემაშვილი	9 %
3.	ედუარდ შევარდნაძე	8 %
4.	მერაბ ჭორდანია	7 %
5-6.	ლუსუმ ჯახია	6 %
5-6.	მიხეილ სააკაშვილი	6 %
7.	ავთანდილ ჯორბენაძე	3 %
8-10.	კახა კალაძე	2 %
8-10.	მარიკა ლორთქიფანიძე	2 %
8-10.	სულხან მოლაშვილი	2 %

მკითხველთა 11%-ს გაუჭირდა თვის ადამიანის დასახელება; 8% კი აცხადებს, რომ ამ ტიტულს არავინ იმსახურებს.

მკითხველის რეიტინგში 308 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.

ჟოჟოვანცისკვარი ©

პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას — „აბა, ვინ ვარ ახლა მე?“ თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები“, გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.



კოკა ყანდიაშვილი, 5 წლის

ფოტოს ისტორია იხ. მე-20 გვერდზე

„ფოტოანტიკვარში“ რესპონდენტთა 37%-მა შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი „ამოიცნო“. ასევე, დასახელდნენ — ვახტანგ რჩეულიშვილი, გია აბესალაშვილი, დუტა სხირტლაძე, შოთა არველაძე,გურანდა გაბუნია, მიხეილ მაჭავარიანი, ნიკა ტაბატაძე, ნანა დევდარიანი... მოკლედ, ისინი, ვინც ამ ბოლო დროს ცისფერი ეკრანების ხშირი სტუმრები არიან — ალბათ, „ფოტოანტიკვარის“ ბოლოს მითითებულმა ფრაზამ — „ნამდვილ ტელევარსკვლავს არ ვგავარ?“ შეიყვანა ისინი შეცდომაში.

რესპონდენტთა 31%-მა კი სწორად ამოიცნო ფოტოზე გამოსახული ბიჭუნა — კოკა ყანდიაშვილი.

ზურა რკოლაიშვილის მეგობრული შარჟი

— აბა, ვინ ვარ ახლა მე?

_____

— ისე კარგად მიცნობთ, აბა რომ ვერ მიცნოთ, შეგრცხვებათ...

ფოტო განყოფილებისთვის

— სკოლაში არ მგვლის, პატარები ხართო...

წინა კროსვორდის პასუხები

ამერიკული კროსვორდი (ასოციაცია)

ამერიკულ კროსვორდში ამოცანაბილი სიტყვა უნდა ჩაწეროთ პორიზონტალურად ან ვერტიკალურად კითხვების ალგებრულ-დაბარეების გათვალისწინებით. თუ ერთ რიგსა ან სვეტში რამდენიმე კითხვაა (ამ შემთხვევაში ასოცაციური წყვილი), ამაგე რამდენობის პასუხი ჩაიწერება მათთვის განკუთვნილ უჯრათა ერთობლიობაში ასოციაციური წყვილის რიგითობის მიხედვით.



* * *

ვინ იფიქრებდა, რომ ჯერემი აირონსი სისუფთავის ასეთი მოყვარული იქნებოდა. თვითმფრინავის მოლოდინში ირლანდიის აეროპორტში — შერონში მან ადგილობრივ კაფეში შეიჭყიტა და აღშფოთდა იქ ნანახით — მაგიდები ჭუჭყს მიჰქონდა.



მსახიობმა მოითხოვა წინსაფარი, ვედრო, ტილო და ლაგებას მიჰყვა. როცა სტუმრებმა აირონსი იცნეს, ჰკითხეს, რაში სჭირდებოდა კაფეს დალაგება. მსახიობმა უპასუხა: „აქ ისეთი ჭუჭყი იყო, მე კი, დრო უნდა მომეკლა. სამაგიეროდ, ახლა, როცა ყველაფერი დავაწკრიალე, გაღიზიანება მომეხსნა და თავს შესანიშნავად ვგრძნობ". შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი აღფრთოვანებულები იყვნენ იქ დამსწრენი?

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

...უფასო განცხადების ქვითარი" ჩაგვდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მუხრანბატონის ქუჩაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში-ახალუ ჰეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მრ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის გაშზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გაშზ. ტუსკოლების წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (სამგზის) მოედანზე; ზაარბრიუკენის (კორნილოვის) მოედანზე; ნაძალადევში კათ „საქართველოსთან", წერეთლის გაშზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თიკანთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქობის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გაშზ. პოლიგრაფთან, უნივერსიტეტის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავკასიის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გაშზ. - ეგმაწყლის დასწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს მანქანაში".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, გათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, ვარკეული, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ქინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია). „კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

35 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაუმჭვირვალე ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№35 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 5 სექტემბერს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

* * *

პროკურორი: — ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გამოირჩევა მამაცობით, საოცარი ფანტაზიით!..

ბრალდებული: — ნუ მაქებთ ტყუილად, მაინც არაფერს ვალიარებ!..

* * *

ორი მეგობარი საუბრობს:

— ვინმემ რომ შემოგთავაზოს შენს ცოლსა და კინომსახიობს შორის აირჩიეო, რომელ კინომსახიობს აირჩევდი?

* * *

ფსიქიატრი ეკითხება პაციენტს:

— როგორ გადაწყვიტეთ ჩემთან მოსვლა... დაიწყეთ თავიდან.

— სიამოვნებით... თავიდან შევქმენი ცა და მიწა...

ჟურნალი „ბერმუხა"

ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების პიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესაუნლიკის ზერიბორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დაბეჭდილია და ხელმოწერილობა თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე ფრთხილად სარედაქციო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სახახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა